

საკა



„ერთადერთი, რასაც გარეგნობისთვის ვაკეთებ, ვარჯიშია“

36

„ახლა მიკვირს, თვის გადაპარსვის გემო ქმარმა რომ არაფერი მითხრა“

„საკუთარ თავში რაღაცეები უკვე არ ვიხილავ. თვალის თუ ტურის გარშემო უსიამოვნო სიანსებები შეინიშნება“

თიკა ფაცაცია ღამის ცხოვრებაზე უარი თქვა

ღიანა ტრავაიძე:

„ქანა ბენდუქიძესთან რაც დამეგარტა, იმაზე უარსი ალარ დამეგარტება“

38



30

ნინო ჩხეიძე:
„პოლიტიკაზე არასოდეს ვილაპარაკებ!“



„ღვინს „აროფსია“ ნილად არ მხვდა“

20

სოსო მანჯავიძე:
„იკულებული გავხდი, ჩემი ბიზნესი თეთრგზი გავყიდა“



23

ნინო შარვაშიანი ნიუ იორკის რესტორანში მღერის



26

ღათო ევბენიძე:
„ჩემმა ქალიშვილმა 12 წლამდე არ იხოდა, რომ მამამისი ვიყავი“



მსოფლიოს
ხალხთა ზღაპრები

1

ამერიკული
ზღაპრები



11 თებერვალიდან!

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 1.

ამერიკული ზღაპრები

„ახალ თაობასთან“ ერთად


შურნალ „სარკესთან“ ერთად

იყიდება

ქართული ეულტურის

ოქროს ფონდის

პირველი ტომი



ქართული
ეულტურის
ოქროს
ფონდი

1

უნიკალური
საარქივო
მასალები

კოჭა
არჯანიშვილი



გვ.37

თავმო ჩხვიკვა:

„შეშინა,
შვეიცარიის შერა
თბილისში
მანქანას
ვეღარ
შეგარკობდი“



გვ.14

სოსო რობაქიძე:
„ბუბან შეშინა შეიღვა
აღარ მიფიქრია“



გვ.9

შალვა
რამიშვილი:
„მეცხრა არსზე“
მინიშალური
ხელფანი შექმნა,
„მეცხრეში“
შეშინა ანაზღაურება შექმნა“



გვ.32

რუსუდან
ბოლქვაძე:
„11-ჯერ ვითქვი
უარი რაღვა სხვის
სასარგებლოდ“



გვ.33

ნუგზარ ერგოშვილი:
„პარლამენტის
ნაშრომის
შეშინა სულიერი
პრობლემები შექმნა“

ახალი ნიგნი	
„ქართული კულტურის თქრის ფინდი“ – პროექტი, რომელიც ლეგენდებს აცოცნლებს	5
ტალასხე	
■ დიანა ტრაპაიძე: „კახა ბენდუქიძისთან რაც დამემართა, იმაზე უარესი აღარ დამემართება“	8
■ შალვა რამიშვილი: „მეცნე არსზე“ მინიმალური სელფისი მექნება, „მაესტროსი“ უკეთესი ანაზღაურება მქონდა“	9
გულანდოლი სანჯრაბი	12-13
ტკივილი	
სოსო რობაქიძე: „ბუტას შემდეგ შევიღე აღარ მიფიქრია“	14
პოლიტიკა	
■ მამუკა არეშიძე: „პატრიარქმა დიდი პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა“	16
■ ზურაბ აბაშიძე: „ჩვენი პარტიის წევრების მხრიდან გადაცდომის პქონდა ადგილი“	17
■ სოსო ცისკარიშვილი: „პარლამენტის მიერ პრეზიდენტის არჩევის ეს სისტემა ახია საქართველოზე“	19
საზოგადოება	
■ სოსო მანჯავიძე: „თულებული გავხდი, ჩემი ბიზნესი თეთრებში გამეყიდა“	20
■ როგორ ამირებს ვია კორკოტაშვილი ბიძინა ივანიშვილისთვის თვალუბის ასეუღას	21
სამშობლოდან შორს	
ნინო შერმადინი ნიუ იორკში რესტორანში მღერის	23
ტალაქარსონა	
მამუკა ღლიონტა: „არც ერთ არსზე „ქართულ ოცნებას“ ისე არ აკრიტიკებენ, როგორც ჩვენთან“	24
სოლ-ქმრის კლუბი	
დათო კვანციანი: „ჩემმა ქალიშვილმა 12 წლამდე არ იცოდა, რომ მამამისი ვიყავი“	26
მონარქები	28-29
ეჭანი	
ნინო ჩხეიძე: „ჩემი კალეუგებისგან პოლიტიკური მსხვერპლის თამაში ზედმეტად მიმჩნია“	30
რამის ჩირაღდნები	
რუსუდანი ბოლქვაძე: „11-ჯერ ვთქვი უარი რილზე სხვის სასარგებლოდ“	32
ახალი რეალობა	
ნუგზარ ერგემიძე: „პარლამენტიდან წამოსვლის შემდეგ სულიერი პრობლემები შექმნა“	33
მათი მშობლები	
როგორ შეაშინა თათარ ქირიამ დედ-მამა ესენტუკში	34
სარკის ნინ	
თიკა ფტაცია: „ახლა მიკვირს, თმის გადაპარსვის გამო ქმარმა რომ არაფერი მითხრა“	36
ავტომოყვარული	
თაკო ჩხეიძე: „მეგონა, შევიცდარიის მერე თბილისში მანქანას კვლარ ვატარებდი“	37
სსოვრება ჩამოღნეზა	
რატომ კინკლაობენ საზღვარგარეთ სალომე ქაჭუა და გივი ვაჩიანიძე	43
მეგზური	
ალექსანდრია – ანტიკურობა და თანამედროვეობა ერთად	44

მსოფლო ქალაქისთვის	48
დადიკოვანის სკოლა	
რა ვაჭამით აღურგოულ ბავშვებს	49
ჩემი მშვენიერი ლაღი	
გიორგი მარშანას ქალები აბნევენ	50
სოკრტის მიღვა	51
სახლისო	54-55
სოტ-სოტა ყველაფერზე	56
აღამიანის ინსტიტუტი	57

თბილისის ზოოპარკში ვეფხვა 22 წლის ახალგაზრდა დაბლიჯა

თბილისის ზოოპარკში დაუფერებელი ამბები ხდება. ადამიანები მტაცებელი ცხოველების ვოლიერებთან აკრძალულ მანძილზე მიდიან და თავს საფრთხეში იგდებენ. 29



იანვარს, დილის 8 საათზე, უბედური შემთხვევა მოხდა. 22 წლის გუგა ჩავლეიშვილი მეგობრებთან ერთად ქუჩიდან შეიპარა ზოოპარკის ტერიტორიაზე. ვეფხვის გალიასთან ძალიან ახლოს მივიდა და ამ სითამამეს ემსხვერპლა კიდევ — მას ცხოველი დაესხა თავს...

„იმის ნაცვად, ხომ ეს ამბავი სხვებისთვის ქეის სასწავლებელი გამხდახიყო, ჰიიიიით მოხდა — ძიღვ ვიგეიხებთ ხაღხს, გზის იმ მხიღდან მოძეხებინა“.

33.11

იყავით ჯანესრული	58-59
ქალური მოთხრობები	
■ ლელა ცუცქერიძე – „დაბნეული“	66
წმინდანები	
ღირსეულად ცხოვრება ღირსეულებს შეუძლიათ მხილოდ, იქნებ ჩვენც დაუფიქრებელიყავით ამ ყოველიყვეზე	72
ქითხევი მოქალაქის	
„მკვდრეთით აღმდგარი სსეული იქნება ქრისტეს ასაგის — 33 წლის“	73
მეჭირვეულები	
ბიჭუნა გაციულ სახლს ნანატრებით აღამაზებს	75
ქალინარული მადევერები	77
ხალსაქმე	78



შალვა ნათელაშვილი

შალვა ნათელაშვილს თანაპარტიელები განუდგნენ

შალვა ნათელაშვილის პარტია მისმა წევრებმა დატოვეს. როგორც სპეციალური განცხადებიდან გახდა ცნობილი, პოლიტიკური კომიტეტის რვა წევრიდან ექვსმა წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. ჯერჯერობით თავისი პოზიცია არ დაუფიქსირებია პარტიის პოლიტიკურ მდივან გიორგი გუგავას.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მიმდინარეობდა და, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება მოლაპატე, გამყიდველი პოლიტიკოსების გამოყენება ნაციონალური მოძრაობის მესამედიად. ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური კომიტეტის უმრავლესობა ერთგული, მებრძოლი აქტივის პატივისცემის მიუხედავად, ვემიჯნებით პარტიის თავმჯდომარეს და ვტოვებთ პარტიის რიგებს. ამასთანავე ვაცხადებთ, რომ ვაგრძელებთ ბრძოლას, ვქმნით ახალ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიას და ვრჩებით ჩვენი პოლიტიკური პრინციპების ერთგულნი, — აღნიშნულია საქართველოს ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური კომიტეტის განცხადებაში.

განცხადებას ხელს აწერენ იოსებ შატერაშვილი, კახაბერ ძაგანია, პაატა ჯიბლაძე, კონსტანტინე გუგუშვილი, გიორგი მთავარელიძე და დავით ვერძეული. ლეიბორისტული პარტიაში რომ განხეთქილება მზადდებოდა, ამაზე კულუარებში ორი თვეა ლაპარაკობენ. ეჭვები ნათელაშვილის ბოლო პრესკონფერენციაზეც აღძრა, სადაც ლეიბორისტების თავკაცმა პარტიის წინააღმდეგ მოქმედებაში საქართველოს პრემიერი ივანიშვილი დაადანაშაულა.

ივანიშვილმა 7 მილიონი გამოყო იმ პარტიების დასაშლელად, რომელიც მას არ ემორჩილება. ეს თანხა კი, პირველ რიგში, მიმართულია ჩვენი, ლეიბორისტული პარტიის წინააღმდეგ. მინდა, მას ვუთხარა, რომ სანამ ცოცხალი ვარ, ეს არავის გამოუვა. ეს არ გამოუვიდა შევარდნაძეს, არ გამოუვიდა სააკაშვილს და არ გამოუვა არც ივანიშვილს! — აცხადებდა განხეთქილებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე ნათელაშვილი.

განხეთქილების შემდეგ ლეიბორისტების ლიდერმა სპეციალური განცხადება გაავრცელა: „სამწუხაროა, რომ, როგორც ვვარაუდობდით, ამ ანკესს წამოეგო პარტიის რამდენიმე აქტივისტი, ნაწილი — არჩევნებამდე, ხოლო პატარა ჯგუფი — დღეს. ლეიბორისტული პარტია ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებს უკომპრომისო ბრძოლას ივანიშვილ-საკაშვილის მზარდი რეჟიმის წინააღმდეგ და არ არსებობს ძალა, რომელიც ამ მიზანზე ხელს აგვავლებინებს“.

„სარკემ“ ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური კომიტეტის წევრებთან დაკავშირება სცადა, მაგრამ ხოსო შატერაშვილმა, კახა ძაგანიამ, პაატა ჯიბლაძემ და გიორგი გუგავამ სატელეფონო ზარებს არ უპასუხეს.

გუშინ, დღეს, ხვალ

„აიჩივით — სააკაშვილი თუ საქართველო!“

კოალიცია „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ნაცმოდრობას სატელევიზიო დებატებში იწვევს და თითოეულს საკუთარი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებას სთხოვს. ამის შესახებ ჟურნალისტებს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით საგანელიძემ განუცხადა:

— კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა სწორედ ამგვარი შეფერვების საფრთხე ააცილა ქვეყანას, როდესაც ყველასთვის ნათელი გახდა, თუ რა ცდუნებას იყო აყოლილი მიხეილ სააკაშვილი და როგორ ამზადებდა ნიადაგს მორიგი ავანტიურისათვის, მე ისეთი სუპერდემოკრატი პრეზიდენტი ვარ, რომ არჩევნებში დამარცხებაც კი ვაღიარე, მაგრამ დიქტატორ ივანიშვილს კატასტროფისკენ მიჰყავს ქვეყანა და ამიტომ იძულებული ვარ, კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულება შევასრულო და მისი მთავრობა ხელისუფლებას ჩამოვაცილო. ამგვარი ნაბიჯის ცდუნებას მას აძლევდა 2004 წლის კონსტიტუციური ცვლილებებით შექმნილი მექანიზმი.



დავით საგანელიძე

საგანელიძის აზრით, პარლამენტში ყველას, მათ შორის ნაცმოდრობის წევრებსაც, სწორედ საკონსტიტუციო ცვლილებები აძლევს არჩევანის გაკეთების შანსს — სააკაშვილი თუ საქართველო.

— მათ შეუძლიათ, მხარი დაუჭირონ ამ ცვლილებებს და ამით არამარტო წარსულის სიმანინჯზე თქვან უარი, არამედ პოლიტიკური მომავლისთვისაც გადადგან სწორი ნაბიჯი; ან მათ შეუძლიათ, უარი თქვან ცვლილებების მხარდაჭერაზე და ამით მთელი მსოფლიოს გასაგონად გააცხადონ თავიანთი ჭეშმარიტი პოლიტიკური ზრახვები და მომავლის ხედვა... დღეიდან საჯარო საპარლამენტო და სატელევიზიო დებატებში ვინც ვეუთ პარლამენტში ნაციონალური მოძრაობის თითოეულ წარმომადგენელს თემაზე „საკაშვილი თუ საქართველო, დიქტატურა თუ ხალხის მმართველობა“, — აცხადებს საგანელიძე.

უმრავლესობის განცხადებას ნაცმოდრობის ლიდერები გამოეხმაურნენ. გიორგი გაბაშვილმა საგანელიძის გამოსვლა პანიკად შეაფასა, ხოლო ვანო მერაბიშვილმა — ისტერიკად.

— მან პროკურატურასთან, ფინანსურ პოლიციასთან და სხვა მექანიზმებთან ერთად, ვერ შეუგროვა ივანიშვილს ის უმრავლესობა, რომელზედაც ასე თამამად ამბობდა, რომ 120 დეპუტატი უკვე ჯიბეში ჰყავს.მინდა ვუთხარა, რომ კენჭისყრაზე ისინი ნახავენ, რომ თავიანთ მიზნებს ვერ მიაღწიეს, — დაიქადაგა გაბაშვილი.

ვანო მერაბიშვილი კი პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილს აფრთხილებს, თავი შეიკავოს ისეთი ქმედებისგან, რომელიც შეიძლება თანამედრობის ბოროტად გამოყენებად დაკვალიფიცირდეს და ამის გამო დაისაჯოს:

— მე მინდა, გავაფრთხილო საქართველოს მთავრობა და განსაკუთრებით, პირადად ბიძინა ივანიშვილი: თუ უახლოეს დღეებში პარლამენტმა მიიღო საკონსტიტუციო ცვლილება, ანუ უმრავლესობამ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოაგროვა, ეს ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი თანამდებობა ბოროტად გამოიყენა და ძალისმიერი მეთოდებით გადაიბირა, დააშინა დეპუტატები და ასე შეაგროვეს საკონსტიტუციო უმრავლესობა. ასეთი ქმედება, ძალაუფლების გადამეტება, დასჯადი დანაშაულია!

გიორგი თარგამაძე აქტიურ პოლიტიკაში ივანიშვილის კოალიციის კრიტიკით დაბრუნდა

ქტიურ პოლიტიკაში დაბრუნება ქრისტიან-დემოკრატების ლიდერმა გიორგი თარგამაძემ კოალიცია „ქართული ოცნების“ კრიტიკით აღნიშნა. მისი თქმით, საქართველოში პროდასავლური პარტიების კრიზისი ნამდვილად შეინიშნება და ეს პროცესი შეიძლება კიდევ უფრო გაღრმავდეს.

თარგამაძის აზრით, საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში ნელ-ნელა მძლავრობს რუსეთის მიმართ ლოიალური დამოკიდებულებები. „ასე რომ, ჩვენი აზრით, დღეს უკვე დუმილის დრო აღარ არის, დღეს არის აქტიური მოქმედების დრო, მით უმეტეს, პროდასავლურ ფლანგზე“, — აღნიშნა მან.

სარკე ქართული გაეროს 1998 წლის 23 იანვარიდან

დამფუძნებელი მთავარი რედაქტორი კომერც. დირექტორი უსს „სარკე“ ვალან სანაია ვაჟა შანგალია

რედაქციაში შეზღუდული მასალები არ რეკვიზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალების გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მთავარი რედაქტორის მოვალეობაში — ირინე მჭედლიძე, ორმა გოგინაძე, ავთო ჩიტოძე.


პრობლემა — მანანა გვგია. საზოგადოება, სახარტალი, შოშობინი — ირინე მჭედლიძე, რუსუდან ავაძე, ლანა კიკაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოღია, ავთო ჩიტოძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლეონჯავა, თათია ბოჭორიძე, მელიქიანი — ახა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. შტაბი — ქეთი ყარბილიშვილი. მხარგრევი — ქეთი ხარატიშვილი. კომპიუტერული მომსახურება: დაკაბაძე — ორმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ავტორები — მარინა ქუჩუნი, მათა ფიფია. კორექტურა — ლანა გაბუნია, მათა ფიფია. სარედაქციო სამსახური — მაგუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru მდებარეობა — იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.

ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.

ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU მკაბრედი: SANA.GE

„ქართული კულტურის ოქროს ფონდი“ - პროექტი, რომელიც ლეგენდებს ასოციალებს აქამდე „უცნობი“ კოტე მარჯანიშვილი



ამომცემლობა „გუმბათმა“ და საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა უპრეცედენტო პროექტი დაიწყეს — მრავალტომეული „საქართველოს კულტურის ოქროს ფონდი“. თუკი საქართველოს საგანძურში ერთი აგური მაინც აქვს ვინმეს დადებული, ამ გამოცემაში ყველა მოიყრის თავს. ქართველი მკითხველი თავიდან აღმოაჩენს ყველა იმ ლეგენდას, ვინც ქმნიდა და დღემდე ქმნის ქართულ კულტურას. მრავალტომეულის ნიგნები უფროსად „სარკესთან“ ერთად გაიყიდება.

29 იანვარს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ამ უნიკალური სერიის პირველი ტომის — „კოტე მარჯანიშვილი“ — პრეზენტაცია მოეწყო. ნიგნში ლეგენდარული რეჟისორის შესახებ ბევრი უცნობი დოკუმენტი შევიდა. პირველი ტომის პრეზენტაციას საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები, რეჟისორები, მსახიობები, თეატრმცოდნეები დაესწრნენ.

ნიგნში თავმოყრილი დოკუმენტური მასალის შესახებ დამსწრეთა პროექტის ავტორის სოსო გოგინაშვილი ესაუბრა:



სოსო გოგინაშვილი

— ქართველებს ორი რამ გვაქვს ყველაზე ძვირფასი — მართლმადიდებლობა და კულტურა, რამაც დღემდე მოგვიყვანა. გამოცემლობა „გუმბათმა“ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ოთხტომეული გამოცემა ახლა ახალ პროექტს შევუდექით — „ქართული კულტურის ოქროს ფონდი“. ქართული კულტურა არის ის ფენომენი, რომელზედაც ჩვენ ვდგავართ და რომლითაც მომავალშიც ვიამაყებთ. პირველი ტომი კოტე მარჯანიშვილზეა. ოთხი თვის წინ რომ გეკითხათ ჩემთვის, ვინ იყო კოტე მარჯანიშვილი, გიპასუხებდით, ის იყო დიდი რეჟისორი და სპექტაკლებს დგამდა-მეთქი, მაგრამ მას მერე, რაც მისი შემოარების ნაკითხვა დაიწყო, ჩემთვის გაცოცხლდა ადამიანი თავისი ვნებებით, თავისი პლუსებით და ქართული მინუსებით, რაც მთავარია, გენიალური ქართველობით. როცა ამ ნიგნს გავეცნობით, თქვენ თვალწინ გაცოცხლდება ადამიანი — ძალიან საინტერესო, ცოცხალი, მოუხვენარი და გაცილებით მეტი ღვაწლის მატარებელი, ვიდრე წარმოგიდგენიათ.

ამ ნიგნშია მისი პირადი წერილები, მიძღვნილი ცოლისადმი — ელენე დონაურისადმი, ასევე თავად ელენეს მოგონებები, როგორ გაიცნეს ერთმანეთი. მათი სიყვარულის ისტორიაა გადმოცემული. კოტე მარჯანიშვილის შემოარების ვარის ამ ნიგნში, სადაც ძალიან თავმდაბლად აღწერს თავის მოღვაწეობას, განსაკუთრებით — რუსეთში, სადაც ყვარელში დაბადებული პატარა ბიჭი წავიდა და, შეიძლება ითქვას, რომ 10-15 წლის განმავლობაში მილიანად დაიპყრო იქაურობა, საქართვე-



შურა ბანიშვილი

ლოში კი უდიდეს რეჟისორად დაბრუნდა. არის აგრეთვე წერილი, სადაც ერთ-ერთი საბჭოთა მინისტრი ქართველებს აფრთხილებს, კოტე მარჯანიშვილს თუ წესიერად არ მოექცევით, იცოდეთ, წაგართმევთ და უკან წაიყვანთ მოსკოვში. სამწუხაროდ, მართლაც ისე მოხდა, რომ მან თავისი ცხოვრების ბოლო წლები მოსკოვში გაატარა. აქაც თავი იჩინა ერთგვარმა ქართულმა გაუტანლობამ, მას სხვა გზა არ დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ მოსკოვში წასულიყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, ბოლომდე დარჩა ქართველად, ბოლომდე დარჩა დიდ რეჟისორად და დიდ ადამიანად... მერწმუნეთ, წიგნის ნაკითხვისას დიდი სიამოვნება გელით.

გიორგი კალანდია, საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი:



გიორგი კალანდია

— ვფიქრობ, რომ ძალიან საინტერესო პროექტი დაიწყო. პირველი შემთხვევაა, როდესაც ასეთი დიდი ღონის და მასშტაბის მუზეუმი თავის ასეთ დიდ საცავს ალებს და მისი საგანძური საცავს ტოვებს. ეს არის 46 ათასზე მეტი დოკუმენტი.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ნიგნის ბაზარზეც გაჩნდა კრიზისი, ყველაფერი ერთმანეთს დაემსგავსა. ეს გამოცემა კი არის სულ სხვა რამ, ის, რასაც ამდენი ხანი ველოდით და პირველად გამოვიდა სამსჯავროზე. ერთ მაგალითს გეტყვით, მკითხველი ამ პროექტის მნიშვნელობას რომ ჩანსედეს. ამ სერიის შესამე ტომი იქნება „სანდრო აბმეტელი“. როდესაც დაიწყო მისი მოგონებების თარგმნა, მივხვდი, რომ ის ასევე არის ძალიან დიდი მწერალი. ჩვენს მკითხველს საშუალება მიეცემა, ეს დიდი რეჟისორი გაიცნოს, როგორც ძალიან დიდი მწერალიც.

რაც შეეხება პირველ ტომს — „კოტე მარჯანიშვილი“, ეს არის ძალიან ძვირფასი ნიგნი, რადგან მასში შევიდა 70 პროცენტზე მეტი უცნობი მასალა. ერთ-ერთი წერილი სიკვდილამდე ერთი დღით ადრეა დაწერილი. ნიგნში ასევე შესულია დიდი ადამიანების მოგონებები მარჯანიშვილზე. რაც მთავარია, ნიგნს ერთვის უნიკალური ფოტომასალა. აწი რამე რომ დაგჭირდეთ კოტე მარჯანიშვილის შესახებ, ძველ პრესაში ძებნა აღარ მოგიწევთ, ეს ყველაფერი ერთ ნიგნშია თავმოყრილი.

ახალმა ნიგნმა კულტურის მოღვაწეებზე მართლაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რაც „სარკესთანაც“ გულწრფელად გამოხატეს.

შურა ბანიშვილი, მსახიობი, რეჟისორი:

— პირველ რიგში, მივესალმები გამოცემლობა „გუმბათის“ ინიციატივას, რომ ასეთი უნიკალური პროექტი წამოიწყო. რა თქმა

უნდა, მას მხარში უდგას თეატრისა და კინოს მუზეუმი და მისი ზემოქმედებით გიორგი კალანდია. ძალიან კარგი საქმეა უნიკალური მასალების სამსჯავროზე გამოტანა. პირველი ტომი ძალიან საინტერესოა. კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებას და შემოქმედებას უამრავი თეატრმცოდნე იკვლევდა, დღეს კი გაიხსნა ის არქივი, საიდანაც ბევრი ახალი ინფორმაციის მიღება შეეძლებოდა. ამ გამოცემით საშუალება გვეძლევა, გავაანალიზოთ ქართული თეატრის ცხოვრება, უფრო მეტიც, შეიძლება იმ პერიოდის თეატრის ისტორია თავიდან გახედეს დასაწერი.

გოჩა კაპანაძე, მსახიობი, რეჟისორი:

— ნიგნი ძალიან საინტერესო მასალებით არის გაჯერებული და დარწმუნებული ვარ, კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებიდან ბევრი უცნობი ფაქტი იქნება შეტანილი. ძალიან საინტერესოა ფოტომასალაც, რომელიც ნიგნს ერთვის. რადენიმე ფოტო ჩემთვის აღმოჩენა იყო, თუნდაც თამარ ჭავჭავაძე ლამარას როლში. საერთოდ, მიყვარს მემუარული ლიტერატურა და ამ ნიგნმა უკვე ჩამითრია. კოტე მარჯანიშვილი ევროპული დონის რეჟისორი იყო. მას მიაჩნდა, რომ რეჟისურა არ უნდა შემოიფარგლებოდა მხოლოდ ნაციონალური ხასიათებით, თუმცა ყველა მის სპექტაკლში ჩანდა, რომ ის იყო ქართველი, ბრწყინვალე თვალი ჰქონდა! მან ქართულ თეატრს დაუტოვა უდიდესი არტისტები, თეატრში მოიყვანა ვერისკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, უშნავა ჩხეიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, შალვა ღამბაშიძე, თამარ ჭავჭავაძე. მან პირველმა გამოსცადა ქართულ თეატრში კინორეჟები, ეს მაშინ ძალიან ნოვატორული იყო და, მგონი, ევროპაშიც იშვიათად მოიძებნებოდა რეჟისორი, ვინც ეს გააკეთა. იმ ეპოქაში კოტე მარჯანიშვილმა შექმნა ძალიან ქართული და ამავე დროს ევროპული თეატრი. ამ ნიგნით ჩემთვის კოტე მარჯანიშვილი კიდევ ერთხელ გაცოცხლდება.



გოჩა კაპანაძე

„საქართველოს კულტურის ოქროს ფონდის“ პირველი ტომი „კოტე მარჯანიშვილი“ უკვე გამოცემულია და უფროსად „სარკესთან“ ერთად იყიდება.

ლანა კიკაძე

პრომოიდი



როცა
თვით
ბუნება კურნავს...

ბალზამი „პრომოიდი“ — ბუნების მიერ ნაჩვენები ჯანმრთელობა!

ლეკენდებით მოცული კარპატის მთები, რომელსაც უმღერის ხალხურ გადმოცემებში, განთქმულია არამხოლოდ მიწისქვეშა განძეულით. ჩვენ არც კი ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორი საოცარი იდუმალი ძალაა ჩამალული მთის უმდიდრეს ფლორასა და ფაუნაში. კარპატის მთების დიდებული ბუნება ამოუწურავი სასიცოცხლო ენერჯის და ნამდვილი ჯანმრთელობის წყაროა, რომელსაც ასე ხშირად უსურვებდნენ ერთმანეთს საბჭოური დროის მისალოც ბარათებში.



ჩვენ სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ, სხვა ქვეყანაში, მაგრამ ერთი კი უცვლელი დარჩა — ძლიერი ჯანმრთელობის სურვილი თქვენთვის და თქვენი ახლობლებისთვის და ამისათვის სულაც არ არის საჭირო გაემგზავროთ კარპატებში. მთების მკურნალი ძალა ინახება ჯადოსნურ ბალზამში „პრომოიდი“. იგი 100%-იანი ბუნებრივი პროდუქტია.

ბალზამის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული მისი შემადგენელი კომპონენტი მრავალფუნქციურია თავისთავად.

მის შემადგენლობაში შედის: **თაფლი, პროპოლისი, კედრის ზეთი, გოგრის თესლის ზეთი, ქავის ზეთი, ფუტკრის ცვილი.** პრაქტიკულად ნებისმიერ მათგანს ხალხში უწოდებენ „ურალის ოქროს ფესვს“.

მხედველობაში აქვთ სამკურნალო თვისებათა უნივერსალობა. ხოლო ერთ ბალზამად შეკრული, დაატენტებული ტექნოლოგიით ურთულესი დამუშავების გაფლის შემდეგ, ისინი იძლევიან კუმულაციურ ეფექტს და წარმოადგენენ უზარმაზარ ძალას, რომელიც გამოგნებულ შედეგებს იძლევა და აღადგენს ჩვენს ორგანიზმს. ხანმოკლე დროის მანძილზე „პრომოიდი“ უკვე დაეხმარა ათასობით ადამიანს თავიანთ

დაავადებებთან გამკლავებაში. მისი გამოყენების შედეგები შესამჩნევია უკვე პირველსავე დღეებში, შეინიშნება ჯანმრთელობის მდგომარეობის აშკარა გაუმჯობესება, განსაკუთრებით დაავადებთა მწვავე ფორმების დროს.

ბალზამი „პრომოიდი“ ხელს უწყობს სისხლის კაპილარების გაფართოებას და ავსებას, რაც აძლიერებს ვეროზურ გადიდებას, აუმჯობესებს სისხლის მიკროცირკულაციას და შველის ორგანიზმს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს, როგორცაა იშემია, ართროზი, სტენოკარდია, ასევე არტერიული წნევის სტომატის დროს. იმ ადამიანებისთვის, რომელთაც ამინდის ცვლილებებზე დამოკიდებულება აწუხებთ, ეს შეუცვლელი საშუალებაა. ბალზამი სისხლის თავის ტკივილს, სტამბილურს ხდის წნევის, შველის სახსრებში ტენიანობას და, მაშასადამე, საყრდენ-სამოძრაო აპარატის მრავლობითი დაავადებების დროს (ართროზი, ართროზი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, რევმატიზმი, ნევრიტი, მალთაზორისი თიქარი, ქულის დეზი და ა.შ.). გარდა ამისა, „პრომოიდი“ არბილეს სისხლძარღვთა კედლებს. ხდის მათ უფრო ელასტიკურს და ამცირებს თავის ქალის შიდა წნევას. „პრომოიდი“ ხელს უწყობს ორგანიზმის აღდგენას ტრავმების შემდეგ, მათ შორის — თავის ტრავმის, ინსულტების, ინფარქტების შემდეგ. კარგი შედეგებია ისეთი დაავადებების დროს, როგორცაა ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, თვალის დაავადებები (კონიუნქტივიტი, გლაუკომა, კატარაქტა, ახლომხედველობა), შაქრიანი დიაბეტი.

„პრომოიდი“ ეფექტურია ნებისმიერი მწვავე ინფექციური დაავადების მოსხმის დროს (გრძობა, მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციები, მწვავე რესპირატორული დაავადებები, პაიშირიტი, პაროდონტოზი, ყურის და სამწვერა ნერვის ანთებები, ოსტეომიელიტი, დისბაქტერიოზი და ა.შ.), ქრონიკული დაავადებების და ინფექციების რეციდივების (ასთმა, ბრონქიტი, პნევმონია, პროსტატიტი და ა.შ.) დროს.

გამოსცადეთ თქვენს თავზე ჯადოსნური ძალა ბალზამისა, რომელიც თვით ბუნების მიერაა შექმნილი.

მის დამზადებაზე იმუშავა ათასობით ფუტკარმა, რომლებიც დაუღალავად დაფრინებდნენ ყვავილიდან ყვავილზე. მზრუნველმა ხელემმა თაფლის კომპოზიციას დაუმატა სამკურნალო ზეთები იმ მცენარეებისა, რომლებიც დედამიწის წველებს და სტიქიის ენერჯიას შეიცოვენ.

შეიგრძენით „პრომოიდი“-თან ერთად კარპატების მაცოცხლებელი სუნთქვა.

მაქვს როდული ქრონიკული კანის დაავადება-ფსორიაზი. კანი მეტერცლებოდა და მექავებოდა. რომ შევიტყვე ბალზამ „პრომოიდის“ შესახებ მისი მიღება გადაწყვიტე.ვიღებდი შინაგანად და გარეკანზე(დაზიანებულ ადგილებზე) ვისმევდი. მკურნალობის 3 დღის შემდეგ ქავილი მომეხსნა,ორი კვირის შემდეგ კი გამონაყარიც გაქრა. მიღებული შედეგით გაოცებული ვარ.ბალზამის მიღება ახლაც ვაგრძელებ!

მაია კუკულაძე. 43წ.ქ. რუსთავი.




მალან მარუხებდა ტკივილები სახსრებში, ამის გამო თითქმის ყოველდღე ტკივილგამაყურებელს ვღებულობდი, გარდა ამისა მალდი წნევა,უძილობა და რინიტი.

(ქრონიკული სურდო) მარუხებდარის გამო სუნთქვა მიჭირდა. ბალზამ „პრომოიდის,, პირველი კურსის შემდეგ ტკივილებმა სახსრებში გამიარა, საერთო მდგომარეობა გამოუმჯობესდა, ხოლო მეორე კურსის მიღების შემდეგ არტერიული წნევა დამირეგულირდა 120/70,ძილი გამოუმჯობესდა და ქრონიკულმა სურდომ გამიარა. მიღებული შედეგით მალან კმაყოფილი ვარ! უღრმესი მადლობა თქვენ და ბალზამ „პრომოიდის,,! აბურჯანია რუსუდანი 57 წ. ქ.ფთოი.



ერთი წლის წინ დამიღინეს დიაგნოზი-გლაუკომა. პერიოდულად თვალის წნევა

მიწვევა ხოლმე,საოპერაციო ვიყავი,მაგრამ არ დავთანხმდი და პურნალში წავიკითხე ბალზამ პრომოიდზე, შინაგანად მიღება დავიწყე თვალის ირგვლივ და საფოქლებზე ვისმევდი.4 ქილის მიღების შემდეგ შეგატყვერომ თვალის წნევამ დაიწია,ექიმო კი გაოგნებული იყო შედეგით,რადგან საოპერაციო ვიყავი,ვიხლა კი თაქრაცია არ მესაჭიროება! დიდი მადლობა თქვენ და ბალზამ პრომოიდს!!! დავიდ ლაფიაშვილი 73წ.თბილისი.



მარუხებდა სახსრები,სიარული მიჭირდა და აუტანელი ტკივილებიც მქონდა და პროსტატეც მარუხებდა, რის შედეგადაც დამის განმავლობაში

რამოდენიმე ჯერ ადგომი მიწევდა. ბალზამ „პრომოიდიტ“ მკურნალობის შემდეგ ტკივილები აღარ მაქვს,სიარული აღარ მიჭირს და დამეც მშვიდად მინახვს. ახლა თავს ბევრად უკეთ ვგრძნობ და სიტყვები არ მყოფნის რომ გამოთქვა ჩემი მადლიერება!



ვერმაძე ხასან. 80 წ.ქ. ბათუმი.



ძალიან შეუძლოდ ვიყავი, მდგომარეობა იმდენად გაუარესებული მქონდა რომ სიცოცხლის ხალისიც კი არ მქონდა. ნერვოზი, გაღიზიანებადობა, სახსრებში ტკივილები მაწუხებდა. ამის გარდა 2010 წელს

გადავიტანე

1 ინფარქტი,

3 მიკროინფარქტი

და 1 ინსულტი,

მქონდა ხშირი,

აჩქარებული

გულისცემა და

საერთო სისუსტე,

სახეზე ფერიც კი

არ მქონდა იმდენად

დასუსტებული

ვიყავი, ძალია არ

მქონდა. ერთ თვიანი კურსის მკურნალობის შემდეგ,

სიარული დაიწყო. სახსრებში ტკივილები მომეხსნა,

გაღიზიანებადობა მომეხსნა, ძალია, ენერჯია

მომემატა. გულის რითმი დამირეგულირდა,

აჩქარებული და ხშირი გულისცემა მომეხსნა. ეს

ხომ საოცრებაა. ეხლა კი სიცოცხლის ხალის

ვგრძნობ. თქვენმა ბალზამმა ფეხზე დამაყენა და

უღრმეს მადლობას მოგიხდით

ასეთი სასწაულისათვის!



ნარგიზი როსტიაშვილი 61წ. წეროვანი.



რამდენიმე წლის წინ დამიდგინეს დიაგნოზი - პირენია. წამლების მიღება დაიწყო. ამის გარდა

ვარიკოზიც აღმოჩინდა. ქვედა კიდურებში

სიმძიმის შეგრძნება მქონდა. ვახუშტი ამოვიკითხე

ინფორმაცია პრომოდის შესახებ. მისი

შემადგენლობა ძალიან მომეწონა და გადავწყვიტე

მიღება. ბალზამს ვღებულობდი შინაგანად და

გარეგანზე ანუ ვენებზეც ვისმევდი თხლად.

რამდენიმე კვირაში (8 ქილა მივიღე) სიმსუბუქე

ვიგრძენი ქვედა კიდურებში და არტერიული წნევამ

დამირეგულირდა. ამის ფონზე წამლების მიღება

შევეცვიტე. დიდი მადლობა თქვენ და ყველას

ვურთქე ბალზამის მიღებას, რადგან ის ნამდვილად

შედეგია!

მურანა შვილი ზურაბი. 52წ. ქობილისი.

ყველაზე მთავარია იმ ხალხთა გულწრფელი

წერილები, რომლებმაც თავის თავზე

გამოსცადეს ბალზამ „პრომოდი“-ს

კეთილიმყოფელი მოქმედება.



ჩემი ახლობლებისგან გავიგე ბალზამის თაობაზე, მეც მიირჩიეს ეს პროდუქცია და გადავწყვიტე თქვენს ლეკვიანე მოსვლა და

ბალზამის შექმნა. უკვე დიდი ხანია როგორც

მწუხებს ოსტეონდროზი, ვერ

დავდიოდი, კოლიტი, თირკმელების

პრობლემები და ჰაიმორტი მაქვს. ამის გამო

სუნთქვა მიჭირდა და ცხვირიდან გამონადენი

მქონდა. 2.5 თვიანი კურსის მკურნალობის

შემდეგ (10 ქილა) შევატყვე, რომ წელის და

ფეხების ტკივილმა გამიარა, თირკმელებიც

აღარ მწუხებს, კუჭის მოქმედება

დამირეგულირდა, ცხვირიდან ჩირქოვანი

გამონადენი მქონდა და გამისუფთავდა,

სუნთქვაც აღარე მიჭირს. არ მეგრავს, რომ ამის

საშველი დადგა! უღრმეს მადლობას

მოგიხდით თქვენ ყველას!

თამარი ტყეშელიაძე.

„პრომოდი“-ს გამოყენა-გაყიდვა, აგრეთვე დაწვრილებითი კონსულტაცია მისი გამოყენების შესახებ გაიპარტება შემდეგ მისაპარტებაზე:

- ქ. თბილისი, ბახტრიონის 22 6.7,8,9,10,11,19,20,21,22,23,24,25 თებერვალი 15:00-დან 17:00-მდე
- ქ. თბილისი, ვარკეთილის 3, II მ/რ, სპსილია თაყაიშვილის 1, სამპ. რეაბი. ცენტრი (167 მ/ა ბოლო გარეშე) ყოველდღე 10.00-20.00 საათამდე
- ქ. თელავი, 26 მაისის ქ. 5, ჭაღრაძის სასლი, ვებერანთა სასახლე 9 თებერვალი 11:00-დან 12:00-მდე
- ქ. რუსთავი, შ. შარტავას 13, მი. ტერიტორია, სალ. ცენტრი „ბაო“ 10 თებერვალი 12:00-დან 13:00-მდე
- ქ. მარნეული, შ. რუსთაველის 24, რესტორანი „თეთრი სასლი“ 11 თებერვალი 12:00-დან 13:00-მდე
- ქ. ბათუმი, ზუგალაშვილის 18, კველი კალინინის ქ. სასტუმრო „თიბო“ 12 თებერვალი 11:00-დან 12:00-მდე
- ქ. ზოთი, 9 აპრილის სმიშანი 10 სადრესასწაულო ცენტრი „გალუ“ 12 თებერვალი 14:00-დან 15:00-მდე
- ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას (კ/თ) „ატრიუმი“ 12 თებერვალი 17:00-დან 18:00-მდე
- ქ. ქუთაისი, კონსტავას ქ. 25, სასტუმრო „ლია“ 13 თებერვალი 11:00-დან 12:00-მდე
- ქ. გორი, სტალინის გამზ. 26 სასტუმრო „გეორგია“ (სტალინის სახ. ბუფ. 406) 13 თებერვალი 16:00-დან 17:00-მდე
- ქ. ანაკლია, კონსტავას 4/24 ბანი „სტუმრად ნუბისთან“ (თ. შიშის კმლის უკან მუშაობს) 14 თებერვალი 12:00-დან 13:00-მდე
- ქ. ბორჯომი, შ. რუსთაველის 101A სასტუმრო „ოლიმპი“ (სტალინის) 14 თებერვალი 14:00-დან 15:00-მდე
- ქ. სეშენი, კონსტავას 6, ავთიანის კველი კინოთეატრის წინ 14 თებერვალი 14:00-დან 15:00-მდე

ერთი შეფუთვის მასა: 120 გრამი მინიმალური შეკვთვა - 2 შეფუთვა არ ფარმოადგენს მედიკამენტს. მიღებაზე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია. საქონელი სერტიფიცირებულია

[www. apifito.net](http://www.apifito.net)

გამოსცადე ბალზამის სამკურნალო თვისება, გუნების სარეჟანი.

საინფორმაციო: 571 22 98 98



ბალზამ პრომოდის 4 ქილა შევიძინე, მომეხსნა ტკივილები ხერხემალში, ასომური შეტევაც კი არ მქონია, რომელიც ხშირად მაწუხებდა.

მკურნალობამდე კი ძლიერი ტკივილები

ხერხემალში მქონდა, რის გამოც გადაადგილება

ძალიან მიჭირდა. ეხლა კი საერთო მდგომარეობა

გამომჯობესდა და თავს ბევრად უკეთ ვგრძნობ,

თქვენი უღრმესი მადლობელი ვარ!

ლელია ბრეგვაძე, 65წ. ქობილისი



ბალზამის მიღების შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობა გამომჯობესდა. მაქვს ჩიყვი და

ქვედა კიდურების ართროზი, ტკივილების გამო

სიარული ძალიან მიჭირდა. ახლა ვიღებ ბალზამ

პრომოდს და სულ მივიღე 7 ქილა, შევატყვე

რომ სახსრები აღარ მტკივა და ჩიყვი

დამიპატარავდა, ეს ხომ ჩემთვის არც ისე

უმნიშვნელოა,

გმადლობთ ბალზამი ნამდვილად დამეხმარა!

მაცვალა კვაჭაძე, 74წ. თბილისი.



ჩემი მდგომარეობა გამომჯობესდა 4 ქილის მიღების შემდეგ. მაქვს შაქრიანი დიაბეტი, ართროზი,

ოსტეოქონდროზი, რომელიც 35 წელი მაქვს და

ნაღველაც მაწუხებს. ბალზამის წყალობით შაქრის

დომენ სისხლში დაიწია, მკურნალობამდე 400

მქონდა, მთელი ზამთარი ლოჯინად ვიყავი

ჩავარდნილი, ეხლა კი ვდგები და ნელ-ნელა

დავდივარ, როგორც ადრე. ტკივილები სახსრებში

აღარ მაქვს, შაქრის დონემ სისხლში

დამირეგულირდა და ნაღველაც არ მაწუხებს.

დიდი მადლობა!

ელგუჯა გოგატიშვილი, 78წ. საჩხერე.

დიანა ტრაპაიძე: „ქანა ბენდუქიძესთან რას დაეპარტა, იმაზე უარსი აღარ დაეპარტება“

„მე“ აესტრო“ ჩემთვის განვლილი ეტაპი! მადლობა მის ყველა თანამშრომელს, რომელიც გვერდში მედგა ორი წლის განმავლობაში. კონფლიქტით არ ნამოესულვარ... უბრალოდ, ჩემი თავი ამ ტელევიზიაში ამოვწურე... მეცხრეზე მივიღე ვარ! — გამოაქვეყნა შალვა რამიშვილმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე. არადა ორიოდე თვის წინ ინტერვიუში მითხრა, „მესტროზე“ დავრჩებიო. ამ არსზე გარკვეული გეგმებიც ჰქონდა — პოლიტიკურის გარდა, გასართობი გადაცემებიც უნდა გაეკეთებინა. ამბობენ, შალვა რამიშვილსა და მამუკა ლლონიძეს შორის შავმა კატამ გაირობინა და კონფლიქტიც იყო, რამიშვილმა „მესტროზე“ რუსი კარდინალობა მოინდომა, რაზეც ლლონიძე გამრანდაო...

„შალვა რამიშვილის „მესტროს“ ეთერში ჯდომას ჩვენთვის გარანტირებული რეიტინგი იყო“, — მიაჩნია მის უკვე ყოფილ თანამაყვანს გადაცემაში „სუბიექტური აზრი“ დიანა ტრაპაიძეს. მისთვის რამიშვილის გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო. ერთი კვირა მარტოს მოუწია გადაცემის წაყვანა, 4 თებერვლიდან კი „მესტრო არის“ ყოფილი სახე თეონა გეგელია შეუერთდა. ასე, სრულიად დაუფეგმავად ორმა არხმა სახეები გაცვალა.

დიანა ტრაპაიძე იმ ფურნალისტთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც მუდმივად თავისუფალი სივრცის ძიებაშია და არანაირი სარგებანი პირობების საფასურად არ შეუძლია ვინმეს გუნდოვანი უკმობის. „მესტრო“ მის ბოლო თავშესაფრად იქცა. აქ კარგად ვარ და არსად წასვლას ვაპირებ, სანამ ჩემს თავისუფლებას არ შეეჩებინაო, ამბობს. შალვა რამიშვილის წასვლამ გული დასწყვიტა, მაგრამ ისიც უხარია, ახლა ეთერში დიდი ხნის მეგობარ თეონა გეგელიასთან ერთად რომ ზის.

— დიანა, რატომ წყადა „მესტროსთან“ თქვენს თანამაყვანს, რა არის რეალური ვარსა?

— მხოლოდ ის ვიცი, რაც შალვამ ოფიციალურად თქვა — „მესტროში“ ჩემს პერსპექტივას ვერ ვხედავო. ფაქტის წინაშე დადებით და გაცემით მოვეკიდეთ. რა თქმა უნდა, ჩემთვის ეს არ იყო სასიამოვნო. როცა შალვამ თქვა, წასვლას ვაპირებო, ვუთხარი, იქნებ კარგად დაფიქრდეთ, მაგრამ მიპასუხა, ასე გადავწყვიტეო. ალბათ ჩათვალა, რომ სხვანაირი მეტე ვაპირებო. დეტალურად ვერაფერს გეტყვით, რადგან ნაკლებად ვიცი. არც სხვა თანამშრომლებს ესაძიოვანათ ეს ამბავი, რადგან შალვა სტუდიაში — ეს არის გარანტირებული რეიტინგი.

— შალვა არაკომპეტენტული პარტნიორის შობიქედობას ტოვებდა თავისი არაპროფესიონალიზმი და სხვათა შორის, პარადოქსულია, „არადაფაროვის“ სახელის მასწავლებლის მისთან მუშაობა თქვენთვის ადვილი იყო თუ გვიყრდა?

— რთულად შედგა ჩვენგან ეკრანული წყვილი, რადგან თავიდან ცოტა გავცივრდა შეწყობა. არ ვიცი, მასურებული ამას გრძნობდა თუ არა, მაგრამ ბოლოს უკვე შინაგანად ვიყავი დანაყვილებული. უკვე ვიცოდი, შალვა რაზე რას იტყოდა, როდის რას იზამდა. თავიდან ჩემთვის სურამირობით მსეკე იყო. ეთერამდე ცოტა ადრე მოდიოდა, მე კი მთელი დღე ვემზადებოდი. ხშირად ეთერი ისე მთავრდებოდა, რომ იმ ამბებზე საუბარი არც გვინებდა, რაზეც მთელი დღე ვმუშაობდი. შალვას რაღაც სხვა, თავისი

თემები ჰქონდა. ბოლოს უკვე ისე საინტერესო იყო და ისე შევეჩვიე, რომ მეც ავეყვი. ცხოვრებაშიც დავეგობრდით და ვუყვებოდით ერთმანეთს, რა გეტკიოდა, რა გვანაუბებდა.

— რჩევებსაც ვაძლევდით?

— რა თქმა უნდა, ერთმანეთს ვაძლევდით რჩევებს. იყო პერიოდი, როცა მასურებლის რეაქცია ჩემ მიმართ არცთუ სასიამოვნო იყო. არც მე ვთვლი, რომ ჩემგან ისეთი ნამყვანი დავდა, რომლის გაკრიტიკებაც არ შეიძლება. შალვა კი მეუბნებოდა, ამისთვის ყურადღება არ მიმეცია და საკუთარ გამოცდილებას მიზიარებდა. მისგან რაღაც-რაღაცეები ვისწავლე. ვთქვი, შალვასგან ვისწავლე ის, რომ ეთერში ნამყვანი სუთოსანი ბავშვით არ უნდა იგველა-მეთქი. ამასაც მოჰყვა მასურებლის კრიტიკა — ამას სუთოსანი ბავშვი ცუდი მგონიაო. არადა მთელი ცხოვრება, სადაც კი ვისწავლე, ყველგან სუთოსანი ვიყავი. კარგი მოსწრება და მოწაფეობა კი არ ვიგულისხმებ, არამედ ზედმეტად მონადინებული ჯდომის მანერა და რაღაცეების გაზუთხვა.

ნამყვანი თავისუფალი და გახსნილი უნდა იყოს და შალვა ქნის ასეთ გარემოს. როცა ის ეთერს იწყებს, ძალიან თავისუფალი და შინაურულია — გამარჯობა, როგორ ხართო. ამ დროს შენ ტრადიციული ნამყვანის ლექსით ვერ იტყვი — საღამო მშვიდობისა, პატივცემული ტელემასურებელიო. გადაცემიდან ამოვარდები, ამიტომ ძალაუფლებრად უნდა ჩაჯდე შალვას მიერ შექმნილ შინაურულ გარემოში. ვცდილობდი, ამ ყველაფერს მოვრგებოდი, ბოლოს კი ისე გავმინაურდი, რომ... ზაზა შათირიშვილი გვყავდა გადაცემაში, რომელიც რამდენჯერმეა ჩემთან სახლში სტუფორად ნამყოფი. ეთერამდე მითხრა, კარგი ლობიო იცი, გააკეთეო და შეეთანხმდით, როდის მოვიდოდნენ ჩემთან შალვა და ზაზა ლობიოზე. შალვა თემს ექებდა, ეთერი რითი დაეწყეო და თქვა, იცით, ეთერამდე ჩვენ რაზე ვლაპარაკობდითო და ვუთხარი, ლობიოზე-მეთქი. როგორ გამოვზარდე დიანა, ლობიოზე საუბარს იწყებს ეთერშიო, თქვა შალვამ.

— ასეა კი თქვენს კონკურენტსა ეთერში.

— შალვა სადაც უნდა იყოს, ყველგან წარმატებას ვუსურვებ. ჩემთვის რთულია შალვას ისე ვუყურო, როგორც კონკურენტს. ჩემთვის ადამიანური ურთიერთობები ნებისმიერ გადაცემასა და კონკურენტსავე მალა დგას. შალვა ნაყვი და მოვიდა ჩემი დიდი ხნის და ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი თეონა გეგელია. ჩვენ ბევრ საკითხზე თითქმის ერთი და იგივე პოზიცია გვაქვს, ამიტომ თემების არჩევნას ვფიქრობ,



დიანა ტრაპაიძე

„იხუდად შედგა ჩვენგან ეკრანული წყვილი, ხადგან თავიდან ცოტა გავცივრდა შეწყობა. არც სხვა თანამაყვანს ესაძიოვანათ ეს ამბავი, რადგან შალვა სტუდიაში — ეს არის გარანტირებული რეიტინგი.“

რამი შეიძლება გვექონდეს კონფლიქტი, რომ გადაცემა უფრო საინტერესო გამოვიდეს.

— რადის დამტკიცებით თქვენ და თეონა?

— ნანა ლეყავას სტუდია „ვეინესში“ ვმუშაობდით ერთად. იქ დავეგობრდით. ერთი გზა გვაცოვრდა და სულ ერთად დავდიოდით ტაქსით თუ სამარშრუტოთი. ხან ვიტყოდით, მოდი, ხალხში გავფიქროთ-თქო და ავტობუსით ვმგზავრობდით. ოჯახებიც თაც ვმეგობრობდით. ის წლები, რაც ჩემთვის მძიმე იყო, რამდენიმე ადამიანთან ერთად გადავიტანე და მათ შორის ერთი თეონაა.

— თი წამყვანი ქალი ქალურ თემებზე სიმ არ გადაცემად?

— არავითარი ქალური თემები! პოლიტიკური იქნება. დღის მთავარ ამბებს მიმოიხილავთ და მასურებელს ჩვენს მოსაზრებებს გავცნობთ. ვიზუალურადაც გავფორმებთ ფოტოებით, ვიდეოებით. შევეცდებით, რომ საინტერესო იყოს.

— ამბობენ, რომ „მესტროს“, მუსიკადაც რეკლამების მომზადებას, ფინანსური პრიბლეტები გავყენდა და შალვა რამიშვილის არსიდან წასვლის ერთ-ერთი მსზენი ესეც იყო.

— შალვას ასეთი იმიჯი აქვს, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ეს მისთვის უმთავრესია. მე ვერ არ მიგრძებია ფინანსური პრობლემები. როცა პოლიტიკური ტემპერატურა და პოლიტიკური მედიის მიმართ ინტერესი მალადა, იქ პოლიტიკური ფულიც ბრუნავს მასმედიაში. არჩევნების შემდეგ კი ამ ფულის გადინება ხდება. ტელეკომპანიებს ახლა ყველაზე კარგი პერიოდი უდგათ. მათ უნდა შექმნონ რეიტინგული, მაღალპროფესიული პროდუქტის დადება, რომ მასურებლის არჩევანზე იყენენ დამოკიდებულები და არა — რომელიმე პოლიტიკოსის სურვილებზე, ჩაიდოს თუ არა ამ თუ იმ ტელეარხში ფული. ისინი მასურებლის პირისპირ რჩებიან და ვეღარ აიგდებენ მასურებელს, როგორც ის წლების განმავლობაში ხდებოდა, როცა პირდაპირი დოტაციები ჰქონდათ ამ თუ იმ პოლიტიკოსის დოზიდან და ვებებზე ეკიდათ მასურებელი, რომელიც ხანდახან ძალიან ღირსანდებოდა და წნევა უწევდა მათი გადაცემების ყურებისას.

— ცოტა ხნის წინ, როცა საქართველოდან საპარლამენტო დელეგაცია წყადა სტრასბურგში, თქვენც იყავით ამ ფურნალისტთა კორპუსში, რომელიც პარლამენტის გაყვანას მოგვითხრობდა და სხვებთან და კანსტის კულურებში.

— ევროსაბჭოში ხშირად დავდივარ. ის თავად იწყებს ფურნალისტებს საპარლამენტო სესიების გასაშუქებლად. ახლაც ვიყავი მინვესტილი ზამთრის სესიაზე, რომელიც ძალიან საინტერესო იყო იმ შროვი, რომ ახალი დელეგაცია ჩავიდა საქართველოდან. ნაციონალური მოძრაობიდანაც იყენენ და ახალი უმრავლესობის წევრებიც. იქ ყველა ქვეყნის დელეგაციას სამუშაოდ ერთი თვეანი აქვს გამოყოფილი. ერთ თვანში იჯდა ქართველი დელეგაცია თავისი ჩიორა-ბესელიანად, საინტერესო კოპაბიტაცია დაშვდა. პრეზიდენტი ბეიანასთან ერთად ესწრებოდა სესიას.

— ამ ერთ ითასში რა ხდება ქართველებში?

— მინდა გითხრა, რომ მშვენივრად თანამშრომლობდნენ. თინა ხიდაშელი და ჩიორა თავთაქიშვილი რაღაცას ერთად აკეთებდნენ. იქ ასე მძიმედ არ იგრძნობოდა დაბირისპირების ხარისხი და ტემპერატურა, რაც საქართველოში აქვთ. თუმცა ამას ვერ ვიტყვი ევროსაბჭოში პრეზიდენტის გამოსვლის დღეზე. მისი გამოსვლის ტონი და შინაარსი ახალ მთავრობასთან მიმართებაში ძალიან კონფორტული გახლდათ. იმ დღეს დადებულა იყო, მაგრამ პრეზიდენტი რომ წავიდეს, სამუშაო რეჟიმში გადავიდნენ და, მაგალითად, კონვლექტურ რეკონსტრუქციას დაკავშირებული რეზოლუციის რაღაც ტერმინებზე დავობდნენ, ერთად მუშაობდნენ. როცა შევედი, უცხოელ სტუმარს ყველანი ერთად რაღაცას უხსნიდნენ. მშვენიერი სათანამშრომლო გარემო იყო.

ყველაზე მძიმედ მახსოვს სტრასბურგში ვიზიტი, როცა „იმედიანი“ ცენზურის გამო წამოვედი, ეს იყო 2009 წელს. ნაციონალურმა მოძრაობამ ჩათვალა, რომ მე მათ მიმართ მტრულად განწყობილ ბანაკში მყოფი უფროსი ვიყავი, რომელიც მათი კონტროლის ქვეშ მყოფი ტელევიზიიდან პროტესტის ნიშნად წავიდა. როცა სტრასბურგში ჩავიდი, მიმა მატყვარაინის გარდა, ქართული დელეგაცია არც მომესალმა. რუსულ დელეგაციას კოსანოვი ხელმძღვანელობდა და ვხუმრობდი, კოსანოვი უფრო კარგად შეხვდა, ვიდრე პეტრე ცისკარიშვილი-მეთქი. მიმა მატყვარაინს მუდამ გამოვყოფ. ურთიერთობების კულტურა აქვს, არ ემღება. მაშინ ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოსთვის ვმუშაობდი და იმდენად არაკონტაქტურები იყვნენ ჩემთან, რომ ინფორმაციის მოპოვება მიჭირდა.

ჩვენი პრეზიდენტისთვის არსებობენ სასურველი და არასასურველი უფროსი ტიპები. ახლა ისეთ თემებზე ვმუშაობდი, რომ მისი კომენტარი არ მიჭირდებოდა. მოშორებით ვიდექი, უფროსი ტიპებთან მისი ურთიერთობის პროცესს ვაკვირდებოდი და მივხვდი, კარგია ეს წლები სტუდიაში რომ ვიჯექი და არ ვიყავი კორესპონდენტი, ამით საკუთარი ნერვული სისტემა დავზოგე. ვის მისცემს კომენტარს, ვის — არა და მერე ამაზე ნერვიულობა...

— ქართული დელეგაცია ასევე კაპაბოტაკოვრად სადალიდა?

— არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ ერთ საღამომ ნამდვილად ერთად ივასშეს. ევროსაბჭოში საქართველოს წარმომადგენლობა აწყობს ხოლმე ასეთ ვახშამს და ერთად მოუწევდათ.

— თქვენ აზრით, ეს დასბულებია, რაც მათ შორის ჩანს, სელიგურად არის შექმნილი?

— მაგალითად, თედო ჯაფარიძეს, რომელიც დელეგაციას ხელმძღვანელობდა, საზგამით უნდადა კარგი ურთიერთობა დელეგაციაში მყოფ უძირესობის წევრებთან, რომ მათ გარიყულად არ ეგრძობოთ თავი. რამდენჯერმე შევნიშნე, რომ თედო ძალიან თბილად ესაუბრებოდა ჩიორას. გუგული მალარაქ და დათო ბაქრაძეც ნორმალურად საუბრობდნენ. ჩემი დაკვირვებით მივხვდი, რომ უმცი-

რესობის წევრებს პოლიტიკური ხაზი აქვთ გასატარებელი, თორემ, მაგონი, ყველა მათგანი არ არის დაძაბულობის და კონფორტაციის მოშორე. შესაძლოა ჩემი დაკვირვებით გამოტანილი დასკვნა სუბიექტურია, მაგრამ, ჩემი აზრით, რომ არა პოლიტიკური დაკვეთა, უფრო მშვიდი თანამშრომლობის რეჟიმში გადავიდოდნენ.

— ამას წინათ „ფისიკუს“ მამუკა დლიანტმა მოქწიდა უმრავლესობას, რედაქციით „რუსთაველი“ რადიან ნაციონალური უფროსი ჩვენს კორესპონტს რედაქციას და ეს „რუსთაველი“ პრეზიდენტის მდგომარეობაში აყენებდა.

— ჩემი აზრით, არავინ უნდა ვაიჭყოლო, სხვაგან არ იაროს. იმათთვის ეს არხი ტრიბუნა და არ მესმის, როგორ უნდა აუკრძალო. ჩვენ ხომ ის არ მოგვწონდა ნაციონალური მოძრაობის, რომ გარკვეულ მედიასაშუალებებს პრივილეგიები უნდა მიეცათ. იმდროინდელში აყენებდნენ და ეს ახლაც გრძელდება. თუ ეს არ მოგვწონდა, იგივე არ უნდა გავიმეორებოთ. მათ აქვთ ასეთი ურთიერთობის წესი, რომელიც არ უნდა გავრცელდეს. მამუკასიც მესმის, რომ ჩვენი არხი არ უნდა დაზარალებულს, მაგრამ რა უნდა გავაკეთოთ? ვიპოვოთ პოლიტიკოსები, რომლებიც ჩვენს გავლენას დათანხმდებიან და ვაიჭყოლოთ, რომ არ წავიდნენ იმ არხებზე? ეს არ მესმის.

— უკეთესი შესაბამისების შესახებ უნდა დავთავაზოთ „მესტროს“?

— როცა მამუკა ლლონტს მივწერე, შენთან მოვლიდარ-მეთქი, სამი შემოთავაზება მქონდა, მე კი „მესტრო“ ავირჩიე. სამივე ფინანსურად ბევრად მომგებიანი იყო, ვიდრე აქ მუშაობა. რაც ამ არხზე ვარ, ერთი შემოთავაზება მქონდა და ისევე „მესტრო“ ავირჩიე. აქ თავს კარგად და თავისუფლად ვგრძნობ. სანამ ასე იქნება, მეც ვიქნები „მესტროში“. სანთლით საძებარია გარემო, სადაც შეგიძლია ხელმძღვანელთან თავისუფლად იკამათო ნებისმიერ თემაზე, შენი სიმაართლე დაუმტკიცო და იმან თავისი ამტკიცოს.

— გადაცემა „პრესპრესსი“, რომლის წამყვანიც ხართ, სტუმრად მოწვევლას კას ბენდუქიძეს უფროსი ტიპის შავი დღე გაყარა, პარადან დადანიდა. თქვენ კი რაღაც უსუსურად ვამბობთ, თითქოს მისმა საქციელმა შავსი ჩაგვადია. მამუკა დლიანტმა რა გითხრა იმის თაობაზე?

— მამუკა ამ ეთერის გამო ძალიან მეჩხუბა. ძალიან ვნერვულობდი და მითხრა, გადაწყვიტე, ან იწერე იულო და ან იმუშაო. ეს გადაცემა ჩემი სისუსტე იყო. კასა ბენდუქიძემ მომწერა, გააჩნია, ვინ იქნებინ უფროსი ტიპები და მერე გადავწყვეტე, მოვიდე თუ არაო. უფროსი ტიპის ნაწილი იმის მიხედვით შევარჩიე, ვისთანაც კასა ბენდუქიძეს ურთიერთობა მქონია. მე არ ვიყავი ამ კაცთან ამ გადაცემისთვის მზად და ლოსიც ვიყავი! უნდა მკონდოდა, როგორ გამეცა მისთვის პასუხები. არ მიყვარს ამის გახსენება, მაგრამ, როცა ვფიქრობ, რომ მასზე უფრო რთული რესპონდენტი საქართველოში არ არსებობს, ვმშვიდდები, ანუ ამაზე უარესი არ დამეპართება.

✓ რუსულან ადვოქ

შალვა რამიშვილი: „მესტრო არხზე“ მიწიქალი ნელვასი მქონდა, „მესტროში“ უკეთესი ნაწიქალი მქონდა“

ელეფუნალისტი შალვა რამიშვილი ტელეკომპანია „მესტროს“ დაემშვიდობა. თავის დროზე მან და ამ ტელეარხმა სააკაშვილის ხელისუფლებას შეცვლაში დაიდი როლი ითამაშა. ახლა კი შალვამ და მისმა ან უკვე ყოფილმა შეფმა, მამუკა ლლონტმა, ჩათვალეს, რომ მათი ხედვები ერთმანეთს ძალიან დაშორდა, ამიტომაც ტელეფუნალისტს „მესტროს“ არხსიკენ“ გაუწია გულმა, რომ პრემიერმინისტრ ივანიშვილის ოჯახის კუთვნილი ტელეკომპანიის შენებაში შეიტანოს წვლილი.

შურნალისტის პირად ცხოვრებაშიც სიახლეა. მას შემდეგ, რაც ცოლს, თეა აბაშაძეს გაშორდა, ხმები დადის, რომ ხატია ეკიზაშვილზე აპირებს დაქორწინებას. თავად შალვა რამიშვილი პირადზე კომენტარებს არ აკეთებს.

— შალვა, „მესტროს“ „მესტრო არხზე“ გადასვლის მიზნად დასახელეთ, რომ ამ არხზე თქვენი თავი ამოწერეთ. ეს რას ნიშნავს მეტის გაცემა ადამ „მესტროს“?

— „მესტროს“ მეტის გაცემა ალბათ არ გამოვიდოდა. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თითქმის ყველა არხმა შეიცვალა ფორმატი, მათ შორის — ამ არხიც. გაჩნდა გასართობი გადაცემები. ჩემი „დილა“ დაიხურა და რამდენიმე კვირაში ახალგაზრდების მიერ წაყვანილი „დილა“ გავა ეთერში. ჩემს გადაცემას „აკრედიტაციის გარეშე“ იგივე ბედ ენია, დაიხურა და „სუბიექტური აზრი“ დარჩა. ამ გადაცემას ორი წელი ვაკეთებდი და, სიმაართლე გითხრა, აქაც ამოწურე ჩემი თავი. ისე აღმოჩნდა, არხს სხვა პრიორიტეტები მქონდა, მე სხვანაირად მესახებოდა რაღაცეები, მათ — სხვანაირად, თუმცა ეს კონფლიქტის მიზეზი არ ყოფილა.

— რაში განსხვავდება თქვენი და არხის ხელმძღვანელობის აზრები ერთმანეთისგან?

— ეს მინდა პროფესიული საკითხები, რაზეც ლაპარაკი არ მინდა. ჩვენი განსხვავებული აზრები სატელევიზიო სპეციფიკას ეხება. პრინციპული განსხვავება არაფერი ყოფილა.

— ახლა, როცა უკვე წამოხვედათ ამ არხიდან, როგორ შეაჯამებთ „მესტროს“ მუშაობის წლებს?

— ძალიან კარგად, რადგან ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი ეტაპი იყო. ჩემთვის ეს მხოლოდ ტელევიზიაში მუშაობა არ გახლდათ, ეს იყო ბრძოლა სააკაშვილის წინააღმდეგ, რომელიც მოვიგეთ და ამიტომ ძალიან კარგად მახსოვს. იყო ბევრი ამალგებელი მომენტები, ჩვენი პროფესია საკმაოდ სახიფათოა. მახსოვს ძალიან მწვავე გადაცემები, რომლებიც ჩემს კოლეგებთან ერთად ვაკეთებ. დღეს ამ ყველაფერს უკვე ძალიან კარგად ვისხვებით.

— „მესტრო არხზე“ ბიძინა ივანიშვილის ცილის კატრინე სეკელაძის მძლიობისა, ამიტომ სასენსიონულო ტელეკომპანია მოაზრება. ეს თქვენთვის დამბრკავლებელი ფაქტორი არ ყოფილა, როცა ამ არხზე მუშაობა გადაწყვიტეთ?

— ქალბატონი ეკას ტელევიზია რომ არის, ეს არც ეთერში იგრძნობა და არც მუშაობისას. ბატონ ბიძინასთან მუშაობის გამოცდილება მაქვს, მისი ინიციატივით მოხდა მულტივიდუალის გაცემა, ამას გარდა, წინასწარჩვენოდ რამდენიმე შეხვედრა გვქონდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის ადამიანი, რომელიც თავის აზრს არავის ახვევს. ვიცი, ამ ტელევიზიაში რა სიტუაციაა, დამფუძნებლები შიდა სარედაქციო მუშაობაში არ ერევიან. → 10

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვეობა და თავისუფლება ვართ. თან ყველა ჩემი ნაცნობი, მეგობარი სწორედ ამ არსზე მუშაობს. ამიტომ იქაური გარემო ჩემთვის ძალიან ნაცნობია.

— ანაზღაურების პირობები უკეთესია, ვიდრე „მესტროზე“?

— „მესტროზე არსზე“ ძალიან მინიმალური ხელფასი მექნება, რადგან არხს მატერიალურად კარგი მდგომარეობა არ აქვს, რეკლამა არ შემოდის. ამიტომ ყველა თანამშრომელი საშუალო ხელფასზე მუშაობს. „მესტროში“ უკეთესი ანაზღაურება მქონდა.

— ახლა მის შესახებ გვახსოვს, კონკრეტულად რას გააკეთებთ ახლა სამსახურში.

— იქ გაკეთდება ორსაათიანი გადაცემა „შუადღე“. ორი თანანამუშევარი ქალი მეყოლება. გვექნება ბევრი რუბრიკა და გვეყოლება ბევრი სტუმარი. ეთერში ალბათ თებერვლის ბოლომდე გავალთ. რაკი გამოცდილი ხალხი გავუძღვებით ამ გადაცემას, გვაქვს ამბიცია, რომ უფრო საინტერესო სტუმრები მოვიყვანოთ. მთელ სატელევიზიო სივრცეში ამ ტიპის გადაცემები ერთნაირი ფორმატით გადის და არც ჩვენ ვიქნებით გამოწვევის. რამდენიმე თვეში ისევ პოლიტიკას დავუბრუნდებით. დიდ პოლიტიკურ ტოქსოზე ვმუშაობთ, რომელიც კვირაში ერთხელ გავა. სტუმრებთან ერთად ჩართული იქნება აუდიტორიაც. ასეთი დიდი გადაცემის გაკეთებას დრო სჭირდება. მანამდე კი „შუადღეში“ ვიქნებით.

— ბიძინა ივანიშვილისა და მისი ხელისუფლების მიმართ, რიგობა რქონდასტა, წყალობა დადებით მიკრძობილობას სიმ არ იქნება?

— ყველა ადამიანი მიკრძობილია და ეს ეკრძაზე ყოველთვის ჩანს. „ობიექტურობანას“ თამაში შეუძლებელია. მთავარია, შენი მიკრძობილით გამაღიზიანებელი, „გამპრავებელი“ არ იყო. როცა მთავრობის წევრი შეცდომას უშვებს, შენ რაკილა მისდამი სიმპათიები გაქვს, ცდილობ, როგორმე გამოაძვრირო, ჩემს შემთხვევაში კი ეს არ მოხდება. უამრავი ბრალდება, რომლებიც ახალი ხელისუფლების მიმართ ისმის, ყალბი და მოგონილია. არის ისეთი ბრალდებებიც, რაც

„მე კი ვიჯექი ციხეში, მაგჩამ ბეჯახი დამხენი ჯაცის სტაჟებით დადიოდა ამდენი წელი. ამიტომ მიმჩნია, ხომ ის უფრო დანაჯა, ვიძე მე“.

ეკუთვნით. მე, პირადად, არანაირი კომპლექსი არ მაქვს, ვაკრიტიკო ხელისუფლებას მაშინ, როცა ამას არ იმსახურებს, იმის შიშით, რომ მერე ვინმე არ იფიქროს, მიკრძობილიაო. ეს კომპლექსი გამოუმუშავდა ზოგიერთ ურჩხლისსტ. ვრჩები ამ ხელისუფლების და ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერად. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ ისინი შეცდომას დაუშვებენ, გავჩუმდებით. თუმცა კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ პირველად გილას პრობლემებს არ დავინახავ და სენსაციისთვის მათ კრიტიკას არ დავინებ.

— არჩევნების შედეგ რას ატყობთ, ქართულ მედაში რა ცვლილებება?

— ცვლილებები როგორ არ არის! ტელეკომპანია „იმედი“ შეიცვალა. „რუსთავი 2“-მა ბაზრის მოთხოვნებს უპასუხა და გააკეთა

გადაცემა, სადაც უკვე მეტნაკლები ბალანსია. მართალია, ისევ მიმას ტელევიზია და მის პროპაგანდას ეწვევან, ეს არხი ბუზის სპილოს გადაქცევის საუკეთესო მანქანაა, მაგრამ იმასთან შედარებით, რაც იყო, შეცვლილია. ადრინდელ ოპოზიციასაც ეპატივებიან გადაცემაში. შეიძლება ითქვას, რომ „რუსთავი 2“-ზე გარკვეული გადაცემები საყურებელი გახდა. ვფიქრობ, რომ ახლანდელი ხელისუფლება უფროალიტების საქმიანობაში არ ჩაერგვა, არ ეყოლებათ ფავორიტები და მათ რაღაც დავალებებს არ მისცემენ. ეს წინა ხელისუფლების დროს ცუდად დამთავრდა.

მედიაში ახლა ძალიან რთული მერიოდა. ტელევიზიაში სახელ-



მალკა კამიშვილი

უარყოფითი საზოგადოებრივი რეზონანსი, რომელიც მის ფიგურას ახლავს, საკამარსზე მეტი სასველია. მე კი ვიჯექი ციხეში, მაგრამ ბეჯახი დამხენი კაცის სტატუსით დადიოდა ამდენი წელი. ამიტომ მიმჩნია, რომ ის უფრო დაისაჯა, ვიდრე მე.

— გადაწყვეტილების მიღებისას ობიექტურობა გასახსოვრდა?

— გადაწყვეტილებას გააჩნია. ახლა უკვე იმ ასაკში ვარ, რომ გამოცდილება მეზმარება იმის გარკვევაში, რას რა მოჰყვება. ამიტომ ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად უფრო ნაკლები დრო მჭირდება.

— ბილის ცვლაზე ბევრი ფაქტი და აქონდა წინა რიგის დატყობილება?

— იყო არჩევანი, ნავსულიყავი „მესტროში“ ან ფილმები გადაამელო. თქვენ იცით, რომ პირველი ქართული სამი დე მულტფილმი „სახალწლო ზაპარი“ გავაკეთე. იყო წინადადება, რომ პოლიტიკისთვის თავი დამენებებინა და ფილმები მეკეთებინა, მაგრამ ვიცოდი, რომ წინა ხელისუფლება არ მომეშვებოდა და ფრთების გამოსის საშუალებას არ მომცემდა. ამ მულტფილმის საინფორმაციო მხარდამჭერი „იმედი“ იყო. რეპორტაჟი გავაკეთეს, სადაც გამოიყვანეს მხატვარი, პროდიუსერი და არ აჩვენეს სცენარის ავტორი და რეჟისორი, ანუ მე. საერთოდ კადრში არ მომახვედრეს და არც კი მახსენეს. შესაბამისად, ნათელი იყო, რომ დაღდასამული ადამიანი ვიყავი. მე კი არ მიყვარს, როდესაც მდევნიან და არასამართლიანად

„მედიაში ახლა ძალიან რთული მერიოდა. ტელევიზიაში სახელმწიფო შეკეთები ალხ ახის. ახლა აქამდე სწოხე ამით ცხოვრობდნენ. ახლა ის სიკუცაცია, ხოდეხაც ლიხეული გადაცემები იაფად და ჯახგად უნდა აკეთო“.

მნიფო შეკვეთები აღარ არის. არადა აქამდე სწორედ ამით ცხოვრობდნენ. მათი ბიუჯეტი მცირდება, ზოგი გაკოტრდება კიდევ და ტელეკომპანიების რიცხვი ალბათ შემცირდება. ახლა ის სიტუაციაა, როდესაც ლირებული გადაცემები იაფად და კარგად უნდა აკეთო.

— ცვლილებებს და გარდატეხებს ადეილად ეკუთვნის?

— ჩემს ცხოვრებაში ძალიან ბევრი ცვლილება მომხდარა და ყოველთვის მზად ვარ ამისთვის. ახლა ვარ იმ ეტაჟზე, როდესაც იწყება ახალი არხის გაკეთება, „მესტრო არხს“ რეიტინგი აქვს მოსახევეტი. სხვა დროსაც მიმიღია მონაწილეობა არხის შექმნაში. თავად გამიკეთებია ტელევიზია და რადიო, ამიტომ ვიცი, რა როგორ უნდა იყოს. გუნდიც ისეთია, ვისთან ერთადაც შევძლებთ რეიტინგის გაზრდას. ინსტრუმენტები გვაქვს, ცემენტიც მოზელილია და სახლი უნდა ავაშენოთ.

— ქრთამის აღების ბრალდებით სააკაშვილის ხელისუფლებამ ციხეში ჩაგვსია. ახლა თქვენს საქმის ხელახალი განიხილება დაიწყო. რა მთლიანადი ვაქვით?

— ძალიან მარტივი და სრულიად გასაგები მოლოდინი მაქვს. ჩემთან გადაცემაში გამოვიდა დაზარალებული (პარლამენტის ყოფილი დეპუტატი კობა ბეჯახი. ავტ.), რომელმაც თქვა, რომ ჩემ წინააღმდეგ საქმე იყო შეთითხნილი, მას ძალდატანებით და მუქარით ცრუდასმენა განახორციელებინეს. ახლა ველოდები, პროკურატურამ უნდა დაწეროს დასკვნა, რომ მე არ ჩამიდენია დანაშაული და ოფიციალურად გამამართლონ. ის პირები უნდა დაისაჯონ, რომლებმაც ბეჯახზე მოახდინეს ზენოლა.

— ამ აღიარების შედეგ ბეჯახის პატიება შეიძლება?

— რა თქმა უნდა. სხვათა შორის, ადრეც ყოველთვის ვაცხადებდი, რომ ბეჯახი იყო მსხვერპლი და არა — მთავარი დამნაშავე.

ნად მაეინროებენ, ამიტომ ავირჩიე ბრძოლის გზა და ნავედი „მესტროზე“. პრაქტიკულად ორი წელი ვიოქეთ და გავიმარჯვეთ. მაშინ იმაზე იყო ლაპარაკი, რომ შეიძლებოდა „მესტროს“ საქმე ცუდად წაასულიყო, ამიტომ საკმაოდ ბევრი ვიფიქრე, რა მექნა. ბოლოს მაინც მივიღე გადაწყვეტილება და ამ ტელეკომპანიაში ნავედი.

— ძალიან აქტუური ადამიანი ხართ. საქმის არახილად იდეუი?

— მართლაც ყველაფერში საქმეს ვოქულობ. მირჩევნია, ინტერნეტში ფილმებს ვუყურო, ვიდრე სადმე გავერთო, მაგრამ ხანდახან ესეც მიწევს. ამიტომ გეტყვით, რომ საქმის მიღმა გართობისთვის ნამდვილად მრჩება დრო.

— შეილბისთვის რა დროი ვაქმე გამოიყვინდა?

— სამწუხაროდ, მათ ბევრ დროს ვერ ვუთმოზ. ძირითადად კინოში ან საყიდლებზე დავვიდვართ ერთად, ეს კი ძალიან იშვიათად ხდება.

— რიგობა ფიქრობთ, საქმე იმედ დარს, რომ შეილბეს ყრუადდება მიაჯლით?

— ალბათ არც ღირს, მაგრამ ასე აენყო ჩემი ცხოვრება. მე ასეთი ვარ და მორჩა!

— კარიერისტი ყოფილხართ?

— კარიერისტი ვიყავი, ახლა შედარებით მშვიდად ვარ. ჩემი კარიერა რაღაცნაირად შედგა.

— ხანამ ინტერვიუს ჩაქურას დაქვეყნდით, გამაფრთხილეთ. პირად თქვენზე არაფერი მკითხით. პირადაც საუბარი რატიმ აკრძალეთ?

— არ მიყვარს, როდესაც ჩემს პირად ცხოვრებაზე ვიძლევი ინტერვიუებს. სხვათა შორის, ამაზე ხმამაღალი საუბარი არასოდეს მიყვარდა და ეს იმის გამო არ მოხდა, რომ ცოლს გავშორდი. ✓ ქეთი დინოზილი

თბილისის ზოოპარკში 22 წლის ახალგაზრდა ვეფხვეა დაგლიჯა

მცალები ცხოველების გაღებში ცნობისმოყვარეები „გასახიობად“ მიძვებიან

თბილისის ზოოპარკში დაუფერებელი ამბები ხდება. ადამიანები მტაცებელი ცხოველების ვოლიერებთან აკრძალულ მანძილზე მიდიან და თავს საფრთხეში იგდებენ. 29 იანვარს, დილის 8 საათზე, უბედური შემთხვევა მოხდა. 22 წლის გუგა ჩავლიეშვილი მეგობრებთან ერთად ქუჩიდან შეიპარა ზოოპარკის ტერიტორიაზე. ვეფხვების გალიასთან ძალიან ახლოს მივიდა და ამ სითამამეს ემსხვერპლა კიდეც — მას ცხოველი დაესხა თავს. საბედნიეროდ, გადარჩა. საავადმყოფოში გადაიყვანეს და ამჟამად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. ბიჭი თბილისელი არ არის, ის ზოოპარკის რაიონის სოფელ ბოხვაურიდან ჩამოვიდა დედაქალაქში.

ამ ინციდენტთან დაკავშირებით თბილისის ზოოლოგიურმა პარკმა განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია:

„29 იანვარს, არასამუშაო საათებში, დაახლოებით დილის 8 საათზე, ნასავამი ახალგაზრდა კაცი ორ მეგობართან ერთად გაურკვეველი მიზნით შეიპარა ზოოპარკის ტერიტორიაზე სამანქანო გზის მხრიდან. როგორც ზოოპარკის ადმინისტრაციამ აღსადაგებინა, მათ გადალახეს ვეფხვის ვოლიერამდე მისაღწევი ბარიერები, დაარღვიეს უსაფრთხოების ელექტროლი ნორმები და დასაშვებზე ახლოს მოახერხეს ცხოველებთან მიახლოება. სამწუხაროდ, ვეფხვებმა შეძლეს (გისოსებმილმა) ერთ-ერთისთვის დაზიანების მიყენება მუხლის არეში. ჩვენ სისტემატურად ვუკავშირდებით დაშავებული მამაკაცის ახლობლებს, რათა გაეზარდოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ბოლო მონაცემებით, მისი მდგომარეობა სტაბილურია. გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაშავებულმა მოახერხა ვეფხვებთან უშუალოდ ვოლიერში გადაჯიქვა, სიმართლეს არ შეესაბამება.“

უფრო დანერვილებით ამ შემთხვევის შესახებ „სარკე“ ზოოპარკის დირექტორ ზურაბ გურიელიძეს ესაუბრა.

— ბატონო ზურაბ, როგორ გავყო ამ ამბის შესახებ?

— 29 იანვარს, დილის 8 საათზე, თანამშრომელმა დამირეკა და მითხრა, რომ ინციდენტი მოხდა. ზოოპარკთან ახლოს ვცხოვრობ, აქ მოსვლამდე 5 წუთი დამჭირდა, მაგრამ უკვე ყველაფერი დასრულებული იყო. ის ადამიანი საავადმყოფოში ჰყავდათ გადაყვანილი.

— რა ინფორმაცია შეტყვევო ადგილზე როგორ აღმოჩნდნენ ვეფხვთან ბიჭები?

— ეს გალია მანქანის სავალი გზის პირასაა. ქუჩიდან ვერ დამრეცი ფერდობია, შემდეგ — კედელი. იქ არც ტროტუარია და, წესით, ფეხით მოსიარულეები ამ ადგილზე არ უნდა მოხვდნენ. ვერ გეტყვით, დაზარალებული რატომ და როგორ მოხვდა გალიასთან. როგორც გავიგე, სამნი მოდიოდნენ, ნასავამები იყვნენ და ასეთ დროს ადამიანს რა მოუვა თავში, ცოტა ძნელი სათქმელია. ვერ გეტყვით, ჩაძვრა გალიასთან თუ ჩავარდა. გამორიცხული არ არის, რომ თვითონ მივიდა ვეფხვთან. სამწუხაროდ, იმის ნაცვლად, რომ ეს ამბავი სხვებისთვის ჭკუის სასწავლებელი გახდარიყო, პირიქით მოხდა — რამდენიმე დღეა ძლივს ვიგერიებთ ხალხს, გზის იმ მხრიდან მოძვრებიან.

ერთ დღეს დაცვამ 5 კაცი გააგდო, რომლებიც ისევ იმ მხრიდან ჩამოდრო-

მას ცდილობდნენ, სადაც ეს ამბავი მოხდა. ეს რა მოვლენაა, ვერ გეტყვით! ვინმეს თუ ექსტრემის მიღება უნდა, ჯობია, სხვა გზას მიმართოს. ვეფხვთან გალიაში მოხვედრის შემთხვევაში გადარჩენის არანაირი შანსი არ ექნებათ. მესმის, რომ თეთრი ვეფხვი ძალიან ლამაზი, მიმზიდველი ცხოველია, მაგრამ ვეფხვი!

— მოსაგის შექმნევა სხვა დროსაც მოხდარა?
— იყო შემთხვევა, როცა მშობლები ძალიან გაერთნენ ლაპარაკით, ბავშვი ღობეზე გადაძვრა და სპილოსთან აღმოჩნდა. საბედნიეროდ, დაცვა იქვე იყო და პატარა გამოიყვანა. მნიშვნელოვან არ აქვს, ცხოველის თავდასხმის მიზეზი აგრესია იქნება თუ თამაში, მთავარია, ამის პროვოცირება არ მოვახდინოთ. მიძვრებიან მაიმუნებთან, მგლებთან... არ ვიცი, რატომ თვლიან, რომ ეს საინტერესოა. ასევე ცოტა ხნის წინ იყო შემთხვევა, როცა თეთრი ვეფხვებთან მიძვრებოდა ვიღაც. საბედნიეროდ, მსუბუქად დაშავდა. საავადმყოფოში წაიყვანეს და უმკურნალეს. გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ მოვიდა და კვლავ ვეფხვებთან სცადა მიახლოება. სამწუხაროდ, შემდეგ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წაიყვანეს, რადგან ცოტა სხვა პრობლემაც ჰქონდა.

— წლებს წინ იყო შემთხვევა როცა პატარა გოგონას მუცელს უჭნის.
— დედამ ბავშვი მგლის გალიასთან დააყენა, პატარამ ხელი შეყო შიგ და მგელმა უჭნისა. დედა მერე პრეტენზიებით მოვიდა, თან ამ ამბავს ისე ყვებოდა, თითქოს ცხოველის ბრალი იყო. სხვათა შორის, ამას წინათ ერთმა შეკითხვა დამისვა (არ მინდა, მისი ვინაობა დავასახელო), ნამდვილად ადამიანი მივიდა თუ არა გალიასთანო. ბუნებრივია, ვეფხვი ვერ მიუახლოვდებოდა კაცს თავისი ვოლიერით.

— როგორც ვიცი მუცლიან დაკავშირებული ინციდენტის შემდეგ ვოლიერის დაცვა რეისის ვისისზე გააძლიერდა.
— კი, ნამდვილად ასეა. ახლა ვფიქრობ, რომ, მაგნი, უნდა გავასამშავოთ...

— ლობის ერთი ნაწილი გავლებულია. ახლა დამატებით მუშაობს ლობის გაკეთებას ვაპირებთ. მაგრამ ამასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული საკანონმდებლო პროცედურები, რომელთა გავლა დროს ითხოვს. ამიტომ გადაწყვეტით, ყველა კუთხეში კამერით დავაყენოთ,

რომლებიც ძალიან ძვირი გვიჯდება, მაგრამ სხვა გზა არ დავიჭოვს. ყველა ვოლიერთან თითო დაცვას ვერ დავაყენებთ, ეს წარმოუდგენელია. დაცვის სამსახური დღე-ღამის განმავლობაში მორიგეობს, მთელ ტერიტორიას ამოწმებენ. ერთი ვოლიერთან მეორემდე მისვლას კი რამდენიმე წუთი სჭირდება და ეს დრო სრულიად საკმარისია ინციდენტის მოსახდენად.

— დაცვა რომ არ ყოფილიყო, ის ბიჭი გადარჩებოდა?
— ის ბიჭი ორ მეგობართან ერთად იყო და შეიძლება ისინიც მიეხმარნენ, მაგრამ დაცვა რომ არ ყოფილიყო, გაცილებით უარესი რამ მოხდებოდა. მას იმანაც უშველა, რომ ვოლიერზე რეკინის გისოსები ახლო-ახლოა ჩასმული. გალიის გისოსებს შორის მანძილი რამდენიმე სანტიმეტრით მეტი რომ ყოფილიყო, ვეფხვი თათით მის შეთრევას მოახერხებდა.

— რედაქციას ვაქვს ფიტილება, სადაც ვეფხვებს ვეფხვებთ. თქვენ არ გჯერათ?
— მათ მართლაც ყოველდღე ვეფხვები. ეს აბსოლუტურად არააგრესიული ცხოველია, როგორც ყველა კატას (ვეფხვიც დიდი კატაა), თამაში მასაც უყვარს. იმ ბიჭსაც თამაშებოდა, მაგრამ ვეფხვთან თამაში ადამიანისთვის ძალიან ხშირად ტრავმატულია მთავრდება და ცხოველი ამასი დამნაშავე ნამდვილად არ არის. როცა მე ვეფხვები ცხოველს, ამ დროს ინფორმაციას ვიღებ მისი მდგომარეობის შესახებ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა უნდა მოეფეროს საშვი ცხოველებს. როგორც თვითფრინავის მგზავრებს არ მოუვათ თავში აზრად, პილოტის მაგივრად თვითფრინავი მართონ, იგივე დამოკიდებულება უნდა იყოს ამ შემთხვევაშიც. ცხოველებთან ურთიერთობა ჩვენი პროფესიაა.

„სარკე“ დაცვის იმ თანამშრომელსაც ესაუბრა, რომელიც საავალი შემთხვევას შეესწრო. აი, რა გვიამბო თემო წკრილაშვილმა, დაცვის შედამხედველობის სამსახურის უფროსმა:

— დილით ადრე ავდექი, ეკლესიაში მივდიოდი. მანამდე ზოოპარკში შემოვიარე. უცებ ყვირილის ხმა მომესმა. სამი ძალიან მთვრალი ახალგაზრდა დავინახე. გზის სავალ ნაწილს მიუყვებოდნენ და ხმაურობდნენ. თვალს მალე მიეფარნენ. ვიფიქრე, რომ წავედნენ. სულ რაღაც რამდენიმე წუთში კი უკვე ის შემთხვევაც მოხდა. სასწრაფო და პოლიცია მალე მოვიდა, რომელიც, სავარაუდოდ, მისმა მეგობრებმა გამოიძახეს.

დაზარალებულმა გუგა ჩავლიეშვილმა ჩვენთან საუბარი არ ისურვა. მისი მდგომარეობის შესახებ დედამ მოგვანოდა ინფორმაცია, რომელმაც ვითხრა, რომ ბიჭი მუხლქვეშით არის დაგლეჯილ-დაჭენილი და საავადმყოფოში წეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

✓ მანანა ნიფია



■ ზურაბ გურიელია თბილისის ზოოპარკის დირექტორი



„ყოფილ დედათილს მე ვპატირონო“

სიკეთე არ იკარგება. მაშინვე თუ არა, წლებს მერე მაინც დაგიფასდება. დედა ადრე გარდამეცვალა. მაშინ 18 წლის ვიყავი. იმ პერიოდში შეყვარებული მყავდა. ის მართლა დამეხმარა, რომ ეს ტკივილი გადამეტანა. ერთ დღეს კი მითხრა, ჩემი ცოლი უნდა გახდეო. 19 წლისა შევედი მათ ოჯახში. საოცრად ტრავმირებული ვიყავი. მხოლოდ დედაზე ვფიქრობდი. დედამთილმა ნამდვილი მშობლის სითბო მაგრძნობინა. პირველივე დღეს რომ ჩამიკრა გულში, მერე მკერდიდან აღარ მოუშორებოდა. ახლა რომ ვფიქრობ, პატარა გოგოს უამრავი რამ მემშლე-

ბოდა, მაგრამ მისგან ერთი საყვედურიც კი არ მასხვავს. თურმე რამდენ რამეს მითმენდა, რამდენ რამეს მპატიობდა.

შვილი რომ გამიჩნდა, სამშობიაროში ათენებდა და ალაშქვებდა. რაც დედას უნდა გაეკეთებინა, ყველაფერს თვითონ ასრულებდა. სახლში რომ გამოგვწერეს, ბავშვს მარტო უვლიდა, ღამეებს ის უთენებდა. ერთხელ ყური მოვკარი, მზლის ცოლს ეუბნებოდა, კარგად დამაკვირდი, თუ რამეს ისე ვერ ვაკეთებ, როგორც ამას დედა გაუკეთებდა, მითხარი, მეშინია, ობოლ გოგოს რამეს არ ვაკლებდეო. გული ამიჩუყდა. მივედი, ჩავეხუტე და გულამოსკვნით ვტირე.

ჩვენი ოჯახი არ შედგა, მაგრამ ამაში არავის ვადანაშაულებ. მე და ჩემი ქმარი ალბათ არ ვიყავით მზად, ასეთი პასუხისმგებლობის ასაღებად. 33 წლის ვიყავი, როცა ქმრისგან წამოვედი. თვითონ მითხრა, წადიო, თორემ შეიძლება, დედამთილ-მამამთილის ხათრით კიდევ გაძელო. ჩემი ქმრის ცხოვრებაში სხვა ქალი გაჩნდა, რომელიც შეუყვარდა. მაშინ მისი არ მესმოდა, ვფიქრობდი, რომ ჯადოებით მინგრევდნენ ოჯახს. ახლა კი ვხვდები, რომ უბრალოდ სხვა შეუყვარდა და მის გარეშე არ შეეძლო.

დედამთილი დიდხანს იბრძოდა, რომ ჩვენი ოჯახი გადაერჩინა. იმ ქალსაც კი მიეჭრა, დამეჭრა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბოლოს შვილს უთხრა, შენ გაგიშვებ და რძალს დავიტოვებო, მაგრამ შვილს მართლა ხომ არ შეაქცევდა ზურგს.

3 წლის შემდეგ მეც მენჯის სიყვარული, გავთხოვდი და დღეს უბედნიერესი ქალი ვარ. ქმარი ჩემზე 15 წლით უფროსია. ჩემი მეგობარიც არის და შეყვარებულიც. შვილებიც გვეყოლა.

ჩემს დედამთილთან მუდმივად მქონდა ურთიერთობა, ბოლოს და ბოლოს მისი გაზრდილი შვილიშვილი გვეერთიანებდა. 6 თვის წინ მას მიიმე დიანგნოზი დაუსვეს, ფაქტობრივად ლოგინს მიეჯაჭვა. მე ვუვლი, რადგან რძალთან კარგი ურთიერთობა არ აქვს. ჩემს ყოფილ ქმარს მატერიალურად არ უღბინს და ამიტომ დედას სათანადოდ ვერ ეხმარება. ის და მისი ცოლი ცალკე ცხოვრობენ.

საბედნიეროდ, ისეთი ქმარი მყავს, ყველაფერში მიგებს. ამას წინათ შუალამისას დამირეკეს მეზობლებმა, შენი ყოფილი დედამთილი ცუდად არისო. ჩემი ქმარი მაშინვე წამოხტა ფეხზე და მასთან წამიყვანა. ღმერთის მადლობელი ვარ, რომ ცხოვრებაში ამდენ კეთილ ადამიანს შემახვედრა.

მომვლელიც დაუჭირავე და მეც ყოველდღე მივდივარ. არაფერი მეზარება, ყველაფერს ვუკეთებ. ხელებს მიკონცის, ათას მადლობას მიხდის. მე კი მის გაკეთებულ სიკეთეს ვახსენებ, ვეუბნები, რომ მის ამაგს ვერ გადავიხდი და მართლაც ასეა. მას რომ რაიმე მოუვიდეს, ალბათ იგივე განცდა მექნება, რაც დედის გარდაცვალებისას მქონდა. ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთო, რომ ფეხზე დადგეს.

ამ წერილს რომ ვწერდი, ერთი მიზანი მქონდა: ოჯახის ახალ წევრს, რძალი იქნება თუ სიძე, მოეფერეთ, გაუფრთხილდით და იფიქრეთ იმაზე, რომ შეიძლება ერთ დღეს სიკეთე ასმაგად დაგიბრუნდეთ. ახალგაზრდებს შეიძლება ბევრი რამ შეეშალოთ, მაგრამ უფროსებმა ვაპატიოთ.

„სარკის“ პერიოული მკითხველი

გამომხატეხება

„დედაჩემს, დიდი გუნაშვილს ვეძებ!“

3 ეხმაურები „სარკის“ მე-4 ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას — „დედამ მითხრა, სამშობიაროში 100 მანეთად გიყიდევო“. მეც თქვენაირ მდგომარეობაში ვარ, ამიტომ კარგად ვიცი, რასაც განიცდით. 20 წლის ვიყავი, როცა გავიგე, რომ ნაშვილები ვიყავი. მეც თქვენსავით მექცევინან, სიმართლეს ყველა მიმაღავს. „სარკეშიც“ გამოვაქვეყნე წერილი, რომ ბიოლოგიურ მშობლებს ვეძებდი, მაგრამ არავინ გამომეხმაურა.

1992 წლის 1 ივნისს დავიბადე რუსთავის სამშობიაროში. დედაჩემი ლალი გიუნაშვილია. ვიცი, რომ დედის მხრიდან მყავს ხუთი და-ძმა, რომლებიც გორში ცხოვრობენ. ძალიან მინდა, მათი გაცნობა, მაგრამ ვერ ვპოულობ. იქნებ ვინმე ღვთისნიერი გამოჩნდეს, ვინც მეც დამეხმარება მშობლების პოვნაში და თქვენც გამოვინებთ ღვიძლ დედას.

„სარკის“ პერიოული მკითხველი

გამომხატეხების მსარკველანი დაგვიკავშირდნენ ბალეფონებზე:

296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იმითხროთ ირინე მჭედლიძე ან ირა ბარბაქაძე. 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სანი გზით:

1. ენაზე სანიტ სana.ge-ს, ღანკაპანეთი ლილას „მომხატეხები“ და ღანკაპანეთი თქვენი ისტორიის.
2. გამოგზავნეთ სს-ით ნომერზე 1779 მატომიდან და ჯიოსელიდან.
- 1 სს-ის ფასი 50 თეთრია.
3. ელფოსტაზე: firmchedlidze@mail.ru

ანონიმურობა დასულია

„რძალი ჩემს გაკეთებულ სადილს პირს არ აკარებს“

თავს არ ვიქებ, მაგრამ ჩემი გაკეთებულ საჭმელები ყველას უყვარს, თუმცა რატომღაც რძალს და მის დედას ვერაფრით მოვანონე. ახალი პატარადალი რომ იყო, ყოველ დილას ვეკითხებოდი, რა გინდა, რა გაგიკეთო-მეთქი. ის კი არაფერს მუშენებოდა. ისეთი გოგოა, ვერ გაიგებს, რა სწყინს, რა უხარია. სულ ერთნაირი სახე აქვს, მოლუშული თუ მოწყენილი.

ახლა ჩემი ერთი ცუდი საქციელი უნდა გავამხილო. სახლში ორი ტელეფონი გვაქვს. რძალი საათობით ელაპარაკებოდა ვილაცას, თანაც თავის ოთახში გადიოდა, რომ არაფერი გაგვეგო. ერთ დღესაც გულმა ვერ მომიტინა და პარალელური ტელეფონი ავიღე ხელში. იქიდან ჩემი მძახლის კრუსუნის მომესმა, დედა მოვიკვდეს, მშვიერი მყავსარ, შენს ქმარს უთხარი, სალამოს ჩემთან გამო-გვიყვანოს, ტოლმას გიკეთებო. აქედან კი ჩემი რძალი ეუბნებოდა, დღეს რა-ღაცას თითხინდა, ფუ, იმის გაკეთებულს როგორ შეეჭამო... როგორც ქალი, საშინლად შეურაცხყოფილი დავრჩი. ოთახში შევუვარდი, ვუყვირე, ფუ ვისზე თქვი-მეთქი. შეცბა,



არ მოელოდა. ვუთხარი, სხვათა შორის, ის ბიჭი, შენ რომ აეკიდე, „ფუ ქალის“ გაჩენილი და გაზრდილია-მეთქი.

ჩვენი კონფლიქტი ასე არ დამთავრებულა. მძახალიც ჩართო. საქმე გამიჩნია, რას ჰქვია, ჩემი შვილი შენს ბიჭს აეკიდაო. დიას, აკიდებულნი ჰქვია ქალს, რომელიც ბიჭს მოსვენებას არ აძლევს, დღე და ღამე სახლში უხის, უფრო სწორად, საძინებელში და უარს არაფერზე ეუბნება. მე რომ ცუდი ვყოფილიყავი, საერთოდ არ უნდა შემომეშვა სახლში, მაგრამ, როგორც ქალმა ქალს, ვუთანაგრძნე. მათ კი სიკეთე ასე გადამიხადეს, ალბათ მეტიც მეკუთვნის.

თურმე საჭმელს ბევრ ხახვს და ნიორს ვუშვრები, ჩემი რძალი კი ამას მიჩვეული არ არის. დედამისს ვუთხარი, თუ არ მოსწონს, თვითონ გაიკეთოს, მე არ ვუშლი-მეთქი. რისი გამკეთებელია, საჭმელს რომ ჭამს, თევზს მაგინდაზე ტოვებს, ჭურჭელსაც კი არ გარეცხავს.

იმის ნაცვლად, რომ ჭკუა ისწავლონ, უარესს აკეთებენ. დედამისი მომის პარკით ხელში, შეიყვანს ოთახში და იქ თავის გაკეთებულ საჭმელს აჭმევს. ჩემი მძახალი ხალხში ლაპარაკობს, ჩემს შვილს საჭმელს არ აჭმევსო. გესვენებით, მითხარით, როგორ უნდა მოვიქცე. საშინლად არ მინდოდა, ანჩხლი დედამთილი დამრქმეოდა. დამარბეთ, გამოსავალი როგორ მოვნახო.

„სარკის“ პერიოული მკითხველი

„ძმა მე მაბრალებს, რომ უსოლოდ დავბოვი“

ჩემი ძმა 44 წლის არის. ჩემზე 9 წლით უფროსია, შვილივით გამზარდა, მართლა დიდი ამაგი აქვს, მაგრამ რაც ამას წინათ მითხრა, ვფიქრობ, რომ არ დამიმსახურებია. მე და დედა სულ ვთხოვდით, ცოლი მოეყვანა, მაგრამ ისე მოხდა, რომ დღემდე



დასაქონრინებელია. ვურიგებდით კიდეც ვილა-ცევებს, მაგრამ არავინ მოუწონა. ერთი ქალი იყო მის ცხოვრებაში, რომელსაც სერიოზულად არ აღვიქვამდით. კარგი რეპუტაციით არ სარგებლობდა და არც გვიფიქრია, რომ მის ცოლად მოყვანას გულში მაინც გაივლებდა. ახლახან კი წამოგვძახა, ვინც მიყვარდა, ცოლად არ მომაცვანინეთო. გავოცდი, არ მეგონა, ასეთი რამ თუ ეყო გულში. ჩვენთან ამის თქმა არც კი გაუბედავს. რომ ეთქვა, ალბათ წინააღმდეგობას გავუწევდით.

ქმარს გავშორდი და შვილთან ერთად მშობლების სახლში წამოვედი. ვცაადე, ოჯახი მქონოდა, მაგრამ არაფერი გამოვივიდა. ჩემი ქმარი ყოველდღე ნასვამი მოდიოდა სახლში. თუ რამ გაგვანძა, ყველაფერი გაყიდა. ბოლოს ბებიჩემის ნაჩუქარი ბეჭედი მომპარა და ისიც ლომბარდში ჩააბარა. ყველა „სიკეთესთან“ ერთად მოძალადეც იყო, არც ჩემს ცემას ერიდებოდა და არც ბავშვისას. იქ რომ დავჩინილიყავი, უნდა მოვკვდარიყავი, ამიტომ დედამ წამომიყვანა. ძმამ კი ახლახან წამომძახა, უცოლოდ შენ დამტოვე, მე როგორ დავცოწინდები, როცა შენს შვილთან ერთად აქ ცხოვრობო, არადა მისთვის მეც იმდენი რამ მაქვს გაკეთებული... ღმერთმა ნუ დააჭიროვს და მისთვის გულსაც გავივლებ.

გული ჩამწყდა. აღარ ვიცი, სად წავიდე. შეიძლება ჩემი ძმა მართალია და მე და ჩემი შვილი მისთვის ტვირთი ვართ. სამსახური მაქვს, თვეში 350 ლარად მაღაზიაში ვმუშაობ გამყიდველად, მაგრამ ეს თანხა საკმარისი არ არის ბნის დასაქირაველად და თავის შესახებაც. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ მოძალადე და ლოთ ქმარს დავუბრუნდე. ასე თავშესაფარი მაინც მექნება, მაგრამ რომ მახსენდება, იქ რა დღეში ვიყავი... ზოგჯერ სიკვდილი ყველაზე კარგი გამოსავალი მგონია, მაგრამ შვილს რა ვუყო? დედა მუუბნება, ძმის ლაპარაკს ყურადღებას ნუ მიაქცევო, მაგრამ არ შემიძლია. არ მინდა, მთელი ცხოვრება მაყვედროს, რომ ჩემ გამო ცოლ-შვილს ვერ მოვიკიდა.

თქვენი პირადად მიმოსვლი

✓ რუბრიკა მთავრდება ირინე მკვდილიძე

„ჩემი შვილის გასაჭირზე დავწერე და უსწოზი აღაშინებე დამეხმარნენ“

თურმე რამდენი კეთილი ადამიანი ყოფილა ქვეყანაზე. მართალია, როცა ამბობენ, დედამიწას სიკეთე ატრიალებსო. როცა თქვენს შურნალში გამოსაქვეყნებლად წერილს ვწერდი, არ ვფიქრობდი, რომ ვინმე გამოემხმარებდა. უბრალოდ სხვა გზა არ მქონდა, ჩემს ნუციკოს დახმარება სჭირდებოდა.

ჩემი წერილი შურნალ „სარკის“ 42-ე ნომერში დაიბეჭდა, ასეთი სათაურით: „ღამეები არ მძინავს, ჩემს შვილს რა ვუშველო“. ტკივილი ამოვთქვი, მკითხველებს ჩემს ჭკვიან გოგონაზე მოვუყევი. ვწერდი, რომ ნუციკოს სპეციალური კორსექტი და მაგიდა სჭირდებოდა.

„სარკეში“ გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ ბევრი ადამიანი გამოემხმარა. მირეკავდნენ, სიტბოს და თანაგრძნობას მიზიარებდნენ, მამხნეებდნენ. მერწმუნეთ, ეს ჩემთვის დიდი შვება, სტიმულია. მე ხომ ნუციკოს სხეული ვარ, მე უნდა ვატარო, თმა მე უნდა დავვარცხნო, მწერებიც კი მე უნდა მოვუგერიო, რადგან მას არ შეუძლია...

ახლა მინდა, იმ კეთილ ადამიანებზე გიამბოთ, ვინც ნუციკოს გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანა. პირველ რიგში, მინდა, თქვენს მაღლიან შურნალს გადავუხადო დიდი მადლობა. წერილის გამოქვეყნების შემდეგ ირლანდიაში მცხოვრები ქართველი ცოლ-ქმარი, მზია და თეიმურაზ მოსულიშვილები გამოემხმარნენ. ქალბატონმა მზიამ მიაბო, რომ შურნალ „სარკის“ ყველა ნომერს საქართველოდან ამანათით უგზავნიან. ერთ-ერთ ნომერში კი ჩემი ნუციკოს ამბავი წაიკითხეს. გამოაცა მათმა გულისხმიერებამ.

ნუციკო ხელით დამყავდა, ეტლი არ ჰქონდა. ის ეტლი, რომელიც 4 წლის ასაკში სახელმწიფომ მისცა, ბავშვისთვის არ იყო განკუთვნილი. ამან მას ჯანმრთელობის მხრივ დამატებითი პრობლემები შეუქმნა. მერე იმის მიტანაც სკოლაში დაგჭირდა და ნუციკოს ხელით დავატარებდი. ჩემი შვილი იმ ფოტოზე, რომელიც შურნალში დაიბეჭდა, სწორედ იმ დიდ ეტლში ზის. ქალბატონი მზია და ბატონი თეიმურაზი უთქმელად მიხვდნენ, რაც გჭირდებოდა, ირლანდიაში იყიდეს ბავშვისთვის განკუთვნილი ეტლი და გამოგვიგზავნეს. ნუციკო სხვა საჩუქრებითაც გაახარეს. დიდი მადლობა მათ!

ჩემს შვილს სპეციალური მაგიდა სჭირდებოდა და ეს სურვილი მზია და თეიმურაზ მოსულიშვილების მეგობარმა, ზურაბ შუბითიძემ შეუსრულა. მან ნუციკოს არაჩვეულებრივი მაგიდა დაუმზადა. უღრმესი მადლობა, ბატონო ზურაბ!

კიდეც ერთ კეთილ ადამიანზე უნდა მოგიყვეთ, რომელმაც სრულიად უანგაროდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ნუციკოს კორსექტი დაუშვადა. ეს ბატონი პაატა აბდუშელაშვილი გახლავთ. დიდი მადლობა, ბატონო პაატა!

საშურის გამგებამ ნუციკოს 200 ლარი გადაურიცხა მასაჟებისთვის. მათთვისაც მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ჩვენ მიმართ დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს — დინა გელაშვილმა, მარი კვალიაშვილმა, გარი გელაშვილმა, სალომე ქურდაძემ, ბექა მაისურაძემ, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებიც შეგვეხმარნენ. დიდი მადლობა ყველას, ვინც ნუციკო თქვენი სიკეთით გაამხნევეთ!

ელენე კასრაძე

რედაქციისგან

შურნალის მკითხველებს ჩვენი რედაქციაც მადლობას უხდის ყველა იმ სიკეთისთვის, რასაც უშურველად და უანგაროდ გასცემენ, უცნობი ადამიანებისთვის, მოყვასისთვის ირჯებიან. იქნებ სწორედ ამაშია „სარკის“ არსებობის მთავარი აზრიც, რომ ამ სიკეთის „გამტარი“ ვიყოთ. ყველას და ყველაფერს ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ რამდენიმეზე გიამბობთ.

ჩვენს შურნალში ვწერდით ახალგაზრდა დედის გასაჭირზე, რომელიც სიმსივნით იყო ავად. ძვირადღირებული პრეპარატი სჭირდებოდა, რომელიც საქართველოში ძნელად იშოვებოდა. საბერძნეთში მცხოვრებმა ემიგრანტმა ქართველმა ეს წერილი იმ კაცს წააკითხა, ვის მომვლელადაც მუშაობდა. სრულიად უცნობი ბერძენი მამაკაცი ისე შეწუხდა ორი შვილის დედის გამო, რომ თვეების განმავლობაში თავისი ხელით უგზავნიდა ქართველ ქალს წამალს.

ერთხელ რედაქციაში ინვალიდის ეტლით ახალგაზრდა კაცი მოვიდა და სოლიდური თანხით დაეხმარა გაჭირვებულს, რომელზეც ასევე ვწერდით. მან სახელი და გვარი არ გაგვიმხილა, არც მდიდარი იყო, უბრალოდ გვითხრა, ეს ფული ჩემზე მეტად მას სჭირდებოდა.

ნიკოშა შუბითიძე ვწერდით, რომელსაც ავადმყოფი დედა და ბებია ჰყავდა, მას კი წიგნების საყიდელი ფული არ ჰქონდა. ბევრი ადამიანი გამოემხმარა, მათ შორის ერთი პიროვნება დღემდე უწევს მეურვეობას...

ჩვენი მკითხველების სიკეთეზე ბევრი შეგვიძლია დავწეროთ. დიდი მადლობა უსახელო გამირებს!

დაბოლოს, წლევანდელი „სარკის“ მე-4 ნომერში გამოქვეყნდა აკაკი პირველის დედის, დალი ეკალაძის წერილი — „შვილს პირობა მივეცი, რომ ფეხზე დავაყენებდი, მაგრამ ვერაფერი ვუშველე“. ამ სტატიას პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე გამოემხმარა. ბატონი დიმიტრი პირადად დაგიკავშირდა და პირობა მოგვცა, რომ რაც შეუძლია, ყველაფრით დაეხმარება აკაკის. იმედი გვაქვს, ხელისუფლება, რომელსაც ხალხმა ნდობა გამოუცხადა, თავის სიტყვას შეასრულებს.

სოსო რობაქიძე: „ბუტას შედეგ შვილზე აღარ მიფიქრია“

როგორ ცხოვრობს კაცი, რომელსაც დედისერთა ბიჭი დაუხვრიტეს

2004 წელს, როცა გიორგი გობაძე, 23 წლის მწვერული ინჟინერობა, თბილისში, შუა ქუჩაში, დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძართან, სრულიად უღანაშუალო, ხელბანულ 19 წლის ბიჭს, ბუტა რობაქიძეს პატრულის ნასვამმა თანამშრომელმა, გიორგი ბაშალაიშვილმა ილიაში ტყვია დაახალა და იქვე მოკლა. შემდეგ მანქანაში, სადაც ბიჭი მეგობრებთან ერთად იჯდა, სამართალდამცავებმა მთელი არსენალი ჩააწყვეს, რომ ახალგაზრდები დამნაშავეებად გამოეყვანათ. ეს ვარდების რევოლუციიდან ზუსტად ერთი წლის თავზე მოხდა.



ბუტა რობაქიძე

„სანახიელი შვილი იყო. ახლა მასთან სელიხად ბუჩად უფრო ახლოს ვაი, ვიდრე ახლა. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვიხმობ მის სიახლოვეს, სულ ჩემთან ახლოს. ახე ხომ ახ ყოფილიყო, ვეი ვიბძობდები, დავიღლებდი და მალე დავანებებდი თავს“.

რობაქიძე მოკლეს, მისი მეგობრებიდან ნაწილი დააპატიმრეს, ნაწილს მსუბუქი ბრალი წაუყენეს და მალევე გაათავისუფლეს. 2012 წლის ოქტომბერში მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ ერთ-ერთი პირველი, რაც გამოიძიო, ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმე იყო. მოკლული და მისი მეგობრები უდანაშაულოდ ცნეს და ბრალი მოუხსნეს.

ბუტა თავისი მშობლების ერთადერთი შვილი იყო. მისი მამა, სოსო რობაქიძე, 51 წლისაა. როცა ვაჟი დახვრიტეს, ცოლთან უკვე გამოირებული იყო. სხვა შვილზე აღარ უფიქრია — მიცვალებულს შეჰპირდა, მე და შენ ამერიიდან მარტოები ვიქნებითო, თუმცა ამბობს, რომ მარტო არ არის, გარდაცვლილი შვილი მუდამ მის გვერდითაა და ესაუბრება კიდევ.

სოსო რობაქიძე:

— ბუტა რომ დაიბადა, მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი, 23 წლის. როცა ბავშვი იბადება, ზოგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვერ აცნობიერებს, რომ მამაა და, მით უმეტეს, იმ ასაკში. მე კი მაშინვე ვიგრძენი პასუხისმგებლობა, როგორც კი დავინახე, მაშინვე შემიყვარდა. ის (ბუტას დედა ია მეტრეველი. ავტ.) საკუთრო კვთა გაუკეთეს, მეურ პერიტონიტი დაეწყო და გარკვეული პერიოდი საავადმყოფოში იწვა. დღემდე სამჯერ მივდიოდი. მისი დაბადებიდან ბოლომდე გიჟი მამა ვიყავი. ღამით სულ ტიროდა და 3-4 საათი მაინც მეჭირა ხელში. მერე მშვიდ, დამჯერ ბიჭად ჩამოყალიბდა. სანატრელი შვილი იყო. ახლა მასთან სულიერად ბევრად უფრო ახლოს ვარ, ვიდრე ადრე. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ მის სიახლოვეს, სულ ჩემთან არის. ასე რომ არ ყოფილიყო, ვერ ვიბრძოლებდი, დავიღლებოდი და მალე დავანებებდი თავს.

9 წელი ბრძოლა ადვილი არ არის. 100-ზე მეტი ბიჭი დახვრიტეს ქუჩაში და სულ რამდენიმე გაუტოლო და იბრძოლა. როცა იბრძვი, ყველა ბრუნვაში აბრუნებს, როგორ და რისთვის მოგიკლეს შვილი. სულ ისხნები. თუ თვითონ არ გიდგას გვერდით, ვერ აიტან ამ ყველაფერს. ყველა ოთახში მისი სურათები მაქვს და სადაც გავიხედავ, იქ არის. ხანდახან ბუტას ხმაც მესმის.

— ბუტას დედასთან ოჯახი რატომ ვერ შეინარჩუნეთ?

— როცა ბუტა გარდაიცვალა, 5-6 თვის ნახუბრები ვიყავით და არა — გაცვილებულები. ქორწინებიდან 2 წლის იყვე ოფიციალურად გაფორმდით, მაგრამ ისევე შევრიგდით. ასე რამდენჯერმე დაგვემართა. ვჩხუბობდით და

რამდენიმე თვე ვმორღებოდი. 5-6 თვის დამორღებული ვიყავით, ბუტა რომ გარდაიცვალა. ყველამ იცის, როგორი მამაშვილობა გვერდა. როცა მე და დედამის კამათი გვერდა და ერთად არ ვიყავით, უჩემოდ ვერ ძლებდა. ბუტას არავის მზრუნველობა დაკლებია. ორი და მყავს და ისინიც გიჟდებოდნენ მასზე. ყველას უყვარდა. გამოჩენული შვილი და შვილიშვილი იყო. ჩემს მშობლებს 7 შვილიშვილი ჰყავდათ, მაგრამ ბუტა ყველაზე განსვავებული გახლდათ. რასაც ბუტა იტყოდა, დანარჩენები იმას აკეთებდნენ.

ბუტას დღესაც არ ვლაღობ. არც ცოლი მიმიყვანია და არც შვილზე მიფიქრია. 9 წელი გავიდა

— ის არაფერს ვაბრალებ. ძალიან კარგი გოგოა, მთელი ცხოვრება მიყვარს და მეყვარება. ჩემზე ბევრად ცუდ დღეშია, რადგან დედაა. ბუტას ასაკში მეც მოვსულვარ 4-5 საათზე სახლში. გიჟი მამა ვიყავი. ჩემს მშობლებს ან ჩემს დას სადმე რომ მიპყავდათ, ვუბნებოდი, როგორც მიგყავთ, ისეთივე ჩამაბარეთ, თორემ თავი თქვენც მოიკალით-მეთქი...

ერთადერთი სანთელი მენტო და ის ჩამიქრეს! ბუტა ეკლესიაში რომ იყო დასვენებული, მაშინ ვუთხარი ყურში, მე შენ სიკვდილის უფლებას არ მოგცემ-მეთქი. ასე თუ ისე შევქელი ამის გაკეთება. მთელმა საზოგადოებამ გაიგო, რომ ასეთი ბიჭი არსებობდა, რომელიც სულ ტყუილად დახვრიტეს და ის იყო ნაციონალების მთავრობის პირველი მსხვერპლი.

— თქვენს ცხოვრებაზე გვაძბოთ. რას საქმიანობთ, როგორ ცხოვრობდათ ბუტას მკვლელობამდე?

— ბაღდათის რაიონში დავიბადე. მე-4 კლასში ვიყავი, ჩემი ოჯახი საცხოვრებლად თბილისში რომ გადავივიდა. დედაჩემი თბილისელი იყო. მამა ღვინის ტექნოლოგი გახლდათ, საკონსერვო ქარხნის დირექტორად მუშაობდა. მეც ღვინის ტექნოლოგი ვარ სპეციალობით. ჩემი პროფესიით სხვადასხვა ქალაქში ვმუშაობდი —

თბილისში, მარნეულში, თეთრიწყაროში... ახლა აღარავის ვჭირდები, თორემ ერთ-ერთ საუკეთესო ტექნოლოგიად ვითვლებოდი. სანამ ნაციონალები იყვნენ ქვეყნის სათავეში, სამსახური და ყველაფერი, რაც მქონდა, დაგვარგე. ჩემი ბიზნესი მქონდა — რესტორნები, სუპერმარკეტები და ნაშარტვეს. ბუტას გარდაცვალების შემდეგ ყველაფერი ნაშარტვეს! რესტორანი „ორიენტი“ ჩემი იყო. ის ტერიტორია საავაშვილის დედამ იყიდა. „მეტროპოლიც“ ჩემი იყო და ის ძმებმა ბუტაშვილებმა იყიდეს. დეზერტირების ბაზარში სუპერმარკეტი გვერდა, ყველაზე დიდი მაღაზია იყო. ისე დაანგრეს, რომ ის პროდუქტი, რაც იქ იყო, არ გამოგვატანინეს. ფინური მაცოცხლები და ათასი რამ გვერდა. რესტორნებში მხოლოდ ჭურჭელი 150 ათასი დოლარის ღირებულების იყო. კონდენციონერები, მაცივრები, სკამები, მაგიდები... მაშინ არაფერს დავაყვებდი. არც გამოსაჩირებია, ყველაფერი რომ ნაშარტვეს. ერთადერთი შვილი დაგვარგე და მატერიალურ საგნებზე ლაპარაკს დავიწყებდი?!

— ახლა, როცა ყველა ცდილობს, უკანონოდ წართმეული ქონება დაბრუნოს, თქვენ რას აპირებთ?

— არ ვაპირებ, ხმა ამოვიღო, თუმცა ადვილად შემძლია ჩემი ქონების დაბრუნება. ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ახალი ხელისუფლებისგან ვითხოვ, დამნაშავეების დასჯაა. ჩემს თავს როგორმე გავიტან. ის კაცი არ ვარ, რომელიც თავის რეალიზებას ვერ ახერხებს.

რესტორნები ასე ადვილად იმიტომ დავთმე, რომ ბუტას მერე აღარც კი მივდიოდი და არ ვვითხოვლობდი, როგორ მუშაობდნენ. მეუბნებოდნენ, ამდენი დარჩა ფულიო. ვპასუხობდი, რაც გინდათ, ის უქნით, არ მაინტერესებს-მეთქი.

— მუქარები იყო?

— კი, მუქარებს მითვლიდნენ. ბუტას გამო რომ ვიბრძოდი, ტელეფონზე მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ, გაჩერდი, თორემ შენი შვილის საფლავს დაგაკლავთო. რესტორნებში, სუპერმარკეტებში წელიწადში სამჯერ მაინც შემოდინ

ამ ტრაგედიის შემდეგ, 2-3 წლის მერე ცოლი რომ მომეყვანა, შვილი კიდევ მეყოლებოდა, მაგრამ ბუტას მივეცი პირობა, მე და შენ მარტო დავრჩეთ-მეთქი.

— გახსოვთ ის უკანასკნელი დღე, როცა შვილი ცოცხალი ვყავდათ, ამ დღეს ნახეთ?

— ბუტას მკვლელობის დღეს ერთად ვისადილეო. სტუმრად მივდიოდი მცხეთაში. საღამოს, დაახლოებით 9-ის ნახევარზე, დავურეკე, მე მივდივარ და ხომ არაფერი გჭირდება-მეთქი. არა, კბილი მტკივა, სახლში ვარო, მიპასუხა. ღამის 3 საათზე დავბრუნდი სახლში. დილის 10 საათზე გავიგე, რომ ჩემი შვილი სახლში არ იყო. იმ დამირეკა, არ მოსულაო. საყვედური ვუთხარი, გუშინ საღამოს რატომ არ დამირეკე-მეთქი. გაფრთხილებული მყავდა, 12 საათის მერე თუ სახლში არ იქნება, გამაგებინე-მეთქი. მიპასუხა, ჩაგვეძინაო...

მატყუებდნენ, დაჭრილიაო. მთელი თბილისის საავადმყოფოები შემოვიარე, ბავშვს ვეძებდი. ბოლოს მივხვდი, რაშიც იყო საქმე. სახლში გამოვიპარე. თავის მოკვლა მინდოდა, მაგრამ ყველაფერი აელაგებინათ. დანა და ჩანგალი ვერ ვიპოვე. იარაღიც მქონდა სახლში და, პირველ რიგში, ის მოვებნე, მაგრამ ადგილზე აღარ იდო. ვფიქრობდი, დანით თავის მოკვლას თოფით სიკვდილი ჯობია-მეთქი. ნაშლევიც აღარ იყო სახლში, რომ დამეჭრა. ბოლოს გადავწყვიტე, მინა ჩამეტება და ვენები გადავჭრა. ამ დროს ჩემმა სიძემ დამიჭირა. გიჟივით ვიყავი. არც პანაშვილები მასხლავ, არც დასაფლავება. სიზმარით დამყვება ის დღეები... ახლაც ხშირად გამოვდივარ წყობიდან. ვერ ვუხსნი ადამიანებს, რატომ ვიქცევი ასე ან ისე. ხომ ვერ ვუტყვი, ამას ვერ მიხვდები, თუ ჩემს დღეში არ ჩავარდნი-მეთქი. ღმერთმა ყველა დაიფაროს!

— ყოფილი მუკდლის მამართ წყნა გაქვთ?



სოსო რობაქიძე

ალექსიკვილის კლინიკა

ბუასილი მარტივად იკურნება

დათო ვაშალომიძე (35 წლის, კერძო ბიზნესი):

— ისე გამამხარა ამ ავადმყოფობამ, ბათუმიდან აქ ჩამოვედი. მქონდა საშინელი ტკივილები, სისხლდენა, დიდი ზომის კვანძები, შეკრულობა. პირველივე კურსზე მომიწესრიგდა ეს ყველაფერი, დამჩნა მხოლოდ შემცირებული ზომის კვანძები, რისთვისაც მეორე კურსის მალამოები მიმაქვს. მომიწესრიგდა კუჭ-ნაწლავის პრობლემები და ეს ყველაფერი ნატურალური, მცენარეული საშუალებების წყალობით მოხდა.

თინათინ ალექსიკვილი (32 წლის, დიასახლისი, თბილისი):

— მოვედი ნაპრალის დიაგნოზით. მქონდა წვა, ტკივილი, ქავილი, ზოგჯერ სისხლდენაც. ყოველი დევეკაციის შემდეგ ტკივილი 6-7 საათს გრძელდებოდა. მქონდა დისბაქტერიოზიც (შეკრულობა). ძალიან კმაყოფილი ვარ მკურნალობის. პირველი კურსის პირველივე დღეებში მომეხსნა ტკივილები, მერე გაქრა ქავილი და საათივით ამეწყო კუჭ-ნაწლავის მუშაობა. არ ვიცი, რა ვთქვა მადლობის მეტი. მკურნალობას ბოლომდე მივიყვან და მანანა ექიმს არ დავკარგავ.

ნინო ლომიძე, (27 წლის, თბილისი):

— სამი კვირის წინ ვიშობიარე, რთული მშობიარობა მქონდა, ნაყოფი დიდი იყო — 3,5 კგ. მშობიარობის ტკივილები მონაგონია იმ ტკივილებთან, რაც მერე გადავიტანე. ტკივილისგან გული მინუსდებოდა. არც ერთი გამაყუჩებელი არ მშველდა. აქამდე



დე ძლივს მოვალნიე. ქირურგმა გამხინჯა. უზარმაზარი კვანძები მქონდა, საშინელი ტკივილები... ნავილე მალამოები, დანიშნულება და იმავე დღეს მომცა შეღავათი. ტკივილის სრულად მოხსნას კი 4-5 დღე დასჭირდა. დღეს მეორე კურსის ნამლები მიმაქვს. ბევრად უკეთ ვარ, თავისუფლად ვვადები. მქონდა ძლიერი შეკრულობა და ისიც მომეხსნა. დაუფერებლად კარგი ეფექტი მივიღე. უსწრაფესი. ახლა მშვიდად ვარ.

მისამართი: მეტრო „ნაბალაღვეთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18, №19. მიღება 11-დან 15 საათამდე, წინასწარი ჩანერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.

ოდნენ და ათასობით დოლარით გვაჯარიმებდნენ. არამარტო მემუქრებოდნენ, ასრულებდნენ კიდევ. კვლევის ქუჩაზე სამი კაცი დამხვდა და დაუნდობლად მცემეს. კბილები ჩამიტვირთეს, მთელი სხეული დასიებული მქონდა, თვეების განმავლობაში ზონდით მასმებდნენ და მასქმევდნენ. მერე სადარბაზოში ორი ადამიანი დამხვდა. ერთმა იარაღი მომადო თავზე. მეზობელმა გადაამარჩინა, რომელმაც შემთხვევით გაალო კარი და თავდასხმელები გაიქცნენ. ვიცი — პოლიციელი იყო. მივედი განყოფილებაში და იქ მითხრეს, ეს ადამიანი სამი თვის წინ გავათავისუფლებდი. არადა ის ბიჭი ამის მერე, დოლიძეზე რომ პოლიციის განყოფილება, იქ დანიშნეს რომელიღაც ქვეგანყოფილების უფროსად.

ლუკა კურტიანიძემ სცვლა ვიღაცო და არიან ერთ ამბავში. ეს, რა თქმა უნდა, კარგი არ არის, მაგრამ დეპუტატი რომ ჰყავთ, ბობოხიძე, იმან ტელევიზიაში მთელი ხალხის დასახსნად სცვლა უფროსისტი და რატომ არ დასაჯეს?! ამ უსინდისოებს თავიანთი გაკეთებული ავიწყლებათ.

— ამ წლების განმავლობაში შურისძიების გონიბა გტანჯავდათ?

— დაიჯერებთ, რომ კაცს, რომელსაც ერთადერთ შვილს მოუკლავენ, შურისძიების შერამნება არ ჰქონდეს?! სურვილი მაქვს, რომ ეს ხალხი კანონიერად დაისაჯოს, მაგრამ პროცესები ისე მიდის... სანამ კულანოვილი და სააკაშვილი იქნებიან, სამართლებრივად აღდგენა შეუძლებელია. თუ ბუტას მკვლელები არ დაისჯებიან ისე, როგორც მე ვთვლი საჭიროდ, მხოლოდ მათი კი არა, მთელი ოჯახების აოსრებაზეც ვიფიქრებ. სხვა გზა აღარ დამჩნება. იცით, რა საშინელებაა, როცა ცამდე მართალი ხარ და სამართალს ვერ პოულობ?! სულში გაფურთხებენ, გაუბატიურებულვით დადინარა! ბევრი რამ მაკავებდა, რომ მკვლელობა არ ჩამედიხა. თან სულ იმედი მქონდა. 2007 წელს მქონდა იმედი, რომ რამე შეიცვლებოდა, მერე — 2009 წელს. ივანიშვილი რომ გამოჩნდა, მივხვდი, რომ ამითი დღეები დათვლილი იყო.

— გარკვეული პერიოდი პოლიტიკაშიც გამოჩნდით, ბაღდათში მაკონტრადა იყრდიოთ კექსს.

— კი, მაგრამ არც ერთი პარტიის წევრი ვყოფილვარ. პარლამენტის დეპუტატობა საერთოდ არ მინდოდა. არც არაფერი გამიკეთებია, რომ გამემარჯვა. იცით, ეს ნაბიჯი რატომ გადავიდგი? ირინა ენუქიძემ (მოკლული სანდრო გირგვლიანის დედა. ავტ.) მთხოვა. თვითონაც უნდოდა, კექსი ეყარა და მეც იგივე მთხოვა. მერე თვითონ ავიდა და.

არც მინდოდა და არც მინდა პარლამენტის

დეპუტატობა. რალაც-რალაც ბიზნესი ისევ უნდა დავინყო, ბუტას სახელობის საქველმოქმედო ფონდი შევქმნა და დაავადებულ ბავშვებს დავეხმარო. ერთი ბავშვი მანც თუ გადავარჩინე, ღვთის მადლობელი ვიქნები.

ყველა ხომ ხედავს, როგორ სუფთად ვიბრძოდით. არავისთვის არაფერი მოგვითხოვია. მინასთან გასწორებული ვართ და ჩვენსაირად დაზარალებულ ადამიანებს ნორმალურ ქვეყანაში მილიონებს უხდებიან კომპენსაციის სახით. ფსიქოლოგებს უნიშნავენ და ათას რამეს უკეთებენ. ამით ჩვენ მხოლოდ შვილები კი არ მოგვიკვლეს, ერთი ადამიანის სიკვდილი მხოლოდ

„ბუტა ეკენიაში ხმ იყო დახვენებული, მაშინ ვეთხაიი ყყიში, მე შენ სიყვილის უღებას ახ მოგცემ-მეთქი. ასე თუ ისე შევძელი ამის გაკეთება. მთევმა საზოგადოებამ გაიგო, ხმ ასეთი ბიჭი ახლებოდა, ხომელიც სუც ტყუილად დახვიტეს“.

მის სიკვდილს არ ნიშნავს. გირგვლიანების ოჯახის ხუთი წევრი ჩანავინეს მინაში. ექვსი სტენტი უდევს დედაჩემს გულში, მე კი ნიტროგლიცერინით დავდივარ. ორი სტენტი მე ჩამიდევს. ამით სამოთხიდან ჯოჯოხეთში გადამიყვანეს. მეგობართან ვერ მივდივარ. წამით შეიძლება გადაგავინყდეს და ცოტა ხანში ისევ გახსენდება, რა უბედურება გჭირს.

— როცა საყვარელ ადამიანს კარგავთ, მერე გვახსენდება, რომ თითქოს რაღაცას ვამწყვდით, თითქოს რაღაც სწავნარი იყო... ბუტა ბილი დღეებში როგორი გახსოვდა?

— ბოლოს რალაცნარი, არაამქვეყნიური თვალები გაუსხდა. ჩემი და სულ ამბობს, ბოლოს უცნაური თვალები ჰქონდაო. ჩვენს რესტორანში შესულა გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე და მუსიკოსისთვის უთქვამს, „ჩვენ რას ნავილებთ იმქვეყნად, სხვას არა ნაუღია რა“ მიმღერეთო. ვუთხარი, ბიჭო, ახალგაზრდა ხარ, მეგობარი და ახლოებული შენ არ გყავს წასული და ეს სიმღერა რამ მოგაფიქრა-მეთქი. რა ვიცი, რალაც სევდა მანვეს გულზეო, მიპასუხა... ბუტას გეფიცებით, ბოლოს, როცა ერთმანეთს ვნახულობდით და ვშორდებოდით, სანამ თვალს მიეფარებოდა, მანამდე ვუყურებდი და ისიც ასე იყო.

ხანდახან ვფიქრობ, ბუტას მკვლელები იმდენად საცინავეები არიან, რომ თავიანთი ცოდვა ეყოფათ, უფაღმა რომ დასაჯოს და სხვა დასჯა

არც სჭირდებათ. ისე ეშინიათ, რომ არ დაიჭირონ, ქონება არ წაართვან... თანამდებობასაც ვერ ელევინან.

— გექსნებათ, რომ მასწავლებელი ხელისუფლების პირების მიმართ უფრო გაცხეთ პრიტესტს, ვიდრე უშუალო მკვლელ ბატონებს?

— ის მკვლელი ამისტემამ შექმნა. ნულოვანი ტოლერანტობაო, ასეთი რამ სტალინსაც არ უთქვამს. ამ ახალგაზრდა, ევროპასა და ამერიკაში ნაცხოვრებ კაცს რეპრესიები და დიქტატორობა რამ მოადიქრა 21-ე საუკუნეში?! 125 ბიჭი ჰყავს ქუჩაში და ხევერტილი, 420 პატიმარი ჰყავს მოკლული და გაუმართებელი ციხეში. ზორაკილადებული კრიალაშვილი რომ დაცხრილეს, გიგი უგულავა თავისი თვლით უყურებდა...

ყველა გამოუშვან — ადვილი, ახალია და ეს დაიჭირონ! ერთი ფაშისტი, ოქრუაშვილი, ხომ უკვე გამოუშვეს, გაუპარა! ბავშვების მესაფლავე პრეზიდენტი დავარქვი, რადგან იმ 125 ბიჭს შორის ყველაზე დიდი ასაკის 23 წლის იყო. ერმა არ უნდა დასაჯოს ასეთი კაცი?! ერთი პერიოდი თოფით ვიყავი ჩასაფრებული, რომ დონაძე, მიქაძე და სხვები დამეხოცა. მიშას განრიგის გაგება მინდოდა, რომ მცოდნოდა, როდის სად იყო და მისთვის მესროლა.

სანდრო გირგვლიანი რომ მოკვლეს, სხვა ბრძოლაში ჩავებით. ირინა ენუქიძე სულ ამბობდა, ისეთი ნაბიჯები არ გადავდგათ, რომ ხალხმა თქვას, მხოლოდ ჩვენი გამწარების გამო ვყვირითო. ეს დღის ეტალონი ქალი ამბობდა, ისე უნდა მოვიქცეთ, რომ სხვისი შვილები მანც აღარ მოკლან, თორემ ჩვენებს აღარაფერი ეშველებათო. განათლებული და ჭკვიანი ქალი იყო. კარგი სტრატეგიული გათვლები ჰქონდა. ირინა საოცრად ძლიერი გახლდა. მის გვერდით შენც ძლიერდებოდი. ეს ქალი რომ არა, საქართველოში ბევრი რამ მიიჩქმალებოდა. საოცარია, რომ მისი სიკვდილი მე დამაბრალეს. ჭორი დამიყარეს, რომ ვითომ მე მოწინავე და ამასი 120 ათასი დოლარი ავიღე...

ბუტას წართმევით მე ღმერთმა კი არა, სატანამ დამსაჯა. სატანა დაჯდა ჩვენი ქვეყნის სამართავად სააკაშვილის სახით და იმან გამიმეტა ასე! ბუტა რომ გარდაიცვალა, აღარავინ მინდოდა. ერთი პერიოდი ვერ ვიტანდი, რომ ჩემი ოჯახის წევრები ცოცხლები იყვნენ და ბუტა — მკვდარი. მაშინ „იმედოდან“ მოვიდნენ და ტყავა და უთო ვესროლე. არ ვიყავი სრულ ჭკუაზე, თორემ ამას ხომ არ გავავეთებდი. ბუტა ისეთი საყვარელი ბიჭი იყო, რომ გცნობოდათ, გაგიუფებოდათ!

✓ რუსუდან ადუბი

მამუკა არაქშია: „პარტიარქივ დიდი პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა“ რუსეთი და თურქეთი იზიარებენ ავღღანას ცდილობას



მამუკა არაქშია

სომხეთში საქართველოს პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებამ, რომ სომხეთი საქართველოსთვის სამაგალითო უნდა გახდეს, პარალელურად ალასანიას ვიცე-პრემიერიდან გადაყენებამ, საპარლამენტო უმცირესობას იდეა გაუჩინა, კონსტიტუციაში საგარეო კურსის უცვლელად შენახვებ სპეციალური ჩანაწერი გაკეთდეს. უმცირესობისა და პრეზიდენტის მტკიცებით, რუსეთს მყარად აქვს გადაწყვეტილი, რომ 2015 წელს ევრაზიის კავშირის სახით რღვა ფორმით აღადგინოს საბჭოთა კავშირი, ანუ საბჭოთა იმპერია ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და ამ გაერთიანებაში შევიყვანოს უკრაინა, მოლდოვა და საქართველო.

— საქართველოს კონსტიტუციაში ჩანერა ამ ცვლილების, რომელსაც შემდეგ ვერც ერთი პარლამენტი შეცვლის, არის ძალიან პრინციპული მომენტი. თუ ჩვენ მართლაც სერიოზულად არ ვაპირებთ, რომ ვითამაშოთ იმპერიული, პუტინისტური თამაში ჩვენი საბჭოთა იმპერიაში დაბრუნების, ასეთი საკონსტიტუციო ცვლილებები ყველა ამ საკითხს მოხსნიდა და საქართველო გააგრძელებდა განვითარებას, — ირწმუნება მიხეილ სააკაშვილი.

კავკასიის საკითხების ექსპერტი მამუკა არე-შიძე საქართველოს პარტიარქს რუსეთში ახლდა და საინტერესო შეხვედრებიც ჰქონდა რუს კოლეგებთან. ის ჩრდილოელი მებოზლის „დატკობობას“ სწორედ ამ კავშირის შექმნის სურვილს უკავშირებს. ამ სურვილს თურქეთის ასევე იმპერიული ამბიციები აძლიერებს, რაც საქართველოს, როგორც რეგიონულ სტრატეგიულ მოთამაშეს, სერიოზულ „კოზირს“ აძლევს, მის გამოყენებას კი, არეშიძის თქმით, პროფესიონალური მიდგომა სჭირდება.

რუსულ-ოსმალური იმპერიული ზრახვების აღორძინების ფონზე არ შეიძლება არ ამოტივ-

თიანი მიდგომა საქართველოსთან ურთიერთობის გამოსწორების აუცილებლობის კონტექსტში. ჩვენთან არასწორი აზრია შექმნილი, რომ არიქა, თბილისს უნდა სიტუაციის გამოსწორება. არადა ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ არანაკლებ, მეტად თუ არა, ეს რუსეთს უფრო უნდა.

აქ იმაზე კი არ არის საუბარი, რომ საქართველოზე გაგვიტყულება რუსებმა, სიტუაცია გინდა თუ არა, უნდა გამოვასწოროთო, არა. საქმე ის არის, რომ ეს არის პრაგმატული მიდგომა, ახალი გეოპოლიტიკური რეალობა, რომელიც რუსეთისთვის არის საკმაოდ მძიმე მოსაგვარებელი. სწორედ ამ გეოპოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, სანამ საქართველოს ახალი ხელისუფლება თავის სტრატეგიას გაახმოვანებდა, მზადება მანამდე დაიწყო. მოსკოვში მე დამხვდა კონსტრუქციები, რა და როგორ უნდა გაკეთდეს. თუმცა ვერაფრით ვიტყვი, რომ რუსი პოლიტიკოსების მიდგომა შეიცვალა აფხაზეთთან

ლზე 2015 წლისთვის გეგმავს ევრაზიული კავშირის შექმნას. ეს არის მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება და ფიქრობენ, მასში გააერთიანონ პოსტსაბჭოთა სივრცის დიდი ნაწილი — შუა აზია, ბელორუსია, უკრაინა და, რა თქმა უნდა, სამხრეთ კავკასია. ამ დროს ირკვევა, რომ ერთ-ერთი უძლიერესი რეგიონული მოთამაშე თურქეთიც აპირებს ასეთივე კავშირის შექმნას, რომელშიც უნდა გაერთიანდეს თურქეთის გარშემო განლაგებული ქვეყნები და მასაც ერქმევა ევრაზიული კავშირი, ანუ რუსეთი და თურქეთი აპირებენ ერთი და იმავე პროექტის განხორციელებას ერთი და იმავე სახელწოდებით. ეს, რა თქმა უნდა, ერთმანეთის წინააღმდეგ არის მიმართული და თავიანთი ინტერესების გასატარებლად ორივეს კარგად ესმის, რომ ძალის დემონსტრირება არ გამოვა. ეს ყველაფერი უნდა მოხდეს დიპლომატიური გზით და ტკბილი სიტყვით. უნდა დაინტერესო შენი პარტნიორი და არ დაიწყო კუნთების თამაში. მთავარი ბრძოლა მიდის

„ჩხეთის ხელისუფლება 2015 წლისთვის გეგმავს ევრაზიული კავშირის შექმნას. ფიქრობენ, მასში გააერთიანონ პოსტსაბჭოთა სივრცის დიდი ნაწილი. ერთ-ერთი უძლიერესი რეგიონული მოთამაშე თურქეთიც აპირებს ასეთივე კავშირის შექმნას. ხომელნიც უნდა გაერთიანდეს თურქეთის გარშემო განლაგებული ქვეყნები და მასაც ერქმევა ევრაზიული კავშირი“.

და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე ეს თემა მათთვის განხილვას არ ექვემდებარება.

— აბა, როგორ აპირებენ საქართველოსთან ურთიერთობის დალაგებას?

— ამ ეტაპზე საუბარია ეკონომიკურ-ჰუმანიტარული პროექტების გაძლიერებულ, ფორსირებულ რეალიზაციაზე. როგორც დასავლეთში არ სჯერად, რომ საქართველო კურსს არ შეიცვლის, ისე არ სჯერად მოსკოვში, რომ საქართველომ შეიძლება დათმოს დასავლური მიმართულება. ორივე შემთხვევაში გააქვს მოცემულობა, რომ, როგორც დასავლეთი, ისე ჩრდილოეთი, ეჭვის თვალთ უყურებენ პროცესებს, რომლებიც თბილისში მიმდინარეობს.

ამკარად ჩანს, რომ უნდა, პრობლემის დარეგულირება ფორსირებულად მოხდეს, თან ისე, რომ ძალიან უხეშად არ იმოქმედონ, საქართველოს ორიენტირებას დასავლეთთან

სამხრეთ კავკასიის გამო, რადგან თურქეთის მოსაზრება, ამავე დროს — რუსეთის მოსაზრება.

ახლა გაორმაგდა და გასამაგდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სტრატეგიული მნიშვნელობა. ამ სამი ქვეყნიდან ერთი არის თურქეთის სტრატეგიული მოკავშირე — აზერბაიჯანი, მეორე — რუსეთის, სომხეთი და მესამე რჩება საქართველო, რომელიც, მიუხედავად მისი პარტნიორული მიდგომებისა თურქეთთან, მაინც ითვლება ევროპისა და ამერიკის პარტნიორად. იმისათვის, რომ სამხრეთ კავკასია გააკონტროლო, მინიმუმ, ორი ქვეყანა მაინც უნდა აკონტროლო, ანუ მიდის გადაწყვეტილება ბრძოლა საქართველოს კეთილგანწყობის მოპოვებისათვის. ეს ის უნიკალური შემთხვევაა, როცა საქართველოს აქვს „კოზირები“ ხელში, შეიძლება ეს „ტუზკოზირი“ არ არის, მაგრამ მაინც სერიოზულია და ამას გამოყენება უნდა. ეს არის გეოპოლიტიკური მიდგომარეობა, რომელიც დღეს არის. ამ კონტექსტში საქართველოს ბევრად მეტი სივრცე აქვს, ვიდრე ერთი შეხედვით წარმოგადგენია და ამას აცნობიერებენ ისინი, ვისთანაც მე მქონდა შეხვედრა რუსეთში. ამაზე ლაპარაკი მაინცდამაინც არ უნდათ, მაგრამ ვიგრძენი, რომ ასე ფიქრობენ. სწორედ ამით არის განპირობებული ეს განწყობები, რომელთა დემონსტრირებაც მოსკოვმა მოახდინა. სხვა მომენტებიც არის — დასავლეთის ჩამოცილება ამ სივრცეში, ნატოს არდამხვევა სამხრეთ კავკასიაში და სხვა, მაგრამ ძირითადი არის მაინც ის, რაც ვთქვი.

— სწორედ ამის შიშით, რომ საქართველო არ გაერთიანდეს რუსეთის ევრაზიულ კავშირში, სააკაშვილმა და უქცურუსებმა საკონსტიტუციო ინციატივით გამოიღეს, რათა კონსტიტუციაში ქვეყნის დასავლური კურსი დაფიქსირდეს.

— როცა სააკაშვილი ამას ამბობს, თვალთმაქცობს, რადგან ძალიან კარგად იცის, რომ თურქეთსაც აქვს გიგანტური ინციატივა და ჩვენ რომ საკანონმდებლო დონეზე დავაფიქსიროთ საგარეო ორიენტირები, ბევრად შეზღუდვას ჩვენი მოქმედების ველს. ვინმემ რომ ჩემში ეჭვი არ

„მიღის გადამწყვეტი ბიძინა საქართველოს კეთილგანწყობის მოპოვებისათვის. ეს ის უნიკალური შემთხვევაა, როცა საქართველოს აქვს „კოზირები“ ხელში, შეიძლება ეს „ტუზკოზირი“ არ არის, მაგრამ მაინც სერიოზულია და ამას გამოყენება უნდა“.

ტივდეს ისტორიული პარალელი ერეკლე მეორის პერიოდის საქართველოს რეალობის სახით, რამაც, ყველას მოგვეხსენება, საეკლარო ორსა-უკუნოვანი შედეგი გამოიღო. გვეუბრება თუ არა იგივე სამიშროება და დადგებით თუ არა იმავე დილემის წინაშე? მამუკა არეშიძესთან ინტერვიუში ამ საკითხებსაც შევეხო.

— ბატონო მამუკა, თქვენ რუსეთში საქართველოს პარტიარქის დელეგაციაში იყავით და სხვადასხვა შეხვედრა გქონდათ. რა დამაკვირვებელი დაგვტყდათ აქ საქართველოს მიმართ?

— წინასწარ ვიცოდათ განწყობები, რაც ზოგადად რუსეთშია, მაგრამ რეალობა მაინც განსხვავებული დამხვდა. მქონდა შეხვედრები სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებთან, როგორც კრემლის მხარდაჭერებთან, ისე ნეიტრალური პოზიციებზე მყოფებთან და ოპოზიციის წარმომადგენლებთანაც. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი განსხვავებული სპექტრი იყო, იგრძნობოდა ერ-

განსაკუთრებულად არ შეუშალონ ხელი. რუსეთი არ აპირებს უკან წაიღოს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარება, თუმცა ცდილობს, საქართველოს კეთილგანწყობა მოიპოვოს. პარადოქსულია, არა? მაგრამ ასეა და როგორ უნდა დამხვდეთ, ამისთვის ძალიან ჩქარი ტემპით იქმნება პროგნოზები. სხვათა შორის, პუტინის ბოლოდროინდელი განცხადება იმის თაობაზე, რომ რუსეთი არ აპირებს, დათმოს ოკუპირებულ ტერიტორიები, ისევე როგორც საქართველო არ თმობს, ეს არის პირველი შემთხვევა ჩვენი ურთიერთობის ისტორიაში, როცა რუსეთმა აღიარა, რომ საქართველოს აქვს უფლებები ამ რეგიონზე. აი, ეს არის მოცემულება და ამის გარშემო ტრიალებს მთელი ის გეგმები და ის ნაბიჯები, რომელთა გადადგმასაც რუსეთი აპირებს.

— რამ გააქტიურა და „დაათბო“ რუსეთი?

— საქმე ის არის, რომ რუსეთის ხელისუფ-

შეიტანოს, ცალსახად ვამბობ, დასავლეთი არის ჩვენთვის ძირითადი და მთავარი ორიენტირი, მაგრამ ჩვენ უნდა გვერინდებოდეს რეგიონული პოლიტიკის კუთხის საშუალება. ჩვენ გვჭირდება ზოგიერთი კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება რუსეთთან დაკავშირებით.

— **გამიდას, რომ გვეჩინებოდა თავისუფლად თამაშის შესაძლებლობა, რომ არავის წინაშე ვაყიფო ანგარიშგადღებულა?**

— დიას, ასეა. ასეთი საშუალება ჰქონდა შევარდნაძეს, მაგრამ მან და მამინდელმა პოლიტიკელიც ეს ვერ გამოიყენა.

— **მაგრამ მყარი მოკავშირის გარეშე არ გავჭირდება ქვეყანას? რას მთავებს თრი კურდღლის მადეკარი?**

— თუ ჩვენი ძალების და რესურსების სრულ მობილიზებას მოვასწავნებ, რაც საქართველოში არსებობს, ვგულისხმობ პროფესიონალებს და პატრიოტებს, დადებით შედეგს მივიღებთ. მე არ ვამბობ, რომ ეს შანსი ხანგრძლივად გვექნება, არა, ეს არის ხანმოკლე პერიოდი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ. კონსტიტუციამ ჩანაწერი

დავაკავებთ, რომ სიტუაცია შიგნით ვალაგოთ, კონცენტრირებული ვერ ვიქნებით, რა ხდება გარეთ.

— **აფხაზეთის რკინგზის აღდგენა და მსგავსი პროექტები რა მხარეს წაიყვანს ურთიერთობებს?**

— პოლიტიკაში არსებობს ერთი კარგი სიტყვა — მიზანშეწონილობა. რეგიონული პოლიტიკიდან გამომდინარე, საჭიროა, გავაკეთოთ რკინიგზა, მაგრამ ჯერ კარგად უნდა განვსაზღვროთ, რას მოუტანს ქვეყანას და მერე გადავწყვიტოთ. მე არც რკინიგზის ნინაალმდევი ვარ, არც ცეცხლის განუახლებლობის ხელშეკრულების, ოღონდ იმ ფორმით — არა, რასაც რუსეთი გთავაზობს და საერთოდ, არაფრის ნინაალმდევი ვარ, რისი განხილვაც მოხდება მრგვალ მაგიდასთან, თან პროფესიონალების მიერ. ამას არ უნდა წვევდეს მხოლოდ ორი ბავშვი, გინდ საგარეო სამინისტრო იყოს ორივე მხრიდან და გინდ — სხვა. არამარტო რკინიგზაზეა საუბარი, არამედ ყველა მნიშვნელოვან დეტალზე.

საქართველოს პატრიარქის და რუსეთის პრეზიდენტის შეხვედრისას საკითხი დადგა ასე

„საქართველოს პატიოსანი და ხესთვის ჰეხეზენის შეხვედრისას საკითხი დადგა ასე — აფხაზს და ქართველს, ოსს და ქართველს უნდა მიეცეთ საშუალება, ეხიზანეთს დაეაპაიხონ შუამავის გახეშე. ხესთვის ახვ თანხმობა ეთქვამს და ახვ უაჩი“.

საერთოდ არ არის საჭირო. არსებობს ქვეყნის განვითარების დოქტრინა, რომელიც პარლამენტის მიერ არის დამტკიცებული და მასში წერია, რომ ქვეყნის პრიორიტეტი არის დასავლეთი.

— **ნაცმიძრაობა ნაზს უსვამს, რომ ეს გაერთიანება არის დსთ-ის მსგავსი.**

— დსთ-ის მსგავსი ბევრი რამ შეიძლება იყოს, ევროკავშირიც შეიძლება დსთ-ის მსგავსი იყოს, ამერიკის შეერთებული შტატებია ლამის დსთ-ის მსგავსი, მერე, რა?! დსთ არის გუშინდელი დღე და დამთავრდა! ევროკავშირის განცხადება — ეს არის პროვოკაცია, რომელიც თითქმის ასევე შეაფასა რუსეთის საგარეო უწყებამაც. მე იქ რამდენიმე დღე ვიყავი და უამრავ ადამიანთან მქონდა შეხვედრა, დსთ-ზე სიტყვა არავის დასცდენია, რა თქმა უნდა, ევრაზიის კავშირზე იყო საუბარი. დსთ თვითონ აღარ ახსოვთ და ჩვენს საგარეო პოლიტიკას ერთი კაცის განცხადებას ნუ გადავაცილებთ. ჩვენგან გაუთავებული სპეკულაცია ამ თემაზე პროვინციალიზმის შთაბეჭდილებას ტოვებს.

— **როგორ მოხდა, რომ ორმა დიდმა მთავარ-შემკრთიანაზე გადაწყვიტა კავშირის შექმნა?**

— ერთნაირი სახელის მერგვა ტაქტიკური სვლა, თორემ თურქეთის მიერ 2005-2006 წლებში იყო დეკლარირებული ნეოსამაღური იდეა, რაც ზუსტად ამას გულისხმობს. თურქეთის დედაქალაქის, ანკარის გარშემო 110 კილომეტრის დამეტრში განლაგებული ქვეყნები მას უნდა ემორჩილებოდნენ, ასე თვლის ახალი ნეოსამაღური დოქტრინა, რომლის ავტორიც არის თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ოღლუ. ამაში იგულისხმება ყველა ის ქვეყანა, რომელიც ოდესღაც იყო თურქეთის კოლონია ევროპაშიც და ახლო აღმოსავლეთშიც. ოღლუ სწორედ ამ დოქტრინის წყალობით გახდა საგარეო საქმეთა მინისტრი. ეს არის ძველი იდეა, მაგრამ სახელი ტაქტიკური სვლა, რითიც რუსეთს დაუპირისპირდა.

— **ამ ორი დიდი ძალის დაპირისპირებაში თამაში როგორ წარმოვიდგინათ?**

— ჩვენ უნდა შევეცადოთ, მეზობლებთან კარგი ურთიერთობა გვექონდეს. არსებობს ლიმილი — ნაცობობის და არსებობს ლიმილი — თანადგომის, დაახლოებით ასეთი პოზიცია უნდა გვექონდეს. ამისთვის საჭიროა ქვეყანაში სიტუაცია ლოგიკურ დინამიკას ექვემდებარებოდეს და არ იყოს ორხელისუფლებიანობა. ამ ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში ორხელისუფლებიანობა ნიშნავს ქვეყნის დანგრევას. თუ იმით

— აფხაზს და ქართველს, ოსს და ქართველს უნდა მიეცეთ საშუალება, ერთმანეთს დაელაპარაკონ შუამავლის გარეშე. რუსეთს არც თანხმობა უთქვამს და არც უარი. პატრიარქმა დიდი სერიოზული პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა და ახლა ამას განვითარება სჭირდება. საჭიროა რაღაც პროექტის შექმნა, რომელიც მოიცავს რკინიგზასაც, ვაჭრობასაც, რუსეთთან ურთიერთობასაც. რე უნდა დაგვაინყდეს ის სერიოზული პრობლემაც, რაც რუსეთის რეალურად აქვს — რადიკალური ისლამი, არა — ჩრდილოკავკასიური, რომელსაც ასე თუ ისე მოეწეება, არამედ ისლამი, რომელიც ნელ-ნელა იმარჯვებს იარაღის გარეშე თათრეთში და ბაშკირეთში. ისინი თავიანთ თავს ექსიზნ სალაპიტებს. ეს არის პირვანდელ ისლამთან დაბრუნება და გარედან მართული პოლიტიკური მიმდინარეობა.

— **საულის არაბთის გულისხმობა?**

— კი, ძირითადად საულის არაბეთიდან და იხარჯება დიდი ფული არა იარაღის შექმნაზე, არამედ იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე, რომელიც საკმაოდ ძლიერია.

— **რამდენად აქვს პოტენციალი საქართველოს ახალ მთავრობას იმ გამოწვევების დასაძლევადა რაზეც თქვენ ისაუბრეთ?**

— არსებობს ექსპერტთა ძლიერი ჯგუფი და ხელისუფლებამაც არის პოტენციალი. დაწინაურებული ვარ, ამ ფაქტორს ბიძინა ივანიშვილიც ძალიან კარგად აცნობიერებს, რადგან მას არ სწყევია ისეთი განცხადების გაკეთება, რომლის უკანაც არაფერი დგას. საჭიროა კონსოლიდაცია. მხოლოდ იმ რესურსით, რაც ახლა ხელი-სუფლებამაია, ამ საქმეს ვერ მოუვლი. აქ შეიძლება რუსეთის მაგალითიც გამოვიყენოთ, სადაც ინტელექტუალური ელიტა თავმოყრილია ფსევდო არასამთავრობო ინსტიტუტებში და ფულს იმიტომ უხდიან, რომ შეიქმნას ინტელექტუალური, თუნდაც საინფორმაციო პროდუქტი, რომელსაც შემდეგ საგარეო უწყებამ თუ ქვეყნის ადმინისტრაცია გამოიყენებს.

— **ახალი ისტორია ძველი კონსტრუქციით — ისევ რუსეთსა და ოსმალეთს შუა „განხვრელი“ საქართველო. ძალიან უსამართლო პრაბაღლია.**

— ეს კონსტრუქციები ყოველთვის არსებობდა და ის არავის წაუშლია. ყოფილი ხელისუფლების ერთ-ერთი დანაშაული სწორედ ამ კონსტრუქციისა და რეგიონული პოლიტიკის იგნორირება იყო, ვითომ არ არსებობდა, მაგრამ ხმალ ხალთაში ერთ დღეა, თავს აუტყობდად გამოაჩენს.

„უკრაინა აპაშიძე: ..ჩვენი პარტიის ნაპრაზის მხრიდან გადახლოვას გავაძლიერებ“

თავდაცვის მინისტრი, „თავისუფალი დემოკრატიის“ ლიდერი ირაკლი ალასანიძე, რომელიც ცოტა ხნის წინ „პატარა შეცდომის“ გამო ვიცეპრემიერის თანამდებობიდან გაათავისუფლეს, ახალ სკანდალში გაუხვდა. არც მუტი და არც ნაკლები, მის თანაპარტიულებს კოალიციაში დაპირისპირების პროვოცირება ედებათ ბრალად. „ბრალდებული“ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი დავით საგანელიძეა. ის ირწმუნება, რომ რაიონული ორგანიზაციების დაფუძნებისა და თავმჯდომარეების წარდგენის პროცესში კანდიდატურებთან დაკავშირებით კოალიციის შიგნით დაპირისპირებებს სწორედ „თავისუფალი დემოკრატიები“ და კოალიციაში შეღწეული ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები ქმნიან. საგანელიძის მოსაზრება პრემიერმა ივანიშვილმაც გაიზიარა.

— მართლაც არსებობს ის კითხვები, რაც საგანელიძემ დასვა. მე დამხვდა 20 დემონსტრანტი ჩემს სახლთან და მათ შეხვედი. ისინი აბაშიძან არიან ჩამოსული და არ მოსწონთ ხელმძღვანელად არჩეული პირი, არ მოსწონთ „ქართული ოცნება“ — დემოკრატიული საქართველოს“

„ფორმა, რომელიც დავით საგანელიძემ არჩია, არასწორია. თუ რაიმე არასწორი ნაბიჯი იყო გადადგმული, ეს შეიძლება პირად საუბრებში დაეფიქსირებინა, გაგვეკვება და არ ყოფილიყო თუნდაც ის გამოსათქვამები, რაც შემდეგ მისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა.“

აბაშის რაიონული ორგანიზაციის არჩეული ლიდერი. გასაკვირი არის ის, რომ არც ერთი მათგანი „ქართული ოცნების“ წევრი არ იყო. მათგან სამი იყო „თავისუფალი დემოკრატიებიდან“. საგანელიძეს აქვს ეჭვი და მე ვფიქრობ, რომ ეს იყო ინსპირირებული ნაციონალური მოძრაობის მხრიდან, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ტელეკამერებთან.

ნაციონალური „ოცნების“ ახალმა ბრალდებამ კარგ ხასიათზე დააყენა — „თავისუფალი დემოკრატიები“ „შპრონების“ ამომრჩენის ფაქტობრივ მტყველებს იმაზე, რომ კოალიციაში განხეთქილება დაიწყო.

— ჯერ ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ „შპრონებითაა“ სავე ნაციონალური მოძრაობა, ახლა უკვე დაიწყეს თავიანთ რიგებში ამ მხვერავეების დამსმენების და „შპრონების“ ძებნა. ეს მიუთითებს იმ მდგომარეობაზე, რომელიც არის „ქართული ოცნებაში“. ალასანიძამ თავისი სახე გამოაჩინა, აღმოჩნდა ჩვეულებრივი ლაჩარი. ემინია, მიუხედავად იმისა, რომ მისი



ნათელხილველი სელინა
გკითხნოვს ტაროს კარტზე და ყაყაზე
აკეთავს თილისხავს და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58



ზურაბ ჯუღჯუა

მომხრეები გამოყარეს სამსახურიდან და ზოგი დაიჭირეს, — აცხადებენ ნაციონალები.

მოგვიანებით პრემიერისა და თავდაცვის მინისტრის შეხვედრა ბიზნესცენტრში შედგა, ამის შემდეგ ალასანიამ განაცხადა, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ყველაფერი ნორმალურადაა.

— პრემიერმინისტრს ჩავაბარე ანგარიში ბრიტანეთში ჩვენი ვიზიტის შესახებ, რომელიც საკმარისად წარმატებული იყო. მინდა, გარკვეული აუიოტაჟის შესახებაც გითხრა, რომელიც ატეხილია მთავრობის, კოალიციის ირგვლივ. ყველაფერი არის აბსოლუტურად ნორმალური, ჩვენ ყველა საკითხზე გულწრფელად ვლაპარაკობთ... მოვუწოდებ ყველა პარტიის წარმომადგენელს, რომ იყვნენ ისეთ საქმიან კორდინაციაში, როგორშიც ადრე ვიყავით, ვერ ვხედავ გადაუღებავ პრობლემას, — აღნიშნა მან.

ფაქტია, რომ ალასანია ცდილობს კონსტრუქციული ლიდერის იმიჯის შენარჩუნებას, მაგრამ ორ კვირაში უკვე მეორედ აღმოჩნდა სერიოზული დარტყმის ქვეშ. არსებობს ვარაუდი, რომ ერთი მხრივ, ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს პროდასავლურ კურსთან, მეორე მხრივ, მიმდინარეობს ადგილების გადანაწილება ხელისუფლებაში და ალასანიას ხალხს უბრალოდ აძევებენ. ნებისმიერ შემთხვევაში განხეთქილების ნიშნები სახეზეა და, სავარაუდოდ, პირველი მსხვერპლიც ირავალი ალასანია იქნება.

„სარკე“ ამ რყევებზე „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერს, პარლამენტის ვიცეს-პიკერ ზურაბ აბაშიძეს ესაუბრა.

— ბატონო ზურაბ, ბოლოს დავით სავანელიძემ თავისი განცხადების ფორმაზე და არა შინაარსზე მოგბოდიშათ. მაიღეთ მისი ბოდიშო?

— აქ არ არის საკითხი იმაზე, ბოდიშს მოიხდის თუ არა. ფორმა, რომელიც დავით სავანელიძემ არჩია, არასწორია. თუ რაიმე პარასწორი ნაბიჯი იყო გადადგმული ჩვენი პარტიის წევრის მხრიდან, ეს შეიძლება პირად საუბრებში დაფიქსირებინა, გაგვერკვია და არ ყოფილიყო თუნდაც ის გამოხატულებები, რაც შემდეგ მისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა. რაც შეეხება კონკრეტულ ხალხს, ჩვენი პარტიის წევრების მხრიდან გადაცდომას ჰქონდა ადგილი, ზოგმა პირადი გადაწყვეტილებით მიიღო მონაწილეობა აქციაში, რომელიც არ იყო პარტიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული. ამაში ჩვენც ვხედავთ პრობლემას. რა თქმა უნდა, კონსულტაცია უნდა შემდგარიყო პარტიაში და იქიდან გამომდინარე მიეღოთ მითითება, რა და როგორ უნდა ყოფილიყო. არის საკითხები, რომლებიც პარტიის დონეზე წყდება. ალბათ პარტია იმჯერებს და მივიღებთ გადაწყვეტილებას, რა ღონისძიებას გავატარებთ ამ წევრების მიმართ.

— შეიძლება გარაცხთ კიდევ რისკუნაც სავანელიძემ მოგაწოდათ?

— გარიცხვაზე საუბარი არ არის. მათ გასარიცხი არაფერი ჩაუდენიათ, თუმცა გადაცდომა რომ იყო, ფაქტია და ამას მივხედავთ.

— ხასხულის რა ფორმას მიმართავენ?

— არის საყვედური, გაფრთხილება და ა.შ. ეს არის გამოწვევის შემთხვევები და ამის განზოგადება არავითარ შემთხვევაში შეიძლება.

— მაგრამ მსიშენელოვანი ამ ამბებში ის არის, რომ სავანელიძე თქვენს პარტიაში ნაციონალების მიერ შეგზავნილ აგენტებზე საუბრობდა.

— შეიძლება იყოს საუბარი, რომ პარტიებში ვილაყვები არიან შეგზავნილი, მაგრამ ამ კონკრეტულ პირებზე სრული პასუხისმგებლობით ვაც-

ხადებ, რომ ასეთ ფაქტს ადგილი არ აქვს. არც იმის დაჯერება მინდა, რომ პარტიაში შემოგზავნილი ხალხი გყავს.

— თქვენ თქვენს პარტიელებს აქტიურობისკენ ალასანიას და ივანიშვილს შორის მანამდე მომსდარამ გაუგებრობაზე უბამება.

— არა, ეს აბსოლუტურად სხვა საკითხია. ეს თემა ამონურულია, ივანიშვილი და ალასანია შეხვდნენ ერთმანეთს. საუბარმა საკმაოდ კარგ გარემოში ჩაიარა, ილაპარაკეს ინტელსთან დაკავშირებულ საკითხებზე და ამ თემებზეც ჰქონდათ საუბარი. ახლა პრინციპული საკითხია, რომ პარტიაში „ქართული ოცნება“ დემოკრატიული საქართველო“ მოახერხოს სრულფასოვანი ჩამოყალიბება. ეს მნიშვნელოვანი საკითხია კოალიციაში შემავალი სხვა პარტიებისთვისაც. როცა პარტიას ყველა სტრუქტურა არ აქვს ჩამოყალიბებული, ეს გარკვეულწილად იწვევს შეუთავსებლობას. როცა ეს დასრულდება, პარ-

„ტელევიზიით რადაცემა რომ არის წამოწეული — ვითომ არის დაბირისხირება, მინდა, გულწრფელად გითხრა, რომ ასე არ არის. კოალიცია მრავალპარტიული ორგანიზმია და აუცილებელ პირობად მიმაჩნია, განსვავებული პოზიციები და შეხედულებები იყოს.“

ტიები თავიანთ საქმიანობას კოალიციის შიგნითაც და გარეთაც შეუდგებიან, დამოუკიდებელმა პარტიებმა უნდა აკეთონ თავიანთი საქმე.

— რაც უნდა ეცადოთ სიტუაციის სიტყვიერად გამოსწორებას, ალასანიას ვიცეარქივარობიდან გათავისუფლება მაინც თქვენს განხილვას, როგორც მისი ჩაჩიხება „ოცნების“ მხრიდან.

— „ოცნების“ მხრიდან ასე ნამდვილად არ იყო განხილული. შეიძლება საზოგადოების ნაწილმა ჩათვალა ასე და ამას ხელი შეუწყო ნაციონალების აქტიურობამაც. ძალიან კონკრეტულად და ზუსტად ითქვა, რაც იყო — ირავლის ნამდვილად სჭირდებოდა მეტი დრო იმისათვის, რომ მთლიანად თავდაცვის სფეროში იყოს დატვირთული.

— ამაში გეთანხმებით, მაგრამ თქვენს მხრეზე იყო დასახელებული, რაც ივანიშვილმა პარტია შეცდომად შეაფასა — არაკლის პრეზიდენტობის კანდიდატად განხილვა პარტიის შიგნით.

— კი, იყო სხვა საკითხიც დასახელებული. პარტიაში ვნებათაღელვას რომ არ ჰქონდეს ადგილი და რეგონებში სხვადასხვანაირად არ წარმოჩინდეს, ყველა საკითხი უნდა დარეგულირდეს. ვფიქრობ, ეს თემა დასრულია.

— შეიძლება თქვენ კი დახურული, მაგრამ აქ საკითხიანია, რაც თავს მაინც იჩენს. ითქვა, რომ ალასანიას გათავისუფლების შემდეგ ჯერი მსს-ში მის კადრებზე გადავა.

— არა, ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია, მაგრამ თუ ვინმე ერთი ადგილიდან მეორეზე გადავიდა, ესეც ბუნებრივი პროცესია. თქვენ ცდილობთ, რომ ფაქტი უფრო ანგაჟირებული გახადოთ, მაგრამ ყველაფერი არის ისე, როგორც უნდა იყოს. ამიტომ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩვენს საქმიანობას ვაგრძელებთ. მთავრობა სერიოზულად მუშაობს, რომ ის

დაბირება, რაც საზოგადოებას მივეცით, შესრულდეს. დავესხებები ბატონ ბიძინას, რომ მომავალი წელი იქნება კარგი, მესამე წელი — ძალიან კარგი და მეოთხე — ისეთი, როგორც ჩვენ გვჭირდება. ეს არის ჩვენი ამოცანა და მიზანი. დანარჩენი კი, ტელევიზიით რადაცემა რომ არის წამოწეული — ვითომ არის დაბირისხირება და ეს აისახება კოალიციის ცხოვრებაზე, მინდა, გულწრფელად გითხრა, რომ ასე არ არის და ვერც იქნება. ჩვენ ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა ერთად გვაქვს ალბუღი. დავამატებ იმასაც, რომ კოალიცია მრავალპარტიული ორგანიზმია და აუცილებელ პირობად მიმაჩნია, განსვავებული პოზიციები და შეხედულებები იყოს.

— მაინც ჩაგკითხებთ, რა ვერ გაიყვანთ თქვენს თანაპარტიელებს „ოცნებისთან“?

— პირდაპირ ვიტყვი, რომ ჩვენს პარტიელებს არაფერი ეკითხებათ იმ საკითხებში. პარტია, რომელიც ჰქვია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ და რომელიც ქმნის ორგანიზაციას, არის დამოუკიდებელი. კოალიციაში შემავალ პარტიებს შეიძლება ჰქონდეთ რაღაც მოსაზრებები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს, პირველ რიგში, თვითონ კონკრეტული პარტიის მხრიდან, ანუ თან უნდა განსაზღვროს, როგორ შექმნას ორგანიზაცია, ვინ იქნება ხელმძღვანელი და ა.შ. ამაში ჩვენ ხელი არ უნდა შეგუშალოთ.

— ალასანიას უბიძგობა ნაციონალებმა, უფრო სწორად, ვინაა მერაბიშვილმა ლაჩიბიძემ შეაფასა. ამაზე რა კომენტარს გააკეთებთ?

— ასეთი გამოხატულება იმ ადამიანისგან, რომლის ლიდერიც ამ მიმართულებით რეკორდსმენია, ცოტა უხერხულია, მაგრამ, ეტყობა, მძიმე დღეში არიან, რადგან სხვა ვერაფერზე საუბრობენ.

— ალასანიას „ჩაჩიხება“ გამო ნაციონალებმა ერთი ამბავი ატყუეს, სომ სედავო, პრეზიდენტი ძალა ჩამოაშორეს და ახლა აუცილებელია, კონსტიტუციაში ჩანსწერი გაკეთდეს, რომ ქვეყანა დასავლურ კურსს არ გადაუსწავს.

— ეს ინიციატივა სრული აბსურდია. ქვეყანაში საგარეო კურსი არ იცვლება და ყველაფერი ისე იქნება, როგორც ეს საქართველოს მოსახლეობამ გადაწყვიტა. ჩვენ გვჭირდება ევროატლანტიკური უსაფრთხოება და ევროპასთან დაახლოება.

— უკვე აქტიურად დაიწყო საუბარი, როგორი პოლიტიკური მოწყობის ქვეყანა უნდა გავხდეს საქართველო და როგორ უნდა მოხდეს პრეზიდენტის არჩევა. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

— „თავისუფალი დემოკრატები“ რომ შევიკრიბეთ, მაშინვე გადავლეროთ, ჩვენთვის მისაღები როგორი მოდელი იყო. როცა კოალიციაში გავწევრდით, ეს მაშინაც ვთქვით. მიგაჩნია, რომ საპრეზიდენტო უკუეთესია, სხვებს — საპარლამენტო ურჩევნიათ, ეს გემოვნების საკითხია. კოალიციაში გაერთიანებისას ვთქვით, რომ ამ საკითხს არჩევნების შემდეგ მივთვრუნდებოდით. ახლა მოდის სწორედ ასეთი დრო, რომ დავსხდეთ და კოალიციაში საერთო პოზიცია ჩამოაყალიბოთ, ქვეყნისთვის უკეთესი რა არის.

— ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება როგორ მოხერხდება, რაც თქვენ გამოკვეთილად საპრეზიდენტო მმართველობის მომხრე ხართ, რესპუბლიკელები — საპარლამენტოსა, რომელია აბირები დათმობა?

— რესპუბლიკელებთან ერთად უამრავი წელი გამოვიარეთ და, სიმართლე გითხრა, სახელმწიფოს აღქმასთან არასოდეს გვქონია საპირისპირო პოზიციები. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ შევევრდებით და საზოგადოება ამას ძალიან კარგად დაინახავს. ასევე, საჭირო და აუცილებელია ამ საკითხში უმცირესობის ჩართვაც.

სოსო ხისკარიშვილი: „პარლამენტის მიერ პრაზიდიტის არჩევის ეს სისტემა ახია საქართველოში!“

ბასულ კვირას თბილისში ევროსაბჭოს ვენციის კომისიის თავმჯდომარე ჯანი ბუკიკიოს უმასპინძლა. უმცირესობა იმედოვნებდა, რომ მის მიერ მოწვეული სტუმარი ახალი ხელისუფლების მიმართ უფრო კრიტიკული იქნებოდა, მაგრამ ნეგატიური განწყობით ჩამოსული ჩინოსანი ევროპაში აზრშეცვლილი დაბრუნდა. ბუკიკიოს საქართველოსთან ნაყოფიერი თანამშრომლობის იმედი აქვს და ჩვენს ხელისუფლებას 2 ძირითად რეკომენდაციას აძლევს. პირველი კომპატიბილენობის შექმნა, მეორის მხედვით კი, მეტი დრო უნდა დიხარჯოს არასასრულყოფი და არაგადაუდებელი საკანონმდებლო ცვლილებებსა და გასატარებელ რეფორმებზე. ამ კონტექსტში იგულისხმება საქართველოს კონსტიტუციის ძირული გადახედვა, რასაც, ვენციის კომისიის თავმჯდომარის თქმით, მაქსიმალური კონსენსუსის მიღწევა სჭირდება.

ჯანი ბუკიკიოს ვიზიტის შედეგებსა და პოლიტიკური რეაქციების ზოგიერთ ანტიუალურ ასპექტზე „სარკის“ კითხვებს ექსპერტი სოსო ხისკარიშვილი უპასუხებს.

სოსო ხისკარიშვილი:

— ასეთი ორგანიზაციებისთვის ასეთი მკიცხვითი რეაქცია და მხიბლველი არ არის. როგორც კი შეიქმნა გარკვეული პანიკის ნიშნები ნაციონალური მოძრაობის მხრიდან, რომელიც შეეხება უმრავლესობის მიერ ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს, უმალ გვეწვია. არადა გვახსოვს ის პერიოდებიც, რომ აგვიანებდა შეფასებებს და ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა საშუალება, მიეღო სხვადასხვა უფარვის ცვლილება კონსტიტუციამ. ამ მაგალითს დონის კონსტიტუციონალისტის ჩამოსვლა იყო დაგვიანებული, მაგრამ ნათქვამია, ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

მას არ ჰქონდა საშუალება, თავიდანვე სრული მზაობა გამოეთქვა კონსტიტუციამ შესატანი ცვლილებების მიმართ, რადგან, ვინც დაპატიჟა, ის გახლდათ ამ ცვლილებებით უკმაყოფილო პოლიტიკური ძალა. მაგრამ შეხვედრებმა პარლამენტის თავმჯდომარესთან და პრემიერმინისტრთან არ მისცა საშუალება, ღიად გამოეხატა ნაციონალური მოძრაობისთვის მხარდაჭერა. ჩემი აზრით, აპირებდა, ქვეყნა დეტოვიზინა ისე, რომ ნეიტრალური ყოფილიყო, მაგრამ უკანასკნელი შეხვედრა არ აღმოჩნდა მისთვის ისეთი რბილი და ტკბილი, როგორსაც ელოდა. ივანიშვილის მკაფიო და მკაცრმა პოზიციამ განაპირობა ის, რომ გაბეჭდა და თბილისშივე დააფიქსირა ნეგატიური დამოკიდებულება ჩვენი კონსტიტუციის მიმართ, რომელიც პრეზიდენტს აძლევს საშუალებას, პარლამენტის თანხმობის გარეშე დაინშინოს მთავრობა. ამიტომ მისი ვიზიტი შეიძლება საქართველოსთვის წარმატებულად ჩავთვალოთ.

— ალბათ ამას ასედა დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, როგორც ირკვევა, ეს საკონსტიტუციო ცვლილება ჩაყარდება. სავანელიძემ ხმა მძლავრად თქვა, საკონსტიტუციო უმრავლესობას ვერ ვაგროვებთო.

— თუ არ იქნა კონსტიტუციური უმრავლესობა, ცხადია, ეს გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული. სულაც არ არის სავალდებულო, დეპუტატებმა ერთი ნაწილი მეორეში ისკუპონ. ისინი თავისუფალნი არიან და ისხდნენ იქ, სადაც ადგილი მიუჩინა ამომრჩეველმა, მაგრამ სწორედ ხალხის სურვილია, ხმა მისცენ ამ კონსტიტუციურ ცვლილებებს.

— ექსპერტები ამბობენ, რომ „ოცნებამ“ ვერ კადვ ვერ მოახერხა გუნდური შუამობა, ხალხთან კომუნიკაციაც უჭირს, ეს რეაქციები უფრო ჩანს.

— ამას იმას ვაბრალებ, რომ მშვიდი მუშაობის პერიოდი ქვეყანაში ვერ არ დაბდგარა. ნაციონალური უფრო აგრესიულია და ანარქიკულად საინფორმაციო პროპაგანდას დღევანდელი ტე-

ლემედიის ხელშეწყობით. სამწუხაროდ, დარღვეულია ბალანსი. საბედნიეროდ, ბექდურ მელიქი ასეთი ტენდენციები ნაკლებად შეინიშნება. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ნაციონალური მოძრაობა უფრო გამოპრემიული ძალაა და თანამშრომლები უფრო მონოლითურ გუნდს წარმოადგენენ, ვიდრე თანამოაზრენი. თანამოაზრეებს შორის შეიძლება იყოს აზრთა სხვაობა, მაგრამ თანამშრომლები ერთმანეთზე გადაბმული არიან და ტრაგიკული დასასრულის ასაცილებლად იძულებული არიან, იყვნენ უფრო წამაგებულნი, თუ დასჭირდოთ, თეთრი შავად წამოაგებონ.

— დაუბალანსებელ ტელეკედაში „რუსთა-კო 2“ იგულისხმეთ?

— სამწუხაროდ — არამხოლოდ ის. ჩაატარეთ მონიტორინგი და ნახეთ, რამდენი დრო ეთმობა პროკურორის და რამდენი — ადვოკატს; რამდენი დრო ეთმობა ცილისწამებსა და რამდენი — უარყოფას. უგულვად, მერაბიშვილი, მათი გუნდის ახალი სახეები, როგორც კი კამერები ჩაირთვება, პირდაპირ დემოკრატიაზე გადადიან.

— ბოლო დღეებში აღასახნას პარტიისა და საგანგებო დამარხობა იყო ძირითადი თემა. თქვენ თუ სხვადასხვა კოალიციამ განსუქილებს ნიშნებს?

— განხეთქილების ნიშნები ამ სუბიექტებს შორის ჯერ კიდევ მაშინ არსებობდა, ვიდრე ივანიშვილი შემოვიდა პოლიტიკაში. არ არის გასაკვირი, როცა სიტუაცია მეტნაკლებად დალაგდა, თანამდებობები განაწილდა, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, რბილად რომ ვთქვათ, გარკვეული გაუგებრობები მოხდეს. ნუ შევქმნით ამისგან რალაც ტრაგიკულ მოლოდინს.

— ანუ ეს ყველაფერი, თქვენს აზრით, მასაც საპრეზიდენტო ამბიციებს უკავშირდება?

— არამხოლოდ ამას. როცა სტრუქტურა თავის ფერტიკალში წარმოიდგენს ერთ პირს, მასთან მიახლოებისა და გულთამყრობელობის სურვილი მაცდურია. შესაბამისად, ეჭვები ჩნდება მის გარემოცვაში. ადამიანები ვართ ყველანი

„ოქმა ჰეზიდენტმა ვეი დამთავა საპრეზიდენტო ვადა, მესამე კი ვადავთან დაჯერებულ დისკუსიებში ახავისთან შევის და ცდილობს, დახმუნოს საზოგადოება, ხომ 5 წელიწადში ახის ახა 60 თვე, ახამე 70, ანუ ნოხმალეჰი ჰეზიდენტის გამოცდილება საქართველოს ახ გააჩნია“.

და ინფორმაციის წყაროებიც იმაზე მეტი გვაქვს, ვიდრე ნორმალური ქვეყანაში შეიძლება არსებობდეს, ყველას თანაბრად გადაამუშავება ვერ ხერხდება. ამაში ტრაგიკულ ვერაფერს ვხედავ, გარდა იმისა, რომ ერთი პოლიტიკოსი თავისი აღსარებით, თუ ამის მოთხოვნა აქვს, ეკლესიის ნაცვლად გარბის და ტელეეთერში ყვება იმას, რაც ჯერ თავის ადრესატისთვისაც არ უცნობებია. თავმჯდომარეობა პოლიტიკურ საქმიანობაში აუცილებელია.

— ქვეყნის მოწყობაზე აზრთა სხვადასხვაობაც მალე იხსენ თავს კოალიციაში. რამდენად სხვადასხვა მოქმედებას, რომ ეს ითი — „თავისუფალი დემოკრატები“ და რუსუბლიკელები — ურთიერთსაბანისპირა მოსაზრებებს მქონე ძალა ერთიან პოლიტიკურ შეჯერდეს?

— ასეთი განსხვავებული პოზიციების შეჯერების პოტენციალის დეფიციტი სახეობს, მაგრამ მოვისმენთ პრემიერის არგუმენტებსაც, რაც იქნება დამაჯერებელი და ზოგი აღტაცებით, ზოგიც ბუზღუნით გაიზიარებს მის პოზიციას. ჩემთვის პრემიერის პარტნიორი ამ საქმეში უფრო საზოგადოების აქტიური ნაწილი ჩანს, ვიდრე რომელიმე პოლიტიკური ძალა. აუცილებელი კონსენსუსის გაცნობიერება იქნება საფუძველი, რომ იმ მოდელს, რაც დასახელდება კოალიციის მიერ, არ

ეყოლება მონი-ნააღმდეგე, რომელიც ამ დადნ-ყვეტილების გამო დატოვებს გაერთიანებას.

— გარაუდობენ, რომ იყავს ნიშნები უფრო საპარლამენტისკენ ისრებდა, ანუ აღასახნას მოუწყეს ბუზღუნით დათობა?

— ფართო მსჯელობის გარეშე გაუჭირდება საზოგადოების დარწმუნება საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე. ჯერ ის უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჯანსაღი საპრეზიდენტო მოდელი პრაქტიკაში არც გვექონია. ჩვენი პრეზიდენტები თავიანთ პარტიებს და გარემოცვას მიყვებოდნენ პოლიტიკურ სამარეში. ორმა პრეზიდენტმა ვერ დაამთავრა საპრეზიდენტო ვადა, მესამე კი ვადავთან დაჯერებულ დისკუსიებში არავითან შედის და ცდილობს, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ 5 წელიწადში არის არა 60 თვე, არამედ 70, ანუ ნორმალური პრეზიდენტის გამოცდილება საქართველოს არ გააჩნია.

რასაკვირველია, გარკვეული ხნობი საპარლამენტო რესპუბლიკას გააჩნია, მაგრამ ერთდროულად დათმო პრეზიდენტის გავლენიანი ინსტიტუტი და პრეზიდენტის უფლება, იყოს არჩეული სახალხო აზრის გათვალისწინებით, დიდ სირთულეს შეუქმნის საპარლამენტო რესპუბლიკის პოპულარიზაციას. საკანონმდებლო ორგანოს მიერ პრეზიდენტის არჩევის ეს სისტემა, მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ახია საქართველოზე! არჩევნების ჩატარების კულტურა არადა არ გახდა მეტნაკლებად დემოკრატიული მაინც. მითი, რომ 1 ოქტომბერს დემოკრატიული არჩევნები გვექონდა, შეუძლიათ დაიჯერონ მხოლოდ ნაცმოძრაობის ლიდერებმა და მათმა გონებადამბინდულმა უცხოელმა მოკავშირეებმა.

— ოქტომბრიდან პრეზიდენტი გაქვს საზოგადოებად დიდი უფლებები ენიჭება. ამ კუთხით თუ იგეგმება რამე ცვლილება?

— არც პრემიერს ჰქონდეს უფლებები და არც — პრეზიდენტს, ასეთი კონსტიტუცია არ არსებობს. ნაკლებად მოსალოდნელია ამ მხრივ რაიმე ცვლილება, ქვეყნას უნდა ჰყავდეს ერთი მმართველი პირი, მაგრამ უფლებამოსილებები ხელისუფლების სხვადასხვა შტოებზე უნდა იყოს გადანაწილებული. ამას არეგულირებს მუხლი, სადაც წერია, რომ პრემიერს პარლამენტი ნიშნავს, ხოლო პარლამენტი ხალხი ირჩევს. თუ პარლამენტი უნდა იქცევა, შეიძლება რეფერენდუმით მისი დათხოვნა. ერთი ჩემთვის საინტერესო დეტალია ახალ კონსტიტუციამ — პრეზიდენტს არ ექნება უფლება, იყოს პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელი, მაგრამ ეს შეზღუდვა არ აქვს პრემიერს. ანუ სააკაშვილმა მოიზარა თავისთვის, რომ თავად დარჩენილიყო ნაცმოძრაობის ხელმძღვანელად, მაგრამ საფრთხეები რომ აერიდებინა, ვინც უნდა ყოფილიყო პრეზიდენტი, ის ვერ იქნებოდა პოლიტიკური ძალის ლიდერი. ზოგადად, პირველი პირის პოლიტიკური ლიდერობა ქვეყნისთვის საზიანოა. ეს მუხლი როგორ დარეგულირდება, იტყვის თუ არა პოლიტიკური ლიდერობაზე უარს მომავალი პრემიერი, ალბათ ძალიან საინტერესო და ერთგვარი ტესტი იქნება.

— ივანიშვილის გულისხმობით ალბათ.

— ასეა, ახალი კონსტიტუცია ოქტომბრიდან ამუშავდება და თუ გახდება ივანიშვილი პარტიის ლიდერი, მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, დაეთანხმოს არსებულ წესს ან კონსტიტუცია მანამდე შეცვალოს. ეს არამართო პოლიტიკური გეგმვების საკითხია, არამედ საკვალიდ სერიოზული თემა ქვეყანაში დემოკრატიულობის ხარისხის განსაზღვრად.

✓ პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა მანანა გველი



სოსო მანჯავიძე: „იძულებული გავხდი, ჩემი ბიზნესი თეთრად გაგაყიდა“

ის პოლიტიკოსი არ არის, მაგრამ ბოლო დროს ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესში აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საწყისებზე. არც შელისუფლებბაში მოსვლის ამბიცია ჰქონია ოდესმე, თუმცა წინა მთავრობის შესაცვლელად ძალიან ბევრი რამ გააკეთა. სოსო მანჯავიძე 49 წლის გახლავთ, პროფესიით — ისტორიკოსი. ამჟამად ტელეკომპანია „ობიექტივი“ ენთუზიანზე მუშაობს. ადრე ბიზნესი ჰქონდა, რომელიც მის ოპოზიციონერობას შეეწირა. მრავალწლიანი ოჯახში გაზრდილს ყველაზე დიდ ფასეულობად ადამიანის გვერდში დგომა მიაჩნია. თვითონ 26 წლის წინ დაქორწინდა. მას და თამარ ჩხაიძეს სამი შვილი ჰყავთ — თეა, ნინო და ანდრია. ბატონი სოსო უკვე ბაბუაა. პირველი შვილი შვილი, ნუცა, 7 თვის წინ გეოლა.

ბატონ სოსოსთან ინტერვიუ მედიაკავშირ „ობიექტივი“ ჩავწერეთ. ჩვენი საუბარიც ამ თემით დავიწყეთ.

— **ბატონი სოსო, ტელეკომპანია „ობიექტივი“ რას საქმიანობთ?**

— „ობიექტივი“ არის მედიაკავშირი, რომელიც ირმა ინაშვილმა და დავით თარხან-მოურავმა ჩამოაყალიბეს. საზოგადოებრივი მაუწყებლის კონცეფციაზე აგებული არხი და ქართული მედია საზოგადოების მონაპოვარია. აქ უამრავ ადამიანს შეუძლია საკუთარი აზრი გამოთქვას. ეს არხი ასრულებს ძალიან მნიშვნელოვან ფუნქციას, პოლიტიკა გახადოს საჯარო. ორი წელია „ობიექტივი“ ინტერაქტივის რეჟიმით მუშაობს. აქ ყველა ენთუზიანით ვართ.

2 წლის წინ ჩამოყალიბებთ წინააღმდეგობის მოძრაობა, სახალხო კრების სათავეებთანაც ვიდევით. ჩვენი მოძრაობის კონცეფცია იყო ის, რომ ნაციონალური მოძრაობა გაგვენადგურებინა. მაშინვე ვთქვით, რომ ვიმოქმედებდით სამი მიმართულებით — ერთი, რომ მათ დასავლეთში ვამხედდით, მეორე, მიტინგებს გავმართავდით და მესამე, საინფორმაციო ველს შევქმნიდით. რაც ვთქვით, ის გავაკეთეთ. წინააღმდეგობის მოძრაობის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს

პატრიოტთა ალიანსი, — ნაციონალურ სელისუფლებას ცინის სკანდალურმა კადრებმა დაუსვა წერტილი. ამ ფირების მისაფუძვლაში თქვენც მეთადვით წვლილი. ბუნებრივია, ეს დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. როგორ წყდებოდა ამ კადრების მისაფუძვლა?

— წარმოდგინეთ, საქმე გაქვს ცინის თანამშრომლებთან, რომელთაც იქიდან გამოაქვთ ინფორმაცია. მერე ეს უნდა გავგველერებინა ევროპაში... ეს პროცესი თვეების განმავლობაში გრძელდებოდა. მაშინ რომელიმე მათგანს რამე რომ წამოსცდებოდა, ძალიან ცუდ დღეში ჩავვარდებოდით.

ლადო ბედუქაძე 9 წლის განმავლობაში მუშაობდა ცინებში. ის არის უამრავი სისასტიკის მომსწრე და ბევრი შემზარავი კადრი აქვს გადაღებული, თუმცა მას არანაირი საშუალება არ ჰქონდა, რომ ეს კადრები უცხოეთში გაეტანა. რომ არ ყოფილიყო გიორგი ლომია, რომელმაც მას ეს ფირები გამოართვა, ყველაფერი ძალიან გაგვიძნელებოდა. ლა-



სოსო მანჯავიძე

„49 წლის ბაბუა ვაი. ნუცა 7 თვის წინ დაიბადა, ახლა ჰიჰველი ახილი ამოუვიდა. მთელი ოჯახი მის ფეხებში ვაით“.

ბულ კარანტინის დაშლის კადრებს. „სისხლიანი პარასკევის“ გადაღება ბევრჯერ ვცადეთ, მაგრამ ვერ შევძელით. ავობია დიდი რისკის ქვეშ იყო და გადაღება არ გამოდიოდა. ეს იყო ოპერაცია რეჟიმის საშიშროებად. არჩევნების წინ ჩვენ შეუძლებელი უნდა გავგვეხადა სააკაშვილის მიერ არჩევნების გაყალბება. ის მთავრობა რომ კვლავ სათავეში დარჩენილიყო, მერწმუნეთ, ყველას დავიჭერდნენ, ვინც ცინისასარჩევნოდ აქტიურობდა.

24 აგვისტოს შევძელით ცინიდან ამ კადრების გამოტანა. ეს ფირები ბატონი დავითის და ქალბატონი ირმას მემშვეობით მოხვდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ევროპის ყველა მნიშვნელოვან ფიგურასთან. ამერიკელებმა მიშას უთხრეს, რომ არჩევნები უნდა ჩატარებულიყო ობიექტურად და თუ ის გააყალბებდა, მათგან პოლიტიკური მხარდა-

ჭერა არ ექნებოდა. ფაქტობრივად, ეს კადრები იქცა დოკუმენტურ ფილმად რეჟიმზე და სისტემა დაამხო კიდევ. თუ გახსოვთ, ქალბატონი ირმა ამბობდა, რომ ამაში ერთ-ერთი მინისტრი იყო გარეული. ეს იმისთვის იყო ნათქვამი, რომ რეჟიმის შიგნით დეზორიენტაცია მომხდარიყო, ერთმანეთის მიმართ ნდობა დაეკარგათ და კიდევ რალაც უბედურება არ ჩაედინათ. ამ ყველაფერს პირველად ვამბობ. ამ საშინელმა ფილმმა ახალი ტრავმების დასაფარა. ბენდიერი ვარ, რომ ამაში გარკვეული მონაწილეობა მეც მივიღე. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, ძალიან დიდია

ირმა ინაშვილის, დათო თარხან-მოურავის და გიორგი ლომიას როლი. მიკვირს იმ ადამიანების, ვინც დღეს ისე იქცევა, თითქოს რასაც რეჟიმი აკეთებდა, არც ყოფილა. მოკლეს ვილაც? რა მოხდა მერე. გააუპატიურეს? რა მოხდა მერე. მცემდნენ 9 წელი, მაგრამ მერე რა მოხდა, ახლა ხომ აღარ მცემენ? ეს შეუფერებელი აზროვნება და მიდგომაა.

— **თქვენს ოჯახს საფრთხე არ ემუქრებოდა, არ გათქვამთ ცილ-შეილის გახიზნაზე?**

— შიში, საფრთხე თავისთავად იყო. ოჯახის გახიზნა კი ვერ შევძელი.

— **ახალი მთავრობის იმედი გაქვთ?**

— იმედი მაქვს, რომ ბიძინა ივანიშვილი მოახერხებს და შეკრებს ისეთ გუნდს, რომელიც იმ მიმართულებით წაიყვანს ქვეყანას, რისთვისაც ის აირჩიეს. თუ მიმდინარე მოვლენებს გაცივთვალისწინებთ, ფაქტია, რომ მას შეკრული გუნდი არ ჰყავს. უნდა გამეიჯნოს რესპუბლიკურ პარტიას, რადგან თუ სააკაშვილის პოლიტიკურ მემკვიდრეობას საკუთარ თავზე აიღებს, ძალიან მძიმე პროცესების მომსწრენი გახვდებით.

— **მას შექმნა რაც მთავრობა შეიცვალა, არ ყოფილა შეპიათაზნება, რომ მათ გვერდით დამდგარიყავით?**

— ჯერჯერობით — არა. ჩვენი აზრით მთავარი პოსტი არ არის, არამედ ის, რომ საქართველო გახდეს ისეთი, როგორც დიდ ქართველებს უნდოდათ. ჩვენმა ხალხმა უნდა ააშენოს სააბაყო ქვეყანა. ჩვენ გვრცხვენია დღევანდელი. უამრავი ადამიანი ოცნებობს, გადაიხვეწოს სამშობლოდან. ეს უნდა დასრულდეს.

— **იმ როლზე პერიოდში ოჯახის რჩენის როგორ ასრულებდით? თავი რატი გაგქონდა?**

— 2006 წლამდე სხვადასხვა საწარმო მქონდა, მაგრამ მერე ყველაფერი შეწყდა. შეუძლებელი იყო, ბიზნესი შენარმოებინა და პარალელურად ოპოზიციამდე ვყოფილიყავი. იძულებული გავხდი, თეთრებში გამეყიდა ყველაფერი. ჩემი ბიზნესპარტნიორები, ვისზეც ქონება მქონდა გადაფორმებულნი, დაიჭირეს. მას შემდეგ ეს ქონება ათასმა „კეთილსინდისიერმა“ მყიდველმა შეისყიდა. აქციები მქონდა და ისიც გავყიდე. ოჯახის წევრები, მეგობრები მესმარებოდნენ.

— **შედი დედამისიშვილი ხართ. აღბათ დადა საიბო ტრიალებდა თქვენს მრავალშვილიან ოჯახში. ვაჟებში თქვენს დამიბაზე?**

— ოჯახში რაც მეტი დედამისიშვილია, მეტი სიყვარული ტრიალებს. ყველა დამიბი ვამაყობ. თითოეული გამორჩეული ნიჭით არის დაჯილდოებული. ჩვენი შვილებითაც ვამაყობ, ნიჭიერი თაობა მოდის. ჩემს უფროს ძმას,



სოსო მანჯავიძე ოჯახში

„ანეხია 7 წლის ახიბ. მისგან ძალიან ბეჯი ხამეს ვხნავლობ“.

დო მისი მოთხოვნის შესაბამისად. უვიზოდ გადავიყვანეთ ბელგიაში.

— **უკანონოდ საზღვრის გადაღება როგორ შექმნიდა?**

— შევძელით. ლადო ბედუქაძის ცოლ-შვილი თურქეთში გადავიყვანეთ. მან ციხიდან გამოიტანა ის ფირები, პატიმრებს თუ როგორ აყენებდნენ შეურაცხყოფას, თუმცა რეჟიმის დასამარცხებლად ეს არ იქნებოდა საკმარისი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა აკობის მიერ გადაღე-

„სოლის ივლი როზარ მქონდას, აქამდე 15-ჯერ ვიქნებოდი გულგახეთქილი“

როგორ აპირებს ვა კორკოტაშვილი ბიძინა ივანიშვილისთვის თვალების ახელას



გინო კორკოტაშვილი

სწორი კოლორი-ტული სახე, გია კორკოტაშვილი, ბოლო წლებში ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესის ეპოცენტრში იყო.

თვლის, რომ ნაციონალების ხელისუფლებასთან დაპირისპირებით ბევრ რამეზე მოუხდა უარის თქმა, თუმცა არაფერს ნანობს, რადგან ყველაზე მთავარი აქვს — თავისუფლება. ის რომანტიკული თაობის წარმომადგენელია, მაგრამ ყოფით ცხოვრებაში რომანტიკისთვის ნაკლები დრო რჩება. ოთხი შვილი ჰყავს და ამბობს, რომ მამის გამო შვილებსაც ბევრი რამ დააკლდათ.

გია კორკოტაშვილს „სარკე“ 29 იანვარს ესტუმრა ინტერვიუს ჩასაწერად. აღმოჩნდა, რომ მისი ცოლის დაბადების დღე იყო. თუ როგორ აპირებდა ამ თარიღის მილოცვას ძვირფასი მეორე ნახევრისთვის, ამაზე ქვემოთ.

ბატონო გია, რატომ აღარსად ჩანხართ?

— მორატორიუმი, რაც საზოგადოებასთან მქონდა, გინდათ, რომ დამარღვევინოთ? კარგი, მაშინ გულწრფელ აღსარებას ჩავაბარებ „სარკის“ მკითხველს.

ტელევიზიაში აღარ ვარ. ცნობილი მოვლენების დროს საზოგადოებრივი მაუწყებლის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, ბატონმა ყუბანიშვილმა, გამათავისუფლა არავითარ საქციელისთვის. ლევან ყუბანიშვილი ჩვეულებრივი დირექტორი იყო და მან ზემდგომების ბრძანება შესარულა ჩემს გაათავისუფლებასთან დაკავშირებით. მე არ ვგეგუებოდი იმ რაღაცეებს, რაც 9 წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა. თვინიერი არ ვყოფილვარ და მათ რეჟიმს არ ვემორჩილებოდი. ამის გამო დაიწყეს ჩემი სახელის სიბინძურეში ამოსვრა. ნაციონალების მიმართ სიმპათიებს არასოდეს გამოვხატავდი, სულ ვაკრიტიკებდი და ისინი საშუალებას მომცემდნენ, რამე მეკეთებინა?! დიას, ვიყავი იმ პოლიტიკის წინააღმდეგი, რასაც მთავრობა ატარებდა და ამიტომაც გადამიკეტეს გზები.

ბევრი ცნობილი ადამიანი მოერგო მათ რეჟიმს, შედეგად — საქმეც ჰქონდათ და ანაწლავურებაც.

— მე იმ საზოგადოების წარმომადგენელი ვარ, ვისთვისაც რომანტიკა ძალიან ბევრს ნიშნავს, მამა-პაპის ტრადიციები პრიორიტეტულია ჩემთვის და სიმართლე ძალიან მიყვარს. მათ, ვინც რაღაცის გამო სული გაყიდა და დიტირამბებს უმღეროდა იმ მთავრობას, თავიანთ სულს მიხედონ. მე ასე ვერ ვუყურებ ცხოვრებას. თავისუფლად ყოფნა მირჩევნია. არ მინდა, იმ ადამიანებზე ვიყო დამოკიდებული, ვინც სწორ გზას არ ადგანან. მთავრობას შეიძლება ემსახურო, მაგრამ, როგორც კი შევაპნინე, რომ ამ მანდატს ბოროტად იყენებდნენ, მათ გვერდით არ დავდექი. დღესაც რომ შეიქმმას ისეთი რეალობა, როგორშიც მაშინ აღმოვჩნდი, გამოვალ და ჩემს აზრს დავავიქსირებ.

→ 22

დავითს, საოცარი იუმორი აქვს. ყველაფერი გამოსდის ხელიდან, კარგი მეურნეა. დავითის შემდეგ მე დავიბადე, ხათუნასაც (ისე ქეთევანი ჰქვია) ძალიან კარგი იუმორი აქვს, კარგადაც მღერის, საუკეთესო დიასახლისია. ზურას კი ყველა იცნობთ, ჯგუფ „ფორტეს“ წევრია. შემდეგ მოდიან დიმიტრი, გოჩა და ნიკოლოზი. დიმიტრი თეოლოგია, სალონიკის უნივერსიტეტის თეოლოგიური ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, ხარისხიც დაიცვა. ერთი პერიოდი ათონის მთაზე ცხოვრობდა. ამ რამდენიმე თვის წინ მასთან ერთად ვიყავი წმინდა მთაზე, რაც ჩემთვის დიდი პატივი იყო. გამოაცა იმან, თუ როგორი პატივისცემით ხვდებოდნენ ათონელი ბერები დიმიტრის. გოჩა მხატვარი-დიზაინერია. ნაბოლარა, ნიკოლოზი, დასაოჯახებელია, იმედია, მალე შეირთავს ცოლს.

— თაგად სამი შვილის მამა ხართ. თქვენს დათვასების ისტორია როგორია?

— ჩემი მომავალი მეუღლე, თამარ ჩხაიძე, უნივერსიტეტში გავიცანი. პროფესიით ფსიქოლოგია. მაშინ ინტელექტუალური სალაშქრობი ხშირად ტარდებოდა, სადაც ისიც მონაწილეობდა. ასე დავუახლოვდი ჩემს ერთადერთ და განუმეორებელ მეუღლეს. 1987 წელს დავქორწინდით. გვეყოლა ქალიშვილი თეა, რომელსაც ახლა უკვე შვილი ჰყავს.

სიტყვები, პრობლემები — ყველაფერი აისახა ჩვენს ცხოვრებაზე, მაგრამ ეს პერიოდები მშვიდობიანად გადავლახეთ. ისტორიის ხორცსაკევი მანქანიდან დაუზიანებლად გამოვკვერით. კიდევ ორი შვილი გვყავს — ნინო და ნანატრი ვაჟი ანდრია. თამარი და ანდრია დემოკრატის ატომივით განუყოფლები არ-

იან, სულ ერთად დადიან. ჩემმა ცოლმა თავისი ცხოვრება შვილებს და ოჯახს მიუძღვნა. თამარი ჩემსავით ვერ იტანს უსამართლობას, სათქმელს პირდაპირ ამბობს, მოგესხენებათ გურულების სიფიცის ამბავი.

— მერე მის ფიცს ბუნებას როგორ ვუკუბით?

— მისი ხასიათი დინამიკას სძენს ჩვენს ოჯახურ ცხოვრებას. ის კარგი ფსიქოლოგია, რადგან ამდენი ხანი შეინარჩუნა ოჯახი. ეს ისე ხუმრობით. ჩვენს ოჯახს დაშლის საფრთხე არასოდეს ჰქონია.

— მშობლების „რეკორდი“ არც ერთმა დედამამიშვილმა მისცენია.

— ვერ მოვხსენით, ჩვენ შორის ზურა არის რეკორდსმენი — ოთხი შვილი ჰყავს, თუმცა ისიც სამ წრეზე წავიდა, უბრალოდ ტყუპები შეეძინა.

49 წლის ბაბუა ვარ. ნუცა 7 თვის წინ დაიბადა, ახლა პირველი კბილი ამოუვიდა. მთელი ოჯახი მის ფერებაში ვართ. ჩემს სამივე შვილს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობაა. ანდრია 7 წლის არის. მისგან ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობ. ინტერესინი და ნიჭიერი ბიჭია. სამწუხაროა, რომ მათთან ერთად ცოტა დროს ვატარებ.

— თქვენს ოჯახში თითქმის ყველა მღერის ალბათ თქვენც?

— ძალიან მიყვარს მუსიკა, სახლში ჩემთვის ხშირად ვმღერი. კარგი სმენა მაქვს და არც მუსიკალურ გემოვნებას ვუჩივი. „ფორტე“ გემოვნებით გამოირჩევა და ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი ძმა ამ ჯგუფის წევრია, მართლაც ასეა. ნიჭიერი, საოცრად კეთილი ადამიანებისგან შემდგარი გუნდია. დადებით ენერჯიას ასხივებენ. ჩემ თვალწინ მოხდა მათი შემოქმედებით და ფიზიკური ზრდაც... (იცინის). ეს ანსამბლი ძალიან მიყვარს.

— რიცხ ერთად იკრებიხით, ალბათ დიდი სუფრა იშლება.

— კი, ასეა. ზურა ჩემი ქალიშვილის ქორწილში თამადა გახლდათ. ქორწილი კი არა, ფესტივალი იყო. თეას მეგობრები, ანსამბლი „მძლევაირი“ იყო ჩვენ გვერდით, ჯეშალ სეფიაშვილი, სალომე კორკოტაშვილი, „ფორტე“. იყო განუწყვეტელი სიმღერა, ხალისი. იმხელა ენერჯია მივიღეთ, ერთი წლით დადებითად დავიმუხტეთ. დიდ ოჯახს არაფერი სჯობია, ყველანი ერთმანეთის გვერდით ვდგავართ.

✓ ლანა კიკაძე

ლიგა სამკურნალო ლიგა
„ლიგა“ სამკურნალო ლიგა
გაერთიანება

სექსოპათოლოგია

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლდინის შიშის მოხსნა

თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 19. ☎ 232 21 21, 8 790 32 21 21. www.league.ge

— ახალი მთავრობისგან რას ელოდებით ან მადლიდან უკვე თუ გავამართლათ?

— ამ მთავრობის მიმართაც ბევრი პრეტენზია მაქვს. გუნდი უნდა შედგეს პროფესიონალებისგან, ისეთი ხალხისგან, ვინც ჩვენს ქვეყანას ხალხადგება და არა — შენი თანაპარტიელებისგან, რომლებიც უვიცები არიან!

— რომ შემოთავაზონ, გვერდით დაგვიდგეთ, რას ეტყვიან?

— ჩემთვის არავის არაფერი შემოუთავაზებია, ეტყობა, მე ოქროს რეზერვი ვარ... (იცინის). ჩემო კარგო, ჯერ ჩასუნთქული ვარ და ახლა მეწყება ამოსუნთქვის პერიოდი. სულგრძელად ვიტან ამ მოლოდინს. როცა შემომთავაზებენ, დიდი სიამოვნებით დავთანხმდები. თუ ვერ შევძლებ იმ საქმის კეთებას, რასაც მომცემენ, უარს ვიტყვი. ზოგიერთისთვის შემოთავაზებას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, სადმე დანიშნონ, რაც სწორი არ არის. მედროვე ადამიანები არ მიყვარს.

მიმა საკაშვილი, ივანე მერაბიშვილი დღეს ტელევიზიით გვეუბნებიან, რომ ახალი მთავრობა საქმეს ვერ აკეთებს. ესენი არიან უტიფარი ადამიანები! რამდენი ხანიც ვიარსებებ, ასეთებს ყოველთვის დავეტაკებ... ჩვენი ქვეყანა ახლა თოთო ბავშვია, ამიტომ იმ ადამიანებს ხელ შეწყობა სჭირდებათ, ვინც მომართულია, რომ სახელმწიფო ნორმალურად ამუშავდეს. უმადური კაცი უნდა იყო, რომ ბიძინა ივანიშვილს სიკეთე დაუკარგო. ის დაუფუკარგო, სახლიდან რომ გამოვდივარ და აღარ მელოდება სამი მანქანა?! ის დაუფუკარგო, რომ აღარ მაკონტროლებენ, სად მივდივარ, რას ვამბობ?!

— ასე გიწვევდათ ცხოვრება?

— დიას!

— და ეს ყველაფერი პროტესტის საზღაური იყო.

— კი, ეს მთავრობის ჩემდამი განწყობამ განაპირობა... ბატონ ბიძინას დღეს რა გუნდიც ჰყავს, ეს არ არის საქართველოს ნაკრები, ეს არის მისი გუნდი.

— თქვენ არ მოგწონთ ის უმაღლესობა, ვინც პრემიერს უდგას გვერდით?

— „არ მომწონს“ — ეს ის სიტყვები არ არის. პრეტენზიები მაქვს, მინდა, რომ უკეთესი იყოს. ამის საშუალება კი არის.

— თქვენ ყველა გზა ჩაიკეტეს, მაგრამ თქვენი შვილი, მომღერალი ხალხი კორკოტაშვილი არც ისე დამაზარელი ჩანდა, თავის საქმიანობას აგრძელებდა, კონცერტებზე გამოდიოდა...

— იმის გამო, რომ სალომე ჩემი შვილია, ბევრი პრობლემა შეექმნა. არაერთი კონკურსიდან მოხსნეს და კონცერტებში დაბლოკეს. ჩემი მხრიდან უმადურობა იქნება, არ ვთქვა, რომ ბოლო პერიოდში კულტურის სამინისტრომ სალომეს მიმართ ინიციატივა და ყურადღება გამოიჩინა, თუმცა ჩემს შვილს დიტირამებში არავისთვის უშლერი, ის გამოდიოდა, როგორც

თვითმყოფადი შემოქმედი.

— სიმ არ გასაყვედურობდათ, რომ თქვენ გამო რადაცკები დააკლდა?

— არა, არა, მსგავსი არაფერი ყოფილა. სალომემ იცის გვერდში დგომა, ამში მაგარია! ერთი ამბავი რომ არ მოვყვე, არ შემიძლია. ჩემი შვილი, ელენე, ერთ-ერთ მუსიკალურ კონკურსში მივიდა. ის გენი-

გვერდით. იმ პერიოდში მე კიევში ვიმყოფებოდი... მატერიალური დახმარება იყო საჭირო თუ სულიერი თანაგრძნობა, ყველა გვერდით მედგა.

— თქვენს მეუღლეს, ლიზიკოს, დაბადების დღე ჰქონია, ვილოცავთ. როგორ აღენიშნეთ ეს დღე?

— კი, დღეს იუბილარია და თქვენი ყურნალის საშუალებით

და ერთად ვიყავით სიხარულის მომხრენი.

— როგორ ცხოვრობთ თქვენი ოჯახი, სადმე მუშაობთ, რა არის თქვენი შემოსავლის წყარო?

— არავითარი შემოსავლის წყარო არ მქონდა, თუ არ ჩავთვლით სალომეს კონცერტებს. ჩემი სამშაკაცო ყოველთვის გვერდით მიდგას. ისეთი სიტუაცია მქონდა, რომ მეგობრებს ვურეკავდი, ვუბნებოდი, ხვალ სინათლეს გამოიერთავენ, მიშველეთ-მეთქი.

ჩვენი ოჯახი დღეს „ბუქსა-ოლს“... (იცინის). სამსახური არ მაქვს. მინდა, საზოგადოებრივ შრომაში ჩავეხვე. ვინც არ არის გაბოროტებული ადამიანი, თუ სურვილი აქვს, შემოგვიერთდეს.

— რას გულისხმობთ „საზოგადოებრივ შრომაში“, რას გეკმაკეთ?

— მე პატივს ვცემ ბიძინა ივანიშვილს და, როცა ადამიანის სიყვარული და პატივისცემა გაგაჩნია და ის იწყებს შეცდომების დაშვებას, მაშინ უნდა მიუთითო, ჩაერიო. თუ არ ჩაერიო, ესე იგი შენი ახლობელი არ არის და სერიის საყურებლად ემზადები. ჩვენ კი სერიის საყურებლები არ ვართ. ვილატების რევანშისტულ მოსვლას აღარ დავუშვებთ.

მინდა, საზოგადოების ის ნაწილი მოგროვდეს, ვინც სიმართლეს იტყვის და მთავრობისგან არავითარი მატერიალური დაინტერესება არ ექნება. ნელ-ნელა ვიკრიბებით ყველა სფეროდან. ისეთი ადამიანები იქნებიან, ვისზეც აუცილებლად იტყვიან, ეს არ იქნება პარტია, არამედ საზოგადოებრივი მოძრაობა.

— მბაბტიყო, მაგრამ არ შემიძლია არ გაითხოვოთ, თავზე ჭრილობა რატომ გაქვთ?

— რადიო „საქართველოს ხმაში“ გავავეთ გადაცემა „კორკოტას დილა“, ძველით ახალ წელს რადიო თანამშრომლები შეგვხვდით ერთში. იქიდან რომ მოვდიოდი, ტაქსი დამეჯახა და ამომაციარა. მადლობა ღმერთს, გადავრჩი. ტაქსის მძღოლმა ცოცხალი რომ დამინახა, ამოსუნთქა. 14 ნაკერი დამადეს, კარგი გაკერილი ვარ, მაგრამ მაინც მინდა, კუზანოვის კლინიკაში მივიდო... (იცინის). ღმერთმა კიდევ კრთხელ გამაფრთხილა და მომიწოდა წესიერებისკენ — თავი გამიტყხა.

— სასჯამო მართაფთ? საქვს?

— არა, რას ამბობთ?! ახალი წელს არ დამილევათ! სმა რომ დამეწყო, ვიცილი, მაისამდე ვეღარ დავამთავრებდი... (იცინის). თქვენი ყურნალის საშუალებით სპონსორებს მინდა მივმართო, წლებია რადიო „საქართველოს ხმა“ არსებობს და დააფინანსეთ. მაინცდამაინც მე რადიოს და ტელევიზიის ნუ დააფინანსებთ, რომელიც მთავრობას ეკუთვნის. დაქვამეთ „საქართველოს ხმას“, რომელსაც იკოროვნები „სკოჩით“ აქვს დამაგრებული.

✓ ლანა კიკნაძე



■ გია შვილაძე, სანკრიკოსი და სალომესთან ერთად

„შვილებს ჩემ გამო ბუჯი დააქდათ“.

ალურად უკრავს და მღერის. იცით, კასტინგზე უიურმ რა უთხრა? რა არის, კორკოტაშვილებს ყველაგან სიმღერა გინდათო. მაგათ რომ უიურმი ყოფნა უნდათ, არა უშავს?!

— პრიუქტ „ჯეოსტარზ“ და ყურის წვერ მარინა ბერძიქუ საუბრებით?

— თვითონ მიხვდება, ვისზეც ვლაპარაკობ. ბავშვი გამოვიდა და იმღერა, ხომ შეიძლებოდა ეთქვათ, არ მომწონს ნამღერი, წაბრძანდითო. დაცინვა „ხოშიანად“ იციან! ახალგაზრდა მომღერალს რომ ეუბნები, შეგჭამეთ ამ კორკოტაშვილებმაო, ეს არასწორი მიდგომა... შვილების თემას დაუბრუნდები. უფროსები, სალომე და ვაჟიკო, სწორედ იმ პერიოდში გაიზარდნენ, როცა სკოლას ფუნქცია ჰქონდა დაკარგული. ვერ გამოვდექი ისეთი მამა, რომ შვილებისთვის სწავლა დამეძალებინა. მიხარია, რომ დღეს არის იმის შანსი, ბავშვებმა ისწავლონ. სანდრიკა ქეთი დოჩანაშვილის სკოლაში სწავლობს. მუსიკალურ ათწლეულშიც დადის.

— გასულ წელს თქვენი გაუფაქრეს, ახლა როგორ არის?

— ღვთის წყალობით, ვაჟიკო გადარჩა, მაგრამ ამ ინციდენტის დროს მასთან ერთად ვინც იყო, გიორგი, გარდაიცვალა. ვაჟიკო დიდ განცდებშია და ამ თემაზე გვიჭირს საუბარი. გასული წელი ჩვენი ოჯახისთვის ძალიან მძიმე იყო. ბევრი ადამიანი დამიღვა

დაბადების დღეს კიდევ ერთხელ ვულოცავ. ადრე სულ მსაყვედურობდა, უყურადღებო ხარ, ყვავილებს არ მჩუქნიო. ერთხელ გამოვიარე და წყნეთელი კაცი იასაშენებს ყიდდა. ყვავილები რომ დავსუნე, მაშინ მომინდა მეჩუქებინა ცოლისთვის. იმდენი იასაშენი ვიყიდე, ხელში არ მეტყოდა. შინ რომ მოვდი, ეძინა და ყვავილები მძინარეს გადავყარე.

დღეს მეგობრებს ველოდებით, ტორტი გვექნება და სიმღერას „რალამაზი დღეა“ ვუმღერებთ.

— საერთოდ როგორი ქმარი ხართ?

— ჩემი და ლიზიკოს კოჰაბიტაცია 1986 წლიდან დღემდე გრძელდება. ის ოჯახში შინაგან საქმეთა მინისტრია. ლიზიკოს იმედი რომ

„ვინც ახ სიხს გაბოხოტებული ადამიანი, თუ სუხიდი აქვს, შემოგვიხიდეს... ხმაც ადამიანის სიყვარული და პატივისცემა გაგაჩნია და ის იწყებს შეცდომების დაშვებას, მაშინ უნდა მიუთითო, ჩაეხიო“.

არ მქონდეს, აქამდე 15-ჯერ ვიქნებოდი გულგახეთქილი. ხომ იცით, ციხე შიგნიდან ტყდება. ღვთის წყალობით, ჩემი ოჯახის გვერდში დგომით ციხე შიგნიდან არ გატყდება. რა ვიცი, ერთმანეთი გვიყვარს, 26 წელია ცოლ-ქმარი ვართ, ერთად გადავლახეთ სიმწიფეები

ნინი შერადინი ნიუ იორკში რესპორაჟი პლანის

„ამერიკელებს „ქართლის ცხოვრებას“ ვაცნობ“



CLUB MONACO JAN 2 8:00PM

ნინი შერადინის აუთი. კლუბი „მონაკო“ ბრაუნინში

სოსო რათი გენმარებათ?

— ამერიკაში საკუთარი თავის გარდა ვერავინ და ვერაფერი დაგეგმარება. ჩემი თავის პატრონი ყოველთვის მე ვიყავი და ახლაც ასეა, თუმცა უყურადღებოდ არ ვარ, სოსო თოლორაია მემარება. მის გარდა სხვებიც ზრუნავენ ჩემზე. ის ოჯახი, სადაც ვცხოვრობ, ჩემი დიდი ხნის მეგობრები არიან საბერძნეთიდან. ცოლ-ქმარ ზურა სისარულიძისთან და ნინო ცხოვრებაში ვიქცევი ვარ. ზურა მსახიობია, 17 თებერვალს აქ „თეთრ ბაიარებს“ დგამენ და იქ თამაშობს, ხალხურ ანსამბლშიც მღერის. ასეთ შემთხვევებით ოჯახში ვარ. ბიძაჩემიც აქ ცხოვრობს და, როცა სცალია, მენახანება.

— ამ პერიოდის განმავლობაში ყველაზე მეტად რა გავაჭირდათ, რა სირთულეებს შეხვდით?

— სირთულეებს შევხვდებო, რომ გითხრა, მართალი არ ვიქნები, თუმცა თავიდან, ცოტა არ იყოს, შემეშინდა. ამერიკა ძალიან დიდი ქვეყანაა, ასეთი დიდი შერა...

„ჯიპსი კინგის“ გენაჩისგან სინგლის ჩანეხა შემომთავაზა.

ბები მალლიდან რომ დაგყურებს, გეშინია, არ დაიკარგო, მაგრამ საკმარისია, ხელში რუჯა აიღო და ყველაფერი ნათელი ხდება. არც ენის ბარიერი მაქვს. მთავარია არაფრის შეგეშინდეს და დარწმუნებული იყო იმაში, რასაც აკეთებ. ჩემს ცხოვრებაში სიტყვები „ვერ გავაკეთებ“, „ვერ შევძლებ“ არ არსებობს, ასეთი რამ არასდროს მითქვამს. ეს ჯერ კიდევ თეატრალურში ყოფნისას მასწავლებს, რომ არ უნდა ვთქვა.

— თავს რა შექობავით ირჩენ?

— აქ ჩამოვედი თუ არა, მაშინვე ძალიან პრესტიჟულ რესტორანში, „პასაჟში“ დავიწყე სიმღერა, ანუ სამსახურიც ვიშოვე. რუსული რესტორანია, სადაც ყოველ კვირას ვმღერი. ამას გარდა, მანჰეტენზე ასეთივე პრესტიჟული კლუბი გაიხსნა, რომელსაც „პეპელა“ ჰქვია. იქ

ჯგუფი „ჯიპსი კინგი“ უკრავს. არ ვიცი, მათ ვინ უთხრა, რომ ჩამოსული ვიყავი და გასაუბრებზე დამიბარეს. მივედი, მომისმინეს და ძალიან მოვეწონე. მათთან ერთად ვიმღერე. შემომთავაზეს, რომ ყოველ საღამოს მე და „ჯიპსი კინგის“ ერთ-ერთი გიტარისტი (მას გაბრიელი ჰქვია) მაყურებლის წინაშე წარვდგეთ. გაბრიელი კომპოზიტორიც გახლავთ, ესპანურ სიმღერებს წერს. შემომთავაზა, რომ რამდენიმე სიმღერა ჩავწეროთ და სინგლი გამოვუშვათ. ამას გარდა, რაღაც კონკურსებისთვისაც ვმუშაობდი და ამის შესახებ მოგვიანებით შეგატყობინებ.

— რა შთაბეჭდილება დაგატოვებს „ჯიპსი კინგის“ წევრებმა, რაგორები არიან ურთიერთობაში?

— აქ ვინც ვნახე, ყველა უშუალოა. ძალიან უხარიათ, როცა მიხვალ და კომპლიმენტს ეტყვი. ჯგუფის წევრებმა ხალხს ჩემი თავი ასე წარუდგინეს: „საოცარი მომღერალი გვიქნა წარმოგადგინოთ, ისეთი მაგარი ხმის მქონე ადამიანია, არ გვეფერა, რომ ეს გოგონა აქ ვიპოვეთ, ეს გვეამყება“. მათ ტელეფონის ნომერი გამომართვეს და ხშირად მეკონტაქტებიან.

— მანჰეტენში კიდევ რაიმე მსახიობის ნომერი გაქვთ?

— აქ პოპულარულ ადამიანებს ძალიან ხშირად ნახავთ. ფეხბურთულ დეიდ ბექჰემს ერთ-ერთ კლუბში შეხვებდი. გასასვლელში ვიდექი, უკაცრავად, თუ შეიძლება გავივლიო, მითხრა. ძალიან სასიამოვნოა-მეთქი, ვუთხარი და გავუღიმე.

— ბექჰემს თქვენი ნამღერის სიმ არ მთავსებ?

— არა, მანჰეტენზე ერთ-ერთ კლუბში მეგობარ გოგონებთან ერთად ვიყავი და ბექჰემს ასე შემთხვევით გადავეყარე. თურმე პიერი ანრი მეტროტი დადის. ჩვენი კალათბურთელის, თორნიკე შენგელიას გუნდის „ბრუკლინ ნეტსის“ თამაშზე ვიყავი. ჩემ წინ ჯეიზი იჯდა. სურათები გადავუღე. ამ ყველაფერს „ფეისბუქზე“ ვტვირთავ ხოლმე, რომ ჩემებმა ნახონ.

— „ჯიპსი კინგის“ წევრებმა რაიმე თუ ცდიდნენ საქართველოს შესახებ?

— როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, აქ ჩვენ შესახებ იციან, გაიგეს, რომ ვარსებობთ და შტატ ჯორჯიაში ალარ ვეშლებით. ვისაც ვუბნობ, რომ ჯორჯიიდან ვარ, მყითხებიან, ქვეყნიდან. თუმცა ჰგონიათ, რომ რუსეთთან ვართ ახლოს და რამდენიმე გადაწყვეტილებაც, ჩემთან რუსულად ესაუბრა. სულ იმის მტკიცებაში ვარ, რომ ჩვენ რუსულად არ ვსაუბრობთ, ჩვენ სხვა, საკუთარი ენა და დამწერლობა გვაქვს, რომელიც არაფერს არ გვაქვს. ერთი სიტყვით, ამერიკელებს „ქართლის ცხოვრებას“ ვაცნობ.

— როგორ ცხოვრობენ რაიონი ამერიკელები, მათ რაიმე რაიმე რაიმე?

— მე ბრუკლინში ვცხოვრობ, მანჰეტენზე ბინები ძალიან ძვირი ღირს და ჩემი ჯიბე ჯერ ამდენს ვერ სწვდება. ბრუკლინიდან მანჰეტენზე მატარებლით ან მეტროთი ზუსტად საათნახევარი უნდა. აქ ადამიანების დილა 5-6 საათზე, სუფთა ჰაერზე გავლით იწყება. ყველა მუშაობს და სამსახურში მიდის, ყველა ყავით ხელში მოძრაობს. მეტროში ადამიანს ვერ ნახავთ, რომელიც არ კითხულობს. აქ ნიგის კულტურა ძალიან მაღალია. ნიგის ბევრი მალაზიაა. როცა ადამიანები მეტროთი მგზავრობენ და ბევრი თავისუფალი დრო აქვთ, კითხულობენ. რაც შეეხება მანჰეტენში ცხოვრებას, კლუბებშიც განსხვავებულია, მუსიკით, მომსახურებით, ინტერიერით.

ყველა ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობს. ვარჯიშობენ, ყველას საკუთარი საქმე აქვს. აქ წუთის უქმად დაკარგვა არ შეიძლება. სახლშიც თუ ზისარ, რაღაცეები უნდა აკეთო, ინტერნეტში რაღაცეები ეძებო, კასტინგებისთვის მოემზადო, მეტი ინფორმაცია მიიღო, ისწავლო. ჩემი ყველა წუთი გათვლილი და დაკავებულია.

— საქართველოში რაიმე ახალი რამის ჩამოსვლა?

— ათწლიანი ვიზა მაქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ ამდენი წლით ჩამოვედი. მალე ისევ ჩამოვალ საქართველოში და განახავთ. შეიძლება ზაფხულში ორი კვირით ჩამოვიდე.

— თავისუფალი შორს ყოფნას მიყვებით თუ ისევ გიჭირთ?

— ძალიან მიჭირს და ყველანი ძალიან მენატრებიან... ურთულესია, როცა ასე ერთბაშად ყველას მიატოვებ და სხვა ქვეყანაში წახვალ, მაგრამ მე აქ ისეთი ადამიანებს, მშობლებს ვხვდები, რომლებსაც წლებია თავიანთი შვილები არ უნახავთ და არც იცინა, ეს როდის ელოდებოთ. ამიტომ უფლება არ მაქვს, ვთქვა, რომ დეპრესიაში ვარ. აქ ქართველი ემიგრანტები თავიანთი შვილების კარგი მომავლისთვის წვალაობენ, ამიტომ ვერ ვწუწუნებ, რომ ბავშვი მომენატრა. თან ყველაზე კარგი ის არის, რომ მე ნებისმიერ დროს შემიძლია საქართველოში ჩამოვიდე. უბრალოდ, მინდა აქ დავვადგე, ავეწყო. როცა ჩემს მომავალს მიმართულებას მივცემ, მერე უფრო ადვილი იქნება ყველაფერი.

✓ კა ლეონიჯა

მამუკა ლლონტი: „არს ერთ არსზე „ქართულ ოცნებას“ ისე არ აკრიტიკებენ, როგორც ჩვენთან“ „მეცხრე“ ანარქიკალური ხდება

ელეკომპანია „მეცხრე“ კვლავ რეორგანიზაციაში მდინარეობს. არხი საბოლოო სახეს ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მიიღებს. როგორც „სარკესთან“ საუბარში დამფუძნებელი მამუკა ლლონტი ამბობს, არხი ფორმატს იცვლის, ის იქნება მაქსიმალურად დაბალანსებული, დამოუკიდებელი ტელევიზია და არა ისეთი რადიკალური, როგორც აქამდე იყო. ამ გადაწყვეტილებას, ასე ვთქვათ, შალვა რამიშვილის დილის გადაცემაც კი შეეწირა და საბოლოოდ არხიდან შალვას წასვლაც მოჰყვა.

ტელეკომპანიის უმთავრესი აქცენტი გასართობ გადაცემებზე გაკეთდება, თუმცა, მამუკა ლლონტის თქმით, ეს სულაც არ გულისხმობს საინფორმაციო არსზე პოლიტიკის ნაკლებობას. იქნება ორი არხი, „მეცხრე“ (გასართობი) და „მეცხრე 24“ (24 საათიანი საინფორმაციო).

— ბატონო მამუკა, რატომ ელიდებით მანკადამისც საპრეზიდენტო არჩევნებს, რომ თქვენს არსზე რეორგანიზაცია დასრულდეს?

— არჩევნებისთვის ყველა ტელეკომპანია ემზადება. ეს არის პერიოდი, როცა დამატებითი თანხები პოლიტიკური რეკლამიდანაც შემოდის. ამ ფულით რაღაცეების გაცემაზე ვაპირებთ, ახალი სტუდიების და ასე შემდეგ. „მეცხრე“ მთლიანად სარეკლამო შემოსავლებზე დამოკიდებული არანაირი შემოწირულობა, დახმარება აღარ გვაქვს. ახლა ყველაფრისთვის კრედიტს ვიღებთ.

— რამდენსე წამყვანმა ურნაღისტმა — ნანა ლეჟავამ, შალვა რამიშვილმა — თქვენს არხს დატოვა. შალვამ თქვა, რომ „მეცხრეზე“ თავისი შესაძლებლობები ამოწურა. რას ნიშნავს თქვენთვის ამ ადამიანების წასვლა, რომლებიც ამ არხის რეიტინგს ქსნდნენ?

— რა თქმა უნდა, ეს დანაკლისია, მაგრამ ჩვეულებრივი პროცესია. შალვას აბსოლუტურად ვეთანხმები იმაში, რომ „მეცხრეში“ საკუთარი თავი ამოწურა.

— ამ სიტყვებში რას გულისხმობთ?

— ერთია ის, რაც არჩევნებამდე ხდებოდა, იმ პირობებში, რა პირობებშიც ჩვენ ყველანი ვცხოვრობდით, იმ ფორმით, რა ფორმითაც შალვა გადაცემა მიჰყავდა. არ ვამბობ, რომ ეს ფორმა ცუდია, მაგრამ ახლა ვცდილობთ, ჩვენი არხი უფრო ზომიერი, არარადიკალური გახდეს. მაგალითისთვის ისევ და ისევ ყაბაღაღაბულ დილის გადაცემას შევხვები. ვთვლით, რომ ისეთი დილის გადაცემა, როგორც აქამდე იყო, საჭირო არ არის. მირჩევნია, საინფორმაციო არსზე დილით პრესის მიმოხილვა მქონდეს, ვიდრე დაპატიმრებების გარჩევა, ამას ახალი ამბები გააკეთებს.

სხვადასხვა ვითარებაში არხი სხვადასხვანაირად მუშაობს. ჩვენი მთავარი ამოცანაა, ტელევიზია მაქსიმალურად დაბალანსებული, დამოუკიდებელი იყოს. ქვეყანასაც და „მეცხრესაც“ მანსი აქვს, რომ ასეთი ტელევიზია გაკეთდეს. მთავარია, ასეთმა არხმა დაახლოებით 5 წელი მაინც იარსებოს, რაც ქვეყნისთვის საკმაოდ წინგადდგმული ნაბიჯი იქნება. შალვა რამიშვილის მიმართულება ჩვენთვის მისაღები აღარ იყო, თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ მას არც მიმართულებას ვუწუნებ და არც ურნაღისტიკას. პირიქით, დიდი მადლობა მას მიმისთვის, რაც ამ წლებში განმავლობაში გვაკეთა. რაც შეეხება ლეჟავას, თვითონ მისი სურვილი იყო „მეცხრე არსზე“ გადასვლა.

— ეს ყველაფერი როგორ აისახება მათთან თქვენს პირად ურთიერთობებზე და საერთოდ, რა ხდება, როცა ურნაღისტიკები არსს ტოვებენ?

— ყველასთან ვემგობრობ. თუნა გეგელია, რომელიც თავის დროზე „მეცხრე არსზე“ გადავიდა, ახლა ისევ ჩვენთან მუშაობს. ჯონი კალანდაძე „იმედიში“ გადავიდა. თუ ურნაღისტი არხიდან ნორმალურად მიდის, ჩვენ შორის რაღაც კონფლიქტი არ ხდება, ჩვეულებრივად ვემგობრობთ. სულ იმას ვამბობ, რომ გვერდით თავისუფალი ადამიანები, თავისუფალი ურნაღისტიკები მჭირდება, რომლებიც ჩემზე მობოზული არ იქნებიან, რომელთა ვალი არც მე შეეწება და არც მათ ექნებათ ჩემი.

არ შეიძლება ამ ყველაფერს მენეჯმენტი აგრესიით ხედებოდეს. თუ ვინმეს არხიდან წასვლას აგრესიულად შეხედები, ვინც შენთან რჩება, ის კომპლექსდება. იფიქრებს, მეც რომ წასვლა მომიხდეს, ალბათ ჩემზეც გაბრაზდებიანო, ამიტომ მსგავსი რამ მიუღებლად მიმაჩნია. 20 წლის განმავლობაში, რაც ტელევიზიაში ვმუშაობ, ერთი შემთხვევაც არ ყოფილა და ერთი ურნაღისტიკიც ვერ იტყვის, რომ სარედაქციო მუშაობაში ჩავრეულვარ. იმ შემთხვევაში ვერცა, თუ რაიმე იცვლება, ფორმულიდან ვარდება ან, თუ რაიმე არ მომეწონა, მერე განვიხილავ.

— თქვენმა ტელეკომპანიამ პოლიტიკურ პროცესებში ძალიან დიდი როლი ითამაშა. პოლიტიკური რეალობა შეიცვალა. სიმ არ იკლებს ის კრიტიკა, სიმადრე, რაც აქამდე გქონდათ, რადგან პოლიტიკაზე ნაკლებ აქცენტს გააკეთებთ...

— საიდან დასკვენით, რომ პოლიტიკაზე ნაკლებ აქცენტს ვაკეთებთ?

— თუნდაც აქედან, რომ ეთერში მწვავე გადაცემები აღარ იქნება.

— მე ფორმა ვიგულისხმებ, მაგალითად, შალვა რამიშვილის პრეზიდენტზე შეუძლია თქვას „ნაძირალა“, „ეს ტიპი“. მსგავს ფორმებზე ვამბობ, თორემ ჩვენთან ახლა „ქართული ოცნების“ კრიტიკა რომ არის, თუნდაც ვასიკო ოდიშელის გადაცემაში, ტოქ შოუებში, ნებისმიერი სხვა არხი მაჩვენებ, სადაც მსგავსი რამ ხდება. ხშირად გადაამეტებული კრიტიკაც კი გვაქვს. სადაც კრიტიკა არ არის, იქ საინფორმაციო არხი არ იქნება, ის იქნება პიარორგანიზაცია, როგორც თავის დროზე „რუსთავი 2“ და „იმედი“ იყო. ეს ურნაღისტიკა არ იყო.

— ხელისუფლებას მოუწოდებ, რომ არ მისუღიყვნენ იმ ტელეკომპანიებში, რომლებიც თავის დროზე ოპოზიციის წარმომადგენლებს ბლიკაუდნენ, რამ გავაკეთებინათ ასეთი განცხადება?

— პოლიტიკოსები ყველა ტელეარხზე უნდა მივიდნენ, მაგრამ მათ მოვუწოდებ, რომ თამაზის გარკვეული რესურსები დაუხარჯონ. თუ ნაცების ოლდერები არ მოვლენ „მეცხრეში“ ან სხვა ობიექტურ



მამუკა ლლონტი

„მიჩვენია, საინფორმაციო ახსზე დილით ჰესის მიმოხილვა მქონდეს, ვიხე დაპატიმრებების გაჩევა... შალვა რამიშვილის მიმართულება ჩვენთვის მისაღები აღა იყო“.

ტელეარხზე, მაშინ იმ არხების გადაცემებში მონაწილეობაზე ხელისუფლებამაც თქვას უარი.

— ამას წინათ ვაგვიგე რომ ვასიკო ოდიშელის სურბობამ, რომეკილის რეისს მშენებლის გამო ბიძის ივანეშვილის შესაძლო დაკითხვას უკავშირდებოდა, პრეკემინისტრი განასწავნა. ეს სიმართლეა?

— ასეთი რამ არ მსმენია. რეისს მშენებლობაზე საუბარი ალბათ ყველაზე პატარა კრიტიკა იყო, რაც ბატონ ბიძინას ვასიკოსგან აქვს. მას და „ოცნებასაც“ ყოველდღე უზარმაზარი კრიტიკა ხვდება. ბიძინა ივანიშვილთან ისეთი ურთიერთობა არ მქვს, რომ ყოველდღე ვსაუბრო, მაგრამ რომ სწყენოდა, გავიგებდი მაინც ვივითომ, ეს ჭორია.

— სინთა ფიცილიაფილის „პოლიტიკური“ ეთერში ვაგვიდა. ეს გადაცემა კვლავ დარჩება ამ არხზე?

— რა თქმა უნდა. სინთა შევუტლებში იყო, შრი ლანკაზე ისვენებდა, შემდეგ სტრასბურგში გახლდათ და ახლა განაგრძობს მუშაობას. ეს იყო ჩვეულებრივი შევტლება, რომელსაც აურზაური მოჰყვა.

— ახალ პოლიტიკურ ვითარებაში მუშაობა მოეწონებ?

— მაგიდაზე ვაკაუნებ — ძალიან კარგია. პოლიტიკურ შეცდომებზე არ ვამბობ, მედიის მუშაობას ვგულისხმობ. მინისტრი იქნება თუ გენერალური პროკურორი, როგორც კი დაუქანებ, ისეთ რთულ გადაცემაშიც მოდიან, როგორც „პრეს-პრესია“. იქ კი ნებისმიერი კითხვა შეიძლება დაისვას. კომუნიკაციის პრობლემა, სატელეფონო ზარები, მუქარები არ გვაქვს. ამ ეტაპზე მუშაობა ძალიან კომფორტულია, საჯარო ინფორმაციის მოპოვება, სტუმრის მოყვანა ადვილია.

— წლებს წინ პირველი გასართობი არხი თქვენ ვაკაეთებ. მუსუკადა ამისა, რამდენად ადვილია პოლიტიკიდან ისევ გასართობი არხის ფორმატზე გადასვლა?

— ის საქმე ძალიან მენატრება და მერჩინა კიდევ, მაგრამ ალმოვარინე, რომ საინფორმაციო ფორმატიც შემყარებია. ისიც აღმოვარინე, რომ ძალიან მიჭირს იმ ფორმატზე დაბრუნება. შესაბამისად, ძალიან მაღალი პროფესიონალებს მივუბრუნებ, რომლებიც ამ ტვირთს მიმსუბუქებენ.

— რა მსივი გიჭირებ?

— მაგალითად, ახლა არ ვიცი, შოუბიზნესში რა ხდება. რალა გვარბს მუშაობებიან, რომლებიც არ გამიგია. დასლოებით მ წელი ჩამოვშორდი სფეროს, რომელშიც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ვიყავი და ამის თქმა არ მერიდება. ახლა კი აღმოვარინე, რომ ძალიან ბევრი რამ არ ვიცი არც პიროვნებებისა და არც მიმდინარეობების შესახებ. თავის დროზე არც საინფორმაციო საქმე ვიცოდი და იმედი მქვს, რომ ადამტაციას გავივლი.

თუ შევქვლით და ისევ ისეთი ცოცხალი, უშუალო გადაცემები ვაკაეთებთ და დარწმუნებული ვარ, რომ ამას შევძლებთ, გამორჩეული ვიქნებით. ძალიან მაღლე ეთერში დილის გადაცემაც გავა.

— ყველა არსზე გადის დილის გადაცემა. რას შეისთავაზებთ მაყურებელს ისეთს, რაც სხვებზე არ იქნება?

— შინაარსობრივად ამას ვერ შევძლებთ, რადგან ეს გარკვეული ფორმულაა, მაგრამ პირობითად ვამბობ, სპექტაკლი „რომეო და ჯულიეტა“ შეიძლება რამდენიმე თეატრმა დადგას, უხეშად რომ ავსოს, ვეცდებით, სხვაზე უკეთესად დავდგათ. დილის გადაცემას ხუთი თუ ექვსი წამყვანი ეყოლება. გვარების ჩამოთვლას არ დავიწყებ. ბევრი ძველი მავსტროელი რეჟისორი, ურუნალისტი, მემონტაჟე, წამყვანი დავიბრუნეთ, სხვადასხვა მიზეზის გამო ჩვენთან რომ აღარ იყვნენ.

— პოლიტიკას გულისხმობთ?
— არამხოლოდ პოლიტიკის გამო. ჩვენ საშუალება არ გვქონდა, ხელფასი მიგვეცა, მათ კი ოჯახები ჰყავდათ სარჩენი. რაც მთავარია, მათი დიდი ნაწილი დავიბრუნეთ.

— ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ სოსო თოლორაძისთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები.

— ძალიან გვინდა, სოსო თოლორაძია პროექტისთვის ჩამოვიყვანოთ. ეს იქნება რეალური შოუ, რომელიც მუსიკალური კონკურსის ჩატარებას ისახავს მიზნად. სწორედ ამ პროექტის ერთ-ერთ წამყვანად გვინდა სოსოს მოწვევა.

— „სარკესთან“ წინა ინტერვიუში თქვით, რომ შესაძლებელი იყო, მაკა ასათიანსაც წაეყვანა გადაცემა.

— ეს ახლაც არ არის გამორიცხული, უბრალოდ მაკას ძალიან რთული გრაფიკი აქვს. ქვეყნიდან ქვეყანაში იმდენს დაფრინავს თავისი საქმის გამო, რომ არ ვიცი, რამდენად შეძლებს გადაცემის წაყვანასაც. ჯერჯერობით გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

— ერთი კაწმარიშვილს სასამართლო პროცესი მოუგეთ. წინ კიდევ ერთი პროცესია. რა გათვლებს აკეთებთ?

— კი, ორი პროცესი მოვიგეთ და ახლა მესამე იქნება. სასამართლო გადაწყვეტს და თუ ის

„ახლა ახ ვიცი, მოუბიზნესში ხა ხდება. ხალაყ გვახებს მეუბნებიან, ხომლებიც ახ გამიგია. დაახლოებით 8 წელი ჩამოვმოხიდი სეფიხს, ხომლებიც ერთ-ერთი ყველაზე ძვირეი ვიყავი“.

დამნაშავეა, დაისჯება. თუ განაჩენით უკმაყოფილო ვიქნებით, სტრასბურგამდე გავალთ.

— დასჯაზე გამბხსენდა, სიცაილურ სქელ-ში განსიღვის საგანს ვასდა „ფეისბუქზე“ თქვენს სტატუსს, რომელიც ირაკლი ალასანიას მისამართით გეწერათ: „არ მომწონს, რიცა ჩემი ქვეყნის თავდაცვის მინისტრს ბავშვივით სჯიან“. თუ დამნაშავეა, რატომ არ უნდა დაისჯავს?

— თუ აშავებს, ყველა უნდა დაისჯავს. მე ამაში ალასანიას კმაყოფილება ვიგულისხმებ იმისადმი, რაც მოხდა. ამ შემთხვევაში ალასანიას პოზიცია უფრო არ მომეწონა, ვიდრე პრემიერმინისტრის. ამაზე ვასიკო ოდიშვილს კარგი ხუმრობა ჰქონდა: „ალასანიას ეკითხებიან, რატომ მოგხსენსო, იმიტომ, რომ თავდაცვის სამინისტროში ბევრი საქმე მქონდაო. ორი კვირის მერე იქიდანაც მოხსენს. რატომ მოგხსენსო, ჰკითხეს, იმიტომ, რომ სახლში ბევრი საქმე მქონდაო“. ალასანიას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, არ ვიცი, რა პოლიტიკური ვითარება იყო, მაგრამ მისგან მეტ პროტესტს ველოდი. ეს ჩემი სუბიექტური აზრია, რომელიც ჩემი „ფეისბუქის“ გვერდზე დავწერე.

ქის“ გვერდზე დავწერე.

— ცოტა ჰირადზეც ვისაუბროთ. ახლანან კიდევ ერთი, სიმამრის სტატუსი შეგემატათ, ქალიშვილი გავთისოვდათ. ვინ არის თქვენი სიძე?

— დავით ავალიანს დაახლოებით 8 წელია ვიცნობ. 6 წლის წინ მან თამუნას მოტაცება სცადა. ჩვენ დავილაპარაკეთ და შევთანხმდით, რომ ოჯახის შექმნისთვის ჯერ ძალიან პატარები იყვნენ. მთელი ეს პერიოდი მათ ერთმანეთი უყვარდათ. ბოლოს, როცა უნივერსიტეტი დაამთავრეს და ჩამოყალიბდნენ, შეუღლდნენ კიდევ.

— რას საქმიანობს თქვენი სიძე?

— დავითი პროფესიით ექიმი. ჯერჯერობით არსად მუშაობს, აქ არის და სატელევიზიო საქმეს სწავლობს.

— მიგწინთ სიმამრის როლი?

— ასეთი პრინციპი მაქვს: მთავარია, ჩემი შვილი იყოს ბედნიერი, ყველაფერი სხვა ამის შემდეგაა. ჩემი შვილი კი ბედნიერია. მეც ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასეთი სიძე მყავს. ძალიან კარგი, პატიოსანი ადამიანია, კარგ ოჯახშია გაზრდილი და მასთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს.

— როგორ შეაჯამებთ თქვენს ამჟამინდელ ცხოვრებას?

— ახლა ჩემს ცხოვრებაში ისევ ის ეტაპია, რაც ყოველთვის მქონდა, ანუ თავბრუდამხვევი ეტაპი, როცა მთელი ღამე იმის ფიქრში ატარებ, ბიზნესის თვალსაზრისითრა გააკეთო; როცა სასწრები არ გყოფნის და მაინც ცდილობ, რაღაც ახალი მოიფიქრო, ტყავიდან გამოქრე. ერთი მხრივ, კარგია, როცა ასეთი რიტმით ცხოვრობ, მეორე მხრივ კი, ცოტა დამღლეულია.

✓ **კა ლემონჯავა**

www.abdiibrahim.com.tr

უფუთნეთ „ჯაეთრის ინფაქციები“ თაქანი ოჯახის ერთბული ეპოზრების დასაქრებით

ბენეტი
ორალური სპრეი

ბენეტი პლიუსი
ორალური სპრეი



ყელის ცივილინა და პირ-ხახის ინფაქციურ-ათეაბითი დაავადებების ეფექტური, სწრაფი და უსაფრთხო ეპურნალობა

- ▶ სწრაფად ხსნის ცივილინა და დისკომფორტს
- ▶ უზრუნველყოფს ხანგრძლივ გაუტვიკვარებას
- ▶ აუფრთხილებს ღებინას და ყლაპვის ფუნქციას
- ▶ გამოიყენება ყველა ასაკობრივ ჯგუფში: ბავშვებში, მოზრდილებსა და ხანდაზოულბში
- ▶ აქვს სასიომპრო ბაქო

ბენეტი სპრეის გამოყენება შეიძლება 6 წლამდე ასაკის ბავშვებში, ხოლო ბენეტი პლიუსი ბავშვებში ინიშნება 6 წლის ასაკიდან.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

საქართველო, თბილისი 0112.
დ. აღმაშენებლის ბაზა. 148/III



ბენეტი
ბენზიდამინი



ბენეტი პლიუსი
ბენზიდამინი/ქლორპექსილინი

დათო ევგენიძე: „ჩვენა ქალიშვილა 12 წლამდე არ იცოდა, რომ მამაშისი ვიყავი“ მუსიკოსი ეველა შვილის ერთად შეკრებას აპირებს

ჩოგორი მრავალფეროვანი, ემოციური და გულწრფელიცაა დათო ევგენიძის მუსიკა, ისეთივეა მისი ცხოვრებაც. არასოდეს მორიდებია თბილისელი ჭორიკნების და ყოველთვის თამამად ამბობდა, ვინც უყვარდა. პირველი სიყვარული ფრანგ ქალთან განიცადა, მეორე სიყვარული და ოჯახური ბედნიერება — ნინა კალანდაძესთან, მესამე კი სხივივით გამოჩნდა მის მარტოსულ ცხოვრებაში და ყველა გატაცებას წერტილი დაუსვა.

დათო ევგენიძისა და ნინო ჟვანიას სიყვარულის ისტორია 7 წლის შემდეგაც პირვანდელი ინტერესით ისმინება. ყველაფერი ძალიან ლამაზად და უცნაურად დაინწყო. ნინოს ერთი უიღბლო ქორწინება უკვე გამოცდილი ჰქონდა, დათოს — უფრო მეტი, ქორწინებაც და სიყვარულის ისტორიებიც. დღეს მათი შვილები იმდენი არიან, რომ მათი შეკრება აქამდე ვერ მოხერხდა. მეტიც, დათოს ოთხივე შვილი — პირველი, ანჟელიკა, ფრანგი ქალისგან, ორი შვილი ნინა კალანდაძისგან — ლუკა და ლიკა ევგენიძეები და ნინო ჟვანიასგან მეოთხე შვილი — ნიკოლოზი, ერთად არასდროს უნახავს. ამის გამოსწორებას უახლოეს მომავალში აპირებს.

— **ბატონო დათო, სანამ მთავარ თემას, სიყვარულის ისტორიას შეეკუთნებით, მანამდე გვესაუბროთ, რა სახალეუბია თქვენს შემოქმედებაში.**

დათო: ახალი პროექტი მაქვს, ახალგაზრდა მუსიკოსებთან ერთად კონცერტს ვამზადებ. იქნება დიჯეი მიშა ურუშაძე. ყოველთვის მაინტერესებს ახალ თაობასთან ურთიერთობა, ახალი მიმართულებები. ჩემთვის ძველზე მეტად ახალი დროა საინტერესო. ძველს უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ ის წარსულია. ასევე ამერიკელები იღებენ ფილმს „ჯინსების თაობა“, ჩემთვის ეს ახლო თემაა, რადგან გეგა (კობახიძე) და მე უახლოესი მეგობრები ვიყავით. ქართული მხრიდან რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძე იქნება, სცენარს საფუძვლად დათო ტურაშვილის ნაწარმოები უდევს. მე კომპოზიტორი ვარ, ოპერატორები და მსახიობები კი პოლივუდიდან იქნებიან. მალე ჩამოდის ლონდონელი ვარსკვლავი, მსახიობი ვინი ჯონსი, რომელიც გაი რიჩის ყველა ფილმში თამაშობს და ის „ჯინსების თაობაშიც“ ითამაშებს. ერთ თვეში ჩემი ლექსების მეორე კრებული გამოვა, ერემელსაც პევიკა „ქართული ფოსტა“.

— **ახლა კი სიყვარულის მოგონებებს გადავინაცვლოთ. როგორ აღმოაჩინეთ თქვენ და ნინო უკანამ ერთმანეთი?**

დათო: უცნაურია, მაგრამ ნინო მისმა ერთ-ერთმა თაყვანისცემელმა გააცნო. ეს



დათო და ნინო

დათო: „ნინოს შემდეგ გააცხება ახ მქონია“.

თბილისში მოხდა, როდესაც იმ საშინელი ომის გამო მისი ოჯახი სოხუმიდან ახალი ჩამოსული იყო. ძალიან ტრავმირებული გახლდათ, რადგან, სამწუხაროდ, ბებია-ბაბუა ეზოში დაუშვრიტეს. ეს ტკივილიანი ისტორია ვიცოდი, ნინოს დეიდას და საერთოდ მის სანათესაოს ახლოს ვიცნობდი. ნინო მაშინ პატარა იყო, 16 წლის. სოხუმი ერთი წლით უფროსი აფხაზი თაყვანისმცემელი ჰყავდა, რომელმაც ნინოს ბებია-ბაბუა დაასაფლავა. სულ ვამბობ, რომ, წესით, ის იყო რომელი, მაგრამ რეალურად მე გავხდი ნინოსთვის რომელი, თან — უფროსი ასაკის.

ნინო ძალიან ლამაზი იყო, მთელი თბილისის ბიჭების ყურადღების ქვეშ მოექცა. უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა, მათ შორს — ჩემი მეგობარი, რეჟისორი მიშა მრეველიშვილი, რომელმაც გამაცნო, როგორც გოგო, რომელიც უყვარდა. იმ პერიოდში ცოლი მყავდა. უბრალოდ დავინახე, რომ ძალიან ლამაზი იყო. შემდეგ აბსოლუტურად შემთხვევით რამდენჯერმე შევხვდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მისი ამბავი სულ მაინტერესებდა. საერთო შეკრების ადგილებში ჩემი თვალი მას ექებდა. არანაირი მორალური

დათო: „ფიანბ ქატან ბავშვი ახ მინდოდა, მაგჩამ მას მხოლოდ ეს სუხილი ჰქონდა“.

უფლება არ მქონდა, რომ იმით დავინტერესებულიყავი, ვინ გახდა მისი ქმარი, მაგრამ მერე გავიგე, რომ ცოლად გაჰყვა ჩემი ბავშვობის მეგობარს, კობა მუქერიას. ისიც შევიტყვე, რომ მოგვიანებით გაშორდა. რალაცნაირად ეს ყველაფერი მანუხებდა, მაგრამ ქვეცნობიერად ამის ანალიზს არ ვახდენდი. დარწმუნებული ვარ, ყველა შეხვედრისას ჩემს ყურადღებას და სიტობს გრძნობდა. მერე დიდი ხანი არ გვინახავს ერთმანეთი. ამასობაში მე და ჩემი ცოლი, ნინა კალანდაძე, ერთმანეთს გავცილდით. მოსკოვში წავიდი, ვილაც ქალთან ვცხოვრობდი და ა.შ.

— **შეხვედრა, რომელმაც თქვენი ბუდი გადაწყვიტა, როგორ მოხდა?**

დათო: სულ მჯეროდა ბედისწერის... საქართველოში ვიზის გასაგრძელებლად რომ ჩამოვედი, პოლიტიკურად არეული სიტუაცია დამხვდა. საკონსულტოები არ მუშაობდა და აქ ყოფნა გამიგრძელდა. სასიათზე არ ვიყავი, რადგან მოსკოვში ფილმი მქონდა გასაკეთებელი. თან იმ მომენტში მოსკოვთან ბევრი რამ მაკავშირებდა, იქ დატოვებული მყავდა ქალი, რომელთანაც ვერ ჩავდიოდი და ამავედროულად საშინელ სიმარტოვეს ვგრძნობდი. მეგობრებს სამი წელი არ ვყავდი ნანახი და მონატრებულები ყოველდღე გარშემო მხვდებოდნენ, მაგრამ რატომღაც მინც მარტო ვგრძნობდი თავს. მაშინ „აჭარა მიუზიკ ჰოლი“ პოპულარული ადგილი იყო თბილისში და იქ ვიჯექი ხოლმე.

ერთ დღეს თითი მოვიტყეხე. ეს ჩემთვის იგივე იყო, ფიზიკოსს რომ თავი მოეტყხა. ხელი თაბაშირში მქონდა ჩასმული. ამ დროს დავინახე ნინო. ის, როგორც სხივი, ისე გამოჩნდა. გამიხარდა. მოვიკითხეთ ერთმანეთი. შევატყვე, რომ ისიც მარტო იყო. ორი

ნინო: „ახლა ვეხვ ნაჩიმიდგენია, ხოგოხ ვიყავით ერთმანეთის გახემე“.

მარტოსული ვიყავით, პლუს-მინუსივით რომ შეერთდებოდნ და კიდევ სხვა რამეს ანთებენ. პირველივე შეხვედრისას, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არც რომანი გვქონია და ეს აბსოლუტურად ალოგიკურიც იქნებოდა ჩემგან, პირდაპირ ვუთხარი, მოსკოვში

წავიდეთ-მეთქი. დაიბნა, მაგრამ მითპასუხა, რომ სიმოკვებით წამოვიდოდა, მიუხედავად იმისა, რომ იქ ბიძაშვილი თიკა ჟვანია ჰყავდა. ზუსტად მიხვდა, როგორ წასვლას ვგულისხმობდი, მაგრამ პირდაპირ არ დამთანხმდა, არც უარი უთქვამს. თითქოს თიკასთან წავიდოდა, ისე გაატარა.

— **ნინო, როგორ დათანხმდით ასე ადვილად?**

ნინო: ალბათ მეც მქონდა სიმპათია, რადგან ბევრი არ მიფიქრია, მკითხა და უცებ ვუპასუხე. იმ პასუხში ბევრი რამ იყო, თუნდაც ის, რომ იქ ბიძაშვილი მყავდა, მაგრამ ქვეცნობიერად ალბათ მეც მზად ვიყავი. ყოველთვის მიხაროდა დათოს დანახვა. ჩემთვის ისეთი ადამიანი იყო, ვისთანაც ურთიერთობა მსიამოვნებდა. იმ დღეს ჩვენი შეხვედრა კი სულ სხვანაირი იყო. როგორც დათომ ასენა, მეც მარტოსული ვიყავი. სანამ დათოს დავინახავდი, ყველაფერი შავ-თეთრი იყო, მერე კი გაფერადა. ახლა ვერც წარმომიდგენია, როგორ ვიყავით ერთმანეთის გარემე. იმ დროს 29 წლის გახლდით.

დათო: მერე დავურევე, შევხვდით, სამსახურში გავუარე. ყოველდღიური ურთიერთობა დავინწყეთ, რომელიც არც ისე დიდხანს გაგრძელდა.

ნინო: ორი კვირაც არ იყო.

დათო: პირდაპირ პასპორტი გამოვართვი მოსკოვში წასასვლელად. ნინოს შვილის, ლუკა ბუქერიას დაბადების დღე იყო და ეს თარიღი ითვლება ჩვენი ერთად ყოფნის დღედაც. დაბადების დღეზე მიდიოდა, მივაცილე. იქ იყვნენ ნინოს ყოფილი ქმარი მეგობრებთან, დედასთან და ნინოს დედასთან ერთად. უცებ გადავწყვიტე, რომ მეც შევსულიყავი. მინდოდა, ყველას დაენახა, რომ ჩვენ ერთად ვიყავით. უცნაური ის არის, რომ თბილისში ჭორი უცებ ვრცელდება, მაგრამ ჩვენი ამბავი თითქოს მარტო მე და ნინომ ვიცოდით. იქიდან რომ წამოვედით, ნინოს დედაც იჯდა მანქანაში, სახლში მიმყავდა ორივე. ვუთხარი, თქვენ დაგტოვებთ, ნინო კი ცოლად მომყავს-მეთქი, მისთვის ეს სიტყვები მოულოდნელი აღმოჩნდა. მიპასუხა, ეს ნინოს გადასაწყვეტიაო. ზუსტად ასევე, ჩემს სახლში მოულოდნელად მივიყვანე ნინო და ჩემებს ვუთხარი, რომ ცოლი იყო. იმ დღიდან დარჩა ჩემთან. 8 წელია ცოლ-ქმარი ვართ. ქორწილი ცოტა მოგვიანებით გადავიხადეთ.

ნინო:
„სანამ დათოს დავინახავდი, ყველაფერი მავ-თუთი იყო, მუხე კი გაუეხადა“.

— **ნინოს ყოფილ ქმართან, რომელიც თქვენს ბავშვობის მეგობარი ყოფილა, ურთიერთობის პრობლემა არ გქონიათ?**
დათო: კობასთან დღესაც ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. სასაცილო ამბავს მოგიყვებით. ერთხელ მალაზიაში გადავედი და იქ კობა ენახე. ჩავეხუტეთ ერთმანეთს. ნინო მანქანაში იჯდა, დაუფიქრებ, რომ კობა ენახა. სამივე ჩავეხუტეთ ერთმანეთს. მერე კობა გავიდა, ნინო მანქანაში დაბრუნდა და გამყიდველს ვუთხარი, ეს ჩემი ცოლის ყოფილი ქმარი იყო-მეთქი. პირი დარჩა ღია.

— **სელი ერთი წლის წინ მიაწერეთ ნანუკა ჟორჯიანიას გადაცემაში. რატომ გადაწყვიტეთ სატელევიზიო სელინობა?**

დათო: ჯვარი დავინერეთ, პატარა ქორწილიც გვქონდა და მერე ვაპირებდით ხელისმონერას. ნიკოლოზი ნაშვილები მყავს, ის რომ დაიბადა, ჯერ ხელი მოწონდა არ გვქონდა. ჩვენ არ გადაგვიწყვეტია, ტელეგადაცემაში მოგვეწერა ხელი, ყველაფერი სმონტანურად მოხდა.

ნინო: ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი ჯვრისწერა იყო, მაგრამ მოსკოვში ცხოვრების დროს ბევრი პრობლემა შეგვექმნა იმის გამო, რომ ხელი არ გვქონდა მოწერილი. ნანუკას ტოქ შოუს თუმა აფხაზეთი იყო და გადაცემა ანაკლიაში ჩაიწერა. როცა გაიგეს, რომ ხელი არ გვქონდა მოწერილი, გადაწყვიტეს, ეს მათ გაეკუთვნებინათ. ეს ჩვენი ქორწინებიდან 7 წლის მერე მოხდა.

— **მოსკოვში წ წელი ცხოვრობდით. როგორ გახსენდებოდა ის პერიოდი?**

ნინო: ძალიან კარგად და თბილად. ერთადერთი ის მანუხებდა, რომ ჩემი უფროსი ბიჭი, ლუკა, რომელიც მაშინ 9 წლის იყო, თბილისში ცხოვრობდა. ჩვენც ჩამოვიდით და ისიც მოდიოდა ჩვენთან ბუბოსთან ერთად, მაგრამ, ბუნებრივია, დედისთვის ეს საკმარისი არ იყო.

დათო: ვიზების პრობლემა იყო. ლუკა სკოლაში სწავლობდა, ვიზის გარეშე კი მოსკოვში ვერ გადმოვიდოდა სასწავლებლად. მე ბედნიერი ვიყავი, რომ ჩემი პირველი ცოლისგან ორივე შვილი, ლიკა და ლუკა,

მოსკოვში სწავლობდნენ და ჩემთან იყვნენ. რასაც ნინო განიცდიდა, კარგად ვხვდებოდი, რადგან უფროსი შვილი, ანუ ლიკა, პარიზში მყავს. რა მნიშვნელობა აქვს, იმ ქალთან ხელი მოწერილი მქონდა თუ არა, ჩვენ შორის რომანი იყო, ჩემგან სიყვარულით გააჩინა შვილი და მას დანარჩენი შვილებისგან არ ვასხვავებ.

სხვათა შორის, ჩემი ორივე გოგონა, ანუ ლიკა და ლიკა, 20 ნოემბერს დაიბადნენ. მათ შორის 2 წელია ასაკობრივი სხვაობა. ახლა ორივე ორსულადაა, ლიკა — ნიუ იორკში და ანუ ლიკა პარიზში ელოდება ბავშვს. იმდენად დემთხვა მათი ორსულობა ერთმანეთს, არ გამოვიკრძებდა, ერთსა და იმავე რიცხვში რომ იმშობიარონ. ახლა კი ორი შვილიშვილი მყავს — ანუ ლიკასგან და ლიკასგან. ნიკოლოზი და ჩემი შვილიშვილები თითქმის ტოლები არიან.

ნინო: ნიკოლოზი ახლაგაზრდა ბიძაა.
 — **ნინო, დათო კვების ცოდნა ბუქერებისთან ერთად სირთულეა?**

ნინო: როცა გაქვს შინაგანი მოთხოვნილება და სურვილი, ხელოვან ადამიანს ხელი შეუწყო, ვერანაირ სირთულეს ვხედავ... ჩვენ შორის არც ასაკობრივი სხვაობა იგრძნობა. დათო სულ ამბობს, რომ მე ვარ მასზე 5 წლით უფროსი. დათოს ჩემზე მეტი ენერჯია აქვს.

სამსახური არ მაქვს და, სხვათა შორის, ამაზე არც ვფიქრობ. მთლიანად დათოთი და ბავშვებით ვარ მოცული. დათოს შემოქმედებას რომ მოუარო, ერთი ადამიანი საკმარისი არაა. ეს ნივთები არ არის. მათ მოვლა, დახარისხება, ადგილის მიჩენა სჭირდებათ.

— **ბატონო დათო, რა განსხვავებაა 30 წლამდე სიყვარულისა და 40 წლის შემდეგ სიყვარულის შორის?**

დათო: მიმაჩნია, რომ სიყვარულს ასაკი არ აქვს. მას კანონები არ გააჩნია. ასაკის მატებასთან ერთად შეიძლება განსხვავებულებაც სიყვარულის გამოხატულება.

— **რატომ დასწერა თქვენს და ნინა კლანდისის ოჯახს?**

დათო: ჩვენი ოჯახი არ დანგრეულია სხვა სიყვარულის, ანუ მესამე ადამიანის გამო. ხანდახან უმიზნოდაც შეიძლება გამოვრდეს ორი ადამიანი. ოჯახები ხშირად იმის გამო იგრევა, რომ ქმარი ან ცოლს ვიღაც უყვარდება. ადამიანს, რომელსაც შეუყვარდა, ვერ გაამტყუნებ. დაცემა უფრო სწორი მგონია, ვიდრე ის, რომ სხვა უნდოდეს და ოჯახის შენარჩუნების გამო თავს იტყუებდეს. მე და ნინამ საკმაოდ დიდხანს, 16 წელი ვიცხოვრეთ ერთად და საკმაოდ ბედნიერად. არსებობს ბედისწერა. უცნაურია, რომ ნინა 31

დეკემბერს მოვიყვანე ცოლად, ძველით ახალ წელს, 14 იანვარს კი გავცილდი.

— **თქვენს და ფრანგი ქალის რომანი როგორ დასწყო?**

დათო: მოსკოვში გავიცანი და ორი წელი ვიყავით ერთად. პარიზში როცა წავიდა, ჩემი შვილი დაახლოებით 1 წლის იყო. ძალიან მძაფრი გატაცება იყო. მე 22 წლის ვიყავი, ის — 20 წლის. ლამაზი იყო, სხვათა შორის,

ნინო იცნობს, მოსკოვში გავაცანი. ჩემი პირველი ცოლი ნინაც იცნობდა მას.

— **ნინო, ქმრის წარსული პირადი ცხოვრება უპრობლემოდ მიდის?**

ნინო: ყველაფერს შეგნებულად უნდა შეხედო. არ უნდა გაართულო ის, რაც გასართულებელი არაა.

— **და არასოდეს ვუჭყაწიანათ?**

ნინო: ეს იყო წარსულში. დათოს არ შეუძლია გრძნობის გარეშე ცხოვრება. ხშირად მიფიქრია, სხვანაირი მეუღლე რომ მყავდეს, ერთად ალბათ ვერც ვიცხოვრებდით-მეთქი.

დათო: ნინოს შემდეგ არანაირი გატაცება არ მქონია.



დათო: „ჩემი ოხივე გოგონა, ანუ ლიკა და ლიკა, 20 ნოემბერს დაიბადნენ. ახლა ოხივე ოხხუცადაა, ლიკა — ნიუ იორკში და ანუ ლიკა პარიზში ელოდება ბავშვს. ახ გამოვიკრძებდა, ერთსა და იმავე რიცხვში რომ იმშობიარონ“.

— **ბატონო დათო, რას გრძნობდით მაშინ მოსკოვში, როცა გაიგეთ, რომ პირველი შვილის მამა ხელეობდით?**

დათო: მე არ მინდოდა იმ ქალთან შვილის ყოლა, მაგრამ თავად მითხრა, რომ არაფერი აინტერესებდა და ჩემგან შვილი უნდოდა. ასე გაჩნდა ანუ ლიკა, რომელიც

დღეს 27 წლისაა. მერე ჩემი შვილის სანახავად ჩავდიოდი ხოლმე. მაშინ საბჭოთა კავშირი იყო, მაგრამ წელიწადი არ გავიდოდა, რომ არ ჩავსულიყავი და არ მენახა. ერთი პერიოდი ანუ ლიკას ფრანგი მამინაცვალი მამა ეგონა. დედამისი მთხვავდა, რომ ბავშვისთვის ჩემი ვინაობა მანამდე არ გამეხილა, სანამ იმ ასაკს არ მიაღწევდა, როცა ამას სწორად გაიგებდა. ანუ ლიკასთვის ყოველთვის საჩუქრებს ვყიდულობდი. 12 წლის იყო, პირდაპირ რომ მკითხა, ვინ ხარო. მამა ვარ-მეთქი, ვუპასუხე. ვხვდებოდი, მითხრა. ანუ ლიკა ძალიან მომენატრა, რადგან თითქმის 6 წელია არ მინახავს. უცნაურია, ასე რომ მოხდა. ორ წელიწადში ერთხელ მაინც ვიყავი პარიზში. სხვათა შორის, ოთხივე შვილი, ანუ ლიკა, ლიკა, ლუკა და ნიკოლოზი ერთად არასდროს შემიკრებიან. ამას ალბათ მალე გავაუტებ.

✓ **მანანა ნიდა**



„მოვალეები ოჯახს გვინოქაზან“

ტრი ნლის წინ მშვიდი და უშფოთველი ცხოვრება მქონდა. ბედნიერი გოგო ვიყავი. ყველა მე შემომნატროდა. ამბობდნენ, რა ბედნიერი ხარ, რასაც მოისურვებ, მშობლები ყველაფერს გისრულებენო. მამას ბიზნესი ჰქონდა და მართლა არაფერს გვაკლებდა. დიდი სახლი ვიყიდეთ და ძალიან მაგარი რემონტი გავაკეთეთ. სპეციალურად მოდიოდნენ ჩვენი სახლის დასათვალისწინებლად. ჩემი ოთახის ავეჯი თავად შევარჩიე, ყველაფერი ჩემს გემოზე მოვანწყვე. ერთ დღეს კი ყველაფერი თვალსა და ხელშუა გამოიქრა.

მამას ბიზნესპარტნიორმა უღალატა და ვალები დაედო. ნერვიულობით მიკროინფარქტიც გადაიტანა და ამან ჩვენი მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა.

მკურნალობდა და იმის თავი არ ჰქონდა, საქმეებისთვის სათანადოდ მიეხედა. ამასობაში კი იმდენი რამ გაფუჭდა, რომ მისი გამოსწორება ვეღარ შეძლო. ბანკების კრედიტებს რომ თავი დავანებოთ, კერძო პირებისგანაც აქვს ფული ნასესხები და ისინი ყველაზე დიდ პრობლემად იქცნენ ჩვენთვის. დღე არ გავა, არ მოგვეჭრან და ოჯახი არ აგვიჩივონ.

ჩემი და ძალიან ნიჭიერია, სკოლაში ერთი ცხრიანიც კი არ ჰყავდა და ორი წლის წინ პრეზიდენტის საჩუქარი მიიღო — ლეპტოპი. სახლში კიდევ გვქონდა რამდენიმე კომპიუტერი, მაგრამ ვალების გამო გავყიდეთ. მხოლოდ ის ერთი შემოგვრჩა.

ამას წინათ ვილაცხვებო მოგვეჭრენ სახლში. მამას სთხოვდნენ, ახლავ დაგვიბრუნე ჩვენი ფულიო. ერთ-ერთი ქალი იყო. დამინახა, რომ მაგიდაზე კომპიუტერი მქონდა, გაკვეთილს ვამზადებდი და „ვიკიპედიაში“ ვიქექებოდი. ნახე, ამათ კომპიუტერშიც ჰქონიათ, რა ენაღვლებათ, სხვისი ფულით აქეთ ნაყიდო. დაავლო ხელი და წაიღო.

მამასთან არაფერი შევიმჩნიე, რადგან სახეზე ფერი აღარ ედო. მეშინია, კიდევ ცუდად არ გახდეს. აბაზანაში ჩავიკეტე და ტირილით მოვკვდი. სახლიც ვალების გამო გავყიდეთ და ნაგირავებ ბინაში ვცხოვრობთ. არც ავეჯი შეგვრჩა, ისიც ძალიან იაფად გავყიდეთ.

ერთი ძალიან კარგი დაქალი მყავს და უზომოდ მიყვარს. მთელი ცხოვრება ერთად მოვდივართ. მას საოცრად კარგი მშობლები მყავს. მათთან ხშირად ვრჩები და ეს ჩემთვის ერთადერთი შვებაა. დაქალის დედა-მამა მეუბნებიან, ჩვენთვის შვილივით ხარო. მამამისმა ჩემი კომპიუტერის ამბავი რომ გაიგო, გაგჟუდა. მაშინვე თავის ოთახში გავიდა და საკუთარი ლეპტოპი გამომიტანა. მითხრა, წაიღე, დღეიდან შენიაო. რა თქმა უნდა, არ გამოვართვი. ვუთხარი, სახლში რომ მივიტანო, შეიძლება დღესვე სხვამ წაიღოს-მეთქი. დაქალის დედა სულ მეფერება და მეუბნება, ყველაფერს აქვს დასასრული და ეს ცუდი ამბავიც გადავიღის, ნუ გეშინიაო.

დასასრულს კი პირი არ უჩანს, ყოველდღე ცუდი ხდება. აღარც მგონია, რომ ოდესმე სიმშვიდე გვეღირსება. მამა ძალიან მეცოდება. ამხელა კაცი სულ ტირის, შვილები რა დღეში ჩაგყარეთო...

დიდი მადლობა, ჩემი ტკივილის გამოთქმის საშუალება რომ მომეცით. თუ ოდესმე ღმერთი გადმოგხედავს და კიდევ მოგცემს იმის საშუალებას, გავიღიმოთ, არასოდეს დავივიწყებ გაჭირვებულ ადამიანებს. ყველას, ვისაც გავწვდები, დავუხმარებ. არც ჩემი დაქალის ოჯახის სიკეთეს დავივიწყებ.

კიდევ ერთს ვთხოვ ღმერთს, რომ იმ ხალხის სახეებიც დამავიწყოს, ვინც სახლში გვივარდებიან. არ მინდა, გავბოროტდე და მათზე შური ვიძიო.

თქვენი პირველი მიმოსვლა, 17 წლის

«ბიჭს, რომელიც თავდაპირველად მიყვარს, მგონი, ვკულვარ»

15 წლის ვარ და უკვე 4 წელია ერთი ბიჭი თავდავინწყებით მიყვარს. ეს რომ ვუთხარი, ჩემზე საშინლად გაბრაზდა. მგონი, ვკულვარ კიდევ, სოციალურ ქსელშიც კი „დამბლოკა“.

გამოსაუარაგის მსარეველები დაგვიკავშირდნენ
გალუფონება:
 296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იმითხეთ ირინა მჭაღლიძე
 ან ირა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სავიდეო:

1. ვებგვერდი sana.ge-ს, დაწვრილწილად „მოგვწავით“ და დაუკავშირდით თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმ-ით ნომერზე 1779 გაბთილან და ჯეოსელიან. 1 სმ-ის ზანა 50 თითქი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@gmail.ru ანონიმურა დამალია

საქმე ის არის, რომ ის ბიჭი ჩემზე საკმაოდ უფროსია. არ ვიცი, რა ვქნა, არადა ძალიან მიყვარს. გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე. „სტრამის“ პირველი მიმოსვლა

„დედას ჩემი ბაკთიხული არაფერი მოსწონს“

„3 ის ჰგავსარ ასეთი უტივინო“, „ყველა შენ გჯობია“, „ამდენ რამეს გიკეთებ და უმადური ხარ, შრომას არ მიფასებ...“ — ასეთი სიტყვებით ილანძლება დედაჩემი თითქმის ყოველდღე. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. იქნებ დამემხაროთ და მითხრათ, რა გავაკეთო, რომ დედაჩემს მოვეწონო.



15 წლის გოგო ვარ. სკოლაში კარგად ვსწავლობ. ორი უცხო ენა ვიცი — რუსული და ინგლისური. მუსიკაზე დავდივარ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ არ მიყვარს. არაფერს ვაშავებ, შეყვარებული არ მყავს, სახლიდან არ ვიპარებ... ჩემი აზრით, ურჩხული არ ვარ, მაგრამ დედას, მგონი, სწორედ ასეთი ვგონივარ. სკოლაში ზოგჯერ 9 ქულას ან 8 ქულასაც ვიღებ, რადგან შეუძლებელია, ყველაფერში 10 ქულა გენეროს. დედა კი სხვანაირად ფიქრობს. ისტერიკაში ვარდებო, როცა 8 ქულას ხედავს. ამ დროს ჩვენს სახლში მეორედმოსვლა იწყება.


სულ ვფიქრობ, როგორ არ იღლება! მაგალითად, აკეთებს სადილს. შეუძლია, ხახვის დაჭრის დროსაც მე მლანძლოს. ცოცხი რომ უჭირავს ხელში, მაშინაც ახერხებს ჩემს გამოილანძვას. მეზობელი შემოვსაჭროდავ და ისევე იმაზე იწყებს წუნწუნს, რა უმადური ქმარ-შვილი ჰყავს, როგორ არ ვართ მისი ღირსები.

დედა ექიმია, მაგრამ მამამ სახლში დასვა, არ ამუშავა და ამას დღემდე ვერ პატიობს. სულ აყვედრის, რომ მის გამო ექიმობას შეელია. ბებიანემიც უჩიჩხინებს. მისი მაგალითები ყელში ამომივიდა. სულ დედაჩემს მადარებს, მეუბნება, შენი ტოლი ასეთი ლამაზი იყო, შენი ტოლი ასე კითხულობდა, ასე სწავლობდა... არც მას მოვწონვარ.

დედას ვეუბნები, კიდევ გააჩინე შვილი, იქნებ იმან მაინც გაგიმართლოს-მეთქი. ერთხელ ეს ბუბიასთან ერთად ვუთხარი და ის ლამის ჭკუიდან გადავიდა. ჩემი შვილის მოკვლა გინდაო. იმასაც მაყვედრიან, რომ ჩემს მშობიარობას ლამის თან გადააწყვა. თურმე ექიმებმა ძლივს გადაარჩინეს. ამიტომაც ბებიამ მეორე შვილის გაჩენა აუკრძალა. არც მამას უნდოდა, რომ გაერისკა და ასე შევრჩი ერთი ბავშვი საჯიჯგნად და სატანჯავად. და ან ძმა რომ მყავდეს, მათზე გადაიტანდა ყურადღებას და ამ დღეში არ ვიქნებოდი.

მართლა გულთ გთხოვთ, მირჩიეთ, რა გავაკეთო, რომ დედა ჩემით უკმაყოფილო არ იყოს.

„სტრამის“ პირველი მიმოსვლა



„დაქალები ყურადღებას არ ამაჩვენებ“

დაქალები მყავს, მაგრამ ისინი ყურადღებას არ ამაჩვენებენ. ისე იქცევიან, თითქოს არც ვარსებობდე. მათგან ბევრ რამეს სულაც არ ვითხოვ. ზოგჯერ სკოლაში გამარჯობასაც არ მეტყვიან. სახლში რომ მოვდივარ, მერე ტელეფონზე მირეკავენ და მელაპარაკებინან. თუ ერთ-ერთი დაქალი სკოლას აცდენს, მაშინ კი იცვლებიან და ყურადღებას მეც მაქცევენ. არ ვიცი, რა ვიფიქრო ან როგორ მოვიქცე...

„სარკის“ მკითხველი

„საუკეთესო მეგობარი ჩემი და აღმოჩნდა“

ურნალ „სარკეში“ დაიბეჭდა წერილი — „ჩემი და დედაჩემი აღმოჩნდა“. მეც მსგავსი ისტორია მაქვს, დიდი ხნის განმავლობაში არც მე ვიცოდი სიმართლე. საქმე ის არის, რომ ჩემი უსაყვარლესი და საუკეთესო მეგობარი ჩემი და აღმოჩნდა.

არ ვიცი, დედაჩემი ამას რატომ მიმაღავედა. თურმე ჩემს დასაც არ სცოდნია სიმართლე, წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ და ჰყავდა. უცნაური ის არის, რომ ჩვენ მაინც დებად მიგვანჩნდა თავი. ახლა კი აღმოჩნდა, რომ ნამდვილი დები ვყოფილვართ.

თქვენი პირობული მკითხველი

„13 წლის ვარ და 18 წლის ბიჭი მიყვარს“

ჩვენს სკოლაში ერთი ძალიან კარგი ბიჭი სწავლობს. ის ასაკითაც ყველაზე დიდია — 18 წლის და სიმალლითაც. ისეთი ლამაზია, ყველა გოგო იმას ეპრანჭება. მეც ძალიან მიყვარს, მაგრამ ჩემი პრობლემა ის არის, რომ 13 წლის ვარ. როგორც ბავშვს, ისე მიყურებს და სხვა თვალთ არასოდეს შემომხედავს.

რამდენჯერმე მივესალმე და მან გამიღიმა. ერთხელ თავზეც კი გადამიხვა ხელი. ძალიან გავბრაზდი! არ მინდა, როგორც ბავშვს, ისე მიყუროს. დაბალი არ ვარ, ზოგიერთ უფროსკლასელ გოგონაზე მაღალი ვარ. ყველა მეუბნება, ლამაზი ხარო და ნუთუ არ შეიძლება მასაც მოვეწონო?!
მკითხველი



თქვენი პირობული მკითხველი

„მეგობრობა ახ ცუდნია!“

3 ეხმაურები ურნალ „სარკის“ მე-4 ნომერში გამოქვეყნებულ წერილს, სათაურით „შეყვარებულის მეგობარ გოგოზე ვეჭვიანობ“. განინმატებული, ეჭვიანი გოგო წერს, რომ შეყვარებულის მეგობარი გოგო სიყვარულში ეცილება. ხშირად მესმის, რომ ქალ-ვაჟს შორის მეგობრობა ზღაპარია. ყველა, ვინც ასეთ რამეს ამბობს, ნამდვილ მეგობრობას ჩრდილს აყენებს.

მეც მყავს მეგობარი, რომელიც ძმასავით მიყვარს. ერთად გავიზარდეთ, მეზობლები ვართ და რაც თავი მახსოვს, სულ ერთად ვართ. ერთმანეთის ყველაფერი ვიცით. უზომოდ მიყვარს და ამას არც ვპალავ, თუმცა სხვა თვალთ არასოდეს შემიხედავს. ორივეს გვყავს შეყვარებული და ისინიც მეგობრობენ ერთმანეთთან.

ჩვენმა შეყვარებულებმა იციან, ერთმანეთი როგორ გვიყვარს და ჩვენზე რომ იეჭვიანონ, არ ვიცი, რა მოხდება. ალბათ მაშინვე დავშორდები, რადგან ამას ვერ გადავიტან. ჩვენს მეგობრობას ჩრდილს ვერავინ მიაყენებს.

ამ გოგოს უურჩევ, უსაფუძვლო ეჭვიანობას მოეშვას. აბა, დაფიქრდი, თუ ერთმანეთი სხვანაირად უყვართ, მაშინ წინ რა უდგათ? სისხლით ნათესავეები ხომ არ არიან, ვინმემ რომ გაუწიოს წინააღმდეგობა. რადგან იმ ბიჭმა შენ ავირჩია, ესე იგი ნამდვილად უყვარხარ. ამაზე იფიქრე და არა — მათი მეგობრობის დანგრევაზე. შეყვარებულს პატიება სთხოვე, თუმცა გულწრფელად გეტყვი, რომ იმ ბიჭის ადგილზე მე, მაგალითად, არ გაპატიებდი.

„სარკის“ პირობული მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ



„ააააა დედას მააააასთან უღალატა“

13 წლის გოგო ვარ. ჩემზე სკოლაში ძალიან ბევრი ადამიანი ჭორაობს. ამის მიზეზი კი მამაჩემია.

მამა თავიდან მე და დედას ყოველთვის გვერდში გვედგა, თუმცა ხანდახან მაინც მესმოდა ჩემი მშობლების კამათი გაურკვეველ თემებზე. მამა სულ უფრო და უფრო ცივი ხდებოდა, დედასთან მისი ურთიერთობა უარესდებოდა. მე ამის მიზეზი არ ვიცოდი და ეს გულს მტკენდა. ცნობისმოყვარეობით გაგითვებული ჩემი მშობლების კამათს ყოველ-

თვის გაფაციცებით ვუსმენდი. ერთ დღეს საშინელი რამ მოვიხსინე. დედამ მამას ასეთი სიტყვები უთხრა, როგორ გაბედე, რომ კაცის გულისთვის მიხგრევე ოჯახსო. თავიდან მეგონა, რომ სიტყვაში „კაცი“ მამას რომელიმე თანამშრომელი იგულისხმებოდა, მაგრამ შევცდი... მამაჩემი გეია და დედას მამაკაცთან უღალატა!
მკითხველი

ნინო ჩხეიძე: „ჩემი კოლგაბისგან პოლიტიკური მსხვერპლის თამაში ზაღმაზაღ მიმდინია!“

„თუ სიმლეხა და კაბა კახეად ვეი მოიხე, პოპულარული ვეი გახედეი“



თან რიგობრი ურთიერთობა გქონდათ?

— ყველას გვინდოდა მოგება, მაგრამ ისეთი შეგრძნება გვქონდა, რომ ერთ ოჯახად ვიქცეით. სხვა მწვრთნელების ბავშვებს ადენი ხნის განმავლობაში ვუყურებდით, ყოველდღე ვხვდებოდით რეპეტიციებზე და, ბუნებრივია, შური გამოირიცხული იყო. მოგება მინდოდა და, რაც შეეძლო, ამისთვის ყველაფერს ვაკეთებდი, მათ ჩაცმულობაზე, რეპერტუარზე ვზრუნავდი, მაგრამ ბინძური მეთოდებისთვის არასოდეს მიმიმართავს. იმ ფაქტს, რომ პროექტი დათო ფორჩხიძის გუნდის წევრმა მოიგო, ჩემთვის არაფერი შეუცვლია. არა უშავს, ყველაფერი ხდება. თუკი „ახალი ხმის“ მეორე სეზონზე ისევ ვიქნები მწვრთნელი, მოსაგებად მესტ გავაკეთებ და თუ ისევ ვერ გავიმარჯვებ, ჩავთვლი, რომ რალაცას ისე ვერ ვაკეთებ, რაც შოუს მოსაგებად არის საჭირო. დათოს ვულოცავ გამარჯვებას! ვგიჟდები სალომე ქათამაძეზე!

— ახლაც ვერ ვაკეთებ რალაც „ისე“?

— ამაზე არ მიფიქრია. ასეთი შოუს მოგება ბევრ რამეზეა დამოკიდებული — ნიჭზე, შრომაზე, მონდობაზე. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს იდენტს. შოუბიზნესი ყოველთვის გამართლებს. შეიძლება ჩემზე კარგად ბევრი ადამიანი მღეროდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში გამიმართლა, რადგან ჩემი სიმღერა „წაღვერი და თბილისი“ ძალიან პოპულარული გახდა. გამიმართლა იმასაც, რომ პირველი ჟურნალისტი, ვინც ჩემთან მოვიდა, სწორედ თქვენი ჟურნალიდან იყო. ეს ყველაფერი ერთმანეთს ებმება და საბოლოოდ ხდები შოუბიზნესის ადამიანი.

— თქვენ კი ამბობთ, ერთ ოჯახად ვიქცეითა, მაგრამ აქვართა იყო მწვრთნელებს შორის ფარული კონკურენცია.

— სიმართლე გითხრათ, მე არ ვთვლიდი, რომ რომელიმე მწვრთნელი ჩემი კონკურენტი იყო. ვაკეთებდი იმას, რაც საჭირო იყო. არასოდეს ამიზიარებდა სხვა მწვრთნელისთვის, არასოდეს ამიღია ვინმეს მსგავსი რეპერტუარი. ჩემი ხედვა მქონდა და ვიცოდი, ბავშვისთვის რომელ ტურში რა მჭირდებოდა. კონკურენცია იმ მხრივ იყო, რომ ყველა იმას ვაკეთებდით, რაც გვეკონა, რომ გაამართლებოდა. ჩვენი ბავშვები ერთმანეთს არ ჰგავდნენ. კოლეგების მხრიდან, მეგობრობის და გვერდში დგომის გარდა, არაფერი მიგრძენია.

— შოუ ფინალს რომ უსწავლავდითა, ბევრმა შენიშნა, მწვრთნელებს სახე რიგობრი უკვლავობდათ, მათ დანსხვობის და სტუკანის გამარჯვებულისთვის არც კი მუდობდით.

— ვერც ერთ კადრს იბოვი, სადაც მეტყობა, რომ ვინმეს წარმატება მენყინა ან სალომეს გამარჯვება არ გამიხარდა. ვერ ვიტყვი, ვის რა რეაქცია ჰქონდა, მაგრამ მე, პირადად, პირველივე დღიდან ბოლო გადაცემის ჩათვლით სახე არცერთხელ შეიცვლია, არც რომელიმე მწვრთნელისთვის გამიკეთებია ცინიკური კომენტარი და არც ბავშვისთვის. ჩემი კოლეგებისთვის არც უაზრო შენიშვნები მიმიცია კამერების წინ.

— თუმცა თავად ხშირად იცხადებთ შენიშვნებს არასწორად შეჩვენული რეპერტუარის გამო.

— კი, ჩემ მიმართ სულ ასეთი შენიშვნები იყო. არ ვთვლი, რომ რეპერტუარს არასწორად ვარჩევდი. ჩემთან ერთად ბევრი კომპეტენტური ადამიანი მუშაობდა. მე ვიყავი მწვრთნელი და ჩემი გადასაწყვეტი იყო, ვის რა რეპერტუარს შევურჩევდი.

— ჩაცმულობის გამოც ვაკრიტიკებდნენ, ამბობდნენ, რომ საკუთარი თავის წარმომადგენელი სახელით კონკურენტებს ყველთვის ერთნაირი ტექსტით აცხადებდით — „კარგი იყავი, დაუბნელო“.

— ჩემს ბავშვებს შენიშვნასაც ვაძლევდი, რჩევებსაც, დარიგებებსაც და საჭირო დროს ვეჩხუბებოდი კიდევ, მაგრამ ეს ყველაფერი კამერების მიღმა ხდებოდა. რაც შეეხება სხვა მწვრთნელების ბავშვებს, არანაირი უფლება მქონდა, მათთვის შენიშვნა მიმეცა. ჩემს კოლეგებს არ მივყავნებდი შეურაცხყოფას და არ ვეჭვოდი, შენ რალაც ვერ გავაკეთე, ამ ბავშვს მეთი შეეძლო-მეთი. რადგან შენიშვნა არასოდეს მიმიცია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვერ ვხვდებოდი, რა იყო კარგი და რა — ცუდი. რაც შეეხება ჩემს ჩაცმულობას, ზოგს მოსწონს და ზოგს — არა. ყოველთვის ისე ვიქცევი, როგორც საჭიროდ ვთვლი. ადამიანი რომ სცენაზე დგას,

„შეიძლება ჩემზე კახეად ბუჩი მოიხოდეს, მაგამ ამ შემთხვევაში გამიმართლა, ჩემი სიმლეხა „ნალექი და თბილისი“ ძალიან პოპულარული გახდა. გამიმართლა იმასაც, რომ პირველი ჟურნალისტი, ვინც ჩემთან მოვიდა, სწორედ თქვენი ჟურნალიდან იყო.“

აუცილებლად კარგად უნდა გამოიყურებოდეს, ამაში გასაკვირი არაფერია.

— დამოუკიდებლად იცხადებდით გაცხადებულებს, რა ჩაცვით თუ რჩევებს პრიფესიონალებს კეთებდით?

— ეს ის შემთხვევაა, როცა ვერავის რჩევას გავითვალისწინებ. მომღერალი სანამ სიმღერას დაიწყებს, მასურებელი იმით ისტერესდება, როგორ ფორმანია ის. ჩემთვის სცენის სამოსი სიმღერასავითაა. თუ სიმღერა ვერ მოვირგე, რაც უნდა კარგი იყოს, პოპულარული ვერ გახდება. ასევე სამოსიც, მან შინაგანი კომფორტი უნდა შემიქმნას. შეიძლება შანელი ბოლო კოლექციიდან შეარჩიო კაბა, მაგრამ ვერ მოირგო. სამოსს უნდა გარძობდე. შეიძლება სადა, არაფერი გამოჩვენო შევი კაბა გეცვას, მაგრამ თავი ძალიან კარგად იგრძნოს.

— ახლა საბავშვო „ახალი ხმა“ იწყება. ამბობენ, რომ ერთნაირი მწვრთნელი ქათამაძეა იქნება, აგრეთვე პრიფესორი დანსხვობა დათო ფორჩხიძე თქვენ შორის მალე აღმოჩნდება?

— მე ვიქნები თუ არა, ამაზე ლაპარაკი არ ყოფილა და არც ის ვიცი, მწვრთნელები ვინ იქნებიან. კასტინგი უკვე დაიწყო. შეიძლება მწვრთნელების ვინაობა უკვე ცნობილია, მაგრამ მე ამ საკითხით არ დავინტერესებულვარ. ჯერჯერობით ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს.

— თქვენი შეიძლება მიყვანა კასტინგზე არ გიფიქრათ?

— არა, ის ისე არ მღერის, რომ ბავშვების „ახალი ხმაში“ მიიღოს მონაწილეობა.

— პრიფესორს შეეძლება რიგობრი გავრცელდეს თქვენი ცნობები? რიგობრი ვიცი, ახალ ალბომს უმეტეს.

— ძველ ცხოვრებას დავუბრუნდი. იმ პერიოდში რადიოს ყურადღება მოვაკელი. ახლა კი ისევ ამ საქმეზე გადავრთე და ცოტა ხანში ახალ გადაცემებს დავინწყებ. ნამუყვანები იქნებიან ნუკი კომპლემენტები, გიორგი ნაზლაიძე, თიკა ჯამბურია და ბევრი ახალი სახე.

ყო დრო, როცა მომღერალი ნინო ჩხეიძე ნაციონალური მოძრაობის აქტიურ მხარდამჭერთა რიგებში ირიცხებოდა, ახლა კი ყველას მოუწოდებს, რომ პოლიტიკაში არ ჩაებან. ბოლო დროს საქართველოში შექმნილმა ახალმა რეალობამ — ხელისუფლებაში მომხდარმა ცვლილებებმა, მას აპოლიტიკურობისკენ უბიძგა. მუსიკალურმა პროექტმა „ახალი ხმაში“ კი ცხოვრებაში ახალ ეტაპზე გადაიყვანა.

მომღერალი არ ეთანხმება არავის, ვინც თვლის, რომ საქმე და პირადად ცხოვრება ერთმანეთთან შეუთავსებელია და ყოველთვის ერთ-ერთი მსხვერპლად ეწირება მეორეს. ირმუნდება, რომ თავად არც ოჯახს აკლებს ყურადღება და არც შემოქმედებას. მალე მერვე ალბომს გამოუშვებს.

მომღერალმა „სარკესთან“ თავის უახლოეს გემგებზე, პროექტ „ახალი ხმისგან“ მიღებულ შთაბეჭდილებებსა და გამოცდილებებზე და ბევრ სხვა საინტერესო თემაზე ისაუბრა.

— ნინო, კვათავიდი ხართ „ახალი ხმის“ შედეგებით?

— „ახალი ხმის“ დასრულების შემდეგ ძალიან მოვიწყინე. პროექტი შრომატევადი

„მოგება მინდოდა და, ჩაც შეეძლო, ამისთვის ყველაფერს ვაკეთებდი, მათ ჩაცმულობაზე, რეპერტუარზე ვზრუნავდი, მაგრამ ბინძური მეთოდებისთვის არასოდეს მიმიმართავს.“

ალმონდა, ვფიქრობდი, როდის დამთავრდებამეთი. არ მეგონა, „ახალი ხმა“ მთელ ჩემს ცხოვრებას თუ დაიკავებდა. ვფიქრობდი, დამთავრდება და დავისვენებ-მეთი, მაგრამ მეორე დღეს მიხვდი, რომ ის საქმე უკვე მენატრებოდა. რაც შეეხება მუსიკალურ მხარეს, ვფიქრობ, რომ მწვრთნელები კარგად შეგვარჩიეს, ხუთი აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანი ვიყავით. შოუ ამან უფრო საინტერესო გახადა. რა თქმა უნდა, მითქმამოთქმაც ბევრი იყო, ზოგს არ უნდოდა, რომ მე ვყოფილიყავი მწვრთნელი, იმასაც ამბობდნენ, რომ სხვა უნდა გაგვეგდო... არა ის, ვისაც პროექტი დავატოვებინეთ... მოკლედ, შოუს გარშემო ბევრი კრიტიკა იყო. ეს იმის დასტურია, რომ „ახალი ხმა“ ძალიან პოპულარული იყო.

— მწვრთნელებს სხვადასხვა ვინაის წევრებ-

გასართობი გადაცემები კეთდება. რაც შეეხება დისკს, უკვე დავამთავრე მუშაობა. მინდა, რომ ჩემი მერვე ალბომი გასაყიდად 14 თებერვლისთვის გავიდეს. ჩემს ალბომში 12 სიმღერა შევიდა, რომლებზეც მთელი წელი ვმუშაობდი.

— **თქვენს ცხოვრებაში ახლა რა ეტაპია?**
 — მგონია, რომ ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. ამ პროექტმა ბევრი რამ მომცა, გამზარდა, უფრო ბრძოლისუნარიანი, შრომის-

„იმის გამო, ხომ მე და ჩემი ქმარი უამრავ ხამეს ვახით მიღებულ-მოდებული. დედის „ჰოფესია“ ნიდაც ახ მხვდა. ხა თქმა უნდა, ვყილობ, ახაგი მშობელი ვიყო, მაგჩამ მთელ ღლებს შეიღთან ვეი ვაყაიხებ“.

მოყვარე და მობილიზებული გამხდა. რეალურად დამანახა, როგორია ქართული შოუბიზნესის ცხოვრება. მინდა, გაზაფხული-ზაფხულისთვის სოლო კონცერტი გავაკეთო. მანამდე უამრავი კონცერტი მაქვს დაგეგმილი — ისრაელში, მოსკოვში. 28 თებერვალს თურქეთში მივდივარ. ადრე უფრო პასიური ვიყავი და რალაც კონცერტებში მონაწილეობაზე უარს ვამბობდი. თითქოს დინებას მიყვებოდი, ახლა უფრო მობილიზებული ვარ. სხვა ალბომზეც ვმუშაობ, სადაც მხოლოდ ჩემი დანერვილი სიმღერები შევა. ამ დისკის პრეზენტაციას ბენდთან ერთად განსაკუთრებულ სიტუაციაში გავაკეთებ.

— **სამუშაოს მდომ ახალი არაფერი სდება თქვენს ცხოვრებაში?**

— საქმის მიღმა ოჯახი და მეგობრები არიან, ვისთვისაც დრო ყოველთვის მრჩება. ეს ყველაფერი შერწყმული და დაბალანსებული თუ არ გაქვს, ვფიქრობ, არც საქმე გამოვა. მთავარია დროის სწორად განაწილება. საქმეში მეგობრებიც მესხმარებიან და ოჯახიც, ყველაფერი ერთმანეთზე გადავაჯგუფი და ერთიც რომ გამოვავლო, არც საქმე გამოვივა და არც სხვა რამ.

— **და მაინც არც საქმეს აღდგება თქვენი ყურადღება და არც თავისი?**

— არა. ჩემგან ადამიანს იმ შემთხვევაში მოაკლდება ყურადღება, თუ მინდა, რომ მოაკლდეს. ეს კი იმ შემთხვევაში ხდება, თუ მანყენინებენ. ჩემთვის ძვირფას ადამიანს არც ყურადღებას დავაკლებ და არც — სიყვარულს.

— **ჩემი რესპონდენტების უმრავლესობა მარწმუნებს, რომ საქმის გამო ზოგჯერ თავის ყურად-**

ღებას აკლებს.

— არ დაიჯეროთ! თუ მოინდომებ, აბსოლუტურად ყველაფრის მოსწრება შეიძლება. ადამიანები, რომლებიც ამბობენ, დრო არ მქონდა, ვერ გნახე ან სახლი ვერ დავალაგეო, მხოლოდ და მხოლოდ თავს იმართლებენ.

— **თქვენ აკუთხობ სათავისი საქმეებს?**

— მეწერებ, მაგრამ არ ვაკეთებ, განა იმიტომ, რომ დრო არ მაქვს, უბრალოდ არ მჭირდება. სახლში მხოლოდ მე და ჩემი მეუღლე ვართ. ჩვეულებრივად ვალაგებ, ჭურჭელსაც ვრეცხავ და ტანსაცმელსაც, მაგრამ საქმელებს არ ვაკეთებ, რადგან ხშირად სახლში არ ვართ. რომ დამჭირდეს, სადილებსაც ვაკეთებ.

— **თქვენს შვილზე ვინ ზრუნავს?**

— ჩემი შვილი დაბადებიდან მოყოლებული დედაჩემთან ცხოვრობს, მგონი, უკვე ველარც შეეგუება ჩვენთან ცხოვრებას და ეს ჩემი პროფესიის გა-



■ ნინო ჩხეიძე

„ახ ვთვლი, ხომ მომღეჯიდი, სტილისტი, გამყიდველი... ყველა ეთიად ჰოლიტიკაზე უნდა ღაჯაჯობდეს. ჩვენს საქმეებზე ვისაუბრობ და არა იმაზე, თუ რას გავაკეთებ სახლი მთავრობა ან რომელმაც პოლიტიკოსმა რა თქვა. ეს უკვე ისტერიაა!“

მო ხდება. არიან ადამიანები, ვისი პროფესიაც დედობაა, მთელი დღე შვილით არიან დაკავებული. ამას მივსალმები, მაგრამ იმის გამო, რომ მე და ჩემი ქმარი უამრავ რამეს ვართ მიღებულ-მოღებული, დედის „პროფესია“ წილად არ მხვდა. რა თქმა უნდა, ვცდილობ, კარგი მშობელი ვიყო, მაგრამ მთელ დღეებს შვილთან ვერ ვატარებ. იმასაც არ ვეთანხმები, რომ ამით მას რამეს ვაკლებ, ვცდილობ, ყველაფერი მაქსიმალურად გავუკეთო. ისეთი მშობელი ვარ, როგორიც, ჩემი აზრით, კარგი დედა უნდა იყოს. ჩემი გოგონა ინგლისურს სწავლობს და, როცა კარგი ამინდია, ცურვაზე დადის. ქარ-

თულ ცეკვებსა და სიმღერაზეც დადიოდა.

— **ხელისუფლების შეცვლა თქვენს მდგომარეობაზე თქვენთვის მავრებლისა და ხალხის დამოკიდებულებაზე რაფიარ აისხსა?**

— ჩვენი ხალხის უბედურება სწორედ ისაა, რომ ყოველთვის სხვისგან ელოდებიან რალაცს. სიმართლე გითხრათ, არც წინა მთავრობისგან მქონია რაიმე მოლოდინი და არც ახლანდელი ხელისუფლებისგან ველი რამეს. არ ვთვლი, რომ მთავრობამ რამე უნდა გამიკეთოს. ჩვენი შრომით, ნიჭით უნდა მივალწიოთ რამეს. ხალხო, გეხვეწებით, პოლიტიკაზე არასოდეს ილაპარაკოთ და ზურაფერის მოლოდინი გექნებათ! არ არის სწორი, ვილაცისგან რალაცს ელოდებოდე და თუ არ მოგცემს, ლანძლო, თუ მოგცემს — აქო. პოლიტიკაზე უფრო არ ვარ. დიდი მადლობა, „ახალ ხმას“, რადგან მისი წყალობით, ბოლო 4-5 თვის განმავლობაში არაფერი გამიგია, თუ რა ხდებოდა ქვეყანაში და არც მაინტერესებდა. არ ვთვლი, რომ მომღერალი, სტილისტი, გამყიდველი... ყველა ერთად პო-

ლიტიკაზე უნდა ღაჯაჯობდეს. ჩვენს საქმეებზე ვისაუბრობ და არა იმაზე, თუ რას გავაკეთებ სახლი მთავრობა ან რომელმაც პოლიტიკოსმა რა თქვა. ეს უკვე ისტერიაა!

— **რაფიარ პოლიტიკა ერევა მთი ცხოვრებაში, რაფიარ არ ილაპარაკან? ცნობილი ფაქტია, რომ მიმღერლების გარყვეული ნაწილი იბლიკაობდა, მთი კონცერტებზე არ იწვევდნენ ასეო შებისევაში რაფიარ აკუთხის თავიანთი საქმე?**

— ყველას მოსაზრებას პატივს ვცემ, მაგრამ ტრაგიაში, რომ ვითომ ყველგან იბლოკებოდნენ, სისულელეა! ორი რადიო მქონდა და ორივეში აბსოლუტურად ყველა მომღერლის სიმღერები გადიოდა. აბსურდი იყო, ვინმეს სიმღერა მხოლოდ იმიტომ დამებლოკა, რომ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულება ჰქონდა. დღესაც ჩემი სიმღერები აბსოლუტურად ყველგან გადის და გავა კიდევ. თუ რეიტინგულ პროდუქტს გავაკეთებ, ყველა მთავრობა დაცი-ძახებს. ჩემი კოლეგების მხრიდან ეს დრამატიზმი და პოლიტიკური მხსვერპლის თამაში ზედმეტად მიმანია იმიტომ, რომ ასე არ არის.

✓ **ქეთი დინიშვილი**



■ მარიკა თხელიძე

მარიკა თხელიძე გელა ბეჟუაშვილის ვაჟს დაშორდა

მომღერალი მარიკა თხელიძე დიდი ხანია ახალი სიმღერით საზოგადოების წინაშე არ გამოსულა. თავის პირად ცხოვრებასაც საგულდაგულოდ მალავდა. გასულ წელს კი ჟურნალისტებს „აღიარებითი ჩვენება“ მისცა და გაამხილა, რომ შეყვარებული იყო. მისი რჩეული ცნობილი ოჯახის შვილი, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის, გელა ბეჟუაშვილის ვაჟი გახლდათ. ერთმანეთი საერთო მეგობრის მეშვეობით გაიცნეს. ახლახან გავრცელდა ხმა, რომ წყვილი ერთმანეთს დაშორდა. მიზეზი უცნობია. მომღერალმა ამ თემაზე ჟურნალისტებთან საუბარი არ ისურვა.

მაკა ძაგანიას და ტატო ჩახუნაშვილის ხუთწლიანი რომანი დასრულდა

სახიობი მაკა ძაგანია დიდხნის შეყვარებულს დაშორდა. მისი რჩეული მუსიკისა და დრამის თეატრის დასის წევრი ტატო ჩახუნაშვილი გახლდათ. წყვილი ხუთი წელი იყო ერთად, თუმცა მათი ურთიერთობა ქორწინებამდე არ მისულა. სულ რამდენიმე თვის წინ „სარკემი“ ისინი თავიანთი სასიყვარულო ისტორიის შესახებ უამბობდნენ მკითხველს. რატომ გაიყარა მათი გზები, ამის შესახებ მაკამ საუბარი არ ისურვა. „არც ხოს გეტყვით და არც — არას. ამაზე საუბარი არ მსურს“, — გვითხრა მან. ტატოსთან დაკავშირება ვერ შევძელით. ✓ **ლანა კიკნაძე**



■ მაკა და ტატო

რუსუდან ბოლქვაძე: „11-ჯერ ვითქვი უარი როლზე სხვის სასარგებლოდ“

„თამარ სხირტლაძე მარჯანიშვილის თეატრმა ცხვირწინ ამაცალა“



რუსუდან ბოლქვაძე

რუსუდან ბოლქვაძემ, როგორც მსახიობმა, თუმანიშვილის თეატრში აიდგა ფეხი, მისი პირველი თაობის, ე.წ. „ოქროს ხანის“ წარმომადგენელია, დიდი მესტროს, ბატონი მიშას საყვარელი მოწაფე. დღემდე იმ კედლებში რჩება, სადაც სხარულიც ბევრი განიცადა და ტკივილიც. ამიტომ არც არის გასაკვირი, როცა ამ თეატრთან მიმართებაში ყველაფერს ემოციურად აღიქვამს. სცენაზე უამრავი მთავარი როლი ითამაშა, კინოში კი — მხოლოდ 14 და ძირითადად ეპიზოდურები.

ცოტა ხნის წინ მსახიობმა რეჟისურაშიც სცადა ბედი და დადგა სპექტაკლი „ზვავი“. ამ მოვლენას მის ცხოვრებაში მარტივად და უბრალოდ არ ჩაუვლია. ჯერ ეს ნაბიჯი არ მოუწონეს. შემდეგ მოხდა ისე, რომ იგივე პიესა პარალელურად მარჯანიშვილის თეატრმაც დადგა და თანაც ახალბედა რეჟისორს როლზე მიწვეული მსახიობიც „წაართვა“. რუსუდანმა ფარ-ხმალი არ დაყარა და მისი პიესა დღემდე თეატრის რეპერტუარშია.

— ქაბაბტონი რუსუდან, როგორ გახსენდებოთ ის წლები, როცა კინოსმსახიობთა თეატრში მსყვდი?

— თუმანიშვილის თეატრში რომ მივედი, სულ რაღაც ორი წლის დაარსებული იყო. თავიდან თეატრალური სახელოსნო ერქვა, სადაც სტუდენტები დიდ პედაგოგთან, მიხეილ თუმანიშვილთან ერთად მუშაობდნენ. თუმანიშვილმა ძალიან მალე, 1981 წელს, დადგა „დონ ჟუანი“ და სწორედ ამ სპექტაკლიდან დაიწყო ჩვენი თეატრის ოქროს ხანა... დიდი პედაგოგ სპექტაკლით „ამფიტრიონი“ დაგვემშვიდობა და ანდერძად სიყვარული დაგვიტოვა.

— მისი თუმანიშვილის გარეშე თეატრის ცხოვრება როგორ განვითარდა?

— დაიწყო ახალი ერა — თეატრი თუმანიშვილის გარეშე. ძნელი იყო ობლობის ხანის გადატანა. მთავარი მამოძრავებელი ძალა რომ გამოგვეცალა ხელიდან, დასის ნევრები ერთმანეთს მოვებლაუჭეთ. ყველა

ერთად შევეცადეთ, რომ ის არ დაგვეკარგა, რაც თუმანიშვილმა გვასწავლა და დაგვიტოვა. ამასობაში ახალი თაობა მოვიდა და შინაგანი კრიზისი წელს დავეძლიეთ.

— სწორად ამბობენ, რომ თქვენ მისი თუმანიშვილის გამორჩეული მოწაფე იყავით.

— ძალიან მიხარია, ეს სიტყვები რომ მესმის, თუმცა მისგან ეს არასოდეს მიგრძენია. ის ყოველთვის ცდილობდა, ფავორიტები არ ჰყოლოდა. ერთმა ჩემმა ახლებელმაც იგივე მითხრა. თუმანიშვილის გარდაცვალების შემდეგ მისმა დამაც იგივე მითხრა. სიცოცხლეში მსგავსს არაფერს მაგრძნობინებდა. ძალიან მომაკვდა მისი მფარველი ხელი.

— თეატრში ახალი რეჟისორის მისვლა ყოველთვის იწვევს გარდატეხას, რაღაცის დამთავრებას და ახლის დაწყებას. ეს პერიოდი მტკივნეული იყო დასისთვის და პირადად თქვენთვის?

— მიხილი თუმანიშვილის გარდაცვალების შემდეგ მსახიობებმა ერთმანეთს ვუთხარით, რომ ცოტა ხანი გარედან არავინ მოსულეყო. ის ვიღაც ახალი, როგორი დიდი ავტორიტეტიც უნდა ყოფილიყო, ჩვენთვის მაინც უცხო იქნებოდა. თემურ ჩხეიძეზე იყო საუბარი, რომ თუმანიშვილის საქმე მას გაეგრძელებინა. ამის წინააღმდეგი არავინ იყო, მაგრამ ჩვენ არ ვიყავით მზად ამისთვის და ტაბო აუტი ვითხოვეთ. ბატონი თემური, როგორც დიდი ხელოვანი, თავადაც ამბობდა, რომ არ შეიძლებოდა ასეთი მნიშვნელოვანი და ფაქიზი შემოქმედებითი პროცესი ნაჩქარევი ყოფილიყო.

— არაერთხელ გითქვამთ, რომ სპექტაკლებში აქტიურად აღარ ხართ დაკავებული. როგორ ფიქრობთ, ამის მიზეზი რა არის?

— რა ვიცი, ახალი სპექტაკლები იდგმება, ვთამაშობ. ვერც იმას ვიტყვი, რომ დაკავებული არ ვარ, მაგრამ ისე აქტიურიც აღარ გახლავართ. ადრე სპექტაკლის დასადგმელად საჭირო თანხების მოძიება რთული არ იყო, ახლა კი ძალიან გაძნელდა.

— არასდროს ვიფიქრათ, სხვა თეატრში წახლავართ?

— არასოდეს. სხეულით ვგრძნობ, რომ ამ თეატრის ნაწილი ვარ. შემოთავაზებები იყო, მაგრამ... სხვაგან საკუთარ თავს ვერ ვხედავ. ყველა თეატრალურ დასს პატივს ვცემ, მაგრამ ამ თეატრის გარეშე არსებობას ვერ შევძლებდი.

— თეატრალური სკანდალები, ინტერვიუ შეგუბნათ?

— ოჯახებშიც კი ხდება კონფლიქტები. თეატრშიც ყოფილა გაუგებრობა. ავტობუს-

ში რომ ადის ადამიანი, იქაც კი ცდილობს, გაიკაფოს გზა, ადგილი იპოვოს და დაჯდეს. ამიტომ რა გასაკვირია, რომ როლებზე იყო ტაციობა, მით უმეტეს, მთავარ როლზე. დამთმობი ვარ. ამას წინათ დავითვალე, რომ 11-ჯერ ვთქვი უარი როლზე სხვის სასარგებლოდ. მეელი ჩემი სიცოცხლე მივიტანე და თეატრში დავდე, მაგრამ როლისთვის არასოდეს მიბრძოლია. ასეთ შემთხვევებში ყოველთვის უკანა პლანზე გადავდიოდი. რაღაც თვალსაზრისით, ამით მოვიგე, მაგრამ წავაგე კიდევ.

— მსახიობმა ქალმა რეჟისურას მოჰკადოთ სული და პუღარულ პიესას, „ზვავს“ შექმნიდა, რომელიც 14 კეპანაში დაიდგა. ამ გადაწყვეტილებამდე როგორ მიხვდით?

— როცა ეს პიესა წავიკითხე, სულ არ იყო გახმაურებული. მაშინ ვერ წარმომედგინა, ამ პიესას თუ დავედგამდი. წავიკითხე, როგორც მსახიობმა, სადაც ჩემი თავი ვერ ვიპოვე. ნაწარმოებით ძალიან დავინტერესდი, რეჟისორებს ვაკითხებდა და ვთავაზობდი, რომ დაედასტოვებინა. მერე ისე მოხდა, რომ თავად მოვიკიდე ხელი.

— რეჟისორები როგორ შეხვდნენ თქვენგან ამ ნაბიჯს?

— ორგანიზაციის დამოკიდებულება იყო. ზოგიერთები კატეგორიული წინააღმდეგები იყვნენ, რომ სპექტაკლი დამედა. მაგალითად, ქეთი დოლიძემ არც მომხმინა. ის თვლიდა, რომ მსახიობს სპექტაკლი არ უნდა დაედა. მე კი სხვანაირად ვფიქრობ. თეატრის საბჭოში აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც დამეთანხმნენ.

— ქეთი დოლიძემ სპექტაკლი რომ ნახა, როგორ შეაფასა?

— აღარაფერი უთქვამს. — ამ წინააღმდეგობის გამო კონფლიქტის ხომ მოგსულათ მასთან?

— არა, კონფლიქტური ადამიანი არ ვარ. მესმის, ქეთი რატომაც ამბობდა ამას. ის თვლის, რომ ეს ორი სხვადასხვა პროფესიაა და შეუძლებელია, მსახიობმა ეს შეძლოს. ძალიან ბევრი რეჟისორი ვიცი, რომელიც დაჯდება დარბაზში და მსახიობებს მშვიდ შოშინასავით შემოგვეცერის, რომ მისი გასაკუთებული შენ გააკეთო. ასეთ რეჟისორს გინდ ედოს რეჟისორის დიპლომი და გინდ არა, რა მნიშვნელობა აქვს?

— პარალელურად ეს სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრშიც დაიდგა და თითქმის ერთდროულად გაიმართა პრემიერები. ეს როგორ მოხდა?

— სანამ იქ დაიწყებდნენ ამ სპექტაკლზე მუშაობას, მე უკვე რეპეტიციები მქონდა. მოხდა ისე, რომ მათ უფრო სწრაფად დადგეს, ვიდრე მე. ჩვენს თეატრებში პრემიერა ერთი კვირის შუალედით იყო. არ ვიცოდი, ამ პიესას მარჯანიშვილის თეატრშიც თუ მოჰკიდებდნენ ხელს. მეტსაც გეტყვი, ქალბ-

ნუგზარ ერგემლიძე: „პარლამენტიდან ნამოსვლის შედეგ სულიერი პრობლემები შეეპყვნა“

მომღერალმა ნუგზარ ერგემლიძემ საპარლამენტო ცხოვრების ოთხი წელი სულ ლილინ-ლილინში გაატარა. ეს პერიოდი მისთვის შემოქმედებითად აღმოჩნდა ნაყოფიერი, ხოლო პოლიტიკურად — რაც შეეძლო, იგივე გამოიტანა, არანაირი ქულები არ ჩაუწერია. პარლამენტში შესვენებების დროს სიმღერებს წერდა. საკანონმდებლო ორგანოში კიდევ ერთი საქმის კეთება შთააგონა — ლექსების თარგმნა დაიწყო. თავისი მომავალი ნიგნისთვის კარგი თემებიც აკრიფა, გადაწყვიტა, ყოფილი კოლეგები მხატვრულ პერსონაჟებად აქციოს.



ნუგზარ ერგემლიძე შოლთან კარტავა

ცოტა ხნის წინ მუსიკოს-მხატვარ-დეპუტატმა მესამე რომანის პრეზენტაცია გამართა. პარალელურად ბავშვობის ოცნებაც აისრულა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში თავისი ნახატების გამოფენა მოაწყო. მას საგამოფენო დარბაზში შევხვდით და, ბუნებრივია, საუბარიც ამ თემით დავიწყეთ.

ბატონო ნუგზარ, რამდენი ხანი კონსტრუქციულია თქვენთვის?

— მთელი ჩემი ცხოვრება გმუშაობდა ამისთვის. აქ ყველა ჩემი ნამუშევარი არ არის წარმოდგენილი, მხოლოდ 70 ნახატია. ბევრი სტუმარი მყავდა. გამოფენის გახსნის დღეს შუქი ჩაქრა და ძალიან ვინერვიულე. ერთმა ქალმა დამამშვიდა, ესეც ერთგვარი პერფორმანსიაო. ბაბუაჩემი მხატვარი იყო, გასული საუკუნის 50-იან წლებში გარდაიცვალა. სამწუხაროდ, მას არ ვიცნობდი. პირველად 4 წლის ასაკში დავხვდი. მამამ მითხრა, ეს შენი ნახატი არ არისო. ამ სიტყვებით ძალიან მანყვინა და თავიდან დავხატე. მერე მითხრა, ეს ნინაზე უკეთესიაო. შემდეგ სახმტავრო აკადემიის სტუდენტი გავხვდი...

გამოფენის პარალელურად რომანის პრეზენტაციაც მოაწყვეთ. რას ეხება თქვენი წიგნი?

— დიას, მესამე რომანი დავწერე — „არმაგედონის მათრახი“. დაწერილი მაქვს რომანები „ისეც საბჭოთა კავშირში“ და „მხატვარი და მარგარიტა“. ჩემი ბოლო რომანი ახალგაზრდა მუსიკოსზეა, რომელსაც თანამედროვე მუსიკა, როკი უყვარს. მას საქართველოდან გაქცევა უნდა, რომ კარიერა ლონდონში მოიწყო... შინაარსს მთლიანად არ გაგიმხელთ, შეგიძლიათ წაიკითხოთ.

წიგნის მთავარი გმირი თქვენი შვილის, ვაიარის პოტიტობა სიმ არ არის? ისიც ახლდაზრდა რეპუტაციას. ერთი პერიოდი ისიც ცნობილია ლინდონში.

— მთავარ პერსონაჟს ნიკა ჰქვია, თუმცა გიორგის ცხოვრებიდან ნიგნში ბევრი რამ არის აღწერილი... ჩემი აზრით, ხელოვანი ადამიანი რაღაც

დროით აუცილებლად უნდა წავიდეს უცხო მიწაზე.

— თქვენ რატომ არ მოიქცით ასე?

— თავის დროზე ბათუმიდან თბილისში ჩამოვედი. ასე რომ არ ყოფილიყო, ბათუმი ვიქნებოდი თეატრის მთავარი მხატვრის მოადგილე. საზღვარგარეთ დიდხანს ვერ ვჩერდები. ყოველთვის, როცა უცხოეთში რამე უნდა წამოწყდეს, რაღაც შემთხვევამ სახლში დამაბრუნა. ესეც ბედისწერაა. საზღვარგარეთ რომ დავრჩენილიყავი, ჩემი აზრით, გაცილებით მეტ სახეში მოვიხვედრებო. ეს ჩემი ცხოვრების შეცდომაა. ყველგან აფასებენ უცხო ქვეყნიდან ჩასულ ხელოვანს. ბუდა წერს, წადი სხვის ქვეყანაში, ქვაზე დაჯექი და ხალხს ელაპარაკეო.

— წერო, მღერო, ხატავო. რისი სიჭეფერი მძღავრობს თქვენს?

— მამას უნდოდა, მხატვარი გამოვსულიყავი, სულ ყიდულობდა ჩემთვის ტილოს, საღებავებს, მაგრამ მე გიტარა შემეყვარდა. სახლში შეიდისომიანი გიტარა გვქონდა. ბუბია, თამარ ქვარიანი, ხშირად უკრავდა, ეს ინსტრუმენტი მან შემეყვარა. მერე სამხატვრო აკადემიაში დიზანის ფაკულტეტზე მოვეწყვე და აკადემიის ანსამბლში ვუკრავდი. შემდეგ რობერტ ბარმიშაშვილი გავიცანი, მან ჩემი მეზობლისგან გაიგო, რომ ლექსებს ვწერდი. ბატონ რობერტს როკოპერისთვის ლექსები სჭირებოდა და ვითანამოსრომლეთ. მამის 20 წლის ვიყავი. მერე ბატონმა რობერტმა მოხოვა, რომა რცხილადის მელოდიაზე დაწერა ლექსი „ნატვრის ხე“. შემდეგ ბორია შოხანი „ივერიაში“ მღეროდა ჩემს ლექსებზე დაწერილ სიმღერებს და ასე მოვედი დღემდე. დღე და ღამე გიტარა მიჭირავს ხელში.

— პარლამენტში ყოფნის დროს მუსიკაში პაუზა არ გქონია?

— პარლამენტში შესვენებებზე ვმღეროდი. ჩემს კაბინეტში ძალიან ბევრი რამ შეეკმინი. თარგმანშიც ვცავე ბედი. გალაკტიონ ტაბიძის, ლადო ასათი- **→34**

ტონი თამარ სხირტლაძე თავიდან მე ავიყვანე ბებუის როლზე, მაგრამ მარჯანიშვილის თეატრმა ჩემი საყვარელი თამარი „ცხვირწინ ამაცალა“ და ზუსტად იმავე როლზე, იმავე პიესაში დააკავა. შემდეგ ჩემს უსაყვარლეს ქალბატონს, ლია კაპანაძეს ვთხოვე ბებუის როლის თამაში. ქალბატონ თამარს, ჩემი მეგობრის, თაზო თოლორაიას დედას, სიმბოლურად ვთხოვე ამ სპექტაკლში თამაში. ეს გადაწყვეტილება ქალბატონმა ლიამ სწორად გაიგო და შემდგომში ყველანაირად გვერდში დამიდგა.

— რეჟისურაში მუშაობის გარდასტავებთ აპირებთ?
— არ ვიცი, ვნახოთ. ხელოვნება არის თავისუფლება, ამის შეზღუდვის უფლება არავის აქვს.

— ფილმოგრაფიაში 14 კინორილი გაქვთ, თუმცა მათგან არც ერთია მთავარი. ვიყვართ ეს როლები?

— დიას, უმეტეს ფილმში ეპიზოდური როლი მაქვს ნათამაშევი, მაგრამ თითოეული ძალიან მიყვარს.

— უმრავლესობაში დედის როლს თამაშობთ. ვიყვართ, რატომ ხდება ასე?

— არ ვიცი, თეატრალურ ინსტიტუტშიც პირველად დედის როლი ვითამაშე. რატომღაც მას შემდეგ მეტწილად დედის როლები მხვდება. გასაოცარი ის იყო, რომ 20-22 წლისავე ასაკოვან ქალებს ვითამაშობდი. ახლა უკვე მართლა მივალწი დედობის ასაკს და აღარ არის გასაკვირი, რომ ასეთი როლები მქონდეს.

— თუმცა რეალურ პირად ცხოვრებაში ეს როლი არასოდეს „გითამაშიათ“.

— ეს არის პირადი და ყოველთვის თავს ვიკავებ, ჩემი ცხოვრება საჯარო გავხადო. ეს ჩემია! თავს კარგად ვგრძნობ, ძალიან წყნარად ვარ, ასე რომ, მკითხველსაც შეუძლია, დამეხედოს.

— არასოდეს ვინანობთ, რომ მარტო ხართ?

— არანაირი სინანული! არ მინდა ამ თემაზე საუბარი, რადგან თქვენ ამ საკითხის ჩაღრმავებისკენ მიბიძგებთ (იციინის).

— თქვენ არგვლივ ჭირი ხშირად ავითრებულა?

— არც ისე ხშირად. საზოგადოებას ერთი რამ ჰქონდა ამოჩემებული, ხშირად ამბობდნენ, რომ მე და გია აბესალაშვილი ცოლ-ქმარი ვიყავით. ერთხელ გია თავის მუხლსთან ერთად კლინიკაში იყო მისული. მეორე დღეს იმავე საავადმყოფოში მეც მივედი და

- „თეატრალური ინსტიტუტის პიხვლად დედის ხოცი ვითამაშე. ხატომღაც მას შემდეგ მეტწილად დედის როლები მხვდება.“
- გასაოცარი ის იყო, ხომ 20-22 წლისავე ასაკოვან ქალებს ვითამაშობდი“.

ერთმა ექიმმა ჩუმად მითხრა, ქალბატონო რუსუდან, ერთი რაღაც უნდა გითხრათ, გუშინ თქვენი მუხლზე ვილაც ლამაზ ქალთან ერთად იყო მოსულიო. ძალიან ბევრი ვიციინეთ. გიას ოჯახს ძალიან დიდ პატივს ცემ, მისი შვილის ნათლია ვარ.

— თქვენს ოჯახზე მოგვიყვით.

— ერთი ძმა მყავს, გია, რომელიც დაოჯახებულია. ძალიან მიყვარს, წესიერი კაცია. მისი შვილებზე დიდი ამაგი მაქვს, ზოგადად ბავშვები ძალიან მიყვარს და, მით უმეტეს, ჩემი ძმის შვილები. ერთი წელია, რაც მე და დედა ცალკე ვცხოვრობთ. წელს 90 წლის ხდება. ის უაღრესად კეთილი და თავდადებული ადამიანია ოჯახისა და მეგობრებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რთული პერიოდი გამოიარა, 90 წლის ასაკში მაინც აქვს შენარჩუნებული სისუფთავე, მეგობრობის საოცარი უნარი. შვილები მის მაგალითზე გავიზარდეთ. სახლში ფუნქციები გადანაწილებული გვაქვს, მაგრამ სამზარეულო მთლიანად მის განკარგულებაშია. „ორივე ფეხით ვყოფლობ“ კულინარიისში.

— თეატრის მიღმა რა გატაცებები გაქვთ?

— მამას სურათების გადაღება უყვარდა. სახლში ფოტოების გასამკლავებელი აპარატი გვქონდა. მერე მე გავაგრძელე ეს ყველაფერი. დღეს ის დანადგარი, როგორც რელიკვია, შენახული მაქვს. სადაც მივდიოდი, ყველგან ვიღებდი ფოტოებს. 2005 და 2007 წლებში თავი მოუყარე ყველა ფოტოს და გამოფენა გავაკეთე. მეგობრები ხშირად ვიკრიბებით ფინჯან ჩაიზე, ხან ჩემთან მოდიან და ხან კინოში დავდივართ. გააჩნია განწყობას და ვითარებას. ✓ **ლანა კიკიაძე**

ანის რამდენიმე ლექსი ვთარგმნე რუსულად. ესეც დეპუტატობის დროს გავაკეთე.

— დეპუტატს ამისთვის გვაცალიან?

— ხელი რას უნდა შეემალოს? მოვიდოდა რალაც წერილი, დაადებდი რეზოლუციას, მიხვდებოდი, ვილაცას რალაცას სთხოვდი და ეს იყო. პარლამენტის სხდომა ყოველდღე კი არ ტარდება, კვირაში ორჯერ არის და ერთი კვირა შესვენება.

— პარლამენტში ყოფნის პერიოდი როგორ გასწავლავდა?

— ამაზე ცალკე დავწერ რომანს, ოღონდ გვარებს პირდაპირ არ დავასახელებ, არ იქნება ლამაზი. ამას რომ გეუბნებით, არ მინდა, ვინმემ იდეა მომპაროს. გთხოვთ, დააპატენტოთ.

— პარლამენტიდან მეგობრები შეპოგნა?

— კი, როგორ არა, როგორც უმრავლესობაში, ასევე უმცირესობაში. გია ვოლსკი, თემურ ჭკუასელი, გოგი ქავთარაძე... არ მინდა, ვინმე გამომჩნეს. სხვათა შორის, მე რომ აქტიურად ვხატავდი, გოგი ბათუმის თეატრის მთავარი რეჟისორი იყო. მაშინ დაიწყო ჩვენი ნაცნობობა.

— ახალი მთავრობისგან რა მილოდინა გაქვთ?

— პროგნოზების გაცემა ძალიან ნაადრევია. სულ სამი თვეა, რაც ხელისუფლებაში არიან. ტარიფები ცოტა უნდა გაიზარდებოდეს. მძლავარიანი ავტომობილის ყიდვას ვაპირებდი, ვფიქრობდი, ახალი ხელისუფლება სანავაზუვ ფასს დაუკლებს-მეთქი, მაგრამ კიდევ კარგი, არ ვიყიდე. იმედია, რალაც შეიცვლება. თუ რამე ისე არ იქნება, როგორც ხალხს უნდა, არჩევნები ისევ ჩატარდება. ხომ იცით, ოცნება რა არის? ვერ შეჭამ. თუმცა ოცნება ხშირად სრულდება, მაგალითად, ამ გამოფენის მოწყობა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო.

როგორც პოლიტიკოსი, გეუბნებით, მთავარი ის არის, როცა ადამიანი რალაც წარმატებას მიაღწევს, მეორემ იცოდეს, რომ ის მას ეკუთვნოდა. „მერსედესით“ დადიოდნენ რობერტ ბარამიძეშვილი, ჯანსუფ კახიძე, ალექსანდრე მეტრეველი, მაგრამ ხალხს მათი არ შურდა, რადგან ყველამ იცოდა, რომ ისინი ღირსეული იყვნენ. ადამიანი სრულიად დაუმსახურებლად რომ ზის ძვირადღირებულ მანქანაზე და დამსახურებული ხალხი ფხვით დადის... გერმანიაში, ვთქვათ, იყიდე მანქანა, კი ჩანურ დეკლარაციაში ამას, მაგრამ იქ მეორე უნქტიც არის: „საიდან?“. ჩვენთან ამ კითხვაზე ასეთი პასუხია: „ტუმბოჩიდან!“.

— პარლამენტის დეპუტატობაც თქვენ ბავშვობის ოცნება იყო?

— არა, ეს არასოდეს ყოფილა ჩემი ოცნება, მაგრამ გული მიგრძობდა, რომ ამ გაუგებრობაში აუცილებლად მოვხვდებოდი. ყველა პარტიას სჭირდება გამოჩენილი ხალხი. დღევანდელ პარლამენტში მომწივრებიც ჰყავთ, თეატრალბებიც, მოჭიდავეც და ფხვბურთელი მთლად ვიცუპრემიერია. ასე რომ, ვფიქრობდი, თუ ვილაცას დაუძახებდნენ, შეიძლებოდა მეც ვყოფილიყავი მათ რიგებში. ხელოვანი ადამიანისთვის ოთხწლიანი მუშაობა პარლამენტში საჩუქარი არ არის. ეს ხალხის სამსახურია და არა — ფუფუნება. მილიონერი თუ ხარ და დეპუტატის მანდატი გინდა, ეს სულ სხვა რამ არის, მაგრამ, როცა შენი ხელოვნებით ცხოვრობ, გასტროლები გაქვს და შემოქმედებას შორდები, ეს რთულია.

— ლექსთარსტყუი პარტია, ვისი სათავე დეპუტატს გახდით, პარლამენტში არ შევიდა, თქვენ კი უარი არ თქვით მანდატზე. ეს ნაბიჯი

საზოგადოებამ არ მოგიწონათ.

— როგორც კი ლეიბორისტებმა სიაში ჩამწერეს, იმავე საღამომ დაიწყეს შურიანი „კეთილმყოფელებმა“ ტელეკომპანია „კავკასიაზე“ ესემეს-ების გაგზავნა, რა უნდოდა ერგემლიძეს ლეიბორისტებში, რომელი მუშა ეგ ნახეთ ან რა დეკორირი ხელები მაგას აქვსო. მოვიდნენ და ნახონ ჩემი გამოფენა! ყოვლად უქნარა და ამბიციური ადამიანები წერდნენ, ესტრადაზე ვერ ივარგა და ახლა პარლამენტში მოინდომო. ეს ესემესები რომ წავიკითხე, კინალამ გული გამისკდა! მაშინვე ვინანე ჩემი გადაწყვეტილება.

— გეყვინთ ხალხის ასეთი დამოკიდებულება?

— მეწყინა, აბა, რა! რა დავუშავე ამ ხალხს?! არ მეგონა, ჩვენს საზოგადოებაში ამდენი შურიანი ადამიანი თუ იყო. ჩემ მიმართ ცუდი განწყობა იმდენს გამოუხატავს... ჩაივლიდა ვილაც, ალბათ არაფრის მაქნისი და მომპაძეებდა, შენ რა გინდა პარლამენტშიო. ახლა კი ყველა მიცინის. საქართველოში უყვართ მკვდრები და გაჭირვებულები.

— პარლამენტიდან პარლამენტ ადმინისტრაციის ფილიში „ჩემი ცოდის დაქლის ქორწილი“. ეს როგორ მოხდა?

— მიშა მშვილდაძემ დამირეკა და მითხრა, ბატონო ნუგზარ, თუ გინდათ, კინოში გადაგიღებთო. ვუპასუხე, რომ მინდოდა. ამ სერი-ალისთვის თვალის ბევრჯერ მომიკრავს. ნინო გაჩეჩილაძე ძალიან მომწონს. მითხრეს, რომ მისი მამა უნდა მეთამაშა. გადავხედე რომ მივედი, მაინცდამაინც არ ვიყავი დარწმუნებული, რომ დამტოვებდნენ, მაგრამ თამაში მომიწონეს. რეჟისორმა გიორგი ლიფონავამ მითხრა, არ მეგონა, ასე კარგად თუ ითამაშებდითო.

პარლამენტიდან წამოსვლის შემდეგ სულიერი პრობლემები შექმენა. ჩიხში მოვექეცი, მაგრამ არ გამწირა განგებამ და კინოში გადამიღეს. 10 დღე ვიყავი არტისტი და ამან მძიმე პერიოდი დამაძლევინა.

— ახლა დანაზოგით ირჩენთ თავს?

— რა დანაზოგი?! ბანკის ვალები მაქვს! 9000 ლარი მაქვს ვალი. ჩემზე რომ ამბობენ, მდიდარიო, მეცინება! დეპუტატები მუშენებოდნენ, შენ რა გიჭირს, ხან დახატავ, ხან ილღერებ და ჩვენ რა გავაკეთოთო. მათზე მართლაც შემიტყივა გული. არ ვწუნუნებ, მეუღლე მიდგას გვერდში, ვნახოთ, რა იქნება. სცენარებსაც ვწერ და მინდა, ფილმიც გადავიღო.

— სამი ვაჟი გყავთ. როგორი მამა ხართ?

— დემოკრატი მამა ვარ. ყვირილი არ შემიძლია, ვუსხნი და ისე ვაგებინებ. უფროსი ვაჟი, ირაკლი, პირველი ქორწინებიდან მყავს. ის და ჩემი ყოფილი მეუღლე ნანა გერმანიაში ცხოვრობენ. ირაკლი პროფესიით რეჟისორი გახლავთ. შუათანა გიორგიც რეჟისორია, მაგრამ მუსიკა ძალიან უყვარს, მღერის, რამდენიმე კლიპიც გადაიღო. ამ ახალი წლისთვის კარგი სიმღერა დაწერა — „გილიკიძე, დღეს შენი დღეა“. ნიკუშა კი 15 წლისაა და უკვე გიტარა აიღო ხელში.

— თქვენი შემოქმედებიდან ცოდის სახელზე რამაც გაგაკეთებია?


— ჩემი ცოლი, ანა ქადეიშვილი, ყოველთვის ხელს მინიჭებდა. გასტროლებზე რომ მივდიოდი, ანა ძალიან მენატრებოდა. საგასტროლო ცხოვრების გამო ბევრი ხელოვანის ცოლქმრული ცხოვრება დასრულდა, ჩვენ კი ასე ტკბილად შემოვრჩით ერთმანეთს. ხელოვან კაცს გამოიძლო. სიმღერებს არ ვუძღვნი, მაგრამ მისი სამი პორტრეტი დავხატე.

✓ ლანა კიკიაძე

როგორ შეაშინა ოთარ ქირია დედ-მამა ესანტუჟი

„ჩემი შვილი უდალბატო ბიჭია, უველაფერში თანამიგრძობს“

ელეჟურნალისტი ოთარ ქირია ბავშვობაში დიდი ონვარი ყოფილა. უმცროს ძმასთან ხელჩართულ ომს მართავდა, დედას თავისი დამოუკიდებელი ხასიათით ბევრ სანერვიულოს უჩვენდა. ასაკის მატებასთან ერთად კი დადინჯდა. მშობლებს ყურადღებას არ აკლებს, დედას, თინა კუჭავას, საჩუქრებით ანებივრებს. ყოველ დღით ტელეეკრანზე შვილის დანახვა მშობლებს, რა თქმა უნდა, ძალიან



ოთარ ბავშვობაში

„ოთარი ყალბადანი, ცეკი და მოჩხუბაჩი იყო. ხეც მამი ეხვეოდა.“

უხარიათ და ამაყობენ, მაგრამ ქალბატონ თინას მაინც გული სწყდება, რომ მისმა ვაჟმა უცხოეთში ვერ მიიღო განათლება. ოჯახის უმცროსი შვილი, ირაკლი, განსხვავებით ოთარისგან, რომელსაც ცოლიც ჰყავს და ქალიშვილიც, ჯერ ისევ დასაქორწინებელია. ამიტომ ახლა მშობლების მთელი ყურადღება მისკენ არის მიმართული, რომ ოჯახს მოეკიდოს. ძმების დედა კიდევ ერთ რამეზე ოცნებობს, უნდა, ოთარმა პატარა ლიბიკოს დედამიშვილი აჩუქოს.

— ქალბატონ თინა, როგორი ბავშვობა ჰქონდათ თქვენს შვილებს, ოთარს და ირაკლის, რა მადრიკალებს ამჟღავნებდნენ თავიდანვე?

— ოთარი ძალიან მონესრიგებული იყო, მაგრამ ამასთანავე — ყალბადანი, ცეკი



ღაჯა-შვილი

ბოდა კიდევც.

— შეიძლება პრაფესიულ არჩევანში მშობლები ჩაეროთ?

თინა: არა. ოთარი სწავლა ეკონომიკურზე უნდოდა და ჩააბარა კიდევც. ირაკლიც ეკონომიკურზე სწავლობდა, მაგრამ არ დაუშთავრებია. სხვათა შორის, ოთარმა მეოთხე კურსიდან მოუმატა სწავლას და ახლაც სწავლობს. ასე ვთქვათ, ბევრი ბავშვია. კავკასიის ბიზნესსკოლაში დოქტორანტურაშია. ჩვენ, მშობლებმა, როგორც შეგვეძლო, შევიღებთ განათლების მიღებაში ხელი შევეწყვეთ. გული მაინც მწყდება, რომ ოთარი სასწავლებლად უცხოეთში ვერ გავუშვით, ამის ფინანსური შესაძლებლობა არ გვექონდა. მან ყველაფერს თავისით მიაღწია.

— გახსოვთ, კერძო პარკულად რაიის გამოსწავლა თქვენი ვაჟი?

— კი, როგორ არა, ეს 2007 წელს იყო. ოთარის გადაცემებს ჩემი მეუღლე იურიც უყურებს, მაგრამ უფრო მეტად მე ვადევნებ თვალს, არც ერთ გადაცემას გამოვტოვებ. ქმარი სამსახურში ადრე მიდის და დილის გადაცემის ყურებას სმირად ვერ ასწრებს.

— შეილება ვაზარდეთ და ვაზზე დააყენოთ, მაგრამ ალბათ რამდენი სირთულე გადალახოთ ბიჭების აღზრდაში?

— რა თქმა უნდა, ძალიან რთული იყო. ოთარი ბავშვობიდან დამოუკიდებელი იყო. ეს დიდ ასაკში კარგი თვისებაა, მაგრამ როცა პატარაა და დამოუკიდებლობას იჩემებს, ამ

„თამუნამ ძლიან აჩაგე ისწავდა ბავეს გაკეთება. ხალაყები ჩემზე უკეთესად გამოსდის“.

შემთხვევაში მშობელი ბრაზდება, ნერვიულობს. ერთხელ ესენტუკში ვისვენებდით, ოთარმა რალაცის დათვალერება გვთხოვა, არ წავიყვანეთ და მაინც გაიპარა. ეს ისტორია დღემდე ისეა ცნობილი, თითქოს ოთარი დაიკარგა, არადა გაიპარა. მაშინ დაახლოებით მეხუთე კლასში იქნებოდა. რა თქმა უნდა, ამაზე ძალიან ვინერვიულეთ, მთელი დღე ვეძებდით. ბოლოს სახლში თავისით დაბრუნდა.

— დასაჯეთ?

და მოჩხუბარიც კი. სულ შარში ეხვეოდა. ერთხელ სახლში მივედი და კედელზე დაკიდებული სამზარეულოს კარადები ძირს დამხვდა. თურმე ზემოთ აძვრა და ავეჯი ძირს ჩამოვარდა. კიდევ კარგი, უვნებელი გადარჩა.

თავიდან ოთარი უფრო ონავარი იყო, მაგრამ შემდეგ ძმამ „აჯობა“. სხვათა შორის, ოთარი ზარმაცი, მაგრამ ნიჭიერი იყო. უცხო ენაში მასწავლებელთან რომ მეცადინეობდა, ნახევარი წელი ივლიდა და მერე გვეტყოდა, ეს შედაგოგი არ მომწონს, უკეთესი მინდაო. მათემატიკაში ძლიერი იყო, უცხო ენები აინტერესებდა. რუსულს, ინგლისურს ბრწყინვალედ სწავლობდა. ირაკლის კი მხოლოდ ჰუმანიტარული საგნები აინტერესებდა. ოთარი უფროსია. ძმებს შორის ასაკობრივი სხვაობა წელიწადნახევარია.

— თითქმის ერთი ასაკის ყოფილან. ალბათ ჩხუბიც წმირად მოსდიოდათ, მით უმეტეს, თუ ასეთი ცელქები იყვნენ.

თინა: პატარაობისას — კი, მაგრამ შემდეგ — არა. მახსოვს, ერთხელ ისე იჩხუბეს, ოთარმა ძმას მაკრატელი ესროლა და თავი გაუტყდა.

ოთარი: ეს ერთხელ, მეორედ კი ნაჯახი მოხვდა!

თინა: უი, ეგ როდის?! არ მახსოვს!
ოთარი: თქვენ ვერ მოუხნარით და იმიტომ არ გახსოვს.

თინა: მათი ჩხუბი ძალიან მამრავებდა. ერთმანეთს არ ინდობდნენ. რა თქმა უნდა, ჩხუბის მიზეზი უბრალო რამ იყო.

— ოთარ, მშობლებისგან სიმაკრე ან დასჯის რაიმე შეთიდი თუ გახსოვთ?

ოთარი: თუ არ ვისწავლიდით, მამაჩემი დაგვხედავდა, ვაი, თქვენს პატრონსო — გვეტყოდა და მორჩა. დედა კი ასეთი არ იყო. მაშინ მეჩვენებოდა, რომ ზედმეტ სიმაკრეს იჩენდა, მაგრამ ახლა სულ ვამბობ, რომ ნეტა უფრო მომთხოვნი ყოფილიყო. ვცდილობ, რა დროც მაშინ დავკარგე, ავინაზლაურო, სულ ვსწავლობ.

თინა: შვილების მიმართ ზოგჯერ მკაცრი ვიყავი, ზოგჯერ — მეგობრული, თუმცა ვთვლი, რომ შეიძლება, უკეთესი მშობელიც ყოფილიყავი, ალბათ ბევრი რალაც მემულე-



ოთარის მშობლები შვილიშვილთან ერთად

— არა, რომ დავინახე, ისე გამიხარდა, დასჯის თავი არ მექონდა.

— ორი ბიჭის პატრონი ალბათ გოგოზე ოცნებობდით.

— ეკონომიკური მდგომარეობა ისე არ გვექონდა მოგვარებული, რომ მესამე შვილზე მეფიქრა. ძალიან მინდოდა, გოგო მყოლოდა, მაგრამ მეშინოდა, მესამეც ბიჭი არ დაბადებულეყო, თუმცა, ღმერთი რასაც გაჩუქებს, ის უნდა გიხაროდეს. ალბათ მე არ ვიყავი ისეთი ძლიერი, რომ ხუთი-ექვსი შვილი გამეზარდა. გამიმართლა და შვილიშვილი მყავს გოგო.

— რამდენი წლისას გვეყოლია ოთარი?

— დედა 25 წლისა გაგხდი, ჩემი მეუღლე კი 29 წლის იყო. წელიწადნახევარში ირაკელი დაიბადა.

— გვამბუთ თქვენი და ბატონი ორის ოჯახის შექმნის ისტორია.

— მე და ჩემი ქმარი ზუგდიდის რაიონიდან, სოფელ დიდი ნეძიდან ვართ. მაშინ სკოლაში ვმუშაობდი. პროფესიით ქართული ენისა და ლიტერატურის შედაგოგი ვარ. ჩემს მომავალ მულს ვასწავლიდი. მე და იურიმ ერთმანეთს ასე გავიცანი. დაახლოებით ორი-სამი წელი ვვდეგობოდი ერთმანეთს. მაშინ სტუდენტი ვიყავი, დაუსწრებლად ვსწავლობდი, თან სკოლაში ვმუშაობდი. გათხოვების შემდეგ ამ პროფესიით აღარ მიმუშავია.

ბევრი წვალეა დაგვეჭირდა. მეუღლე კი მუშაობდა, მაგრამ კარგი პირობები არ გვექონდა, უბინო ვიყავით, თუმცა შემდეგ სამსახურმა ბინა მოგვცა. ჩემი ქმარი სულ მუშაობდა, მეც ასე თუ ისე ვვმარებოდი და ასე წვალეებით მოვალნიეთ აქამდე.

— ბატონი ორი რა პრაფესიისაა?

— ინიენერ-ენერგეტიკოსია. ახლაც თავისი პროფესიით მუშაობს.

— ოთარი ყურადღეობას შეიღია?

— კი, ძალიან. უღალატო ბიჭია. მასში დადებითი უფრო ჭარბობს, ვიდრე უარყოფითი. ყველაფერში თანამგრძობს. შეიძლება ეს მთავარი არ არის, მაგრამ, როგორც დედას, ძალიან მიხარია, რომ ოთარს დღესასწაულების მოლოცვა, საჩუქრები არ ავიწყდება, თუმცა ჩემთვის ყველაზე მთავარია, შვილები კარგად მყავდეს, ირაკლი დაქორწინდეს და ოთარს კიდევ ჰყავდეს შვილები. თურმე გოგოს გაუთხოვრობაც სანერვიულო ყოფილა და ბიჭის დაუქორწინებლობაც. ირაკლი 35 წლისაა და ოჯახის შექმნის დრო ნამდვილად აქვს. საკუთარი პატარა ბიზნესითაა დაკავებული. სმირად ვსაყვედურობთ, რომ ცოლი მოიყვანოს.

— მსქნისა, რომ კარგი მზარეული ხართ და კარგ მერეულ საქმეებებს აკნობთ.

— არ ვიცი... ისე, რალაცეები მართლა გემრიელი გამოდის.

— ალბათ რალაცაც ასწავლეთ.

— თამუნამ ძალიან კარგად ისწავლა ბავეს გაკეთება. რაც შეეხება ხაჭაპურს, მერეული არ უყვარს, იმერული ურჩევნია, საერთო ჯამში, რალაცეები ჩემზე უკეთესად გამოსდის. ჩემი რძლით ძალიან კმაყოფილი ვარ, თბილი და უსაყვარლესი გოგოა. ერთი შვილიშვილი, 8 წლის ლიზიკო გყავს. ლიზიკოს დაბადება განსაკუთრებული სიხარული იყო ჩემთვის. კარგი გოგონაა. ძალიან მინდა, ოთარს მეორე შვილიც ჰყავდეს.

✓ კვა ლემინჯავა

თიკა ფასაშია: „ახლა მიჰვირს, თმის გადაპარსვის გამო ქმარმა რომ არაფერი მითხრა“

ყოფილი მოდელისა და ახლა უკვე ტელესახე თიკა ფაცაცისთვის გარეგნობა საავიზიტო ბარათია და ამიტომ მასზე საგანგებოდ ზრუნავს და უფრთხილდება. სასარგებლო რეცეპტებს როგორც კი ყურს ან თვალს მოჰკრავს, საგულდაგულოდ ინერს რვეულში და შემდეგ პრაქტიკაში ცდის. რადგან ემოციების გამოხატვისას მიმიკებს აქტიურად იყენებს, იცის, რომ მალე დასჭირდება გარკვეული აპრობირებული მეთოდების გამოყენება ნაოჭების ასაცილებლად, ჯერჯერობით კი მისი გარეგნობა მხოლოდ სრულყოფილი ძილის, ჯანსაღი კვებისა და ვარჯიშის შედეგია.

თიკა ექსპერიმენტებს ყოველთვის თამამად მიმართავდა, განსაკუთრებით ვარცხნილობასა და თმის ფერზე. ხალხს ის ახსოვს ქერა თმით, შავი თმით და ნახევრად გადაპარსული თმითაც კი. ახლა მის იმიჯში ავანგარდმა იკლო და ელემენტურობამ იმატა. ბოლო დროსაც შეიცვალა ფერი და მოდურ ღია ნაბლისფერზე გადავიდა. ასეთმა ცვლილებებმა თმა რომ არ დაუზიანოს, სპეციალურ პროცედურებს სისტემატურად იტარებს.

— თიკა, კვრანზე ყოველთვის ღამაზად, მოწესრიგებულად და მოდურად გამოიყურებით. საინტერესოა სახლშიც თუ ახერხებთ იმავეს.

— იმის გამო, რომ საზოგადოების ყურადღების ცენტრში ხშირად ვექცევი, სულ მიწვევს გარეგნობაზე ზრუნვა. სახლში კი მაინცდამაინც კარგი დასანახი არ ვარ. ამიტომ სილამაზის სალონში ხშირად დავდივარ. ვარცხნილობასაც ხშირად სალონში ვიკეთებ და ისე მივდივარ სამსახურში.

„ღლეჯანდელი გადასახედიან ჩემი იმედიდან იმთი ძლიან ახ მომონს, მაგჩამ მამინ ვიხებდი. აღბათ ასაიყ მოქმედებს. ახლა ნამდვილად ახ გავიკეთებდი“.



თიკა ფასაშია

„საჯეთახ თავში ხალაყები უკვე ახ მომონს, თვალის თუ ტურის გახმეო ესია მოვინო სიახლები შეინიშნება“.

„ღამის ათ საათზე უკვე მიძინავს... სულაც ახ მივტიხი ღამის ცხოვრებას. მგონია, ხომ მეტი ძილით ჩემს გახეგნობას აჯგ საქმეს ვუკეთებ“.

— ისეთი სამუშაო გაქვთ, აღბათ ყოველდღე გაწკოთ ინტენსიური მაკაჟის გამოყენება.

— კი და ეს ჩემთვის მტკივნეული თემაა. როგორც კი ეთერი სრულდება, მაკაჟის ვიშორებ, რომ კანმა ისუნთქოს. ხაზს ვუსვამ, რომ ქალბატონი თუნდაც მინიმალური მაკაჟით, ბევრად სასიამოვნო დასანახია, ვიდრე უმაკაჟოდ, მაგრამ დღის და საღამოს მაკაჟის განსხვავება უნდა ვიცოდეთ. ხშირად ეს ორი რამ ერთმანეთში ერევათ.

— იქნებ თქვენ დახმართ რჩევით, რიფოლი მაკაჟი გააკეთონ დღისით და საღამოს.

— დღის მაკაჟისთვის კანის საფარი, ე.წ. ტონალური კრემი, უნდა იყოს ძალიან თხელი, თითქმის არ უნდა ჩანდეს. თვალები მინიმალურად უნდა იყოს შეღებილი. ძალიან ცოტა ტუშის გამოყენებაც შეიძლება. თვალეზე მუქი, შავი, ინტენსიური ჩრდილები მხოლოდ საღამოს მაკაჟის უნდა. დღის განმავლობაში ზოგი ძალიან იხდენს მკვეთრი ფერის ტუჩსაცხს, ოღონდ ამ შემთხვევაში თვალეები არ უნდა იყოს შეღებილი.

— გარეგულ იმაჯს პერსონალად იცვლით. ეს ამართლებს, ყოველთვის გაწონებენ ცვლილებას გარშემომყოფები?

— იმიჯს სულ ვიცვლი. ასეთ დროს

ბევრნაირ აზრს ვისმენ ხოლმე, ზოგს მოსწონს, ზოგს — არა. ბუნებრივია, ყველას აზრს ვერ გაითვალისწინებ. თმაზე ექსპერიმენტების ჩატარება ჩემთვის პრობლემა არაა. ამ ბოლო დროს თმის ფერი შევიცვალე და ეს დიდ ინტერესს იწვევს. პროფესიონალები ზრუნავენ ჩემი თმის ფერზე და მათზე ვარ მიხედობილი.

— სწორი დეზა, სწორიოთ ვარცხნა თმას არ ვიხანებ?

— იმის გამო, რომ სულ მიწვევს თმაზე ლაქის გაკეთება თუ საშრობის გამოყენება, თმის სპა პროცედურებს ვიყენებ, თუმცა ამ მეთოდს იშვიათად მივმართავ.

— ინტერვიუებში დედას სწორად ახსენებთ. აღბათ ის არის თქვენი მთავარი მწიკველი.

— კი, ნამდვილად ასეა. დედა რეალობასთან მახლოვებს. ვფიქრობ, რომ ყველას არ უნდა სიმართლის თქმა და ამ-

იტომ სხვების კომპლიმენტების მერე დედის კრიტიკულ შენიშვნას თუ ვიღებ გარეგნობასთან დაკავშირებით, მას ვუჯერებ. ობიექტურად აღიქვამს სხვადასხვა მოვლენებს ჩემს ცხოვრებაში.

— მაგალითად, რა დაგიწუნათ დედა?


— მაინცდამაინც არ არის აღფრთოვანებული ჩემი „ჩოლკით“, მაგრამ ჯერჯერობით ვატარებ. ერთი მერიოდი ნახევარი თავი გადაპარსული მქონდა. ახლა ამ ვარცხნილობას არაფრით გოგონა ატარებს. მე კი ეს

„ეხთადეითი, ხაზაც საჯეთახი გახეგნობისა და ჯანმრთელობისთვის ვაკეთებ, ახის ვაჩვიო. კვიხში სამი დღე მაინც ვვაჩვიობ“.

მ წლის წინ გავაკეთე. ახლა გაკვირვებული ვარ, ამ ვარცხნილობის გამო როგორ არაფერი მითხრეს არც მშობლებმა და არც მეუღლემ. უმტკივნეულოდ მიიღეს. დღევანდელი გადასახედიან ჩემი იმდროინდელი იმიჯი ძალიან არ მომწონს, მაგრამ მაშინ ვირგებდი. აღბათ ასაკიც მოქმედებს. ახლა ნამდვილად არ გავიკეთებდი.

— თმისა და კანის მოვლისთვის შინაური რეცეპტები გამოიყენებთ?

— კი და დღემდე ასე ვიქცევი. შინაური რეცეპტებს მატარა რვეულში ვინერ. საუკეთესო ვერსიას საკუთარ თავზე ვცდი.



თიკას ნარსული ექსპერიმენტები

თაქო ჩხიძე: „მეგონა, შვიცარიის მერა თბილისში მანქანას ვეღარ ვატარებდი“

ოდელი თაქო ჩხიძე უმეტესად სამი საპატო მგზავრით მოძრაობს — შვიცარიის მერა, მესამე შვილის გაჩენის შემდეგ გადაწყვიტა, ისეთი მანქანა შეეძინა, სადაც მისი ოჯახის ყველა წევრი კარგად მოთავსდებოდა და ასეთი მისთვის „პიუნ-



დაი სანტაფე“ აღმოჩნდა. დიპლომატ ქმართან ერთად წლების განმავლობაში ევროპაში მოუწია ცხოვრება, ამიტომაც კანონმორჩილ მძღოლად ჩამოყალიბდა. საზღვარგარეთ კიდევ ერთ ორავს მიეჩვია — მამაკაცი მძღოლებისგან გზის დათმობას და ახლა ქართველი კაცებისგანაც იმავეს ითხოვს.

— თაქო, რამდენი ხანია, რაც მანქანას მართავთ?

— საქვსთან 20 წლიდან ვზივარ. ავტოსკოლაში ერთი თვე დავდიოდი და მართვა თავიდანვე საფუძვლიანად ვისწავლე, თავდაჯერებული მძღოლიც გახვდი. მას შემდეგ ჩემი ცხოვრება ავტომობილის გარეშე ვერ წარმომიდგენია. ყოველდღიურად იმდენ საქმეს ვაკეთებ, მანქანა რომ არ მყავდეს, ამდენს ნამდვილად ვერ შევძლებდი.

— პირველად რა მარკის მანქანას მართავდით?

— ჩემი პირველი ავტომობილი „მერსედესის“ ჯიპი იყო. საერთოდ, ჯიპი ძალიან მიყვარს. მანქანების ხშირი ცვლა არ მჩვევია. პირველი ავტომობილის მერე „ფოლკსვაგენ ბორა“ მყავდა, ოღონდ მაშინ შევიცარიაში ვცხოვრობდი.

— უცხო ქვეყანაში მოძრაობა არ გიჭირდით?

— სხვათა შორის — არა. იქაური მოძრაობის წესებს ძალიან შევჩვევი. კანონს ყველა მძღოლი იცავდა. იქ კარგი ტრასაა. მათ გზებზე სედანით მოძრაობა

თმაზე მაინოზის ნიღაბი გამოიკეთებია. თმის მოვლის კოქტილები არჩილ სოლოლაშვილმა მასწავლა. ერთ-ერთი რეცეპტი ასეთია: კვერცხის გული, ერთი სუფრის კოვზი ზეთისნარის ზეთი, ერთი ჭიქა კონიაკი და ლიმონის რამდენიმე წვეთი ერთმანეთში უნდა შეურთოთ და თმაში შეიზილოთ. დაახლოებით 40 წუთი უნდა გაიჩეროთ. თმას ბზინვარებას მატებს. თავდაპირველად ამას ყოველდღიურად ვაკეთებდი, შემდეგ კი — თვეში ორჯერ. ასეთი რეცეპტების გამოყენებისთვის საუკეთესო დრო ზაფხულია, როცა ისვენებ და თავისუფალი ხარ. სახის კანის ნიღაბებშიც კვერცხის გული ფიგურირებს, კანს ჭიმავს და მომწონს. არაუნის

„ამბობენ, ხომ ხაც გინდა, დაინახო, ის უნდა თქვა სახესთან, მაგალითად, ხოგოიი კახიკი კანი გაქვს და ა.შ. ზოგჯერ ხუმრობით სხვებზე გამიკეთებია“.

ნიღაბიც კარგია. ესთეტიკურ ცენტრებშიც დავდივარ და კანის ნიღაბებს იქაც მიკეთებენ.

— რამდენად მისაღება თქვენთვის ბოტოქსი ან ამგვარი საშუალებები?

— კარგია, უბრალოდ ყველაფერში ზომიერებას საჭირო. არ მომწონს, როცა ქალბატონები ზომაზე მეტად მიმართავენ პლასტიკურ ქირურგიას და ბუნებრიობას კარგავენ. ადრე ქალები ასე ძალიან არ განიცდიდნენ დაბერებას, როგორც დღეს. ალბათ იმიტომ, რომ თავის მოვლის ასეთი საშუალებები არ იყო. ჩემთვის ყველა მეთოდი მისაღებაა, რასაც შედეგი მოაქვს. საკუთარ თავში უკვე რაღაცები არ მომწონს და ეს ასაკის მატებასთან ერთად ბუნებრივია. თვალის თუ ტუჩის გარშემო უსიამოვნო სიახლეები შეინიშნება ჩემს სახეზე, მაგრამ ჯერჯერობით ყველაზე კარგი მეთოდის ძიებაში ვარ და ამიტომ არ ვიცი, მათ წინააღმდეგ რას გამოვიყენებ. ძალიან ემოციური ვარ და ამის გამოსახატავად ყველა კუნთს ვიყენებ, ამიტომ ჩემი მდგომარეობა კიდევ უფრო რთულია. გარდაამავალ პერიოდში, ანუ 30 წლის შემოთ, მოვძებნი საუკეთესო საშუალებას, რასაც გამოვიყენებ.

— ცხოვრების წესსაც დიდი მნიშვნელობა აქვს გარეგნობისთვის. თქვენ რა რეჟიმით ცხოვრობთ?

— ადრე ვიძინებ. ღამის ათ საათზე უკვე მძინავს და ამ დროს ტელეფონი თუ მირეკავს, მტერი მგონია. ამას იმიტომ კი არ ვაკეთებ, რომ სოფი ლორენსა დაგვიბარა, არამედ იმიტომ, რომ ბავშვი ამ დროისთვის იძინებს და ადრე დავება, მეც მის რეჟიმზე ვარ გადართული. დილის 7 საათზე ვიღვიძებ. სულაც არ მივიტირი ღამის ცხოვრებას. მგონია, რომ მეტი ძილით ჩემს გარეგნობას კარგ საქმეს ვუკეთებ.

— თუ სადმე ვეპატივებთან, უარს ამბობთ?

— გამოწვევისი შემთხვევების გარდა, ღამით ვერსად მნახავთ, რადგან მძინავს. კვებასაც ყურადღებას ვაქცევ. ბაბუაჩემის გამოთქმამა, რომ ჯანმრთელობა და სილამაზე თქვენიდან იწყება. ვერიდები ღამე ჭამას და ცხიმიან კერძებს. კვებიდან ძილამდე 3 საათი მაინც უნდა იყოს გასული. დილით ვცდილობ, შვრიის ფაფა ან მისი მსგავსი რამ მივიღო. კარგია ბევრი წყლის დალევა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებ, სულ მაინწყდება.

ინტენსიურად ვვარჯიშობ. ვფიქრობ, რომ

ერთადერთი, რასაც საკუთარი გარეგნობისა და ჯანმრთელობისთვის ვაკეთებ, არის ვარჯიში. სახლშიც მაქვს ტრენაჟორები. კვირაში სამი დღე მაინც ვვარჯიშობ. ბავშვს ხშირად ვასეირნებ კუს ტბაზე და ესეც ფიზიკურ აქტივობაში ითვლება. პატივს ვცემ ყველა იმ ადამიანს, ვინც ვარჯიშით საკუთარ სხეულს უვლის. როცა სხეული მოვლილი გაქვს, უფრო თავდაჯერებული ხდები.

— მაგნე ჩვევები არ გაქვთ?

— პრინციპში, მაგნე ჩვევები არ მაქვს. ყავას დღეში ორ ჭიქაზე მეტს არ ვსვამ. ბავშვის გამო კომპიუტერთან ბევრ დროს ვეღარ ვატარებ, არ მინდა, რომ მიეჩვიოს.

— დიეტას თუ აქვს თქვენს ცხოვრებაში ადგილი?

— სიმართლე გითხრათ, კვებაში თავს არ ვიზღუდავ. ჩემს ცხოვრებაში იყო პერიოდი, როცა სულ დიეტაზე ვიყავი და მაშინ ყველაზე მეტი წონა მქონდა. მერე უბრალოდ კვება დავარეგულირე. ახლა, ინტერვიუს ჩანერის მერე, წესით, ერთი ნაჭერი ტორტი უნდა მივირთვა, თუ არ გადავიფიქრე. ვცდილობ, ბევრი ბოსტნეული მივიღო. მირჩენია, ფრინველის ხორცი და თევზი ვჭამო, ვიდრე ხბოს ან ღორის ხორცი. უცნაური რაღაც მოხდა — რაც დიეტურია და სწორი კვებისთვისაა განკუთვნილი, ის საკვები შემიყვარდა. გამოწვევის შემთხვევებში ხაჭაპურსაც გეხსლება, მაგრამ სახლში არ ვამზადებ, რომ მერე ჩემთვის სატყუარა არ გახდეს.

— ორსულობის შემდეგ ქალისთვის წონის დაბრუნება დიდი პრობლემა სდება, რამაც თქვენ, ეტყობა, საბედნიეროდ, გვერდა აგაართათ.

— გამიგია, რომ ამბობენ, ბავშვს საკვები სჭირდებაო და ამიტომ ღამის 2 საათზე წაყრდებიან. არადა თვითონ ფეხმძიმეისთვის არის რთული ზედმეტი წონა, ბავშვის გაჩენის შემდეგ კი ფორმის დაბრუნება უძნელდებათ. მე ორივე ორსულობისას ერთნაირად მოვიმატე — 14 კილო. ეს არც ბევრია და არც ცოტა, ნორმალა. ორსულობის დროსაც ვაკონტროლებდი წონას, ბევრს დავდიოდი ფეხით და ა.შ. ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ მერე პრობლემა არ მქონოდა. მოხარული ხორცი თუ ჭარხალი არავის გაასუქებს და ნაყოფის განვითარებასაც ხელს შეუწყობს, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვი ხაჭაპურებსა და ხინკლებზე.

— რამდენად ხართ დამოკიდებული სარეკუსე?

— სარკის მიმართ ჩვეულებრივი დამოკიდებულება მაქვს, როცა მჭირდება, მაშინ ვიხედები. მანქანის სარკეები უკან და გვერდით მომავალი მანქანების დასანახად მაქვს გასწორებული. სარკესთან არც შეძახილები მახსიათებს, მაგრამ ამბობენ, რომ რაც გინდა, დაინახო, ის უნდა თქვა სარკესთან, მაგალითად, როგორიკარგი კანი გაქვს და ა.შ. ზოგჯერ ხუმრობით ესეც გამიკეთებია. არის ამაში რაღაც საიდუმლო.

— გარეგნობა განწყობაზე მოქმედებს?

— თავიდან ბოლომდე მოწესრიგებული უნდა იყო. ყველაფერი მოქმედებს ხასიათზე — თმა, ფრჩხილები და ა.შ.

— როგორ ფიქრობთ, დიდი თანხა საჭიროთაგან მისაკვლევად?

— მთავარია სურვილი და შეიძლება ყავის ნალექით მოაურო ხელეხს. ვაფასებ იმ ქალებს, რომლებიც დიასახლისები არიან, ადგომისთანავე ჯერ თავს ინესრიგებენ და საქმეს შემდეგ შეუდგებიან.

✓ მანანა ნოდია

არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს, რასაც თბილისზე ვერ იტყვი. აქ მანქანის მართვა ძნელია და ჯიპს ამიტომაც ვანიჭებ უპირატესობას.

— ბუნებრივია, საქართველოში დაბრუნებისას თბილისური მოძრაობის წესებთან შეგუება თავიდან მოგაწევდათ.

— თბილისში რომ ჩამოვედი, ისევე ჯიპი ვიყიდე — „ტოიოტა რაე 4“. ქუჩაში რომ გავედი, ვთქვი, მანქანას აქ ვეღარ ვატარებ-მეთქი, მაგრამ თურმე ყველაფერს ეჩვევი.

— რას ურჩევთ ქართველ მძღოლებს?

— ვისურვებდი, მძღოლმა მამაკაცებმა ქალისთვის გზის დათმობა ისწავლონ. უცხოეთში ის ჩვეულებრივი მოვლენაა. აქ კი ბევრი ჯერ მინახავს, რომ სასწრაფო დახმარების მანქანებსაც არ ატარებენ.

საშინლად მაღიზიანებს, როცა ძალიან მაგარი ჯიპის ფანჯარა ჩაინევა და მძღოლი სიგარეტის კოლოფს შუა ქუჩაში გადმოაგდებს. ამაზე საშინელი რეაქცია მაქვს. შემოიძლია გავვიდო და ვეჩხუბო! მანქანიდან არასდროს არაფერი გადამიგდია. ნაგვის ქუჩაში გადაყრას მირჩევნია, მოვარგოვო და სახლში მივიტანო.

— ბოლო წლებში მძღოლები თითქოს მეტად კანონმორჩილნი გახდნენ, მოძრაობის კულტურას სწავლობენ.

— კი, ახლა უკვე თითქოს შუქნიშანსაც აქცევენ ყურადღებას და ღვედაც იკრავენ, მაგრამ იყო პერიოდი, როცა ყველა ქაოსურად მოძრაობდა. საკუთარ თავზე ლაპარაკი ცოტა რთულია, მაგრამ, მგონი, კარგი მძღოლი ვარ.

— მოძრაობის წესი არასდეს დაგირღვევიათ?

— დამირღვევია, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ კანონმორჩილი ვარ, რადგან ვცდილობ, ყველა წესი დავიცვა. ქაოსური მოძრაობა ხანდახან მეც მაღიზიანებს და მაშინ მესმის, კაცები რატომ იგინებიან საქესთან. სამარშრუტო ტაქსები და ავტობუსები მესამე ხანიდან პირველში რომ გადადიან, ხომ საშინელება! სისწრაფის დიდი მოყვარული არ გახლავართ, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში სწრაფადაც მივლია. როცა მანქანაში ბავშვებიც სხედან, ყველაზე ფრთხილი მაშინ ვარ.

— თქვენს მანქანას ეტყობა, რომ ქალი მართავს?

— ვერ გეტყვით. სალონის საბარგულში თითქმის არაფერს ვინახავ. პარფიუმერიას ჩანთით ვატარებ, არც მანქანის აქსესუარები მიყვარს და მართვის დროს არც მაკიაჟის გაკეთება მჩვევია.

ჩემი მანქანა ძალიან სასაცილოა. ფემენ ვიკის მსვლელობის დროს ორგანიზატორები ძირითადად ამით ვმობრაობთ ხოლმე. ავტომობილის უკანა სავარძელზე ბავშვების ორი სავარძელი დევს. ერთხელ ჩემს მეგობარს გავუარე სახლში. მანქანის უკანა კარი ერთი მხრიდან რომ გააღო, ბავშვის სავარძელი დახვდა, მეორე მხრიდან შემოუარა, კარი გააღო და იქაც სავარძელი დახვდა. მკითხა, თაკო, ბავშვის სავარძელში დავჯდეო. ორივემ კარგად ვიხალისეთ. ოჯახისთვის პროდუქტებს მე ვყიდულობ. ეს პროცესი იმდენად მიყვარს, პიპერმარკეტებში ყოველთვის სიამოვნებით დავდივარ. ჩემს მანქანას ძალიან დიდი საბარგული აქვს, მხოლოდ საოჯახო პროდუქტები კი არა, ბავშვის ეტილიც გადასარევად ეტევა.

„საშინლად მაღიზიანებს, როცა ძალიან მაგარი ჯიპის ფანჯარა ჩაინევა და მძღოლი სიგარეტის კოლოფს შუა ქუჩაში გადმოაგდებს. ამაზე საშინელი რეაქცია მაქვს. შემოიძლია გავვიდო და ვეჩხუბო!“

— ამჟამად რა ავტომობილი გყავთ?

— როცა მესამე შვილი გავაჩინე, მივხვდი, რომ უკვე დიდი მანქანა მჭირდებოდა. სამი ბავშვი და ძიძა იმ მანქანაში ვერ ჩაეტეოდა. ამიტომ დიდხანს ვარჩევდი, რომელი მეყიდა. ბევრი ვარიანტი მქონდა და, ჩემი მეგობრების რჩევით, ბოლო მოდელის „ჰიუნდაი სანტაფე“ ვიყიდე, რომელიც მართლა არაჩვეულებრივი აღმოჩნდა. ძალიან რბილად დადის, კომფორტულია და რისთვისაც მჭირდებოდა, ზედგამოჭრილია — 7 კაცი ეტევა.

— როცა შეიღებთან ერთად მოძრაობთ, საქვსე კონცენტრირება არ გაქვართ?

— ახლა — ალარ. პატარები თავის სავარძლებში სხედან, მაგრამ ერთი პერიოდი ნაბოლარა არ ჯდებოდა სავარძელში და იყო ერთი



თაკო ჩხეიძე

ამბავი. ერთხელ მანქანაში მეგობარი მეჯდა, ჩემი უმცროსი შვილი უკან იყო მოკალათებული. ჩემს კალთაში მოუწინააღმდეგო და წიოკი ატეხა. მეგობარმა თავის კალთაში ჩაიხვია, მაგრამ მაინც არ გაჩერდა. ბოლოს იმ მდგომარეობაში მიმიყვანა, რომ მანქანა გაუჩერე, ბავშვი კალთაში ჩავისვი და მოძრაობა გავაგრძელე. დავიტანჯე, სანამ სახლამდე მივედი. ნელ-ნელა მიეჩვივა თავის სავარძელს და ახლა უკვე მთელი გზა მშვიდად ზის, თავის ენაზე მელაპარაკება. ჩემი შვილები ძალიან მუსიკალურები არიან, ამიყვან თავისი გამორჩეული სიმღერები აქვს და ეს ჩამირთო, მეუბნებიან.

— თბილისში პარკინგის პირობებზე ალბათ თქვენც გაწუხებთ, როგორც ყველა მძღოლს.

— ერთხელ „სითი პარკის“ ჯარიმა არ გადავიხადე და ყოველდღე იმდენი ემატებოდა, ბოლოს ძალიან ბევრის გადახდა მომიწია. ამ კომპანიამ მანქანა ორჯერ ამაცავდა და წაიყვანა, საშინელება ყოფილა! პირველად რომ „მომპარეს“, უცხოეთიდან ახალი ჩამოსული ვიყავი და ამ კომპანიის შესახებ

„უბედუროდ, ემანქანოდ და სხელიად მახკო აღმოვჩინე ქუჩაში. ძალიან გავმნახდი, ტაქსი გავარჩეე და „სითი ჰაიში“ წავედი. იქ კიდევ უფრო საშინელების მომხსენი მოპახელი მანქანების მიყვანას ტაქსი ხვედობდნენ. იქიდან შეუხაცხოდელი ნამოვედი. საშინელი სეხვისია!“

არაფერი ვიცოდი. გამოვედი და მანქანა აღარ დამხვდა! არც ის ვიცოდი, სად უნდა მომეძებნა, მერე მეგობარმა მითხრა. ამ კომპანიაში აგრესიული ხალხი მუშაობს და ამის თქმის საფუძველი ნამდვილად მაქვს. მათთვის მთავარია, ფული გადაიხადო.

ერთხელ „აიფონში“ პროგრამა მქონდა ჩასაწერი. მანქანა ტროტუარზე დავაყენე, მალაზიაში შევედი, ტელეფონი დავტოვე, გამოვბრუნე და აღარ დამხვდა! უტელეფონოდ, უმანქანოდ და სრულიად მარტო აღმოვჩინე ქუჩაში. ძალიან გავმწარდი, ტაქსი გავაჩერე და „სითი პარკში“ წავედი. იქ კიდევ უფრო საშინელების მომხსენი გავხვდი. თანამშრომლები მოპარული მანქანების მიყვანას ტაქსით ხვედობდნენ. იქიდან შეურაცხყოფილი ნამოვედი. საშინელი სერვისია!

— პატრული სწრაფად ვაჩერებთ?

— მათთან არ მაქვს ხშირი ურთიერთობა. ბოლო პერიოდში სულ ორჯერ გამაჩერეს და ორივეჯერ ძალიან კეთილი პატრულში შემხვდა. დავარღვეე, მაგრამ მიცნეს და არ დამაჯარიმეს. უბრალოდ გაფრთხილება მომცეს და გამიშვეს.

— ქმარი, როგორც მძღოლს, რა შეფასებას გაძლევთ?

— ჩემი ქმარი თავიდან სულ შენიშვნებს მაძლევდა, მაგრამ ბოლოს აღიარა, რომ კარგი მძღოლი ვარ. საზღვარგარეთ დიდ მანძილზეც მივლია, მაგალითად, ჟენევიდან ციურისში ჩავსულივარ. ჟენევაში ავტომანქანაზე სულ ვიკარგებოდი. ერთხელ გადასახვევი შემემხალა და სულ სხვა ქალაქში აღმოვჩინე. ჩემს ქმარს დავურეკე და შეჩვივლე, დავიკარგე-მეთქი. მერე საგზაო მანიშნებლებით გზა ადვილად გავიკვლიე. საერთოდ, ძნელია იქ დაიკარგო.

— პირობებზე რა მანქანა თქვენ დაგყავთ?

— არა, მამას ან მეუღლეს მიჰყავს ხოლმე. ერთხელ საოცრება შემემთხვა. შეხვედრიდან გამოვედი, თავსმა წვიმა იყო. მე და ჩემი მეგობარი ჩავსხედით მანქანაში. სალონში საშინელი ხმაური ისმოდა. ნაწილებში ისე ვერ ვერკვევი, რომ მივხვედრილიყავი, რა იყო. იძულებული გავხვდი, მიხლოვს პროფილაქტიკაში უეს-სულიყავი. ხელოსანმა საბურავში იმხელა ბოლტი აღმოაჩინა, მე ვერ ამოვიღებო, მითხრა და იმ შუალამისას ცენტრში წასვლა მომიწია. იქ მოახერხეს, ამოიღეს და სამასსოვროდ დაიბრუნეს, ამხელა ბოლტი არ გვინახავსო.

— მანქანა გარეგნულად ყოველთვის მოწესრიგებული გაქვთ?

— საშინლად არ მიყვარს ჭუჭყიანი მანქანა, ამიტომ სულ მის რეცხვაში ვარ, მაგრამ არ არსებობს, გავრეცხო და წვიმა არ მოვიდეს, თან ჩვენთან ტალახიანი წვიმა იცის. საოცრება! უცხოეთში რომ იწვიმებს, მანქანას არაფერი ეტყობა.

— საცნებო ავტომობილი თუ გყავთ?

— „ბენტლის“ კუპე ძალიან მომწონს. შვეიცარიაში ისეთი მანქანები დადის, შენც მოგინდება, საუკეთესო ავტომობილით იაბრო, მაგრამ საქართველოში იმდენი გაჭირვებული ადამიანი ცხოვრობს, ძნელია გამორჩეული მანქანა გყავდეს. არც ჩემი ავტომობილია დაბალი კლასის, მაგრამ თვითმფრინავიც არ არის.

✓ სოფიო ბოჭორიძე

ვარსკვლავების პატარა ასლები

ცნობილია ნიუიორკელმა ფოტოგრაფმა, ტრიშ მესერუმ, ბავშვებს შანსი მისცა, თავი დიდი კინოვარსკვლავების პატარა ასლებად იგონონ. მან შექმნა პროექტი „ტოდლუდი“, სადაც



■ **საკინკის „სასი დიდ ქალაქში“ რიტუალი**

პატარებს საშუალება ჰქონდათ, ჩაცვით დიდი მსახიობების მსგავსი კაბები და მიეღოთ ისეთი პოზები, როგორც ვარსკვლავები თავიანთ თავყვანისმცემლებს ამასოვრებენ თავს.

ამ პროექტის შექმნის იდეა ფოტოგრაფს სამი წლის შვილმა მიანოდა, რომელიც ოსკარებისა და ოქროს გლობუსის დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ ვარსკვლავებს თავისი პოზირებით აჯავრებდა.

— ყველაფერში ჩემი პატარა გოგოა დამნაშავე, მას რომ ვუყურებდი, მივხვდი, რომ ეს პროექტი საინტერესო გამოვიდოდა. შემდეგ მადამ ტიუსოს მუზეუმშიც დავრწმუნდი, რომ პატარებს მიმზადებლობის დიდი ნიჭი აქვთ, — ამბობს ტრიში.

სულ ცოტა ხნის წინ დასრულდა ოქროს გლობუსის ცერემონიალი. ფოტოგრაფმა მერე დღესვე შეკრიბა ბავშვები და დიდი ვარსკვლავების მინიატურული ვერსიები ფოტობიჭვით აღბეჭდა. უფრო მეტი მსგავსებისთვის ბავშვებმა პარიკებიც გამოიყენეს. შემდეგ ყველა ალაფროტოვანა.



■ **„ჯორჯ კლუნი“ მეგობარ კალთან ერთად**



■ **„ტილორ სვიფი“**



■ **„ანჯელინა ჯოლი“**



■ **„36 პიტაუნი“**

ანტიბიოტიკოთერაპიის უმჯობესი დისბაქტერიოზი

ანტიბიოტიკები – ეს არის სამკურნალო პრეპარატები, რომლებიც აფერხებს ბაქტერიებისა და სხვა მიკროორგანიზმების ზრდას ან იწვევს მათ სიკვდილს.

სასარგებლო ბაქტერიები ისევე ექცევიან ანტიბიოტიკების ზემოქმედების ქვეშ, როგორც მავნე ბაქტერიები.

ირღვევა ბალანსი სასარგებლო და მავნე ბაქტერიებს შორის და ვითარდება დისბაქტერიოზი.

სწორედ დისბაქტერიოზი (და არა – ანტიბიოტიკოთერაპია) იწვევს ისეთ გართულებებს, როგორცაა: შებერილობა, ფაღარათი, შეკრულობა, მუცლის ტკივილი, იმუნიტეტის დაქვეითება და ა.შ.

ანტიბიოტიკებით გამოწვეული დისბაქტერიოზის მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის საუკეთესო არჩევანს წარმოადგენს პრეპარატი **ლაქტო-ჯი**

ანტიბიოტიკები ანადგურებენ არამართო მავნე, არამედ სასარგებლო ბაქტერიებსაც და იწვევენ დისბაქტერიოზს. ვითარდება:

- ✓ ფაღარათი
- ✓ შებერილობა
- ✓ მუცლის ტკივილი

ანტიბიოტიკების მიღების პირველივე დღიდან მიიღეთ **ლაქტო-ჯი**

ლაქტო-ჯი სწრაფად აღადგენს ნაწლავის ნორმალურ მიკრობარემოს

მიიღეთ
ლაქტო-ჯი

ანტიბიოტიკებთან ერთად, მკურნალობის პირველივე დღიდან



GMP
ჯი-ემ-პი

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. გვერდით მოვლენებზე დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.



ნიკოლ კიდმანა ბოტოქსა უარი თქვა

ნიკოლ კიდმანმა აღიარა, რომ ერთი პერიოდი გასახალგაზრდავებლად და ნაოჭებთან ბრძოლისათვის აქტიურად იყენებდა ბოტოქსს, მაგრამ ახლა უარი თქვა და არჩევანი ნატურალურ მიმიკებზე გააკეთა. მსახიობს სურს, რომ მიმიკები სახეზე მას ემორჩილებოდეს და არა — ინექციას. — პლასტიკურ ქირურგებთან ურთიერთობა არ მქონია, მაგრამ ბოტოქსს აქტიურად ვიყენებდი. ახლა ესეც წარსულია. ჩემი სახე კვლავ მოძრავი გახდა და ამით ბედნიერი ვარ. ახლა ჩემი მიმიკები ბუნებრივია. ვხმარობ მზის დამცავ კრემებს, არ ვენევი და ვუვლი თავს. ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავად აირჩიოს, რა უნდა ახალგაზრდობის დასაბრუნებლად. ბავშვობიდან მიმაჩვიეს ვარჯიშებს და დღეს ამას დიდი სიყვარულით ვაკეთებ. ძალიან თეთრკანიანი ვარ და ვერ ვირუჯები. ახალგაზრდობაში ეს ტრაგედია იყო, ახლა კი თეთრი კანი ჩემი მთავარი ღირსებაა, — ამბობს ნიკოლ კიდმანი.

54 წლის ბოლდუინი მამა გახდება



წინააღმდეგობა ალექს ბოლდუინი და მისი ახალგაზრდა ცოლი პილარი ტრომასი მალე ერთობლივი შვილის მშობლები გახდებიან. ჰოლივუდის მსახიობის ცხოვრებაში ბოლო დროს სულ დადებითი მოვლენები ხდება. გასულ ზაფხულს ის იოგას პედაგოგზე, 28 წლის ქალზე დაქორწინდა. ახლა კი მეორედ გახდება მამა. — თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერებაა, როდესაც ჩემს ასაკში გეტყვიან, რომ მალე მამა გახდები. სიხარულისგან დაეფრინავ! უკვე ვიცი, რომ ყველაზე მაგარი მამა ვიქნები, — ამბობს ალექს ბოლდუინი, რომელსაც კიმ ბესინჯერთან 16 წლის შვილი ჰყავს და მასთან მუდმივი პრობლემები ჰქონდა. ტომასმა მსახიობის ბოლოდროინდელი არცთუ წარმატებული ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. — არც კი მინდა იმის წარმოდგენა, ტომასი რომ არ გამოჩენილიყო, რა იქნებოდა ჩემს ცხოვრებაში. ამ ქალმა სასწაული მოახდინა და მე ჭაობიდან ამოიყვანა, — ამბობს ალექსი.



პენელოპას დამ, მონიკამ განაცხადა, რომ ანონიმური დონორისაგან არის ფეხმძიმედ. პენელოპა და ხავიერი 2007 წლიდან ერთად არიან. 2011 წლის 25 იანვარს კი მათ პირველი შვილი, ენკინას ბარდემი შეეძინათ.



კარლა ბრუნი-სარკოზი კაზინოში იმღარავს

ახალი ალბომი ყველას მოეწონება — ამბობს კარლა.

საფრანგეთის ყოფილი პირველი ლედი, კარლა ბრუნი-სარკოზი, მომღერლის კარიერას უბრუნდება. ის 2013 წლის შემოდგომაზე კონცერტებს ცნობილ კაზინო „კაზინო დე პარიზში“ გამართავს. ამავე პერიოდში ის თავის რიგით მეოთხე ალბომს გამოუშვებს. პირველი ალბომი კარლამ 2008 წელს ჩაწერა. მაშინ სარკოზის საპრეზიდენტო კამპანიის გამო კარლამ საკონცერტო საქმიანობა შეწყვიტა. — რაც საპრეზიდენტო ეტიკეტი აღარ გვცხება, უფრო თავისუფლად ვცხოვრობთ. ნიკოლა მოხარულია, რომ ჩემს საქმიანობას, სიმღერას დაუბრუნდი. ვიცი, რომ ჩემი და კარგ შემოსავალსაც მოგვიტანს,

საიდუმლოდ გათხოვილი ქსენია სობჩაკის სრიკები

რუსული ბომონდი შოკშია. სკანდალური ქსენია სობჩაკი, რომლის რომანებზე და შესაძლო გათხოვებაზე მთელი რუსული მასმედია მუდმივად საუბრობს, ჩუმად გათხოვდა. კანის სანაპიროზე, ერთ-ერთ რესტორანში, ქსენია და მისი რჩეული, მაქსიმ ვიტორგანი, ამ დღეს ძალიან მხიარულად აღნიშნავენ. რამდენიმე ფოტო კი სოციალურ ქსელებში გავრცელდა. მაქსიმის ცნობილი რუსი მსახიობის, ემანუელ ვიტორგანის ვაჟია.



ცერემონიას რამდენიმე ახლო მეგობარი ესწრებოდა, თუმცა არც ერთმა მათგანმა იცოდა, რის გამო დაბატიყეს. როდესაც ქსენია საპატარძლო კაბაში გამოჩნდა, ყველას მორიგი ხუმრობა ეგონა, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ეს ყველაფერი სერიოზული იყო. პატარძალი საღამოზე ყველაზე მეტს ერთობოდა. მერე მეგობარს, მომღერალ გლუკოზას, მიკროფონი გამოსტაცა და ქმარს თავად უმღერა სიმღერა — „ქმარი მინდოდა“.



სტუმრებს ფურცეტი უმასპინძლეს, რომლის მთავარი დელიკატესი შავი ხიზილაა გახლდათ. როგორც მოსალოდნელი იყო, პატარძალმა ტრადიციები არ დაიცვა და საღამოს არც თაიგული უსროლია და არც ვალსი უტეკვია. პაპარაცების დასაბნევადა კი რესტორნის ცენტრალური შესასვლელი ფატიში გახვეულმა ქსენიას ორეულმა დატოვა, თავად ორიგინალი ქსენია კი სრულიად სხვა გასასვლელით გავიდა ქმართან ერთად.

პენელოპა კრუსი მეორე შვილს ელოდება

პენელის მსახიობების ვარსკვლავური წყვილი, ცოლ-ქმარი პენელოპა კრუსი და ხავიერ ბარდემი, მეორე შვილს ელოდებიან. ეს ინფორმაცია „ნიუ იორკ პოსტმა“ გაავრცელა და უტყუარ წყაროს ეყრდნობა. პენელოპას ორსულობის შესახებ ჭორები პრესაში გასული წლის ზაფხულიდან იბეჭდებოდა. ამჯერად ორსულობა დადასტურებულია. როგორც მსახიობის ახლობლები აცხადებენ, წყვილს ალბათ გოგო ეყოლება.

— პენელოპა ორსულობას უკვე აღარ მალავს. ის ძალიან ცრუმორწმუნეა და სანამ ბავშვის სქესი არ გაიგო, მანამდე ეს ამბავი არ გაახმაურა, — ამბობს მსახიობის მეგობარი. სანამ პენელოპას ორსულობის ამბავი დადასტურდებოდა, რამდენიმე დღით ადრე

კარფური

ყოველთვის დაბალი ფასები

ფანდანაბრის აქცია ახიფუხში

6 თებერვლიდან 12 თებერვლის ჩათვლით!



500 გ



1 კბ



400 გ

სასაჩუქრე ბაჩათები ახიფუხისბანი

აჩუქეთ საყვარელ ადამიანს
აჩუფუხის სასაჩუქრე ბაჩათი,
ჩათს თავად აჩიჩომს ის, ჩაც სუხის



სამუშაო საათები: 09:30-22:00

თბილისი მორი, დ. აღმაშენებლის სუივანი, მე-16 კმ.

www.carrefour.com.ge | www.facebook.com/CarrefourGeorgia

ფენდი - ასტეკური გაზაფხული

დიზაინერმა კარლ ლაგერფელდმა ფენდის მოდის სახლისათვის 2013 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია მილანში წარადგინა. დიზაინერმა ამ სეზონისათვის ფერადი ბენევი გაააქტიურა. ის კაბებზე მსუბუქი წამოსასხამის ფორმით დატოვა. საერთო ჯამში, კოლექცია ფუტურისტულ ხასიათს ატარებდა. სხვადასხვა ტიპის გეომეტრიული ფიგურები ყველაზე ხშირად მოგვხვდება თვალში. ერთ-ერთმა კრიტიკოსმა ფენდის კაბებს აცტეკური სამოსი უწოდა, თუმცა, მრავალფეროვანი და ძალიან საინტერესო აქსესუარების წყალობით, კოლექცია საინტერესო და აქტუალური გამოვიდა.



ზაზა მარგველანის განახლებული სტომატოლოგიური კლინიკა

ბელ: 599-11-00-03
 წინასწარი ჩანაწილთ **ქვილები ერთ დღეში** www.margvelani.ge





მოცეკვავე სალომე ჭაჭუა საზღვარ-გარეთ ძირითადად ცეკვის ტურნირებზე დადის, მისი სასამოეზო, მხიარული და უსიამოვნო მოგონებებიც ძირითადად ცეკვას უკავშირდება. ყველგან, სადაც გინდა იყოს, მისთვის საუკეთესო თანამგზავრი შეყვარებული, მოცეკვავე გიგი გაჩეჩილაძეა, რომელიც მოგზაურობის დროს საკმაოდ კომფორტული ადამიანი ყოფილა. სალომეს საზღვარგარეთ შოპინგი ძალიან უყვარს, განსაკუთრებით — საცეკვაო სამოსისა და აქსესუარების შეძენა. მისი ოცნების ქვეყანაა კი, რა თქმა უნდა, ცეცხლოვანი სამბას სამშობლო ბრაზილია.

— სალომე, სწორად მოგზაურობით?

— ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, მოგზაურობა ხშირად მიწევს, სულ ტურნირებზე დავდივარ. ახლა ჯერჯერობით გაჩერებული ვარ, რადგან ახალი მენეჯერი მყავს, მაგრამ მალე ისევ მომიწევს ტურნირებზე წასვლა. რუსეთში, უკრაინაში, გერმანიაში, ისრაელში, თურქეთში, ბალტიისპირეთში და კიდევ რამდენიმე ქვეყანაში ვარ ნაყოფი.

— სამოგზაუროდ როგორ ემზადებით?

— ყოველთვის ერთი დღით ადრე ვემზადები. თუ დასასვენებლად მივმგზავრები, შეიძლება ერთი კვირით ადრეც დავიწყო მზადება. ყველაფერი მიმაქვს, მაგრამ ტანსაცმლის უმეტესობა ისე ჩამომაქვს, არც კი ვიცავს. თუ ტურნირზე მივდივარ, კაბის შეკერვაზე ერთი თვით ადრე ვფიქრობ. ჩემი საზრუნავი მხოლოდ ის არ გახლავთ, რომ კარგად ვიცეკვო, როგორ გამოვიყურები, ამასაც დიდ ყურადღებას ვაქცევ. მოცეკვავე ჯერ ვიზუალური უნდა გამოიჩინო, რომ მსაჯმა შეამჩნიოს. ჩემი კოსტიუმი რომ სხვისას არ ჰგავდეს, ამაზე ძალიან ბევრი ფიქრი მიწევს.

— საზღვარგარეთ აღობი დატყინებული რუქები გექნებათ, ქვეყნის დასათვალისწინებლად დრო გრძობთ?

— ტურნირებზე მხოლოდ 3-4 დღით ჩავდივარ და დათვალისწინებულ ვერც კი ვასწრებ. ერთხელ მომიწია ერთი კვირით ისრაელში წასვლა და მაშინ მოვახერხე გავლაგამოვლა. ტურნირზე მე და გიგი ვიყავით. იერუსალიმში მოვიხანალებული და ძალიან მოგვეწონა. აშდოტში, ბათიამის დასახლებაში, ზღვის სანაპიროზე ვცხოვრობდით. იქაურობა ისეთი ლამაზია, სიტყვით ვერ გადმოგცემთ. ჩვენს იქ ყოფნას შაბათი ღამე დაემთხვა. იქ კი ამ დღეს მუშაობა წყდება, ყველაფერი იკეტება და ღირსშესანიშნაობებს გარედან ვათვალისწინებდით. ისრაელში ძირითადად კარგი ამინდებია, მაგრამ სულ ვამბობ, რომ ბედნიერი არ მაქვს. რომ ჩავდივარ, გადასარევი ამინდი იყო, როგორც კი გასეირნება გადაწყვიტეთ, ზუსტად მაშინ ამოვარდა ქარიშხალი, საშინლად განვიმდა და ასეთ ამინდში რა უნდა გაგვეკეთებინა?! მაცხოვრის საფლავზე მისვლა ძალიან მინდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ეს შევძელი.

— გამოდის, რომ თქვენი საზღვარგარეთული ვიზიტები მხოლოდ ტურნირებში მინაწილყოფით შემოიფარდება?

— ასე გამოდის, მაგრამ ტურნირის მერე სალომობით ქალაქში სეირნობას მაინც ვახერხებთ. ტურნირამდე ყოველთვის ვცდილობთ, არ დავივლოთ და სასტუმროში ვისვენებთ ხოლმე. ყველაფერი რომ ჩაივლის,

„ისა არ მოვკვდები, რომ ბრაზილიაში არ წავიღა!“

ჩაკომ ეინკაობენ საზღვაჩეხეთ სალომე ჭაჭუა და გიგი გაჩეჩილაძე

სალამობით გავდივართ, მაგრამ ეს ისეთი დროა, უკვე ყველაფერი დაკვტილია და ძნელია რაიმე დავსწავნიოთ მისი ნახვა. მხოლოდ ბოდილს ვახერხებთ.

— უცხო ადგილებში ორიენტაციის უნარი სომ არ ვაღადავობთ?

— კი, ხშირად. მოგესხენებათ, მოსკოვის მეტრო რამხელაა. მაშინ გიგისთან ერთად არ ვცეკვავდი. ჩემი მენეჯერი რუსს ძალიან ჰგავდა, ქერა ბიჭი იყო. მეტროში სულ ხელმძღვანელი დავყვებოდი, დაკარგვის შემინოდა. მოხდა ისე, რომ ხელი გამეზავა და სხვა ბიჭს ჩავეჭიდე. მიყვებო-

დი და ქართულად ველაპარაკებოდი. უცებ ეს ბიჭი შემოტრუნდა და მკითხა: „იზვინიტე, ვი ჩტო ხოტიტე?“ (უკაცრავად, რა გინებაეთო). შევხედე და გავსერი. დაკარგვის შემთხვევაში მე და ჩემმა მენეჯერმა ვიცოდით, ერთმანეთი სად უნდა გვეპოვა. კიდევ კარგი, დათქმულ ადგილზე შევხვდი, თორემ იმხელა ქალაქში ადამიანის პოვნა ადვილი არ არის.

მოსკოვში ერთი კვირით გახლდით და

„ბიგმ ნეხიელობა იცის. მე ჩემთვის დავივჩახ, ვმლხი, ის კი საშინად ნეხიელობს. კუხინიხს დღეს ვცილობ, მეს და გიგისაც აჩეხი განწყობა გქონდეს. შეუბიხს დანყებამდე ერთი საათი გათიშვის მომენტი მაქვს, ფსიქოლოგიუხად ვემზადები“.

დროში საკმაოდ შეზღუდულები ვიყავით. მხოლოდ წითელი მოედნისა და კრემლის დათვალისწინება მოვასწარით.

— გიგისთან ერთად კურსიზულ სიტუაციაში არ აღმოჩენილხართ?

— კი და ამის გახსენებაზე სულ მეცინება. ისრაელში საშინელი ამინდის გამო გვეგონა, ფრენა გადაიდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. პატარა ბოინგით გამოვფრინდით. აიჭრა თუ არა თვითმფრინავი ჰაერში, ისეთი რყევა დაიწყო, ყველა შეგვეშინდა. ერთ მგზავრს ისე ღრმად ეძინა, ცხრაჯერ გადმოვარდა სკამიდან და მაინც ვერ გაიღვიძა. გიგიმ შემომხედა და დამამშვიდა, არაფერია საშიშიო. ამ დროს სკამის სახელურს ისე იყო ჩაფრენილი, ხელი რომ აიღო, სახელურს ხუთივე თითი ემჩნეოდა. საქართველოში მშვიდობით რომ ჩამოვფრინდით, ყველა ტაშს ვუკრავდით და მინას ვკოცნიდით.


— ამ შემთხვევის გამო ფრენის შიში სომ არ დაგქმდით?

— არანაირად. ბოლოს „ევროვიზიაზე“ რომ ვიყავით, ბაქოდან გამოვფრენისას სალონის უკანა ნაწილში მომიწია ჯდომა. დაიწყო თვითმფრინავმა რყევა და ისე შემეშინდა, გავგიჟდი. მეგონა, თვითმფრინავი ვარდებოდა, მაგრამ, ღვთის წყალობით, მინაზე მშვიდობით დავნივით. თქვენ წარმოიდგინეთ, არც ამის შემდეგ დამჩნებდა თვითმფრინავის შიში. გონა ჩერტკოვეთან ერთად არასოდეს მიფრენია, მაგრამ ვიცი, რომ ერთი პერიოდი ფრენის ისე ეშინოდა, ქალაქიდან ქალაქამდე სამი დღის საფრენი რომ ყოფილიყო, მაინც მან-

ქანით მიდიოდა. მე ფრენის დროს ფილმებს ვუყურებ, მუსიკას ვუსმენ ან გიგის ველაპარაკებ.

— გიგისთან ერთად მოგზაურობა აღობი ძალიან გიყვართ.

— დიას, ძალიან. გართობა, სიარული და პატარა თავგადასავლები გიგის უფრო უყვარს. დილიდან საღამომდე სტუდიაში მიწევს ყოფნა და სულ მეჩხუბება, ერთი დღე გამოყავი და სადმე წავიდეთო. ბუნებაში გასვლა ძალიან მოსწონს, მე კი ამის დიდი მოყვარული არ გახლავარ. დასვენებას სახლში ჯდომას ვეძახი, რაც ჩემთვის იშვიათი სიამოვნებაა. საზღვარგარეთ მხოლოდ ტურნირის დღეს ვცინკლობთ, რადგან გიგიმ ნერვიულობს იცის. მე ჩემთვის დავდივარ, ვმლერი, ის კი საშინლად ნერვიულობს. ტურნირის დღეს ვცდილობ, მეც და გიგისაც კარგი განწყობა გვექონდეს. შეჯიბრის დანყებამდე ერთი საათი გათიშვის მომენტი მაქვს, ფსიქოლოგიუ-



რად ვემზადები.

— თქვენი კოლაგებიდან არასასამოეზო მოგზაურობა თუ გახსენდებათ?

— დიას. რიგაში დიდ ტურნირზე საკმაოდ მომზადებული ჩავედი. მომდევნო ტურში გადავედი, მაგრამ ფეხი დავიზიანე და ვეღარ ვიცეკვე. ამდენს რომ იწვალე, უცხოეთში

„სადაც უნდა ჩავიდე, საცეკვაო კანსაცმელს ყველგან ვიყიდობ. სვახოვსის თვლები, ბაჰჩანა, ქსოვილები... საცეკვაო სამოსისა და აქსესუარებისთვის ფეხი ახსობდეს მენანება“.

ჩახვალ, გინდა, მაგრამ იცეკვო, ტურიდან ტური გადახვალ და მე რე რაღაც ხელს შეგიშლის, ძალიან რთულია. საშინლად მახსენდება. იქიდან ნერვებმოშლილი დავბრუნდი.

— ყველაზე სასამოეზო ემოციები რომელ ქვეყნებთან გავაგზარდობთ?

— ყველაზე კარგად უკრაინა და რუსეთი მახსენდება. მე და ზურა კიკაბიძე წყვილში ახალი დამდგარი ვიყავით. ცეკვა 2 წლის დანაწესებული მქონდა და ასეთ მაგარ მოცეკვავესთან რომ დამაყენეს, ძალიან მიხაროდა. უკრაინაში ტურნირზე ერთად ვიცეკვეთ და ფინალშიც აღმოვჩნდით. ამ ცეკვებში რუსული სკოლა ერთ-ერთი ძლიერია და ამდენ რუსებში ფინალში რომ მოხვდები, უკვე რალაცას ნიშნავს. სამწუხაროდ, ვერ გავიმარჯვეთ, მაგრამ მემვიდე ადგილზე გავიძეო, რაც ჩვენთვის მაშინ კარგი შედეგი იყო. როგორც ახალბედა მოცეკვავე, ამდენ ძლიერ წყვილს გაფართოებული თვალებით ვუყურებდი.



■ პაქოში

— გერმანია რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ?
— 14 წლის ვიყავი, როცა კავკასიის თასზე პირველი ადგილი ავიღე და ამის სანაცვლოდ მამამ გერმანიაში დასასვენებლად გამიშვა. იქ საქართველოდან გერმანელების ჯგუფს გავყევი. პატარა ქალაქში, საარბრიუვენში ვიყავით, სადაც ძალიან ბევრი ქართველი ცხოვრობს. ასაკი ხელს არ მიწყობდა, პატარა ვიყავი და იმდენად ვერ გავერთე. ეს ქალაქი დიდი სანახაობებით არ გამოირჩეოდა. ერთადერთი ადგილია, რომელსაც „თბილისის მოედანს“ უწოდებენ, სადაც კონცერტები იმართებოდა. სხვათა შორის, მოედანს გერმანულადაც აწერია დასახელება და ქართულადაც. ყველაზე კარგად დისნეილენდისმაგარი „ევროპა პარკი“ მახსენდება, სადაც შესანიშნავად გავერთე.

— საყიდლებზე საარულოს დრო თუ გრძობთ უცხოეთში ყოფნას?
— საყიდლებზე სიარული ძალიან მიყვარს. სადაც უნდა ჩავიდე, საცეკვაო ტანსაცმელს ყველგან ვყიდულობ. საქართველოში ამის ფუფუნება არ გვაქვს. საზღვარგარეთ კი საცეკვაო კოსტიუმების დიდი არჩევანია. ჩვენთან საუკეთესო ქსოვილის შექმნაც რთულია, თუ არის, საკმაოდ ძვირია. რა სამოსში ვარჯიშობ, ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ სავარჯიშო ტანსაცმელსაც საზღვარგარეთ ვყიდულობ. სვაროვსკის თვლები, ბაპრაბა, ქსოვილები... საცეკვაო სამოსისა და აქსესუარებისთვის ფული არასოდეს მენანება.

— თქვენი შიშინგი მსილიდ საცეკვაო ტანსაცმელზე?

— მთაც ძალიან მიყვარს, მაგრამ რასაც დასვენება ჰქვია, ზღვაზე გამომდის კარგად. შემოდის მთელი ზაფხული ზღვაზე გავატარო. აჭარას სწორად ვსტუმრობ. თუ მოვახერხებ, თურქეთშიც დავდივარ. თურქეთს ჯერ ვერ გავცდი. არ ვიცი, ამას დასვენება ჰქვია თუ არა, მაგრამ ისე ვერთობით, ღამეც არ გვძინავს, მით უმეტეს, თუ კარგ სასტუმროში ვართ. ხმელთაშუა ზღვა ძალიან მაგარი! სტუდია „თელას“ ბავშვები დასასვენებლად წავიყვანეთ.

— ბავშვებთან ერთად დასვენება როგორია იყო?
— პატარებთან ერთად რთულია. მოზრდილი თაობა წავიყვანეთ და, ასე თუ ისე, დიდი

„ჩხუბითი სიმპათიური ბიჭები აჩიან, მაგამ მე ქეხა და ნაბი ბიჭები ახ მომონს. მგონია, ხომ იტალიელი მამაკაცები ძალიან აჩხუბებენ“.

კონტროლის ქვეშ არ გვყავდა. თან ზოგს მშობელიც გამოჰყვა. ჭკვიანი, დამჯერი ბავშვები გვყავს. ვერ დავიჩივლებ, ცელქები არიან-მეთქი, არც ღამით გაპარვები სჩვევიათ. თურქეთი ყოველთვის კარგად მახსენდება. ჩემი პირველი მოგზაურობაც მას უკავშირდება. 6-7 წლის ვიყავი, როცა „ვარდების ფესტივალზე“ მოვხვდი. მე და ერთი ჩემი ასაკის ბიჭი დიდების ანსამბლს გავყვით და

საცქლით შექსიფარგლება?

— ძირითადად ამის ყიდვა მიყვარს, მაგრამ არც ყოველდღიურ სამოსზე ვამბობ უარს. მთელი დღე შემოდის ტანსაცმელი ვათვალიერო და რალაცეები ვიყიდო. გიგომ ჩემი ამბავი რომ იცის, საყიდლებზე სიარული დიდად არ უყვარს, ეს მისთვის საკმაოდ დამლელი პროცესია, მაგრამ ბოლო დროს შემოვიჩვიე და დამყავს ხოლმე. ბევრისგან განსხვავებით, რატომღაც სუვენირების ყიდვა არ მჩვევია. უფრო მეტად მეგობრების და ოჯახის წევრებისთვის მიყვარს საჩუქრების ჩამოტანა. ერთხელ ჩვენი სტუდიის ცუგას, ბოთესაც კი ჩამოვუტანე საჩუქარი.

— დასვენების თვალსაზრისით მთა გირჩევენათ თუ ზღვა?

— მთაც ძალიან მიყვარს, მაგრამ რასაც დასვენება ჰქვია, ზღვაზე გამომდის კარგად. შემოდის მთელი ზაფხული ზღვაზე გავატარო. აჭარას სწორად ვსტუმრობ. თუ მოვახერხებ, თურქეთშიც დავდივარ. თურქეთს ჯერ ვერ გავცდი. არ ვიცი, ამას დასვენება ჰქვია თუ არა, მაგრამ ისე ვერთობით, ღამეც არ გვძინავს, მით უმეტეს, თუ კარგ სასტუმროში ვართ. ხმელთაშუა ზღვა ძალიან მაგარი! სტუდია „თელას“ ბავშვები დასასვენებლად წავიყვანეთ.

— ბავშვებთან ერთად დასვენება როგორია იყო?
— პატარებთან ერთად რთულია. მოზრდილი თაობა წავიყვანეთ და, ასე თუ ისე, დიდი

„ჩხუბითი სიმპათიური ბიჭები აჩიან, მაგამ მე ქეხა და ნაბი ბიჭები ახ მომონს. მგონია, ხომ იტალიელი მამაკაცები ძალიან აჩხუბებენ“.

კონტროლის ქვეშ არ გვყავდა. თან ზოგს მშობელიც გამოჰყვა. ჭკვიანი, დამჯერი ბავშვები გვყავს. ვერ დავიჩივლებ, ცელქები არიან-მეთქი, არც ღამით გაპარვები სჩვევიათ. თურქეთი ყოველთვის კარგად მახსენდება. ჩემი პირველი მოგზაურობაც მას უკავშირდება. 6-7 წლის ვიყავი, როცა „ვარდების ფესტივალზე“ მოვხვდი. მე და ერთი ჩემი ასაკის ბიჭი დიდების ანსამბლს გავყვით და

ჩვენს ცეკვაზე ყველა გიჟდებოდა. მთელი უკრაინა-გაზეთები ჩვენი ფოტოებით იყო აჭრულელები. დედას დღესაც შენახული აქვს.

— უცხო ქვეყანაში კვების პრობლემა ხომ არ გავქო, მთი სამზარეულოს ადგილად ვეუბნით?

— არც ერთი ქვეყნის სამზარეულოს მიმართ არ ვარ პრეტენზიული, იტალიურს კი გამოვარჩევდი. რუსული და უკრაინული კერძები ერთმანეთს ჰგავს, ორივე გემრიელია. აპრონიაში ნამყოფი არ ვარ, მაგრამ მათ სამზარეულოზე გვიყვარს. ჩინურსაც მშვენივრად გვახსენებთ. სამზარეულოში ტრიალიც ძალიან მიყვარს და კულინარიულ

„ახლან მებოძაი იყო ჩახელი ბახილიაში და მითხრა, შენ ხომ იქ ჩახვიდე, უკან ალახ დაბუნდებო. იქ ყოველ ჯეხე-ქეხეში სეკვავენ“.

გადაცემებსაც ხშირად ვუყურებ. საზღვარგარეთიდან ჩამომაქვს ხოლმე უცხო საკვამებო, რომლებიც აქ არ იშოვება და გემრიელი კერძებს ვამზადებ. მინდა გითხრა, რომ სანელებლები ძალიან ასუქებს. რომელ კერძშიც გაურევთ, ისეთ პრობატს აძლევს, რომ ბევრის ცხამა გინდებო.

— თქვენი საოცნებო ქვეყანა რომელია?

— ბრაზილიაში წასვლა ძალიან მინდა. მგონია, რომ იქაურობა მარტო ჩემია. ახლახან მეგობარი იყო ჩასული ბრაზილიაში და მითხრა, შენ რომ იქ ჩახვიდე, უკან აღარ დაბრუნდებო. იქ ყოველ კუთხე-კუთქულში ცეკვავენ. მალაზიაში საღაროს რიგშიც კი შეიძლება სამზარეულოც იყოს. ამის მომსწრე რომ გავხდე, შეიძლება გავგიჟდე. ბრაზილიაში როგორ არ უნდა წავიდე?! კარნავალს რომ წარმოვიდგენ, ხომ საერთოდ! იქ წასვლას ვაპირებ. იტალიაშიც არ ვყოფილვარ და იქაურობაზეც ვგიჟდები. იტალიური ენაც უზომოდ მიყვარს და აუცილებლად ვისწავლი. ეკო ფანგანს შევირდი, მე ცეკვას გასწავლი, შენ იტალიური მასწავლე-მეთქი. მიყვარს იტალია, მაგრამ ისე არ მოვკვდები, რომ ბრაზილიაში არ წავიდე!

— ყველაზე ღამაში ენა სად შეგხვდა?

— უკრაინული ქალები აღიარებულები არიან, მაგრამ რიგში რომ გოგოები დდიან, მსგავს ილაშაბეს ვერსად წააწყდებით, ოდნავ შეუხედავსაც კი ვერ ნახავთ. ფეხები მხრებიდან ეწყებათ. ისეთი ღამაზები არიან, გოგო ვარ და თვლი მე გამომბოდა, კაცებს რა დაემათებათ?! რუსეთში სიმპათიური ბიჭები არიან, მაგრამ მე ქერა და ნაბი ბიჭები არ მომწონს. მგონია, რომ იტალიელი მამაკაცები ძალიან კარგები იქნებიან. მე უფრო ვაუჯაცური ბიჭები მომწონს.

✓ სოფიო ბოჭორიძე



■ ალექსანდრია

ალექსანდრია – ანტიკურობა და თანამედროვეობა ერთად

ალექსანდრია ეგვიპტის სიდიდით მეორე და ხმელთაშუა ზღვისპირეთის პოპულარული საკურორტო ქალაქია. აქ ერთმანეთშია შერწყმული უძველესი ისტორია და თანამედროვე საკურორტო ზონა. ალექსანდრიის კულტურა და სტილი მკვეთრად განსხვავდება ეგვიპტის სხვა მხარეებისგან. იგი გაცილებით ახლოს დგას ევროპულ კულტურასთან.

მეიხე ხამ ისკოიიდან

ქალაქს სახელი მისი დამფუძნებლის, ალექსანდრე დიდის პატივსაცემად დაერქვა და, როგორც ეგვიპტის მმართველების სატახტო ადგილი, მისივე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი გახდა. ეგვიპტის შუა საუკუნეებში დასრულდა ალექსანდრიის სტატუსი, როგორც ქვეყნის დედაქალაქისა და ამან დასაბამი მისცა მის დაღმასვლას. ოსმალეთის იმპერიის პერიოდში კი იმდენად დაკნინდა, რომ მხოლოდ მეთევზეთა სოფლად

მოიხსენიებოდა.

ეკიმაკი

ალექსანდრიისათვის ტროპიკული კლიმატია დამახასიათებელი. ჯობია, ქალაქს სექტემბრის დასაწყისიდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე ეწვიოთ. ამ დროს ჰაერის ტემპერატურა 33 გრადუსზე ზევით არ ადის, იშვიათად წვიმს და, რაც მთავარია, წყალი 28 გრადუსამდე თბება.

ალქსანდრიაში ზაფხული აუტანლად ცხელია. ამ დროს ტემპერატურა 45 გრადუსს აღწევს. ზამთარში ქალაქში ნაკლებად შეძლებული ტურისტები ჩადიან. ამ პერიოდში ტემპერატურა 21 გრადუსზე დაბლა არ ჩამოდის. კურორტზე გაზაფხულზე ჩასვლას არ გირჩევთ, რადგან ისეთი საშინელი ქარი ქრის, რომ გარეთ გასვლა შეუძლებელია.

ფეი

ალექსანდრიის, ისევე როგორც მთელი ქვეყნის, ეროვნულ ვალუტას ეგვიპტური ფუნტი წარმოადგენს, ხოლო მონეტებს პიასტრი ჰქვია. ერთი ეგვიპტური ფუნტი 100 პიასტრის ტოლია. მიმოქცევამა 1, 5, 10, 20, 50, 100 ნომინალიანი ბანკნოტები. უცხოურ ვალუტის გადაცვლა შესაძლებელია ბანკებში, რესტორნებსა და სასტუმროებში, რომელთა სიმძირვეს ქალაქი ნამდვილად არ უჩივის. 1 ამერიკული დოლარი 5,42 ეგვიპტური ფუნტის ტოლფასია.

ამერიკული დოლარისა და ევროს გამოყენება ნებისმიერ დანესტრულებაში შეგიძლიათ. რაც მთავარია, ფასები ალექსანდრიაში გაცილებით დაბალია, ვიდრე ეგვიპტის სხვა კურორტებზე.

ენა

ალექსანდრიის ოფიციალური ენა არაბულია. ოფიციალურის გარდა ქალაქში თავს ინგლისურით თუ გაიტანთ, ისიც მხოლოდ ტურისტულ ადგილებში. გაითვალისწინეთ, რომ მძღოლებთან და სხვა მომსახურე პერსონალთან დიდ ენობრივ ბარიერს წააწყდებით.

გადაადგილება

ალექსანდრიაში ჩასვლა თითქმის ყველა სატრანსპორტო საშუალებით შეგიძლიათ, მაგრამ ქვეყნის ყველაზე დიდ საპორტო ქალაქში ტურისტების უმრავლესობა უპირატესობას გემს ანიჭებს.

ელ ნოუზას სახელობის აეროპორტი ქალაქიდან 8 კილომეტრშია და მისკენ ევროპიდან და ამერიკიდან პირდაპირი ფრენები ხორციელდება. გარდა ამისა, აეროპორტი შიდა ფრენებსაც აქტიურად ემსახურება, მაგალითად, კაიროდან ალექსანდრიის მიმართულებით ყოველდღიურად ხორციელდება რეისები, ბილეთის ფასი კი 120 ამერიკული დოლარია.

აეროპორტიდან ქალაქის ცენტრამდე ტაქსით 30 ეგვიპტურ ფუნტად მიხვალთ. ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ალექსანდრიაში ჩასვლა მატარებლით და ავტობუსითაც შეგიძლიათ. ფასები კი კლასების მიხედვით იცვლება.

რაც შეეხება შიდა გადაადგილებას, ალექსანდრიაში ყველაზე მეტი მოთხოვნა მოტოციკლებზეა, რომლებიც სპეციალურ სააგენტოებში მანქანებთან და ველოსიპედებთან ერთად ქირავდება. ქალაქში ავტობუსით მზავრობა საკმაოდ იაფია. დიდ მანძილზე მზავრობისას ჯობია, იმ ავტობუს-



ალქსანდრიის შუქარა

სით ისარგებლოთ, რომელიც კონდიციონერთაა აღჭურვილი.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი ყოველთვის გადაჭედილია და იქ ასვლა დღის ნებისმიერ მონაკვეთში პრობლემას წარმოადგენს. ყველზე კარგი გამოსავალი, თუ, რა თქმა უნდა, ჯიბე ამის საშუალებას მოგცემთ, ყვითელი ან შავი ტაქსებია. გაგიკვირდებათ და ქალაქში 1869 წლიდან მოყოლებული ტრამვაიც ფუნქციონირებს, რაც ტურისტებისათვის ერთგვარი ღირსშესანიშნაობაა.

სამზახელო

ალექსანდრია ვეგეტარიანელებისათვის ნამდვილი სამოთხეა, რადგან მათთვის განკუთვნილი ბარ-რესტორნები ყოველ ნაბიჯზეა. ეგვიპტური სამზარეულო მთლიანად პარკოსნებსა და ბოსტნეულზეა დაფუძნებული. მათ შემდეგ ისლამურ ქალაქში ცხვრის ხორცი ყველაზე პოპულარულია.

ტრადიციული კერძებიდან აღსანიშნავია კუშარი. ეს გახლავთ ბრინჯის, მაცარონისა და პომიდვრის ნახავი ნივრითა და ძმრით. კუშარს ეგვიპტელები შემწვარ ღვინოთან ერთად მიირთმევენ.

ადგილობრივები პურს ნაკლებად ჭამენ. ტურისტების დიდი ნაწილი ეგვიპტური სამზარეულოთი ხშირად უკმაყოფილო რჩება, ამიტომ ალექსანდრიაში მდებარე სხვადასხვა ქვეყნის რესტორნებს სტუმრობენ ან ყველასთვის საყვარელ და ცნობილ შაურმას მიირთმევენ. თქვენზეა დამოკიდებული, ცხვრის ხორცის შაურმას შეუკვებთ, ქათმისას თუ ძროხის ხორცისას. სწრაფი კვების ობიექტებში შეგიძლიათ შეუკვებით ქაბაბი — პურის თხელ ფენაში გახვეული და შემწვარი ცხვრის ხორცი.

ეგვიპტური სამზარეულო დესერტებითაა მდიდარი. მანანის ბურღულითა და შაქრის სიროფით მომზადებული ბასბოუსა ყველაზე მოთხოვნადია. მას შემდეგ მოდის თაფლითა და ნიგვით შეზავებული უზომოდ ტკბილი ბაქლავა. მუსლიმები დღის ნებისმიერ მონაკვეთში დიდი ფინჯნებით მიირთმევენ ჩაის, ხოლო ყავას რაც შეეხება, თურქული წესით მომზადებული ყავა პირველ ადგილზეა, ოღონდ მხოლოდ ტურისტებს შორის.

ეგვიპტეში და, ბუნებრივია, ალექსანდრიაშიც ალკოჰოლზე სერიოზული შეზღუდვებია დაწესებული. ალკოჰოლის მოთხოვნა მხოლოდ უმადლესი დონის რესტორანში ან სასტუმროში შეგიძლიათ. მუსლიმები არ სვამენ, მაგრამ საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, თუ სხვა შეეცევა.

ლიხსენანიშნაობები

ანტიკურობა და თანამედროვეობა გვერდიგვერდ დგას ეგვიპტის ამ მთავარ ხმელ-

თაშუაზღვისპირა პორტში. ალექსანდრია ცნობილია მისი შუქურით, რომელიც მსოფლიოს შვიდ საოცრებას შორის ერთ-ერთია. აქ დასვენების უპირატესობა ის გახლავთ, რომ შესაძლებელია საკმაოდ დატვირთული საექსკურსიო პროგრამის იოლად შეთავსება პლაჟზე დასვენებასთან. კურორტზე სხვადასხვა დონისა და ხარისხის უამრავი სასტუმროა, რომლებსაც საკუთარი ღამის კლუბები და დისკოთეკები აქვთ.

ძლიერი საზღვაო ფორტი და სახელგანთქმული ალექსანდრიის ბიბლიოთეკა ქალაქის მთავარი ღირსშესანიშნაობებია. ალექსანდრია მხოლოდ საკურორტო ქალაქი არ გახლავთ, ეს არის თანამედროვე ცივილიზაციის მატარებელი ყველა ატრიბუტიკის მქონე დასახლებული პუნქტი კავებით, რესტორნებით, კაზინოებითა და ღამის კლუბებით.

კურორტზე ყველაზე საინტერესო ადგილი უდავოდ პლაჟია. იმის მიუხედავად, რომ ხშირ შემთხვევაში წყალში შესვლა ფსევდო არსებული რიფების გამო რთულია, ბევრი ტურისტი სხვა სანახაობებს მაინც პლაჟზე დასვენებას ამჯობინებს. ახლა რიფების პრობლემა გადანყვეტილია, მათზე სპეციალური ხიდებია აგებული, რომელზე დაშვებისთანავე საკმარის სიღრმეში ხვდებით. ბევრისთვის ეს მოუხერხებელია, ამიტომაც ის, ვინც ბავშვებით ისვენებს, გასუფთავებული ფსკერის მქონე სანაპიროს ამჯობინებს. მართალია, ასეთი პლაჟები ძალიან ცოტაა, მაგრამ არსებობს.

ესაფთხოების ნებსები

ალექსანდრია კრიმინალური თვალსაზრისით ეგვიპტის ყველზე დაცული ქალაქია. ჯობია, გამყიდველს არ შეევაჭროთ. წინასწარ გაიგეთ იმ პროდუქტის ფასი, რომლის შეძენაც გსურთ. თუ დახმარება გჭირდებათ, მაგრამ არ გინდათ, მომსახურებისთვის გადაიხადოთ, პოლიციის თანამშრომელს მიმართეთ.

ისევე, როგორც ნებისმიერ მუსლიმურ ქალაქში, ქალი ქუჩაში მარტო არ უნდა გამოჩნდეს. სასტუმროს ტერიტორიაზე შეგიძლიათ ისე ჩაივლოთ, როგორც საჭიროდ ჩათვლით, მაგრამ ქუჩაში გამოსვლისას გახსოვდეთ, რომ ალექსანდრია ისლამური ქალაქია!

საქმიან შეხვედრებზე ეგვიპტელებმა შეიძლება დაიგვიანონ. ადგილობრივები არაპუნქტუალურები არიან, მაგრამ ძალიან სტუმართმოყვარენი. მიუხედავად იმისა, რომ მათ დიდ ნაწილს ბევრი პრობლემა აქვს, მოწყენილ სახეებს ვერ ნახავთ. ქუჩა სავსეა მომლიმარი ადამიანებით. მათ ძალიან უყვართ სიმღერა, ცეკვა და ხმამაღლა ლაპარაკი.

ალექსანდრიაში, ისე როგორც მთელ ეგვიპტეში, არ შეიძლება ონჯანის წყლის დაღევა. ბოთლებში ჩამოსხმული წყალი ყველგან იყიდება.

უბის ნიგნაი

ქვეყანა — ეგვიპტე; ქალაქი — ალექსანდრია; ფართობი — 2679 კვ.კმ; მოსახლეობა — 4.110.015; ვალუტა — ეგვიპტური ფუნტი; ოფიციალური ენა — არაბული. ✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ

რამ მისხნა ტირანულ ოჯახში სსოპრებისაგან

„მისი მადლობელიც ყი დაჰჩი, ხომ ასეთი ხამ ააგოხა და მამათი-დედამთილის ცყვობისგან გამათავისუფლა“

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამ ქვეყნად მუდმივი არაფერია. განსაცდელი, ნერვიულობა სისხარულით, მშვიდობით იცვლება, საიდანადაც მოულოდნელად მოდის ხსნა, რომელსაც არ ელი. ერთი ცხოვრება შეიძლება იმიტომ დაგვეგონება, რომ მეორე ავაშენოთ, სადაც იმავე შეცდომებს აღარ დავუშვებთ. აქ მთავარია თვითონ ადამიანი და მისი მისწრაფებები, ღირებულებები, საით წარმართავს ის თავის ცხოვრებას.



ჩვენს რესპონდენტს, ახალგაზრდა ქალ ხათუნას, სიყვარულით შექმნილი ოჯახი დაენგრა, ერთ დროს ძვირფასმა ადამიანებმა ტკივილი და შეურაცხყოფა მიაყენეს, თუმცა, როგორც ჩანს, სხვა, უკეთესი ცხოვრებისთვის ამზადებდა განგებას...

საშინა:

— ჩემს მამამთილს, იურის, ტრადიციული ოჯახი ჰქონდა თავისი მკაცრად განსაზღვრული წეს-კანონებით. როცა მისი ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი დაოჯახდნენ, არაფრით უნდოდა მათი ცალკე გაშვება. ერთი სიტყვით, ოჯახში ბევრნი ვიყავით: დედამთილ-მამამთილი, ბებია-ბაბუა (მამამთილის მშობლები) და მათი მონაგარი. სახლიც, იცოცხლე, დიდი ჰქონდათ. ახლობლები ეუბნებოდნენ, იური, თანამედროვე კაცი ხარ, ღვთის მადლით, შემოსავალი თავზესაყრელად გაქვს, გაუშვი ახალგაზრდა ოჯახები ცალ-ცალკე, ისინიც უკეთ მოისვენებენ და თქვენც მეტი სიმყუდროვე გექნებათ. მამამთილს ამის გაგონებაც არ უნდოდა, ოჯახში პატარა იმპერია ჰქონდა და თავს დიქტატორად გრძობდა. მთელი დღეები დაკავებული იყო (დიდ ბიზნესში იყო ჩართული) და შინ რომ მოვიდოდა, მთელი დღის ამბები უნდა განეხილა და გამოეკვლია — ვინ რა გააკეთა, ვინ რა თქვა და ა. შ. მთავარი მომხსენებელი, მიმომხილველი და „ასისტენტი“ ჩემი დედამთილი, ნინელი, გახლდათ.

— შედეგა ამ მდგომარეობას სირმალურად აღვებნენ?

— ბავშვობიდან მიეჩვივნენ, მშობლების წინაშე თავდახრილები უნდა ყოფილიყვნენ, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ასეთი სიტუაცია ძალიან მოსწონდათ. ჩემი ქმარი, მახლიც და მულიც მუშაობდნენ, მაგრამ მათი შემოსავალი საკმარისი არ იყო ცალკე ბინის შესაძენად და ოჯახის უზრუნველსაყოფად. ძირითადი შემოშტანი ჩემი მამამთილი გახლდათ. თავის ბიზნესში შვილები არ ჩართო, არ უნდოდა, თავი აღმატებულად ეგრძნოთ, ერჩივნა, მის შვილებს მწირი შემოსავალი ჰქონოდათ. ვერაფრით აიტანდა, თუ რომელიმე მათგანი მის მფარველობაზე უარს იტყოდა და დამოუკიდებლობას აირჩევდა.

— შედეგა ფულის გამო ითქმენენ თუ მშობლებზე ასეთი დამოკიდებულება სირმალე მიაჩნდათ?

— მშობლის კალთის ქვეშ თავს უსაფ-

რთოდ და საიმედოდ გრძნობდნენ. თანაც ყველაფერი ჰქონდათ, რასაც მოისურვებდნენ — კარგი სამოსი, მანქანები, ზამთარ-ზაფხულ აგარაკები და ა. შ.

— პირადად თქვენ რა არ მოგწონდათ ასეთ ვითარებაში?

— ყოველგვარი არჩევანის უფლება ჩამორთმეული გვექონდა (რძლებს — სამსახურში მუშაობის უფლებაც), თუმცა, ჩვენი მეორე ნახევრების მსგავსად, მატერი-ალურად ჩვენც არაფერი გვაკლდა, მაგრამ ჩვენს გემოზე ვერსად წავიდოდით, დედამთილისთვის ახსნა-განმარტებების მთელი არზა უნდა წარგვედგინა, მერე ის მამამთილს წარუდგენდა... ერთი სიტყვით, იშვიათ მდგომარეობაში ვიყავით, რაც გარეშეთათვის წარმოსადგენადაც კი ძნელია.

— სხვა მსოფო მრავალსოლიან ოჯახში რამდენად აწყობილი ურთიერთობა გქონდათ, ერთმანეთს ეკუთვებით?

— ოჯახში ასე თუ ისე თანხმობა, გარეგნული სიმშვიდე გვექონდა და ეს გვაძლებინებდა. სიმშვიდის დაცვა — ეს იყო პირობა, რომელიც არასდროს უნდა დაგვერღვია. პრინციპში, მამამთილს საქმე ისე ჰქონდა დაყენებული, ზედმეტის თქმას ვე-

„მისმა ქოთქოთმა მთელი სახლი შეძია, ისეთ დღეში ჩავახდა, თითქოს მისი დახჩენილი სიცოცხლე და ოჯახი ბედნიეხება დაჯახედ ნივთებზე იყო დამოკიდებული. თითოეულ მათგანს მისციხოდა, დამის ჰანაშვიდები მოაწყო“.

რავინ გაბედავდა. ის კი არადა, სამი წელი ვიცხოვრე მათ ოჯახში და მამამთილისთვის სიტყვაც არ მითქვამს — თავი ისე ეჭირა, ვერაფერს შეჰკადრებდი, უფრო მეტიც, თუ განწყობაზე არ იყო, ვერც მიუახლოვდებოდი, სივრცეს ვერ დაუზღვევდი.

— თავადაც არ გელაპარაკებოდათ თუ თქვენ იყავით მის მიმართ ზედმეტად მკაცრად ელბული?

— ქარიზმატული ადამიანი იყო, ამავე დროს, ქანდაკებასავით ცივი, ჰაბიტუსით ძველ რომაელს ჰგავდა. თითქოს შენს ენაზე ვერც დაელაპარაკებოდი. უნდა გექო და გედიდებინა — მაშინ განსაკუთრებით ბედნიერი და გულუხვი ხდებოდა. მე პირფერობა არ შემიძლო, ამიტომ ყოველთვის განზე ვიდექი, ჩემთვის...

— ასეთი ოჯახური „თანხმობა“ რადის დადრდე?

— ოჯახში ძალიან ცუდი რამ მოხდა: ჩემმა დედამთილმა დაკარგა „საკუბოვე“ სამკაულები, როგორც თვითონ უწოდებდა. ყოველდღიურად სხვა სამკაულებს იყენებ-

და. ამის პრობლემაც არ ჰქონდა, შეეძლო ახალი შეეძინა, მაგრამ მისმა ქოთქოთმა მთელი სახლი შეძრა, ისეთ დღეში ჩავარდა, თითქოს მისი დარჩენილი სიცოცხლე და ოჯახური ბედნიერება დაკარგულ ნივთებზე იყო დამოკიდებული. თითოეულ მათგანს მისტიროდა, ლამის ჰანაშვიდები მოაწყო.

— ეჭვი ვინმეზე მიატანეს?

— მთელი უბედურება ის იყო, რომ ქურდობა მე დამბრალდა... ახლაც, რომ ვისხენებ, ცუდად ვხდები.

— რატომ მანცვამისც თქვენ, რამ აფიქრებინათ ეს?

— ალბათ იმიტომ, რომ ოჯახის წევრებიდან ყველაზე ჩაკეტილი ვჩანდი. გარდა ამისა, ჩემი დედამთილი თავიდანვე ვერ მიტანდა.

— რა მიზეზით?

— ხელმოკლე ოჯახიდან ვიყავი, არაპრესტიჟული რაიონში, გარეუბანში ცვხოვრობდით. ჩემი მშობლებიც უბრალო ადამიანები არიან. თავის დროზე სადედამთილომ ეს რომ გაიგო, თავი გაიგიჟა, მაგ სოფელს და მათხოვარს სახლში როგორ შემოვუშვებო — ასე თქვა სიტყვასიტყვით.

— თქვენი თანდასწრებით?

— არა, ეს ჩემი მეზობელი მაროსგან შევიტყვე, რომელიც მათ ოჯახში შინამოსამსახურედ მუშაობდა. ძალიან ცუდ დღეში ჩავვარდი. ვერც შეეყარებულს ვთმობდი და არც მათ ოჯახში მიწდოდა შესვლა. ჩემს მომავალ ქმარს, გეგას, ძალიან უყუყვარდი, ამიტომ მამამისთან ჩაანყო საქმე და მისი სიტყვა აღმოჩნდა საკმარისი, რომ ჩემს დედამთილს ამაზე კრინტი აღარ დაეძრა.

— როგორც ჩანს, თქვენი მამამთილისთვის ფული მისც არ აღმოჩნდა განმსაზღვრელი ადამიანის შესაფასებლად.

— საქმე ისაა, რომ მამამთილი ამას საკუთარი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად აკეთებდა. მთავარი იყო, მასზე დამოკიდებული ყოფილიყავი და მერე, თუ გინდ, „ქერის ორმოში“ ჩაგსვამდა.

— შექცეული, ოჯახის წევრებისთვის თქვენი სიძარბო დაგამტკიცებინათ?

— ამის გაკეთება შეუძლებელი იყო. საქმე ისაა, რომ ერთხელ წამასწრეს, როგორ ვეხმარებოდი ჩემს ძმას, რომელსაც ფული უმალღესში ჩასაბარებლად სჭირდებოდა, გარკვეულ თანხას ვაძლევდი. ეს საქციელი არ მომიწონეს. ოჯახური საბჭო მომიწყვეს და გამეციხეს. მამამთილის აზრით, ჩემი ძმა მასთან თავად უნდა მისულიყო მოწყალებისთვის და უარს ნამდვილად არ მიიღებდა. ჩემი ძმა თავმოყვარე ბიჭია, ამას არაფრით იზამდა, ამიტომ ფარულად ვეხმარებოდი. ასევე ხელს ვუმართავდი ჩემს მშობლებსაც...

— საინტერესოა თქვენი ქმრის პოზიცია, როცა მისმა მშობლებმა ქურდიბა დაგაბრალეს.

— საშინელ დღეში ჩავარდა, ჩემი სჯეროდა, დარწმუნებული იყო, ასეთ რამეს არ ვიკადრებდი, მაგრამ ჩემმა დედამთილმა თავისკენ გადაიბირა, აშკარად გამოავლინა,

რომ ვერ მიტანდა. ჩემი მისამართით სულ შხამს აფრქვევდა, გეგას უთხრა, მაგ უთვის-ტომოსგან სხვას რას უნდა მოელოდეთ. ჩემი ქმარი სასწორით ხან იქით იხრებოდა და ხან — აქეთ. გეგამაც რომ ეჭვით შემოხვდა, ვეღარ ავიტანე და სახლი ისე დავტოვე, ტანსაცმელიც კი არ წამომიღია. დედამთილ-მა ეს ფაქტიც თავის სასარგებლოდ ახსნა — ეს ტანსაცმელი რად უნდოდა, როცა ამდენი ძვირფასეულობა ჩაიგდო ხელშიო.

— **მანამდე ქმართან რა ურთიერთობა გქონდათ?**

— ატმოსფერომ, რომელიც ჩვენს ოჯახში სუფევდა, ჩვენი ურთიერთობა გააცოცხლა და ოფიციალური გახდა. ჩვენი ღიმილიც კი ნიღბად იქცა, კარგი მსახიობებივით სულ რაღაც როლს ვთამაშობდით. ერთმანეთთან გულლიად ვერც ვსაუბრობდით — იმ სახ-

„მამამთილს ოჯახში ჰაჯახა იმპეხია ჰქონდა და თავს დიქტატორად გიხმობდა“.

ლში ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს კედლებიც გვისმენდნენ. ჩვენ შორის რაღაც გაღაგანი აღიმართა, რომლის რღვევა ვეღარ შეეძლებოდა. ალბათ ამან გამოიწვია ის, რომ გეგას ჩემ მიმართ უნდობლობა გაუჩინდა... ამან ჩვენი სიყვარული დაანგრია.

— **სასწორზე სანგრძლივად ყოფნა ადამიანს შინაგანად ანგრევს. თქვენს ქმრისთვისაც ეს ალბათ მძიმე გადასატანი იქნებოდა. ბოლოს მაინც თუ მისვდა თქვენს უდანაშაულობას?**

— მას შემდეგ, რაც მათი ოჯახი დავტოვე, გეგა სმას მიეძალა. რამდენჯერმე ნასვამი მოვიდა ჩემთან პატიების სათხოვნელად, მაგრამ მამაჩემმა არ მიიღო. არც მე მინდოდა მისი ნახვა — ხელმოკლეობა უთავმოყვარეობას არ ნიშნავს.

— **თქვენ ცხოვრება მას შემდეგ როგორ აუწყო?**

— თავიდან ძალიან გამიჭირდა, სასოწარკვეთაში ჩავვარდი. ზოგჯერ ჩემი თავი სიზმარში მეგონა და მინდოდა, გამოვფხიზლებულიყავი, ზოგჯერ ის პერიოდი, როცა ქმრის ოჯახში ვცხოვრობდი, კომპარად მეჩვენებოდა... მეგონა, მოვკვდებოდი, მაგრამ ღვთის მადლით გადავარჩი. ეკლესიურ ცხოვრებას შევუდექი და უფალი დამეხმარა.

- ❖ სტანდარტულ გოლფის მოედანზე 336 ორმოა.
- ❖ ფრენბურთი 1895 წელს დაინერგა.
- ❖ რაგბის პირველი კლუბი 1843 წელს დაკომპლექტდა.
- ❖ თავდაპირველად ტენისში ჩოგანი არ გამოიყენებოდა და მას ხელით თამაშობდნენ.
- ❖ ჯიბეები პირველად მოდაში მე-17 საუკუნეში შემოვიდა პარიზში.
- ❖ ოდეკოლონი შავი ჭირის სამკურნალოდ გამოიგონეს.
- ❖ სტატისტიკის თანახმად, ორშაბათობით ხერხემლის დაზიანების 25%-ით და გულის შეტევის 33%-ით მეტი შემთხვევა ფიქსირდება, ვიდრე კვირის სხვა დღეებში.

სამსახური გამომიჩნდა და მატერიალურად წელში გავიმართე. არავინ იფიქროს, რომ მარტო და მიუსაფარია ამქვეყნად — ღმერთი განსაცდელში არავის ტოვებს.

— **თქვენს პირად ცხოვრებაში რა შეცვალა?**

— გავიცანი მერაბი, რომელთანაც დავემეგობრდი. ერთ მშვენიერ დღეს კი სიყვარული ამისხსნა. მართალი გითხრათ, არ ველოდი. თავიდან გაცოცხლებული დავრჩი, მას მხოლოდ მეგობრად აღვიქვამდი, მერე კი თანდათან მეც გამიჩნდა გრძობა. გადავწყვიტეთ, ოჯახი შეგვექმნა. დავქორწინდით და ორი შვილი შეგვეძინა.

— **ახლა ბედნიერად გრძობთ თავს?**

— ვფიქრობ, ბედნიერი ოჯახი გვაქვს. მართალია, მატერიალურად თავზე არ გადაგვდის, მაგრამ რასაც ვშოულობთ, გვეყოფნის. ერთმანეთისადმი გულწრფელი დამოკიდებულება გვაქვს. ჩვენი შვილებიც დადებით ატმოსფეროში იზრდებიან.

— **თქვენმა ყოფილმა ქმარმა, გეგამ, როგორ წაიყვანა თავისი ცხოვრება?**

— არ დაოჯახებულა. იმდენად მოექცა ალკოჰოლის ტყვეობაში, რომ სერიოზული მკურნალობა დასჭირდა. მერე მამამისმა უცხოეთში გააგზავნა, ვიცი, რომ იქ ცხოვრობს. მასთან კონტაქტი არ მაქვს.

— **ბოლოს თუ მაინც გაირკვა, ის სამკაულები ვის მიაპარა, ვინ იყო ნამდვილი ქურდი?**

— მოხდა ის, რასაც ვერასდროს წარმოვიდგენდი. სამკაულები ჩემს მულს გაუტანია სახლიდან. არადა, კარგი გოგო იყო, ყოველთვის პატივს ვცემდი. ეს მისი მხრიდან პროტესტის გამოხატვის თავისებური ფორმა იყო იმ წუთების მიმართ, რაშიც ცხოვრება უნევედა და რისგანაც თავს ვერ დააღწევდა.

— **თითქოს ამართლებო?**

— მის გამართლებას არ ვცდილობ, უბრალოდ მესმის მისი და თანაგრძნობა შემძილა.

— **ქურდობა თქვენ დაგბრალდათ და მულისამგვარ უცნაურ „პროტესტს“ მისი მის ოჯახში შეეწირა. ამხელა პასუხისმგებლობა რის გამო იტყვირთა?**

— შეიძლება ვებრალეობოდი კიდევ იმ ოჯახში და ჩათვალა, რომ ჩემთვის ასე უკეთესი იქნებოდა, არ ვიცი... პრინციპში, ასეც გამოვიდა. მართალია, თავის დროზე ბევრი დარდი და ნერვიულობა გადავიტანე,

მაგრამ სამაგიეროდ ახლა ვარ მშვიდად და მისთვის მადლობის მეტი არაფერი მეტყმის. საერთოდ, ჩემი მული თავისებური, ცოტა უცნაური გოგო იყო.

— **დღის სამკაულები რისთვის სჭირდებათ?**

— მშობლებმა შეყვარებულს არ გააყოფეს და ამის გამო დიდ განცდებში იყო. მერე ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნია. მშობლების ნებას დაჰყვა და უსიყვარულოდ გათხოვდა. როგორც ჩანს, ყოფილ შეყვარებულს მაინც ხვდებოდა. იმ ბიჭს რაღაც გაუჭირდა და ამისათვის ჩემმა მულმა დედამისის სამკაულები გამოიყენა.

— **სიმაართლე როდის გაირკვა?**

— დედამისმა ჩემი დადანიშნულება რომ დაიწყო, თურმე სიმაართლე მაშინვე უთქვამს. დედამთილმა კი ჩემ წინაშე მაინც არ

„ჩამდენჯიმე ნახვამი მოვიდა ჩემთან ჰაჯიების სათხოვნელად, მაგჩამ მამაჩემმა ახ მიიღო, ახ მე მინდოდა მისი ნახვა — ხელმოკლეობა უთავმოყვარეობას ახ ნიშნავს“.

დაიხია უკან, სიტუაცია გამოიყენა და ქურდად შემრაცხა. იმას მაინც ვერ აღიარებდა, რომ ქურდობა მისმა სათაყვანებელმა ქალიშვილმა ჩაიდინა.

— **თქვენ როდის შეიტყვეთ ეს ამბავი?**

— ორიოდე წლის წინ. ჩემი მეზობელი მარო, რომელიც მათ ოჯახში მუშაობდა, შემთხვევით შეესწრო დედა-შვილის კამათს, ერთმანეთს რომ აბრალებდნენ გეგას ბედის გაუკუღმართებას. ჩუმად გამიხსილა და მაფიცა, არ წამოგცდეს, თორემ სამსახურს დაკვარგავ და დავიღუბებო. ადრე რომ გამეგო, არ ვიცი, რა დამემართებოდა, მაშინ კი უკვე ყველაფერი გადალახული მქონდა და სიტუაციას გონების თვლით შევხედე. უცნაურია, მაგრამ ჩემი ყოფილი მულის მადლობელიც კი დავრჩი, რომ ასეთი რამ ააგორა და მამამთილ-დედამთილის ტყვეობისგან გამათავისუფლა. დღეს ჩემს ქმარ-შვილთან ერთად თავს ბედნიერად ვგრძნობ.

✓ **ნანა კობახიძე**

- ეს იცოდით?**
- ❖ მძინარე ადამიანის სიმაღლე 1 სანტიმეტრით მეტია.
 - ❖ კალიფორნიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანები, ვინც კვირაში ერთხელ მაინც 5 ცალ ნიგოზს ჭამენ, 7 წლით მეტს ცოცხლობენ, ვიდრე დანარჩენები. სიცოცხლის გახანგრძლივების საიდუმლო ასეთია: კაკალი შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც გულ-სისხლძარღვებზე დადებით გავლენას ახდენს და ზედმეტი ქოლესტერინის დამლუპველი გავლენისგან იცავს.
 - ❖ ცოცხალი არსებებიდან მხოლოდ ადამიანსა და კოალას აქვთ თითების უნიკალური ანაბეჭდები. ამასთანავე, კოალას ანაბეჭდების ადამიანისგან გამოორჩევა მხოლოდ პროფესიონალ კრიმინა-

- ლებს შეუძლიათ.
- ❖ კოალას სუსტი გული აქვს და ხშირად იღუპება ინფარქტით.
 - ❖ ფრანგ სპეციალისტებს თუ დავუჯერებთ, დილაადრიან ამდგარ ადამიანს ვაშლი უფრო აფხიზლებს, ვიდრე ყავა.
 - ❖ 1991 წელს ამერიკელმა მეცნიერებმა რიჩარდ აქსელმა და ლონდა ბაკმა ყნოსვის რეცეპტორებზე პასუხისმგებელი გენები აღმოაჩინეს, რისთვისაც მათ ნობელის პრემია მიენიჭათ.
 - ❖ ჩერჩილი იტალიას ევროპის დაუცველ მუცელს ეძახდა.
 - ❖ რენუარმა 60 წლის განმავლობაში 6 ათასამდე ტილო შექმნა.
 - ❖ სახელმწიფო ბურკინა-ფასოს 1980 წლის 4 აგვისტომდე ზემო ვოლტა ერქვა.

რძის ყოხმეცხიყა: როგორ მოვამზადოთ სახის ნიღანი და „კლეოპატრას ანაზანა“



ჯგუფის ვიტამინებს, ბიოტინს, ფოლისა და პანტოტენოვს მჟავებს, ქოლინს. მასში ასევე წარმოდგენილია კალციუმი, ფოსფორი, მაგნიუმი, რკინა, ნატრიუმი და სხვა. რძის შემადგენლობაში აგრეთვე შედის ისეთი მნიშვნელოვანი მიკროელემენტები, როგორიცაა კობალტი, თუთია, სპილენძი, მანგანუმი, გოგირდი, ფთორი, ვერცხლი, ვანადიუმი.



რძე პრაქტიკულად ნებისმიერი ტიპის კანისთვის გამოდგება, ზემოგრძობიარესთვისაც კი. ის კანის ფერს აუმჯობესებს, დატენიანებასა და კანის სიგლუვის აღდგენას ეხმარება, ნაოჭებს და პიგმენტურ ლაქებს აქრობს. ასევე ანთების საწინააღმდეგო მოქმედება გააჩნია.

კლეოპატრას ანაზანა

აბაზანაში 2 ლიტრი რძე, 2-3 სუფრის კოვზი თაფლი და 1-2 სუფრის კოვზი ნუშის ზეთი დაუმატეთ. აბაზანის მიღების ხანგრძლივობა 15-20 წუთია. ტანზე წყალი არ გადაივლოთ, კანი პირსახოცით ოდნავ შეიმშრალეთ. ასეთი აბაზანა განსაკუთრებით სასარგებლოა მშრალი კანისთვის, მოჭიმვის შეგრძობებასა და კანის ქავილს აქრობს.

რძისა და ქელაგინის ნიღანი

2-3 სუფრის კოვზი ქელაგინი 1/3 ჭიქა რძეში გახსენით, 40 წუთი გასაფუებლად დადგით, შემდეგ წყლის აბაზანაზე გააცხელეთ ქელაგინის სრულ გახსნამდე. როდესაც შემადგენლობა გაგრილდება, ბაბის

დისკით ან თითებით სახეზე დაიდეთ. 20 წუთი დაიტოვეთ, ეცადეთ, სახე უმოძრაოდ გქონდეთ. ნიღაბი თბილი წყლით ჩამოიბანეთ და დამატენიანებელი კრემი წაისვით.

რძისა და ქოქოსის ნიღანი

2-3 სუფრის კოვზ ქოქოსის ნათალს 2 სუფრის კოვზი რძე დაასხით, 1 ჩაის კოვზი თაფლი და 2 სუფრის კოვზი სახამებელი დაუმატეთ. სახეზე 20 წუთი დაიდეთ, შემდეგ გრილი წყლით მოიბანეთ.

კოსმეტიკური მიუსლი

1 სუფრის კოვზ გახეხილ ნუშს 2-3 სუფრის კოვზი რძე დაასხით, 2 სუფრის კოვზი შვრის დაფქული ფანტელი და 2-3 სუფრის კოვზი დასრული მარწყვის ფაფა (გამოდგება გაყინული) დაუმატეთ. ნიღაბი თითების ბალიშებით წაისვით, ამავდროულად კანს მსუბუქი მასაჟი გაუკეთეთ. 15-20 წუთის შემდეგ ნიღაბი სახიდან ჩამოიბანეთ და დამატენიანებელი კრემი წაისვით.

შენიშვნა: კოსმეტიკური მიზნით უცხიმო რძე არ გამოიყენება. მასში არ არის კანისთვის მეტად მნიშვნელოვანი ვიტამინები — A, E და K, რომლებიც სწორედ რძის ცხიმშია გახსნილი.

უფრო სასარგებლოა გამოიყენოთ მოუხდელი რძე, რომელმაც მინიმალური სითბური დამუშავება განიცადა — არაპასტერიზებული ან პასტერიზებული. მასში ვიტამინების მაქსიმალური რაოდენობაა დაცული.

თაყვანისმცემელი სხვისი თვარით შეაფასეთ

შეყარებული ხართ და მის დანახვან გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობს, მთელ სხეულში სასიამოვნო ჟრუნტელი გივლით? ნუ აჩქარდებით. ვარდისფერი სათვარე მოიხსენით და თაყვანისმცემელს გვერდიდან შეხედეთ, მისი ქცევები შეაფასეთ. დააკვირდით, რა შთაბეჭდილებას ტოვებს. უბრალოდ, ის თვისი ადამიანური თვისებებით მოგწონს? მაშინ საყოყმანო არაფერია, ნუ დაკარგავთ!

✓ მოაწხადა ანა გავთშიძე

მდე არამხოლოდ ძვირფასი პროდუქტია ჩვენი ორგანიზმისთვის, ასევე გაახალგაზრდავების უნივერსალური საშუალებაა, რომელიც პრაქტიკულად ნებისმიერი სახის კანს მიესადაგება.

ეს კოსმეტიკური საშუალება დროში შემონახულია, ვინაიდან ჯერ კიდევ ძველი ცივილიზაციისთვის იყო ცნობილი. ეგვიპტელი ქურუმები, ბერძენი პეტერები, რომაელი მატრონები — ყველანი კანის დასარბილებლად და დასატენიანებლად რძეს იყენებდნენ, ხოლო ყველაზე მდიდრები ძროხისა და ფურკამეჩის რძის აბაზანებს დღეში რამდენჯერმე იღებდნენ.

რძის აბაზანა ცნობილია „კლეოპატრას აბაზანის“ სახელწოდებით. რძის აბაზანის თვისება — კანის დარბილება და მისი ზედაპირიდან მკვდარი ნაწილაკების მოცილება, სწორედ კლეოპატრამ შენიშნა. ასეთი აბაზანა შეიძლება მსოფლიოში პილინგის ერთ-ერთ უძველეს სახეობად ჩაითვალოს.

თვითონ ბუნებამ რძეს ყველაზე ძვირფასი მკვებავი და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები უბოძა. ეს პროტეინები, კანისთვის აუცილებელ ყველა ამინომჟავას, მათ რიცხვში 8 შეუცვლელს, შეიცავს. პირველ რიგში, რძეში წარმოდგენილია ცილები: კაზეინის (76-88%), ალბუმინის (12-15%) და გლობულინის (0,1%). რძე შეიცავს ლინოლენისა და ლინოლენოვს ცხიმოვანებს (კანის დამცავი ბარიერის აღდგენას ხელს უწყობენ), ასევე კაროტინს, A, C, E, K, PP და B

დიეტა ქალის ჯანმრთელობისთვის

ქალი ჯანმრთელი და ლამაზი რომ იყოს, მის მენიუში აუცილებლად უნდა შედიოდეს განსაკუთრებული ვიტამინებითა და მიკროელემენტებით მდიდარი პროდუქტები.

ვიტამინი A კანისა და ლორწოვანი გარსების მდგომარეობას აუმჯობესებს, ანტიმჟანგავერი თვისებები გააჩნია, ე.ი. დაბერების პროცესს აფერხებს.

რკინა საჭიროა სისხლისთვის. „ნითელი დღეების“ შემდეგ ქალებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ რკინის შემცველი პროდუქტები, ხოლო ამ ელემენტის შეთვისების გასაუმჯობესებლად, საჭიროა რაციონის C ვიტამინის შემცველი პროდუქტებით გამდიდრება.

ვიტამინი E, რომელსაც ასევე სილამაზის ვიტამინს უწოდებენ, მკვანე თავისუფალ რადიკალებს ებრძვის, დაბერების პროცესს ანელებს, კანისა და თმის ნორმალურ მდგომარეობაზე ზრუნავს. აგრეთვე სისხლის ნითელი სხეულების წარმოქმნაში მონაწილეობს და უჯრედების კედლებს ამაგრებს.

ფოლიუმის მჟავა ორგანიზმის ახალი უჯრედების წარმოქმნის პროცესშია ჩართული. ამიტომ მეტად აუცილებელია ქალის ფიზიოლოგიური ციკლის რეგულაციისთვის. დეპრესიის (მათ შორის მშობიარობის შემდგომ და კლიმაქსის პერიოდთან დაკავშირებული) თავიდან აცილებას ეხმარება.

კალციუმი და ვიტამინი D ძვლებსა და სახსრებს ამაგრებს. მეტად საჭიროა მენოპაუზის პერიოდში. მრავალი დაავადებისგან, მათ შორის მკერდის, საშვილოსნოსა და ნაწლავების კიბოსგან იცავს. კალციუმი ასევე აუცილებელია ჰორმონული სისტემის ნორმალური მუშაობისთვის.

ყველა ამ ვიტამინსა და სხვა სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს ქორფა ნატურალური პროდუქტი. ქალებისთვის მეტად სასარგებლოა ციტრუსები, ვაშლი, გარგარი, ნესვი. ბოსტნეულიდან — სტაფილო, გოგრა, პომიდორი, ბროკოლი. ასევე რეკომენდებულია მცენარეული ზეთი, თხილეული, კენკრა, გაღვივებული ხორბალი, ზღვის თევზი, მჭლე ხორცი.



რა პაჭამოთ ალერგიულ ბავშვებს

მ ფიციალური სტატისტიკით, მსოფლიოში ყოველ მესამე ადამიანს გარკვეული სახის ალერგია აწუხებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით პირველ ადგილზეა კვებითი ალერგია. კვებითი ალერგია შესაძლოა განვითარდეს ნებისმიერ ასაკში, როგორც სიცოცხლის პირველ წელიწადს, ისე მოზარდობის პერიოდში.



კვებითი ალერგიის უამრავი მიზეზი არსებობს, მაგრამ აუცილებლად უნდა გამოვყოთ ის ფაქტორები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია.

1. გენეტიკური წინასწარგანწყობა — თუ დედიკო ან მამიკო ალერგიულია, დიდი ალბათობაა, რომ მათ შვილს გენეტიკურად გადაეცეს ეს დაავადება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად განუვითარდება.

2. არახელსაყრელი შინაგანი ფაქტორები — პირველ რიგში, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს უწვევლი დენის ფაქტორი. მათი შვილები უფრო ხშირად ხვდებიან რისკფაქტორში და სხვადასხვა ალერგიის განვითარების რისკი მათთვის მაღალია (და არამარტო ალერგიის, არამედ სხვა სერიოზული დაავადებებისაც).

3. დედის ქრონიკული დაავადებები — თუ დედიკოს ქრონიკული დაავადება აწუხებს, ან ორსულობის დროს რაიმე ინფექცია გადაიტანა, დიდი ალბათობაა, მის შვილს ალერგია აღენიშნოდეს.

4. მომწელებელი სისტემის პრობლემები — თუ პატარას ორგანიზმს აკლია ფერმენტები, აღენიშნება დისბაქტერიოზი, გადატანილი აქვს მწვავე რესპირატორული, ვირუსული და კუჭ-ნაწლავის ინფექციები, კვებითი ალერგიის არსებობა გასაკვირი ნამდვილად არ უნდა იყოს.

5. არარაციონალური კვება — ნებისმიერმა მეძუძურმა დედამ მკაცრად უნდა აკონტროლოს თავისი რაციონი. თუ დედის ორგანიზმი ცილოვანი საკვების დეფიციტს განიცდის, სამაგიეროდ ჭარბობს შოკოლადი, ყავა, თაფლი, ხიზილალა, თხილეული, რომლებიც ალერგიულ პროდუქტებად ითვლება, ბუნებრივია, რძის საშუალებით ალერგენები პატარას ორგანიზმშიც მოხვდება და ბავშვს მათზე აუცილებლად ექნება რეაქცია.

6. ნაადრევად მიცემული დამატებითი საკვები — კვებითი ალერგიის განვითარების მიზეზი შესაძლოა გახდეს პატარას რაციონში ისეთი პროდუქტების ადრინადად ჩართვა, როგორცაა კვერცხი, ხიზილალა, მარწყვი, ციტრუსები.

კვებითი ალერგია სხვადასხვაგვარად გამოვლინდება. ხშირ შემთხვევაში თავს იჩენს ატოპური დერმატიტი (კანის ალერგიული დაზიანება), არცთუ იშვიათად აღინიშნება მომწელებელი სისტემის დარღვევები — ფაღარათი, ლებინება, მუცლის შეშერილობა და სხვა.

შესაძლოა თავი იჩინოს სასუნთქი

ხოგოხ დავიცვათ შვილი კვებითი ალერგიისგან

გზების დაავადებებმა — ბრონქული ასთმა, ალერგიული სურდო (რინიტი). იშვიათად, მაგრამ აღინიშნება ალერგიული კონიუნქტივიტი, ოტიტი და შაკიცი. კვებითი ალერგიის ყველაზე სახიფათო გამოვლინებაა ანაფილაქსიური შოკი, რომლის დროსაც ხდება სასუნთქი გზების შეშუპება და ბავშვი ვეღარ სუნთქავს.

როგორც კვებითი ალერგიული პატარები

რაც უფრო ადრე მოხდება ალერგიის დიაგნოსტიკა და შესაბამისი ზომების მიღება, მით უკეთესი. სპეციალისტი პატარას შესაბამის რაციონს შეუდგენს, დედიკოს ასწავლის, როგორ მოუმზადოს ესა თუ ის კერძი სწორად, როგორ დაიცვას დიეტა.

ბევრ შემთხვევაში აინტერესებს, რას ნიშნავს კლინიკური გამოვლენების პროცესი. ეს არის მდგომარეობა, როცა ბავშვი თავს ბევრად კარგად გრძნობს, არ აქვს დაავადებისათვის დამახასიათებელი ნივთიერება და სიმპტომები, მისი ზრდა-განვითარება ნორმალურად მიმდინარეობს და პრაქტიკულად ჯანმრთელია. ამ შემთხვევაშიც კვებითი შეზღუდვები აუცილებელია, რადგან მცირე გადაცდომა და ალერგია კვლავ იჩენს თავს.

როგორ მოვიქცეთ, თუ პატარა ძუძუთი კვებაზეა? შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში გაუმართლა ჩვილსაც და დედასაც. თუ დედა არ მიიღებს ალერგენებს, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ, არც პრობლემა იარსებებს.

პედიატრები ყველა დედას ურჩევენ, ხანგრძლივად კვებონ შვილები თავიანთი რძით და ეს სიამოვნება არავითარ შემთხვევაში მოაკლონ! დედის რძე უნიკალურია ბავშვისთვის, შეიცავს მინერალებს, ვიტამინებს და ყველა იმ საჭირო ნივთიერებებს, რომლებიც აუცილებელია ბავშვის ჯანმრთელობისთვის.

ჰიპოალერგიული დიეტა მეძუძუი დედებისათვის

მეძუძურებისთვის დასაშვებია მხოლოდ რძეზეა პროდუქტები — არაყანი, მანონი, ყველის გარკვეული სახეობები. თუ პატარას ძროხის რძეზე აქვს ალერგია, დედიკომ ის თავისი რაციონიდან უნდა ამოიღოს. მეძუძური დედებისთვის აკრძალული საკვების სიაში შედის ხახვი, ნიორი, თაღამი, მძაფრი გემოსა და სუნის მქონე პროდუქტები. ბურღულეული, ტკბილეული, მკარონი — შეზღუდული რაოდენობით, კვირაში 1-2-ჯერაა დასაშვები. რაც შეეხება ხორბლის ფქვილით გამოცხვარ პურს, დღეში 250 გრამზე მეტის ჭამა სასურველი არ არის.

შეხუდი კვება

შერეული კვების მიზანია ძუძუთი კვების გახანგრძლივება. თუ ჩვილისთვის საკმარისი არაა დედის რძე, უნდა მიმართოთ პედიატრს, რომელიც ინდივიდუალურად შეურჩევს ბავშვს დამატებით საკვებს. როგორც წესი, ინიშნება სპეციალური ჰიპოალერგიული საჭმელი. არსებობს სამი სახის ხელოვნური მინარევი: სამკურნალო თვისებების მქონე, სამკურნალო-პროფილაქტიკური და პროფილაქტიკური მინარევები. მათი მონელება და გადაამუშავება პატარებისათვის ბევრად მარტივია და კვებით ალერგიასთან დაკავშირებული პრობლემები მინიმუმამდე მცირდება.

შედარებით ნაკლებალერგიულ პროდუქტებად მიჩნეულია კურდღლის, ინდაურის, ცხვრის და ძროხის ხორცი. რაც შეეხება ბოსტნეულს — ყვავილოვანი კომბოსტო, ყაბაყი, ქინძი, ოხრახუში, ბროკოლი. ხილიდან და კენკროვანებიდან უპირატესობა ენიჭება მწვანე ვაშლსა და მაცყალს. შედარებით მაღალი ალერგიულობით გამოჩნეულია ღორის ხორცი, წინიბურა, კარტოფილი, ჭარხალი, ალუბალი, ასკილი, პომიდორი, ბუღგარული წინაპა, კვერცხი, ძროხის რძე და მათთან სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო.

ასაკის მატებასთან ერთად პატარების მომწელებელი სისტემა ვითარდება და იხვეწება. 3-4 წლისათვის საკვებისმიერი ალერგია ნელ-ნელა მცირდება და შესაძლოა სრულიადაც გაქრეს.

სხილის ჰაერზე ვირუსებს ამარცხებს

ღ ანიაში განსაკუთრებით პოპულარულია ასკილი გაციებისა და ვირუსული დაავადებების დროს. დანიელები ასკილისგან პიურეს ამზადებენ. ამ უნიკალური სამკურნალო მცენარის ეფექტურობა დაკავშირებულია მასში არსებული დიდი რაოდენობით ცე ვიტამინთან.

ასკილის პიურეს მოსამზადებლად აიღეთ 200 გ ასკილი, დაასხით ადუღებული წყალი და ნამოადუღეთ მანამ, სანამ კანი კარგად არ დაურბილდება. შემდეგ მიღებული მასა ხორცსაკვში გაატარეთ, დაუმატეთ ცოტა შაქარი (დაახლოებით კილოგრამ ასკილზე 150-200 გ), კარგად აურიეთ და მიიყვანეთ ადუღებამდე. დღეში 2-3 ჩაის კოვზი ასკილის პიურეს მიღება ავადმყოფობის პერიოდში ძალიან ეფექტურია.



✓ მოამზადე ნათი ტოტიკაშვილმა

გიორგი მარშანიას ქაღაბი ახეხე

„ემი ჯაინჯუხი ცოცხალი ხომ იყოს, ცოცად მოვიყვანდი“



ცოცად დაბნეული და გულახდილი — ერთი შეხედვით, ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს „კომედი შოუს“ წევრი, 24 წლის იუმორისტი გიორგი მარშანია. ეს დაბნეულობა, ცოცა არ იყოს, ხელსაც კი უშლის მშვენიერ სქესთან ურთიერთობაში და ამ დროს რჩევებით ისევ მშვენიერი სქესი ეხმარება, მეგობარი გოგონების სახით. რამდენჯერმე უყვარდა, ბოლო სიყვარულთან განშორებას კი განიცდის. მოსწონს განათლებული, გემოვნებიანი და უღალთმიანი გოგონები. მუსიკა კი მასზე ჯადოსნურად მოქმედებს, ამიტომ ახალგაზრდა იუმორისტის მოხიბლვის ყველაზე მეტი შანსი მომღერლებს აქვთ. და კიდევ ერთი, გიორგის სისუსტე მაინცდამაინც გრძელი ჩითის კაბაა, სწორედ ასე ჩაცმული ქალია მისთვის მიმზიდველი.

— **გიორგი, ცოცა არ იყოს, დაბნეული შეყვებით, საქმეს რომ მოგწყვეტო, იმითი ხომ არა?**

— ალბათ ვარ დაბნეული ან დაძაბული. მაგალითად, ჩემს შეყვარებულთან ყოველ შეხვედრაზე ვიძაბებოდი ან ვიბნეოდი, არა, ალბათ უფრო ვიძაბებოდი... აი, ახლაც დავიბენი...

— **რამ დაგაბნაო?**

— არ ვიცი...

— **შეყვარებული ყოფილხარო, გვაძაბოთ ამის შესახებ.**

— არა, ამ ეტაპზე არავინ მიყვარს. სერიოზული ურთიერთობა არავისთან მაქვს და არც ვაპირებ. ჩემს ცხოვრებაში არსებობდა ადამიანი, რომელსაც ერთი წლის წინ დავშორდი. დღეს უკვე ვფიქრობ, რომ ის გოგო სერიოზულად მომწონდა და მიყვარდა.

— **რატიმ დაძაბურდა თქვენს ურთიერთობა?**

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მიჭირს, რადგან შეიძლება მასზე ისე ვფიქრობ... მაშინ ვერ ვხვდებოდი, რომ მართლა მიყ-

ვარდა. ძნელია ამის ახსნა... ალბათ რაღაცაზე ვერ შევთანხმდით, ან მე არ მოვიქეცი სათანადოდ, ან ის გოგო ბოლომდე ვერ გამოვიცანი და ამიტომაც დღეს ერთად აღარ ვართ. შეიძლება ქალის გამოცნობა არც გამომდის...

— **თუ გაცყარო, დააბრუნებო, ამის შანსი არ გაქვით?**

— არ ვიცი... ასეთი რომანტიკული არ ვარ და, სიმართლე გითხრა, ამაზე არც მიფიქრია.

— **ურთიერთობაში შეცვლილი მსილიად თქვენ დაუშაო?**

— ალბათ მისი ბრალიც იყო, მაგრამ საკუთარ თავსაც ვაბრალებ. გოგოსა და ბიჭს შორის გაუგებრობა ისეთ მარტივ რაღაცაზე შეიძლება მოხდეს, რაც სხვისთვის რთული გასაგებია. მიკვირს, როცა სხვისი ცხოვრება აინტერესებთ და რჩევებს აძლევთ. ეს ჩემთვის გაუგებარია. როგორ შეიძლება ვინმე მისვდეს, იმ გოგოში რა მომწონდა და რა — არა. ჩვენი დაშორების კონკრეტული მიზეზი რომ ვთქვა, სხვისთვის გაუგებარაც იქნება და დიდი სისულელეც. როცა რაღაც კარგი სრულდება, ბუნებრივია, თავს ცუდად იგრძნობ. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ დეპრესიაში ვიყავი. გოგოს მიმართ გრძნობა სულ ორჯერ ან სამჯერ მქონდა, მაგრამ... ჯერ 24 წლის ვარ და 84 წლის რომ ვიქნები, ალბათ მერე მივხვდები, ვინ მიყვარდა ნამდვილი სიყვარულით და ვინ — არა.

— **სიყვარულის ამბებში რჩევას კისნე გაძლევთ?**

— კი, ძალიან ხშირად. რჩევებს ძირითადად მეგობარ გოგონებს ვეკითხები, მათთან ვმძაკვცობ. გოგოები რაღაც საკითხებში კარგ რჩევებს მაძლევენ. ძალი-

„ხოცა გოგო მუხიკაღეხი ნიჭით ახის დაჯილოუხი, ჩემზე ეს სხვანაირად მოქმედებს. ყველა გოგო მიყვარს, ვინც მღეხის“.

ან ჭკვიანი მეგობრები მყავს. მათთან საუბარი ნებისმიერ თემაზე შემიძლია.

— **გამოიხს, რომ ჭკვიანი ქალები მიგწონს.**

— არ არის აუცილებელი, ქალი ზედმეტად განათლებული, ინტელექტუალი იყოს, მაგრამ ისეთიც არ უნდა იყოს, როგორსაც ერთხელ შევხვდი. დიდი ბრიტანეთის დროშის სამაჯური მეკეთა. გოგომ, რომელსაც მოვწონდი, სამაჯურს დახედდა და გაუხარდა, უი, შენ „ბარსელონას“ გულშემოტიკივარი ყოფილხარო. ბრიტანეთის დროშა ვერ იცნო! ზოგადი განათლება აუცილებელია. როცა გოგოს რაღაც რჩევას ვეკითხები, იმას ვფიქრობ, განათლებულია თუ არა.

— **გოგონების რჩევები ასე ძალიან რატიმ გაინტერესებ?**

— მათი პოზიცია მაინტერესებს. გოგოები ხომ ყველაფერს სხვანაირად ხედავთ, ჩემთვის კი განსხვავებული შეხედულებები საინტერესოა.

— **მაინც რა თემაზე ინტერესდებით?**

— ნებისმიერი თემით. სამყაროსა და მოვლენებს მამრობითი სქესი სხვანაირად აღიქვამს და

„ჩემს ცხოვრებაში ახლებობა ადამიანი, ხომელსაც ერთი წლის წინ დავშორდი. დღეს უკვე ვფიქრობ, რომ ის გოგო სხიოხუდად მომწონდა და მიყვარდა“.

მდებრობითი — სხვანაირად. ამაში განსაკუთრებული არაფერია. უბრალოდ მამაკაცს ქალის პოზიცია ყოველთვის აინტერესებს.

— **ქალის იდეალი თუ გაცხადებ?**

— იდეალს ვერ დავარქმევ, მაგრამ ემი უაინაპუსზე ვგიჟდები! ფიზიკურად ლამაზი მართლა არ იყო. სცენაზე მთვრალი და ცინგილიანი იდეა, ვერ დადიოდა, მაგრამ ჩემთვის მაინც მაგარ ქალად რჩება. ცოცხალი რომ იყოს, ცოლად მოვიყვანდი. იმიტომ კი არ მომწონს, რომ კარგად ეცხა, რაღაც აქვს ისეთი, რაც მიზიდავს. ქალის იდეალი — არა, მაგრამ ჩემთვის ერთ-ერთი სასურველი ქალია. არ ვარ ის ტიპი, ვისაც ვარსკვლავები უყვარდებოდა, მაგრამ ემი უაინაპუსი ახლაც მაგარად „მევახება!“.

— **როგორც ჩანს, მუსიკა თქვენს სისუსტეა.**

— კი, როცა გოგო მუსიკალური ნიჭით არის დაჯილოებული, ჩემზე ეს სხვანაირად მოქმე-



გიორგი მარშანია

დებს. ყველა გოგო მიყვარს, ვინც მღერის, ალბათ იმიტომ, რომ მუსიკა ძალიან მიყვარს. იუმორისტი ქალი ჩემზე არც ცუდად მოქმედებს და არც კარგად, სიმღერის ნიჭს კი ჯადოსნური ძალა აქვს.

— **მუსიკალური პროექტებიდან რჩეული გოგო თუ გაცხადებ?**

— ტელევიზორს აქტიურად არ ვუყურებ, მაგრამ პროექტ „ახალ ხმას“ ასე თუ ისე ვადევნებდი თვალყურს. ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. ეკო ამყოლაძე და ეკა დოლიძეზე არაფერს ვამბობ, ისინი ჩემი მეგობრები არიან და ამ პროექტამდეც მომწონდნენ.

— **ქალის ჩაცმულობას აქვეყნო ყურადღებას?**

— ზომიერად. მაინც ვფიქრობ, რომ გოგონებს კაბა ძალიან უხდებათ. ყვავილებიანი ჩითის გრძელი ბოლოკაბა გოგოზე ძალიან მომწონს. მაღალქუსლიან ფენსაცმელებზე შემიძღარი, თონინასავით გამოპრანჭული ქალები არ მიყვარს. მეგობარი გოგონები მეუბნებიან, რომ მაღალქუსლებზე ფეხი უფრო ლამაზი ჩანს, მაგრამ ჩაცმულობაში უპირატესობას მაინც თავისუფალ სტილს, კედებსა და ჩითის კაბებს ვანიჭებ. ვხვდები, რომ ასეთ დროს უფრო თავისუფლად მოძრაობენ.

— **როგორ ფიქრობთ, შინაგანად რამდენად თავისუფლებია არიან ქართველი გოგონები?**

— ვფიქრობ, რომ დაკომპლექსებულები არიან. საკუთარ თავს ნებისმიერ საკითხში და განსაკუთრებით ბიჭთან მიმართებაში ბოჭავენ. ვითომ თავისუფლები რომ არიან, ასეთიც ბევრი მინახავს, მაგრამ ეს გამალიზიანებულიცაა. როგორც გოგონები ამბობენ, ამაში ქართველი ბიჭებიც არიან დამნაშავე და ალბათ მართალიცაა. ქალს, რომელიც ზედმეტად წესიერის როლს თამაშობს, ვერ ვიტან! ასეთთან დამეგობრებაც კი მიჭირს. ხელოვნურობა ყველაფერში მაღიზიანებს. ჩვენი მენტალიტეტი გოგოს ბევრ რამეში ზღუდავს.

— **კანკრეტული მაგალითები შეგიძლიათ გვითხრათ?**

— მაგალითად, როცა გოგოს მოკლე კაბის ჩაცმა ერიდება, ეს მისი პრობლემაა არის და იმ მეზობლისაც, ვინც მას თვალს გააყოლებს და გაჭორავს. ასეთ დროს ქალს ვურჩევ, რომ ის მეზობელი „დაიკიდოს“ და რაც უნდა, ის ჩაიცვას.

— **როგორი უნდა იყოს გოგო ბიჭთან ურთიერთობაში?**

— აქაც ზომიერებაა საჭირო. კარგია, როცა მამაკაცი ქალისგან სიტბოს გრძნობს, მაგრამ ზედმეტი აქტიურობა შემანუხებელია, ამ დროს ქალის მიმართ ინტერესი გეკარგება. როცა ველარ ხვდე-

ბა, მამაკაცს თავი როგორ მოაწონოს და ათასგვარ სისულელეს სჩადის, ეს უკვე აღარ არის ეფექტური.

— თქვენ როგორ ცდილობთ ქალისთვის თავის მიწისუნებას? რა „ეფექტებს“ იყენებთ?

— გოგოსაც გააჩნია. ემი უაინჰაუსთან სხვანაირად მოვიქცეოდი და ჩითისკაბიან გოგოსთან — სხვანაირად. როცა გოგო მომეწონება, ვცდილობ, ისე არ მოვიქცე, თითქოს თავს ვანონებ. იმას არ ვამბობ, რომ ქალი კაცისგან სიმპათიას ვერ უნდა მიმხვდეს. გოგო თუ მომეწონა, შეიძლება პირველივე დღეს ვუთხრა ან დაუუმეგობრდე. ერთმანეთის რომ გვესმის, ერთ რაღაცაზე ვერთობით და ერთი და იგივე რაღაც მოგვწონს, ეს უკვე მეგობრობაა, რაც თავისუფლად შეიძლება სიყვარულშიც გადაინზარდოს.

— ეკრანზე გამოჩენით აღბობ თავყანისმცემელი გოგონებზე გააჩნით.

— სიტყვა „თავყანისმცემელი“ ცოტა ხმაბლალა ნათქვამია, თუმცა პირობითად შეგვიძლია ასეც მოვიხსენიოთ. ვერ ვიტყვი, რომ თავყანისმცემელთა არმია მყავს. უბრალოდ,

„ყვავილებიანი ჩითის გიჟი ბოლკობა გოგონე ძალიან მომწონს“.

ბუნებრივია, რაც ეკრანზე გამოჩნდით, მას შემდეგ რამდენიმე გოგო აღმოჩნდა ისეთი, ვისაც მოვეწონე. ზოგი მათგანი გავიცანი კიდეც, თუმცა არც ერთი ურთიერთობა ისე არ წარიმართა, როგორც მათ წარმოედგინათ. ძალიან ახლოს არც ერთთან ვყოფილვარ. ისიც უნდა გითხრა, რომ გოგონებისგან ყურადღება ძალიან სასიამოვნოა.

— როგორი გარეგნობის უნდა იყოს თქვენს მოსაწონი გოგო?

— ფიზიკური მონაცემების განსაკუთრებული კრიტერიუმები არ გამაჩნია, თუმცა ამ ბოლო დროს ჩემს ყურადღებას ჟღალთმიანი გოგონები იქცევენ.

— გყვარებით უღალთმიანი ქალი?

— სიყვარულით — არა, მაგრამ თეატრალურ უნივერსიტეტში რომ ვსწავლობდი, იქ ერთი უღალთმიანი გოგო სწავლობდა, ვგიჟდებოდი, ისე მომწონდა. მერე თმა სხვა ფერზე გადაიღება და მივხვდი, რომ გოგო კი არა, მისი თმა მომწონდა... გარეგნობაზე არანაყოფიერ ვნელოვანია მისი ქცევები და მანერები.

— კარგი მანერა, ქცევა რას ნიშნავს თქვენთვის?

— კარგი ტიპი უნდა იყოს. როცა გოგო გემოვნებიანია, კარგ მუსიკას უსმენს, ლამაზად ჩაცმა შეუძლია, კარგი ფილმები აქვს ნანახი, წინგები აქვს წაკითხული, ეს ყველაფერი ქცევებითაც გამოიხატება. რაღაცნაირად ვგვებობ ხოლმე, რომ ის „ის“ არის, ვინც მე უნდა მომეწონოს.

— აღბობ იუმორის გრძობაც მნიშვნელოვანია.

— იუმორის გრძობა გოგოსთვის კი არა, ზოგადად ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესია. ძნელია, როცა კაცს იუმორის გრძობა არ აქვს.

— იუმორისტ გოგოს ცოლად მიაყვანდით?

— რატომაც არა?! ისე, არ აქვს მნიშვნელობა, იუმორისტი იქნება თუ სხვა პროფესიის.

— განსაკუთრებული რა ჩავიდინათ მსყენიერ სქესისთვის თავის მოსაწონებლად?

— რას არ ვაკეთებდი, მაგრამ ძირითადად სისულელეებს. ერთხელ ისე დავთვარი, იმის მაგივრად, რომ შეყვარებული მე მიმეცილებინა სახლამდე, თვითონ მიმაცილა. ერთ გოგოს პოპკორნი ძალიან უყვარდა. ძალიან დიდი ყუთით მივუტანე. ჭამდა და თან ყუთში ტკბილეულიც ხვდებოდა. ბოლოში კი მისი საყვარელი სუნამოც ნახა. ძალიან კი გაუხარდა, მაგრამ მასთან მაინც არაფერი გამოვივიდა.

✓ სოფიო ბოლორიძე

რიკელმე ფაბროს არგენტინაში მიჭყვება

ბნობილი პარაგვაელი მოდელი ლარისა რიკელმე სამშობლოში უსაზღვროდ უყვართ. უმწვენიერესი ქალბატონი ასუნსიონის კლუბ „სერო პორტენიოს“ მოთამაშე ჟონათან ფაბროს ხვდება, რომელიც არგენტინელია. ახლახან გავრცელებული ინფორმაციით, ჟონათანის შექენა არგენტინის ერთ-ერთ ყველაზე სახელოვან კლუბ „რივერ პლეიტს“ სურს და ლარისასაც ასუნსიონთან გამომშვიდობება და ბუენოს აირესში გადაბარგება მოუწევს.



■ ჟონათანი და ლარისა

როგორც ჩანს, საქმის ასეთი განვითარებისთვის ლარისა მზადაა. შოუ „ოცნების ცეკვებს“ და ეროტიკულ ფოტოსესიებში მონაწილეობის წყალობით, რიკელმე არგენტინაშიც საკმაო პოპულარობით სარგებლობს.

— უკვე მივიღე რამდენიმე შემოთავაზება სამუშაოსთან დაკავშირებით, — განაცხადა რიკელმემ, — მოსწონს თუ არა ჟონათანს „სეროში“ თამაში? მოსწონს. გულშემატკივრებსაც ძალიან უყვართ, მაგრამ მას თავისი ოჯახი ენატრება.

ფახბურთელს ცოლი ეროტიკული ფოტოების გამო უჩივის

სამერიკის ნაციონალური საფეხბურთო ლიგის ვარსკვლავ ჯერემი შოკს იუმორის საკმაოდ უჩვეულო გრძობა ჰქონია — მან ინტერნეტში განათავსა ფოტოსურათები, რომელშიც ყოფილი მეუღლის, დანიელა კორტასარის გაშიშვლებული უკანალი აქვს ჩაბლუჯული. ქალი ასეთი ყურადღებით მაინცდამაინც არ აღფრთოვანებულა, მით უმეტეს, რომ სუპერბოულის ჩემპიონმა წარწერაც დაამატა, შეხედეთ, რა სასაცილო ფოტოსურათიაო. ერთი სიტყვით, ყოფილი მეუღლე ამ ყოველივემ გააცეცხლა და... ჯერემის სასამართლო უწყება მიუვიდა.

სპორტსმენს ყოფილმა ცოლმა ინტიმური ფოტოსურათების უნებართვოდ გამოქვეყნების ბრალდება წაუყენა. ერთსიტყვით, სტატია, რომლითაც სპორტსმენის საქმე განიხილება, დაახლოებით ასე გამოიყურება — „ღირსებისა და პატივის შეურაცხყოფა“. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს დანიელა.

რა თქმა უნდა, ჯერემიმ ფოტოსურათი უკვე მოაშორა ინტერნეტიდან, მაგრამ მისი ყოფილი მეუღლე არ ცხრება და მოითხოვს, სასამართლომ ამ ინციდენტზე ინფორმაციის გავრცელება აკრძალოს. გარდა ამისა, დანიელა ყოფილი ქმრისგან კომპენსაციის სახით 15 ათას დოლარს ითხოვს. როგორც ირკვევა, სწორედ ასეთი ჯარიმა იყო ჩანერილი საქორწინო კონტრაქტში.

ჯერემი და დანიელა 2012 წლის მაისში დაქორწინდნენ, მაგრამ უკვე სექტემბერში გაყრის გადაწყვეტილება მიიღეს.

ავტომობილედ ქალს მეტოქე შეუყვანდა

რვეულებრივ, სპორტში მეტოქეები ერთმანეთს ვერ იტანენ. ერთმანეთს ყველაფერში ეჯიბრებიან — რომელი უფრო ძლიერია, სწრაფია. ავტოსპორტში, მით უმეტეს, მაგრამ ზოგჯერ უნიკალურ შემთხვევებთანაც გვაქვს საქმე. ამერიკელი პილოტი ქალი დანიკა პატრიკი ქმარს, პოლ ჰოსპენტალს, 2012 წელს შეიძენიანი თანაცხოვრების შემდეგ გაშორდა. ამის თაობაზე განცხადება მომხიბვლელმა პილოტმა ფლორიდაში NASCAR Nationwide-ს ბოლო ეტაპის დროს გააკეთა და მას შემდეგ მუდმივად იყო ქორენი იმის თაობაზე, თუ ვის ხვდება და დანიკა. თავად ქალი კი ამბობს, რომ რომანი აქვს ერთ-ერთ მეტოქესთან, 2011-2012 წლების NASCAR Nationwide-ს ჩემპიონ რიკი სტენჰაუსს უმცროსთან.



■ დანიკა პატრიკი

ასე რომ, ამიერიდან ცნობილ მრბოლელს გაუჭირდება გამარჯვების მოპოვება, ვინაიდან მას, როგორც ჯენტლმენს, ქალისთვის გზის დათმობა მოუწევს. დანიკა კი სულაც არ არის ხელნამოსაკრავი პილოტი. მან NASCAR-ის ერთ-ერთ სერიის საერთო ჩათვლაში მე-10 ადგილი დაიკავა და სერიის ყველაზე პოპულარულ მრბოლელადაც აღიარეს. ტრასაზე პატრიკისა და სტენჰაუსს უმცროსის მეტოქეობა 2013 წლის სეზონშიც გაგრძელდება. ისინი NASCAR Sprint Cup-ში გადადიან, ამავე დროს, ირწმუნებიან, რომ ტრასაზე სპორტული მეტოქეობა მათ ურთიერთობას ხელს არ შეუშლის, პირიქით, კიდეც უფრო განამტკიცებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ცხოვრებაში დანიკა არცთუ სამაგალითო მძღოლია. იგი რამდენჯერმე დააჯარიმეს მანქანის გადაჭარბებული სიჩქარით მართვისთვის. შესაძლოა ახალმა ბოიფრენდმა ააღებინოს ხელი მეტისმეტად სწრაფად სიარულზე.

✓ მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქალი, რომელმაც ერთი მიუზიკლი 957-ჯერ ნახა



ვიქტორ პიუგოს 1862 წელს გამოსული რომანის მიხედვით დადგმულ თეატრალურ მუსიკალურ წარმოდგენას „საბრალონი“ გლოჩესტერში მცხოვრებმა სალი ფრისმა პირველად 1988 წელს უყურა და იმდენად მოიხიბლა, რომ იმ დღიდან მოყოლებული, 25 წლის განმავლობაში თითქმის ყველა ჩვენებას ესწრებოდა. საბოლოო ჯამში, მიუზიკლი 957-ჯერ ნახა.

საერთო ჯამში, სალის ბილეთებში დაახლოებით 81 ათასი დოლარი აქვს დახარჯული. სპექტაკლს ძირითადად ლონდონში ესწრებოდა, ნამყოფია ასევე ბრისტოლში, ბირმინგემში, ედინბურგსა და მანჩესტერში გამართულ წარმოდგენებზეც.

მგზავი მატარებელი 7 კილომეტრი სვამს

მოსკოვიდან იაკუტსკისკენ მიმავალ მატარებელში ერთ-ერთი მგზავრი ვაგონებს შორის არსებულ თამბაქოს მოსაწევ ადგილზე იყო გასული, ვაგონში შესასვლელი კარის ნაცვლად გარეთ გამავალი კარი გააღო და გადავარდა.

გადავარდნის შემდეგ მგზავრმა 40 გრადუსიანი ცინვაში მატარებელს 7 კილომეტრი სვამს და საბოლოოდ რკინიგზის სადგურზე აღმოჩნდა, სადაც მას თანამშრომლებმა დახმარება აღმოუჩინეს. უნიკალურმა მგზავრმა ღამე იქვე გაატარა და მეორე დღეს სადგურის პერსონალმა იგი სხვა მატარებლით გაუშვა.

ფერმიდან 15 000 ნიანგი გაიქცა



სამხრეთ აფრიკაში მდებარე ფერმიდან გალიაში მოთავსებული 15 ათასზე მეტი ნიანგი გაიქცა მას შემდეგ, რაც ტერიტორია ძლიერი წვიმის გამო დაიტბორა.

მოსახლეობაში პანიკაა, რადგან ნიანგები უკვე შენიშნეს სკოლებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ბევრი მათგანი დაიჭირეს და ფერმაში დააბრუნეს, მაგრამ უმეტესობას ვერ პოულბენ. საბედნიეროდ, ჯერჯერობით არავინ დაზარალებულა.

ქველმოქმედება ტუალეტის ქალაქად

ოჰაიოს შტატში მცხოვრები 60 წლის რეგინა ჯონსი რამდენიმე წლის წინ ჯანმრთელობის გაუარესების გამო უმუშევარი დარჩა. ამის გამო ის და მისი 81 წლის დედა ადგილობრივი საქველმოქმედო ორგანიზაციიდან ჰუმანიტარული დახმარების სახით ყოველთვიურად 2 ცალ ტუალეტის ქალაქს იღებდნენ, რისთვისაც ძალიან მადლიერები იყვნენ.



გასული წლის ბოლოს რეგინას გაუმართლა და ადგილობრივ ლატარიაში მილიონი დოლარი მოიგო. საურავის გადახდის შემდეგ მას 700 ათასი დოლარი დარჩა და ერთი საბარგო მანქანა ტუალეტის ქალაქის ყიდვა და საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის გადაცემა მოინდომა.

როდესაც ეს ამბავი ტუალეტის ქალაქის მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენლებმა გაიგეს, საქველმოქმედო ორგანიზაციას საჩუქრად 4 ათასი დოლარის ღირებულების 5 ათასი ცალი ტუალეტის ქალაქი გადასცეს. ასე რომ, რეგინას მიერ აღნიშნულ ორგანიზაციაში გადარიცხული ფული ახლა გაჭირვებულთათვის ტანსაცმლისა და საკვების შექმნაზე დაიხარჯება.

ფინელი ფიგურისტი თოვლისგან გააკეთებს



დიდ ბრიტანეთში დიდთოვლობამ ბევრი პრობლემა შექმნა — დაიხურა სკოლები, გასკდა მიწები, გაიჭედა მანქანები და შეიზღუდა მოძრაობა.

მიუხედავად ამისა, უელსის ქალაქ კარდიფის მოსახლეობამ გადამწყვიტა, ცუდი ამინდის გამო გუნება არ გაეფუჭებინა. მათ საერთო ძალისხმევით რამდენიმე მყუდრო ქუჩაზე თითქმის ყველა სახლის წინ თოვლისგან დისნეის პერსონაჟები შექმნეს და პატარა ქუჩები ნამდვილ დისნეილენდად აქციეს. მათ თოვლის კედელიც კი ააშენეს, რათა მოყინულ ქუჩაზე მანქანებისთვის შესასვლელი გადაეკეთათ.

ჩინემა შვილის გადასახჩენად ქიდეხები დაიქიხავა



ჩინელმა კაცმა, სახელად ფენმა, კომპიუტერულ თამაშებში ჩაფლული 23 წლის ვაჟის საშველად მოთამაშე ქილერები დაიქირავა, რათა მათ ონლაინ-თამაშში მისი შვილის პერსონაჟი მოეკლათ.

ფენს მობეზრდა, რომ მისი ახალგაზრდა ვაჟი მთელი დღე კომპიუტერში თამაშობდა, ნაცვლად იმისა, რომ სამსახური ეშოვა და ემუშავა. მამა დარწმუნებული იყო, რომ ქილერები უშველიდნენ, მაგრამ ამაოდ, მისი დახელოვნებული შვილის დამარცხება ვერც მათ შეძლეს.

190 კილოიანი მოდელი



ლოს ანჯელესში მცხოვრებ 39 წლის მიშელ ბრუქსს მსოფლიოში ყველაზე განიერი თეძო და საჯდომი აქვს. ქალი 190 კილოს იწონის და, როგორც თავად აცხადებს, ზედმეტი წონა ხელს არაფერში უშლის. ქმრის, რეჯის განცხადებით, ცოლი ისეთი უყვარს, როგორც არის. მიშელი საკმაოდ თანამედროვე სამოსით ჩნდება საზოგადოებაში, სპეციალურად მისთვის გაკეთებულ საწოლზე სძინავს და სატვირთო მანქანით გადაადგილდება.

მიშელი ახალგაზრდობაში საკმაოდ გამხდარი იყო, მაგრამ თეძოები ყოველთვის განიერი ჰქონდა. ოთხმა მშობიარობამ კი მისი პარამეტრები უფრო გაზარდა.

აღსანიშნავია, რომ მიშელ ბრუქსი საკმაოდ წარმატებული ქალია. ის ჭარბწონოსანი ქალებისთვის განკუთვნილ სამოსს უკეთებს რეკლამას და ერთ გადაღებაში 1000 დოლარს უხდინა.

1 წლის ვუნდარკინდი

შეიძლება ითქვას, რომ ინგლისის ქალაქ როისტონში 1 წლის ვუნდარკინდი ცხოვრობს. შერვინ სარაბი საოცრად სწრაფად შლის და აწყობს საყოფაცხოვრებო ტექნიკას, იცის 195 ქვეყნის მდებარეობა და ერკვევა მსოფლიოს ქვეყნების დროშებში. ბავშვის მშობლების თქმით, ბიჭუნას 10 თვის ასაკში დამოუკიდებლად შეუსწავლია წერა-კითხვა.



ბავშვის დედა, ამანდა სარაბი, 35 წლისაა, მამა, დარუდა სარაბი — 36 წლის. მათ არამარტო ბრიტანეთის, შვეიცარიის სასწავლებლებიც სთავაზობენ შვილის უფასო სწავლა-განათლებას, მაგრამ მშობლები არ აპირებენ, შერვინს ბავშვობის წლები წაართვან.

ქალს მთელი ქონება ავტობუსში დარჩა

ავსტრიელმა პენსიონერმა ქალმა ბანკიდან მთელი თავისი დანაზოგი — 390 ათასი ევრო გაიტანა და... ავტობუსში დარჩა. მხოლოდ ავტობუსიდან ჩასვლის შემდეგ გაახსენდა, რომ ჩანთა ხელში ალარ ეჭირა.

საბედნიეროდ, დანაკარგი მძღოლმა აღმოაჩინა და ფულით სავსე ჩანთა პოლიციაში მიიტანა. ყველაზე საკვირველი კი ის გახლავთ, რომ ქალს მძღოლისათვის მადლობაც არ გადაუხდია.

8 წლის გოგომ დაკარგული ჩანთა პატრონს დაუბრუნა

ქალაქ სკარბოროში მცხოვრები 8 წლის ები ჯეიკობსონმა მალაზიასთან დაგდებული მწვანე ჩანთა იპოვა, რომელშიც 4.200 დოლარი, სამკაულები, ბანკის წიგნაკი და კამბოჯას ვალუტა იდო.

ებიმ მშობლებს სთხოვა, ჩანთის პატრონი ეპოვათ. მშობლებმა კი ბანკს მიმართეს, რომლის წიგნაკიც ჩანთაში იდო და ასე მოძებნეს პატრონი. როგორც აღმოჩნდა, ჩანთა კამბოჯელ ემიგრანტ ქალს დაუკარგავს, რომელსაც ის ფული სამშობლოში დასაბრუნებლად სჭირდებოდა.



ბანკის თანამშრომლებმა გოგონას სიურპრიზი გაუკეთეს — ის და მთელი მისი ოჯახი საყვარელი მომღერლის, ჯასტინ ბიბერის კონცერტზე გაუშვეს ბოსტონში. ყველანიარ ხარჯს ბანკი დაფარავს.

ეს იცოდით?

- ❖ 2012 წლის აგვისტოში ბერლინის ავტობანზე ევროების წვიმა მოვიდა. საქმე ის გახლავთ, რომ ერთ-ერთ მძღოლს გვერდითა სავარძელზე ფულით სავსე ტომარა ედო, რომელიც გაიხსნა და დიდი სიჩქარით მიმავალი ავტომობილიდან 232.000 ევრო „გამოფრინდა“. პოლიცია იძულებული გახდა, მოძრაობა გადაეკეტა.
- ❖ ყოველდღიურად 10.000.000 ჩხირი იგზავნება ჩინეთში, რომლებსაც იქ ჩანგლის ნაცვლად იყენებენ.

რაზე მეტყველებს თქვენი უქეფობა?



1. ხშირად მანუხებს უშილობა და თავის ტკივილი.
 - ა) დიას — 1
 - ბ) არა — 0
2. თითქოს სამყაროს გაუმჭვირვალე მინის მიღმა ვხედავ.
 - ა) დიას — 1
 - ბ) არა — 0
3. მთელი ჩემი ცხოვრება უაზრობად მეჩვენება.
 - ა) დიას — 1
 - ბ) არა — 0
4. ყველაფერი მალიზიანებს.
 - ა) დიას — 1
 - ბ) არა — 0
5. არაფრის მაქნისი ვარ.
 - ა) დიას — 1
 - ბ) არა — 0
6. ჩემი არავის ესმის.
 - ა) დიას — 1
 - ბ) არა — 0
7. სხვებზე უარესი ვარ.
 - ა) დიას — 1
 - ბ) არა — 0
8. მეგობრების გარემოცვაში მონყენილი ვარ, მათ გარეშე კი თავს მარტოდ ვგრძნობ.
 - ა) დიას — 1
 - ბ) არა — 0
9. საშინლად გამოვიყურები.
 - ა) დიას — 1
 - ბ) არა — 0

- ბ) არა — 0
 13. მიჭირს, თავი ვაიძულო, რამე გავაკეთო.
 - ა) დიას — 1
 - ბ) არა — 0
 14. დრო საშინლად იწელება.
 - ა) დიას — 1
 - ბ) არა — 0
- შედეგები:**
- 0-3 ქულა** — უბრალოდ მონყენილი ხართ და ამის გამო ყველაფერს მუქ ფერებში ხედავთ. გაუკეთეთ საკუთარ თავს რაიმე სასიამოვნო და კარგი განწყობაც დაგიბრუნდებათ.
- 4-6 ქულა** — სტრესულ მდგომარეობაში ხართ. მოიწყვეთ პატარა შვებულება ან ყოველდღიურად 1 საათით მაინც ისეირნეთ. ბოლოს და ბოლოს დაკავდით სპორტით.
- 7-10 ქულა** — დეპრესიაში ხართ. სასწრაფო ზომებია მისაღები — აიღეთ შვებულება, შეიცვალეთ გარემო და ხშირად იყავით მეგობრების მხიარულ გარემოცვაში.
- 11-14 ქულა** — ღრმა დეპრესიაში ხართ. დამოუკიდებლად ამ მდგომარეობას ვერ გაუმკლავდებით. დახმარებისთვის ფსიქოლოგს მიმართეთ.

რას ნიშნავს თქვენთვის წერილმანები?

- იაპონელმა მწერალმა აკუტაგავამ თქვა: „ცხოვრება ასანთის კოლოფს ჰგავს. მისი სერიოზულად აღქმა სასაცლოა, არასერიოზულად — სახიფათო“. ცხოვრებაშიც ასეა — თითქოს წერილმანებია, მაგრამ მათ ხან სათუთად უნდა მოეპყრა, ხან კი ყურადღება არ მიაქციო. თქვენზე რა გავლენას ახდენს ასეთი წერილმანები?
1. ვლიზიანდები, როცა სადღაც ვრეკავ და ტელეფონი მუდმივად დაკავებულია.
 - ა) დიას — 1
 - ბ) არა — 0
 - გ) როდის, როგორ — 0,5
 2. ვბრაზობ, როცა საქვსთან ვზივარ და რჩევებს მაძლევენ.
 - ა) დიას — 1
 - ბ) არა — 0
 - გ) როდის, როგორ — 0,5
 3. მალიზიანებს, როცა ვგრძნობ, რომ მითვალთვალებენ.
 - ა) დიას — 1
 - ბ) არა — 0
 - გ) როდის როგორ — 0,5
 4. ვლიზიანდები, როცა ფიქრში მიშლიან ხელს.
 - ა) დიას — 1
 - ბ) არა — 0
 - გ) როდის როგორ — 0,5
 5. საშინლად ვბრაზდები, როცა ერთს ველაპარაკები, მეორე კი საუბარში მეჩრება.
 - ა) დიას — 1
 - ბ) არა — 0
 - გ) როდის როგორ — 0,5
 6. ცუდად ვხდები, როცა სამოსში ფერების ისეთ კომბინაციას ვხედავ, რომლებიც ერთმანეთს არ უხდება.
 - ა) დიას — 1
 - ბ) არა — 0
 - გ) როდის როგორ — 0,5
 7. ვლიზიანდები, როცა ვილაცას გულითადად ვესალმები, ხელს ვართმევ და იმავე რეაქციას ვერ ვგრძნობ.
 - ა) დიას — 1
 - ბ) არა — 0
 - გ) როდის როგორ — 0,5
 8. ვწერვიულობ, როცა ისეთ ადამიანს ველაპარაკები, რომელმაც ყველაფერი ჩემზე უკეთ იცის.
 - ა) დიას — 1
 - ბ) არა — 0
 - გ) როდის როგორ — 0,5

წინა ნომერში გამოქვეყნებული სულოკუს პასუხები იხ. გვ. 78

ს უ ღ ლ კ უ

სულოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

7			2					8
		9		1				6
	2			7	5			
1			4					3
	5		6					7
		4		8	9			
	3	7			1			6
	9		4					5
8				9	2			

№ 2

2			9		5	7		
	6							8
			9				3	1
	8		4		2			9
			6		5			7
	3	7		1		6		
			5	6	4		2	
							7	
								3
1							8	4

სულოკუ შედგება 9-9 კორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ კორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

გ) როდის როგორ — 0,5
შედეგები:

6 ქულაზე მეტი — პატარ-პატარა უსიამოვნებები თქვენთვის ბევრს ნიშნავს. შესაძლოა, ამის მიზეზი ის იყოს, რომ ცდილობთ, მთლიანად აკონტროლოთ სიტუაცია და ღიზიანდებით, როცა ყველაფერი ისე არ ეწყობა, როგორც თქვენ დაგეგმეთ. შეიძლება თქვენში იმდენი უარყოფითი ემოცია და დაძაბულობა დაგროვდა, რომ მხოლოდ საბაბს ეძებთ, ვინმეზე გადმოანთხიოთ.

4-5 ქულა — ხანდახან წერილმანები გაღიზიანებთ, მაგრამ არასოდეს აძლევთ მათ უფლებას, ცხოვრების სისხარული ჩაგიმწაროთ. ეცადეთ, წერილმანებს ყურადღება მიაქციოთ, მაგრამ ისე, რომ რეალობის შეგრძნება არ დაკარგოთ და სხვა დეტალებიც შეამჩნიოთ.

3 ქულაზე ნაკლები — უსიამოვნო წერილმანი შესაძლოა, დიდი უსიამოვნების სიმპტომი იყოს. თუ შეგიძლიათ, ვერ შენიშნოთ აბეზარი ბუზი, მაგრამ დაინახოთ ქუჩაში დაგდებული ბანანის ქერქი, ე.ი. თქვენი ყურადღება ოპტიმალურადაა გადანაწილებული.

თქვენს მანქანაზე „ათანადგომთ“ თუ „გვიღიათ“?



1. ტრასაზე მანქანა გაგიფუჭდათ, რას იზამთ?

ა) საკუთარი ხელით შევაკეთებ.

ბ) ევაკუატორს გამოვიძახებ. გ) საცოდავად დავდგები ტრასაზე და დაველოდები კეთილადამიანს, რომელიც გამიჩერებს მანქანას და დამეხმარება.

2. გაქვთ თავისუფალი ფული, რომელიც მთლიანად ავტომობილს შეგიძლიათ მოახმაროთ, როგორ გაანაწილებთ?

ა) ზოგიერთ ნაწილს გამოვუცვლი — საბურავს, ზეთს...

ბ) გავყიდი ძველ მანქანას, დავამატებ არსებულ ფულს და ახალს ვიყიდი. გ) ავტომობილის დიზაინის გალამაზებაზე დავხარჯავ.

3. თქვენს ავტომობილში მჯდომთათვის ქცევის წესები გაქვთ დანესებული?

ა) დიახ — არ მოწონებ, ნაგავი არ დაყარონ, არ ისუნთქონ და არ იმოძრაონ.

ბ) გარკვეული წესები მაქვს, მაგრამ ხანდახან მათ თავადაც არ ვიცობ.

გ) არა, ჩემს ავტომობილში ყველაფრის გაკეთება შეიძლება.

4. ავტომობილს ირჩევთ, პირველ რიგში, რას მიაქცევთ ყურადღებას?

ა) ტექნიკურ მახასიათებლებს. ბ) კომფორტს და ვიზუალს. გ) ავტოსალონის მომხიბვლელ კონსულტანტს.

5. მეგობარმა მანქანა გთხოვათ გასასეირნებლად, სანამ თქვენ ქალაქში არ იქნებით, რას იზამთ?

ა) არ ვათხოვებ, რა ვიცი, რა მდგომარეობაში დამიბრუნებს. ბ) ვათხოვებ, ოღონდ ხელნერილის ან გირაოს სანაცვლოდ. გ) წაიღოს და ისეირნოს, ასეთ წვრილმანებს ყურადღებას არ ვაქცევ.

6. ტრასაზე საკმაოდ სწრაფად მიდიხართ, ამ დროს გაბნული სიგნალით სხვა ავტომობილმა ჩაგაქროლათ, რას მოიმიქმედებთ?

ა) ამას დუღილი გამოწვევად მივიღებ და გავაქროლებ ჩემს რაშს. ბ) გზას მშვიდად გავაგრძელებ. გ) ხელს დავუქნევ ან კოცნას გავუგზავნი.

7. ავტომობილი მოგპარეს, რა იქნება თქვენი პირველი სიტყვები?

ა) „ეს ვინ გამიბედა!“.

ბ) „ვაიმე!“.

გ) „ახლა რა ვქნა, სალონი ვარ ჩანერილი, როგორ მივასწრო დანიშნულ დროზე?“.

8. დამოუკიდებლად საბურავის შეცვლას მოახერხებთ?

ა) რასაკვირველია. ბ) თუ ხელთ სურათებიანი ინსტრუქცია მაქვს, შევძლებ.

გ) არა, მირჩევნია, მანქანა შევცვალო.

9. სიჩქარესთან მიმართებაში რა ფრთხილად გამოიყენებდით?

ა) მშვიდად ივლი — შორს ნახავ. ბ) აჩქარდები — ხალს გააცივებ.

გ) რომელ ქართველს არ უყვარს სიჩქარე!

10. ბენზინგასამართ სადგურზე ის სანავი არ ჩაგისხვს, რომელიც გინდოდათ, როგორ მოიტყვევით?

ა) სასწრაფოდ შევაცვლევივინებ. ბ) შემძლია ნავიდე, მთავარი, ამან უსაფრთხოებაზე არ იმოქმედოს.

გ) ჩემი მანქანისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რას ჩავასხამ, მაინც გაფრინდება.

დაითვალეთ, პასუხებში რომელი ვარიანტი ჭარბობს. შედეგები:

„ა“ ვარიანტი — ზედმეტად სერიოზულად ეკიდებით საკუთარ ავტომობილს. ხშირად მას უფრო დიდ დროს უთმობთ, ვიდრე საკუთარ თავს და ახლობლებს. გახსოვდეთ, ზოგადად ეს მხოლოდ მანქანაა — გადაადგილების საშუალება. მისადამი ასეთი ყურადღების გამო, შესაძლოა სხვა დანარჩენი მხედველობიდან გამოგჩრქვთ.

„ბ“ ვარიანტი — ამას ოქროს შუალედს ეძახიან. ყველაფერს რეალურად უყურებთ და პრიორიტეტებს სწორად ანაწილებთ. ასეთი მიდგომა ყველაზე სწორია.

„გ“ ვარიანტი — საკუთარი მანქანის მიმართ ერთობ ზედაპირული დამოკიდებულება გაქვთ. ცოტა მეტი სერიოზულობით მოეკიდეთ მას. მანქანა სათამაშო არაა, მას მოვალეპატრონობა და სიყვარულიც სჭირდება. გირჩევთ, უფრო ხშირად მოუსმინოთ, რას ითხოვს მანქანა თქვენგან, ხანდახან მაინც გარეცხეთ და გამოუცვალეთ ზეთი, თორემ თქვენი რკინის რაში ამ მდგომარეობაში დიდხანს ვერ გაძლებს.

1. გაქვთ ისეთი ღირსებები, რითიც სხვებს ჯობიხართ?

ა) ალბათ არა — 1 ბ) არა ვარ დარწმუნებული — 3

გ) დიახ, მაქვს — 5

2. ოდესმე სპორტულ შეჯიბრში თუ გაგიმარჯვიათ?

ა) არასოდეს — 1 ბ) დიახ, ოღონდ ძალიან მოკრძალებულ შეჯიბრში — 3

გ) მაქვს გამარჯვებები, რომლებითაც ძალიან ვამაყობ — 5

3. შეგიძლიათ, ხელმძღვანელს შეეკამათოთ?

ა) მირჩევნია, ეს არ გავაკეთო, რათა უსიამოვნებებს არ გადავეყარო — 1

ბ) ხანდახან ეს დასაშვებია, მაგრამ გადამეტება არ ღირს — 3

გ) ამას ხშირად ვაკეთებ — 5

4. მიგაჩნიათ, რომ ცხოვრებაში გაცილებით მეტის მიღწევა შეგეძლოთ?

ა) ალბათ დიახ, მოვლენები ცოტა უფრო კეთილგანზობილი რომ ყოფილიყო ჩემ მიმართ — 1

ბ) უფრო მეტი ძალისხმევა რომ გამომიყენებინა, დიახ — 3

გ) ისედაც ბევრს მივაღწიე — 5

5. როგორ მოიტყვევით, თუ რესტორანში ცუდად მოგემსახურენ?

ა) ხელის ქირას აღარ დავუტოვებ — 3

ბ) გავჩუმდები, რათა სკანდალს გავეცე — 1

გ) მომენტალურად პრეტენზიებს გამოვთქვამ — 5

6. სკოლის დამთავრების შემდეგ თქვენს შვილს თეატრალურ ინსტიტუტში ან სამხატვრო აკადემიაში სურს ჩაბარება, რა რჩევებს მისცემთ?

ა) დაივიწყე ეს პროფესიები, ამ სფეროში წარმატების მიღწევა გაგიჭირდება — 1

ბ) ჯერ სერიოზულ სასწავლებელში ჩააბარე, რომ პროფესია გიქონდეს, შემდეგ კი, თუ არ გადაიფიქრებ, მოსინჯე ძალები ხელოვნების სფეროში — 3

გ) თამამად იარე, ახალგაზრდობა მხოლოდ ერთხელა ცხოვრებაში და თუ ოცნებაზე უარს იტყვი, შემდეგ ძალიან ინანებ — 5

7. დასასვენებლად გსურთ ნასვლა ისეთ ადგილზე, სადაც ჯერ არ ყოფილიხართ, რას იირჩევდით?

ა) ტურისტულ ჯგუფთან ერთად მოგზაურობას, როცა ყველაფერი გაწერილი, დაჯავშნული და განაწილებულია — 1

ბ) ისეთ მარშრუტს, სადაც გართობასაც მოვახერხებ და ექსკურსიებსაც ჩემი გემოვნებით შევარჩევ — 3



საკუთარი გულის მბრძანებელი ხართ?

ა) წინასწარი გეგმის გარეშე ვაკვებ-გზავრები, მიყვარს სიურპრიზები — 5

ბ) მათ მიმართ გულგრილი ვარ, რადგან მოგების შანსი მინიმალურია — 3

გ) თავად გავუკეთებდი დიდი სიამოვნებით ასეთ ღონისძიებას ორგანიზებას — 5

8. რა დამოკიდებულება გაქვთ ლატარიების მიმართ?

ა) აქტიურად ვთამაშობ და იმედი მაქვს, მოვიგებ რამეს — 1

ბ) მათ მიმართ გულგრილი ვარ, რადგან მოგების შანსი მინიმალურია — 3

გ) თავად გავუკეთებდი დიდი სიამოვნებით ასეთ ღონისძიებას ორგანიზებას — 5

9. 12-13 ქულა — საკუთარ ძალებს ზედმეტად არასოდეს აფასებთ და ცხოვრებას სათანადოდ გეგმავთ. გყოფნით ნებისყოფა, გაუმკლავდეთ სიძნელეებს, თუმცა ყოველთვის მათ გადალახვას ვერ ახერხებთ. იმისათვის, რომ ცხოვრებაში დასახულ მიზანს მიაღწიოთ, მეტი თავდაჯერებულობა და ინიციატივა გჭირდებათ.

13-24 ქულა — საღად მოაზროვნე ადამიანი ხართ. შეგიძლიათ არამარტო ანგარიში გაუწიოთ გარემოებებს, არამედ შემოქმედებაც მოახდინოთ მათზე. სწორი თვითშეფასება და ცხოვრებისეული პოზიცია საშუალებას გაძლევთ, მეტნაკლებად საკუთარი ბედი განაგოთ.

24 ქულაზე მეტი — ენერგიული, შრომისმოყვარე ადამიანი ხართ, რომელიც მზად არის, რისკზე წავიდეს, რათა დასახულ მიზანს მიაღწიოს. შეგიძლიათ ბედს გამოწვევა გაუკეთოთ და მისმა დარტყმებმა არ გაგტყვით. თქვენ ნამდვილად ხართ ბედის მბრძანებელი.

პროდუქტების გაყინვა — უნივერსალური საშუალება



პროდუქტების გაყინვის დროს ყველაზე გავრცელებული შეცდომა — ეს არის კონტეინერის ავსება ქორფა ხილის ან ბოსტნეულის გროვებით. ასეთ შემთხვევაში პროდუქტი ფორმასა და ფერს სწრაფად კარგავს, გაყინვის დროს არამადისაღმძვრელ მასად იქცევა. წესის მიხედვით, კენკრა, სოკო ან ბოსტნეული ისე დაალაგეთ, რომ ერთმანეთს არ ეხებოდნენ. შემდეგ გაყინეთ. მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ პაკეტში ჩაუშვათ და საყინულეში შეინახოთ. დაქუცმაცებული მწვანე პატარა ულუფებით შესანიშნავად იყინება ყინულის ფორმებში.

ხურმა ჯანმრთელობით გვმუხცავს



ხურმა ერთ-ერთი სასარგებლო ხილია. ის მზის ენერგიით გვმუხცავს. ამ ოქროსფერ ხილში ბევრი ანტიმუცხარა (ნივთიერებები, რომლებიც ორგანიზმს დაავადებები-სა და ნაადრევი დაბერებისგან იცავენ). მეხსიერების გაუმჯობესების, ძალის გამოლევისა და მოწყვნილობის დროს ხურმა ჭამეთ. ეს ხილი შეიცავს ტანინებს, რომლებსაც ანტიმიკრობული აქტივობა ახასიათებთ. რკინისა და იოდის წყალობით, ის შესანიშნავი პროფილაქტიკური საშუალებაა რკინადეფიციტური ანემიისა და ფარისებური ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითების დროს. გარდა ამისა, ეს მსხვილი კენკრა მდიდარია ნატრიუმით, კალიუმით, მაგნიუმით, ფოსფორით, თუთიითა და სპილენძით. კალიუმი გულისა და სისხლძარღვების მუშაობას აუმჯობესებს. მაგნიუმი საჭიროა კუნთებისა და თირკმლებისთვის, კალციუმი და ფოსფორი — ძვლებისთვის, თუთია — იმუნიტეტის ასაძლიერებლად.

ხალხური მედიცინა გაციების წინააღმდეგ

6 აყენი ყელსა და ცხვირში გამოსავლებად. პროცედურა დღეში არანაკლებ 3-4-ჯერ გაიკეთეთ.
 1/4 ჩაის კოვზი საჭმელი სოდა და 20 წვეთი პროპოლისის სპირტიანი ნაყენი შეურიეთ. ყველაფერი ჭიქაში თბილი ანადუღარი წყლით გააზავეთ.
 1 ჩაის კოვზ გვირილის ყვავილებს 1 ჭიქა მდულარე დაასხით, 15 წუთი დადგით, შემდეგ გაწურეთ. გვირილის მაგივრად შეგიძლიათ საღებოს ან ევკალიპტის ფოთლები გამოიყენოთ.
 სურდოს მკურნალობისთვის შესანიშნავია კალანხოსის წვენი წყალში (თანაფარდობით 1:1) გაზავებული.
 ასევე შეგიძლიათ ცხვირში ჩაიწვეთოთ კომპოსტოს წვენი. ეს ნარევი ლორწოვანს აღიზიანებს, თავშეუკავებლად ცხირცემინებას იწვევს და ცხვირს სრულად ასუფთავებს.
 ეფექტურია ნაყენი შიგნით გამოყენებისთვის.
 თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ასკილი, პიტნის ფოთლები, გვირილის ყვავილები და მრავალძარღვას ფოთლები. 1 სუფრის კოვზ ნაკრებს 2 ჭიქა მდულარე დაასხით და 40 წუთი დადგით. 1/2 ჭიქა დღეში 4-ჯერ დალიეთ.
 1 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ საღებოს ფოთლებს 1 ჭიქა აუდუღარი რძე დაასხით, ადუღებამდე მიიყვანეთ, დაბალ ცეცხლზე 10 წუთი დატოვეთ, გაწურეთ და კიდევ ერთხელ ნაშობადუღეთ. ძილის წინ 1 ჭიქა ცხელი მიიღეთ.
 სურდოსა და თავის ტკივილის დროს ეხმარება ცხვირის გათბობა. აიღეთ კანიანად მოხარშული კარტოფილი და სახეზე, ყელზე, ყურებზე დაიდეთ. გაჭერით, ნახევარი შუბლზე დაიდეთ, ხოლო ორი მეოთხედი ნაწილი ცხვირის ნესტოებზე. შეგიძლიათ ცხვირი და შუბლი ცხელი მარილით სავსე ტომსიკით გაითბოთ.

შვიცას ჩაი — ქოლესტერინის მტეხი

სრებობს მრავალი ჯადოსნური მცენარე, რომლებიც ძალასა და დღეგრძელობას გეჭეუნიან. მათ შორისაა შვიცა. ის რეკორდსმენია სილიციუმის შემცველობით, რომელიც ჩვენი ძვლების, სახსრების, თმისა და ფრჩხილებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. აგრეთვე წყალ-მარილის ცვლას არეგულირებს, ტოქსინებისა და ზედმეტი ქოლესტერინისაგან გათავისუფლებას ეხმარება.
 მოამზადეთ ჩაი: 2 ჩაის კოვზ შვიცას ბალახს 1 ჭიქა მდულარე დაასხით, 1 საათი დადგით, გაწურეთ და დღის განმავლობაში რამდენჯერმე ყლუპებით მიიღეთ.



მწვანე ფარი იმუნიტეტისთვის

ფეხისა სასარგებლოა დეპრესიისა და ავითამინოზის დროს. ამ კენკრას უჩვეულო — ანანასის, მარწყვისა და ვაშლის ნარევის სასიამოვნო გემო აქვს. ნაყოფში ბევრია ორგანიზმისთვის სასარგებლო ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება, მაგალითად, ძალიან იშვიათი და ჰიპერტონიის საწინააღმდეგო ვიტამინი.
 ფეხისა — ძვირფასი დიეტური პროდუქტია. მასში შემავალი ცილები ადვილად შეითვისება. ეთერზეთების წყალობით, ეს კენკრა შეუცვლელია გაციებისა და გრიპის პერიოდში. ზოგადგამაძლიერებელი და ანტივირუსული მოქმედება გააჩნია, იმუნიტეტს ამაღლებს, დეპრესიას დევნის, ნივთიერებათა ცვლას აწესრიგებს, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობას აუმჯობესებს, ათეროსკლეროზის განვითარებას ებრძვის.
 ეს სამკურნალო მწვანე ნაყოფი განსაკუთრებით სასარგებლოა ფარისებურ ჯირკვალთან დაკავშირებული პრობლემების, გასტრიტის, პოდაგრის, ყაბზობისა და პიელონეფრიტის დროს.
 გაციების სეზონის პერიოდში სასარგებლოა ყოველდღიურად, უზმოზე და ძილის წინ, 2-3 ფეხისა თავლით მიირთვათ.

სასარგებლო ნიღბები

1 კვერცხის გულს 1/2 ჩაის კოვზი თაფლი, 5 წვეთი ზეთუნის ზეთი და ამდენივე გლიცერინი დაუმატეთ. კარგად აურიეთ. სახეზე 20 წუთი დაიდეთ. თბილი წყლით ჩამოიბანეთ. ნიღაბი დღე-გამოშვებით გაიკეთეთ.
 საფუარის ნიღაბი. საფუარი რძეში გააზავეთ სქელი არაჟნის კონსისტენციამდე. სახეზე მთელი მასა დაიდეთ. როდესაც ნიღაბი გახმობას დაიწყებს, ჩამოიბანეთ.
 ✓ მოამზადე აზა გაგოშიძე



გულჩათხრობილი თუ დაუღბროველი — როგორი ჭარბობს თქვენში?



ხშირად სწორედ ისინი მართავენ ოჯახს, საქმეს და, თუ გნებავთ, ქვეყანას. ამის არაერთი მაგალითია ცნობილი.

ინსტიტუტი

მგრძობიარე, ჩაკეტილი, წყნარი, ხშირად შეუმჩნეველი. სახლში თავს ბევრად უკეთესად გრძობს, ვიდრე საზოგადოებაში. საღამოს წვეულებების იშვიათი სტუმარია, მაგრამ თუ იქ აღმოჩნდება, ჩუმად ზის და მეგობრების მხიარულებას აკვირდება. როდესაც პრობლემები გაუჩნდება, ახლობლებს არ უზიარებს, მარტო ცდილობს მათთან გამკლავებას.

პლუსები — ინტროვერტები შინაგან სამყაროზე კონცენტრირებული არიან, ურთიერთობებისკენ მიდრეკილებას არ ამჟღავნებენ და გარემომყოფებთან კონტაქტში ძნელად შედიან. ამასთან გულისხმიერი, ლოიალური, კეთილსინდისიერი და შემოქმედი პიროვნებები არიან. შესანიშნავი დახასიათებაა, რომ არა — მათი გულჩახვეულობა.

მინუსები — უკარება, ჩუმი და განმარტოებისკენ მიდრეკილია. ერთნი მათ გაუბედავ ადამიანებად თვლიან, მეორენი — ამპარტავენებად, მესამენი — მიზანთრობებად, მაგრამ ინტროვერტებზე შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ ერთი რამ: ისინი თავის გამოვლენას არ ჩქარობენ და არც სხვების ყურადღების მიქცევას ესწრაფიან.

მიზეზები

ჩრდილში ყოფნის მოთხოვნილება ინტროვერტების თანდაყოლილი თვისებაა, მაგრამ მათ ქცევაზე აღზრდაც აისახება. თუ ბავშვობაში უნერგავდნენ, რომ დამჯერი უნდა ყოფილიყო და უფროსების დაუკითხავად გარეთ ცხვირს ვერ გაყოფდა, ეს მის გულჩახვეულობას მრავალგზის გააძლიერებს.

ბაღანსი

ჩვეულებრივ, წარმატებას აღწევენ ის ადამიანები, რომლებსაც ყურადღების მიქცევა შეუძლიათ, ხოლო ჩუმი პიროვნებები ხშირად შეუმჩნეველები რჩებიან. სამწუხაროა! სპეციალისტები აღიარებენ, რომ ბევრად უფრო ფასეულ და წინდახედულ გადაწყვეტილებებს სწორედ ინტროვერტები იღებენ.

დასვენა

ინტროვერტებს ესაჭიროებათ სიმშვიდე და განმარტოება, მაგრამ უნდა ეცადონ, რომ ისინი შეამჩნიონ და გაუგონ. ჩრდილიდან რომ გამოვიდნენ, წყნარებს გვერდით უნდა ჰყავდეთ ხმაურიანი მოკავშირეები, რომლებიც დაეხმარებიან, სამყაროს თავი გააცნონ.

ექსტავერტი

გულლია, აქტიური, მხიარული, ზოგჯერ ნევროზულია. ამ კატეგორიის წარმომადგენელი სადაც არ უნდა გამოჩნდეს, იქ სიცოცხლე დულს და გადმოდულს — ისმის სიცილი, იზადება იდეები, იგებება ღონისძიებები. ამ ადამიანის არშემჩნევა შეუძლებელია — ყოველთვის მოვლენების შუაგულშია. ახალი ამბების გაცნობა, ისტორიის მოყოლა, მაგიდაზე ცეკვა — ყველაფერ ამას ბუნებრივად და სიხარულით აკეთებს უცნობ კომპანიის კი. მოსწონს ადამიანების გაცნობა და დიდი აუდიტორიის წინაშე ბრწყინვა. მის ცხოვრებაში რაც უნდა მოხდეს — კარგი ან არცთუ ძალიან კარგი, ამას ყველას უყვება. თავთან მარტო ხანგრძლივად ყოფნა მისთვის სასჯელია.

პლუსები — ექსტრავერტი თავის განცდებსა და ინტერესებში გარე სამყაროსკენაა მიდრეკილი. მისი დამახასიათებელი თვისებებია: სიტყვამრავლობა, გაბედულება, დომინანტობა, ალტაცება და თავგადასავლების წყურვილი. ასეთი მშვენიერი მონაცემებით ადამიანს ყველანაირი შანსი აქვს წარმატებისთვის. შეუძლია თავის მიწოდება, რაც მომგებიანად თვითრეალიზაციას ნიშნავს.

მინუსები — ექსტრავერტები იმდენად აქტიურები არიან, რომ ზოგჯერ მათთან ურთიერთობა უკიდურესად რთულია. თანამოსა-

უბრეს მაშინვე და ერთბაშად უკანა პლანზე მისწვენენ, თავიანთი შეტევით მასზე ზენოლას ახდენენ, სიტყვას არ ათქმევინებენ და ამავდროულად მანამ არ უშვებენ, სანამ თავიანთ სათქმელს არ იტყვიან. იმხელა სივრცეს იკავებენ, რომ უბრალოდ მათ გვერდით ადგილი არავისთვის რჩება.

მიზეზები

ასეთი დაუღბროველი ხასიათი აქვთ ექსტრავერტებს, მაგრამ რამდენად ვლინდება მათი თავშეუკავებლობა, დამოკიდებულია არა იმდენად ბუნებაზე, არამედ თვითონ მათზე. ბევრი ადამიანი, რომელიც ყურადღების ცენტრში ყოფნას ესწრაფის, თავის ქცევას იყენებს, როგორც ყურადღების სხვაზე გადატანის მანევრს. ცდილობენ, მარდი და ბობოქარი მოქმედებების მიღმა მათი ნაკლოვანებები ვერავინ შეამჩნიოს. და კიდევ, მიაჩნიათ, რომ სასურველის მიღწევა და ადამიანების იძულება, მოუსმინონ, მხოლოდ მათზე ზეგავლენითაა შესაძლებელი.

ბაღანსი

ექსტრავერტები ირგვლივ კარგ განწყობას ქმნიან. იდეების გენერატორები, შესანიშნავი თაოსნები და საგმირო საქმეებისკენ შთაბამონებლები არიან. სრულებით არ ესაჭიროებათ კარდინალურად შეცვლა. საკმარისია, თავიანთ სურვილებსა და მისწრაფებებს ცოტა ლაგამი ამოსდონ, დაუმთავრებელ მონოლოგებში პაუზის გაკეთება ისწავლონ, რათა თანამოსაუბრეს საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა მისცენ. არ შეგიძლიათ თვითონ გაჩერდეთ? რომელიმე ახლობელს პირობით ნიშნზე შეუთანხმდით, რომელსაც იმ მომენტში მოგცემთ, როდესაც საჭიროა დამუხრუჭება.

დასვენა

ექსტრავერტები მეტად მომთხოვნები არიან, მაგრამ კარგი იქნება, ჩრდილში მყოფებს მოუსმინონ. ინტროვერტები ბრძნულ რჩევებს მისცემენ და მათ მგზნებარებას გაანელებენ.


დაბოლოს, ინტროვერტები და ექსტრავერტები სუფთა სახით იშვიათად გვხვდებიან. ბევრ ჩვენგანს ორივე ტიპის ხასიათის ნიშნები აქვს. უბრალოდ ზოგიერთი უფრო გულჩახვეულია, სხვები — უფრო გულგრილები. თუ თქვენს ხასიათში რაღაც ხელს გიშლით მიზნის მიღწევაში, თავისმართლებას ნუ დაიწყებთ: „ასეთი ვარ და ვერ შევიცვლები“. თქვენს ძლიერ მხარეებს დაეყრდნით და სისუსტეებზე იმუშავეთ. დარწმუნებული იყავით, ბევრის მიღწევის შეძლებთ.

პოზიტიური დიეტა

ნებისმიერ სფეროში წარმატების მისაღწევად პოზიტიურად აზროვნება აუცილებელი პირობაა. პოზიტიურად აზროვნება კი ხშირად არ ვიცით ან არ გვსურს. როგორ ვაიძულოთ თავი, ამ ტალღაზე გადაერთოს?

ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ერთ-ერთი პრინციპი კარგი ჩვეულების ათვისება და მათი ავტომატურობამდე დაყვანაა. მთელი საიდუმლო სწორედ გამეორებულ მოქმედებებშია. თავი „პოზიტიურ დიეტაზე“ დასვით. მაგალითად, 20 დღის განმავლობაში ყველა ნეგატიური აზრი დადებითი გადაიყვანეთ. მოქმედება ახლავე დაიწყეთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშვიტი



რა ვნებს თქვენს თვალებს



რენი თვალები, მგრძობიარე ბარომეტრის მსგავსად, როგორც ფიზიკურ დაღლაზე, ასევე ძილის უკმარისობასა და ამინდის ცვლილებებზეც კი რეაგირებს. ხოლო ზამთრის პერიოდში, ხანმოკლე დღის სინათლის, ტემპერატურის დაცემისა და მშრალი ჰაერის გამო განსაკუთრებით იტანჯება. როგორ შევამციროთ ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედება მხედველობაზე?

1. სიცოცხე შეიძლება მიზეზი გახდეს სიცვიისმიერი კონიუნქტივიტის. ეს ალერგიული დაავადებაა, რომელიც მომატებული ცრემლდენით, თვალების განითლებითა და ცივი ჰაერზე ქავილით ვლინდება. თბილ შენობაში ყველა უსიაპოვნო სიმპტომი გადის. თუ ამ დაავადებისკენ მიდრეკილება გაქვთ, ქუჩაში გასვლის წინ თვალებსა და ცხვირში ექიმის მიერ დანიშნული ანტიბიოსტიკური (ალერგიის სანინააღმდეგო) წვეთები ჩაინვეთეთ. საღამოს კარგია ქუთუთოზე ახალდაყენებული ჩაის პაკეტი ან ჩაის ნაყენში დასველებული მარლის ტამპონი დაიდოთ.

2. მშრალი ჰაერი. გამათბობელი მოწყობილობების გამოყენება და დაბალი ტენი-

ადიციული ან ულტრაბერითი დამატენიანებლებით დაატენიანეთ. როდესაც კომპიუტერთან მუშაობთ ან ტელევიზორს უყურებთ, თვალები ახამხამეთ. თვალის სიმშრალის სამკურნალო ე.წ. ხელოვნური წვეთები ჩაინვეთეთ. მათი გამოყენება რეკომენდებულია არამხოლოდ მხედველობის ზედმეტად დატვირთვის დროს, ასევე საკუთარი ცრემლის სითხის არასაკმარისად გამოშვებების შემთხვევაშიც.

3. ცუდი განათება. სინათლის უკმარისობის გამო თვალები რომ არ გადაიძობოს, სამუშაო ადგილის კარგ განათებაზე იზრუნეთ. კომპიუტერის ეკრანის სიკაშკაშე ისე დაარეგულირეთ, რომ თვალებისთვის კომფორტული იყოს. თვალებს ყოველ საათში ხუთწუთიანი შესვენება მოუწყვეთ (უბრალოდ, თვალები დახუჭეთ, მოდუნებას საშუალება მიეცით). შეასრულეთ თვალების ვარჯიში. მონაცვლეობით 5 წამი ახლომდებარე საგანს უქვირეთ, შემდეგ 5 წამი წორს გაიხედეთ. თვალები ატრიალეთ, ამით თვალის კუნთებს გაამაგრებთ.

4. ულტრაიისფერი. ზამთარში თვალები ულტრაიისფერი სხივების უფრო ძლიერ ზემოქმედებას განიცდის, ვიდრე

ზაფხულში. თვალისა და ყინულის მიერ არეკლილი მზის სხივის ათინათი თვალის ბადურაზე მავნე ზემოქმედებას ახდენს, კონიუნქტივიტისა და მხედველობის დაქვეითების პროვოცირება შეუძლია. თვალები რომ დაიცვათ, მზიან დღეებში ხარისხიანი მზისგან დამცავი სათვალე ატარეთ.

5. ვიტამინების დეფიციტი. მხედველობის სიმახვილის შესანარჩუნებლად საჭიროა ვიტამინებისა და მინერალების საკმარისი რაოდენობა. ხშირად ჭამეთ პროდუქტები, რომლებიც თვალისთვის აუცილებელია **A, C** და **E** ვიტამინებს (ტკბილი წინააპი, სტაფილო, შავი მოცხარი, თევზი, მცენარეული ზეთი) შეიცავენ. თვალებისთვის სასარგებლო ანტიმუხანგავებით მდიდარია მოცვი. შემთხვევითი არ არის, რომ მისი ნაყური პრაქტიკულად თვალის ყველა სამკურნალო პრეპარატში შედის.

6. ძილის უკმარისობა. ამერიკელმა ოფთალმოლოგებმა დაამტკიცეს, რომ თვალების სერიოზული დაავადებების მიზეზი ხშირად მუდმივად გამოუძინებლობაა. პირველი საგანგაშო სიმპტომებია გამოღვიძების შემდეგ თვალებში დისკომფორტის შეგრძნება და გამოსახულების დაბინდვა, არამკაფიოობა. თქვენმა თვალებმა სრულფასოვნად რომ დაისვენოს, არანაკლებ 8 საათისა იძინეთ.

7. მოწევა. თვალის ბადურის მზარდი დეგენერაციის ერთ-ერთ ფაქტორად აღიარებულია მოწევა. ამ დაავადების დროს მხედველობა თანდათან სრული სიბრმავემდეგ ქვეითდება. ასე რომ, თუ ეწევით, დასკვნები გააკეთეთ!

საოსარისი მკურნალობა - მსენარა, როგორც ალბინოს ახსნაგარდაცვალებს

ქინაცეა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული სამკურნალო მცენარეა მთელ მსოფლიოში. მისი სამკურნალო თვისებების შესახებ მრავალი საუკუნის წინ პირველმა ჩრდილო ამერიკის ძირძველმა მოსახლეობამ შეიტყო. ისინი ავადმყოფ ირმებს აკვირდებოდნენ, რომლებიც ამ ყვავილებით იკვებებოდნენ.

სადღესოდ ექინაციის პრეპარატები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. თითქმის ყველამ იცის, რომ მცენარე იმუნიტეტს ამაღლებს, ანტივირუსული, ანტიბაქტერიული, ანტიალერგიული თვისებები გააჩნია. ასევე ანთებისა და სოკოს საწინააღმდეგო მოქმედებას ფლობს. ამ მცენარეს სისხლის გამწმენდს უწოდებენ. საქმე ისაა, რომ მცენარის ნაყენი და ნახარში ლიმფურ სისტემას, ღვიძლსა და თირკმლებს აქტიურად ასუფთავებს.

ექინაცეა შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ერთმანეთს დამატებით ჰარმონიულად ავსებენ. ესენია: ეთერზეთები, სასარგებლო ფისი, ორგანული მჟავები, **A, C** და **E** ვიტამინები, კალიუმი, ნატრიუმი, მაგნიუმი, კალციუმი, რკინა, მანგანუმი. მცენარის ყველა ნაწილი ნედლეულად გამოიყენება.

ხახუხი მდიონი

ექინაცეა შეგიძლიათ მიიღოთ არამხოლოდ გრიპისა და გაციებით გამწვეული

დაავადებების დროს, ასევე ფიზიკური და ფსიქიკური გადაღლისას. ყველაზე ძლიერ პრეპარატად ნაყენი ითვლება.

მომზადების წესი: 200 გრამი გამხმარი, დაქუცმაცებული ფოთლები და ყვავილები ლიტრიან ბოთლში ჩაუშვით, პირამდე არაყი დაასხით, ბნელ და გრილ ადგილას (არა მაცივარში) 12-14 დღე დადგით. ბოთლი პერიოდულად შეანჯღრით. ნაყენი 2-3 კვირის განმავლობაში, დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ, 25-30 წვეთი მიიღეთ. ყურადღება: ნაყენს გამამხნეველი ეფექტი გააჩნია, ამიტომ საღამოს ძალიან გვიან ნუ დაღვებთ. და კიდევ, ამ ნაყენის მიღება შეიძლება მხოლოდ 3 კვირა მიყოლებით (მეტი — არა). შესვენება სამ კვირაზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ექინაციის ნაყენის გამოყენება კარგ შედეგს იძლევა პროსტატის ადენომის, შარდსაქესო სფეროს ანთებითი პროცესების დროს. გარდა ამისა, ნაყენი დაბერების



პროცესს ანელებს, მთელ ორგანიზმს მშვენივრად წმენდს და ახალგაზრდავებს.

კანის ნებისმიერ პრობლემას ძლებს. ჭრილობას, დამწვრობას, გაღვივებისასა და კანზე გამოწყარს ექინაციის ნახარშით მკურნალობენ.

ნახარშის მომზადების წესი: 1 სუფრის კოვზ გამხმარ, დაქუცმაცებულ ფესვებს 0,3 ლიტრი ცხელი წყალი დაასხით, წყლის აბზანაზე 20 წუთი ადუღეთ, შემდეგ გააგრილეთ და გაწურეთ. ნახარში ბაბბის დისკი დაასველეთ და დღეში 3-4-ჯერ ჭრილობაზე, ფურუნკულზე, მწერის ნაკბენზე ან ალერგიულ გამოწყარზე დაიდეთ.

ლოსიონი ცხიმიანი კანისათვის

მცენარის 25 გრამ დაქუცმაცებულ ღეროებსა და ფესვებს, 20 გრამ ორკბილასა და 20 გრამ გვირღვას 0,5 ლიტრი არაყი დაასხით. 2 კვირა დადგით, გაწურეთ. დაბანის შემდეგ კანი გაიწმინდეთ.

✓ მოამზადა ანა გავიშვიძე

გვკახეხობს ექიმი



— ვარ 24 წლის, 4 თვის წინ გავიკეთე საკეისრო, მას შემდეგ ყოველდღე ვგრძნობ მუცელში ძლიერ ტკივილს. საშიშია?

— აუცილებლად მიმართეთ იმ მეანს, ვინც საკეისრო ჩაგიტარათ. შეიძლება ანთებითი პროცესი მიმდინარეობს და ტკივილს ის იწვევს. ოპერაციის მხრივ რომ გართულება გქონდეთ, ტკივილის გარდა, მაღალი ტემპერატურაც გექნებოდათ.

— ვარ 16 წლის. მიყვარს ბუნებრივი საშუალებებით თავის მოვლა. რამდენად სინამდურია ჩემი ასაკისთვის?

— თუ გადაჭარბებულს არაფერს იტარებთ, საშიში არ არის, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთი ბუნებრივი საშუალება მხოლოდ გარკვეული ასაკის ქალბატონებისთვის არის ეფექტური და მისი გამოყენება თქვენს ასაკში დაუშვებელია. თქვენი ასაკისათვის და კანის ტიპისთვის განკუთვნილ ნიღაბს თუ კვირაში ერთხელ გაიკეთებთ, საუკეთესო შედეგი გექნებათ.

— ვარ 70 წლის მამაკაცი, 3 წელია დამეწყო ალერგია. დროგამოშვებით დამეწყება ტანზე ქავილი, ხან ერთი თვალის მისივდება, ხან — მთლიან შემდეგ მისივდება ხანის ყველა ნაკვთი. შეიძლება ეს მონღო თვაში 2-ჯერაც რისი ბრალია და საშიშია თუ არა?

— აუცილებლად მიმართეთ ალერგოლოგს. თუ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ალერგიული რეაქცია გაქვთ, სასწრაფოდ უნდა დაზუსტდეს რა იწვევს ალერგიას. საჭიროა სპეციალური სინჯების ჩატარება.

— უძილობის და ნერვიულობის ნადავზე მწუხებს თავის ტკივილი, გადაღლილობა. ჩავიტარე კვლევები, დამიდგინდა შაკიკი. ახლა ვამჩნევ რომ ყოველ დღით მაქვს ყრუ ტკივილება. შაკიკის ბრალია თუ კიდევ სხვა დაავადება მქონის?

— ზეპირად ძნელია რამის თქმა, მაგრამ სიმპტომებით თუ ვიმსჯელებთ, ტკივილს შაკიკი იწვევს. უმჯობესი იქნება, თუ ნევროპათოლოგთან კონსულტაციას გაივლით.

— მაქვს შიშები და აკვიატებული აზრები. რა ვქნა?

— სავარაუდოდ, ვეგეტოწვეროზი გაქვთ, აუცილებელია ნევროპათოლოგის კონსულტაცია.

— ვარ 32 წლის, მწუხებს დაბალი წნევა, მტკიავ კეფა. რა ზომები მივიღო?

— ეცადეთ, საღამოს საათებში მიიღოთ სითხეები, განსაკუთრებით — ჩაი.

— ვარ 47 წლის ქალი. მუცლის მარჯვენა ქვედა მხარეს მაქვს აუტანელი ტკივილი, რომელიც ფეხს გადაცემს. საშუალოდ დანამატებით და აპენდიციტი ამოღებული მაქვს. მუცლის დრუ გამოკვლეული მაქვს და არაფერი გამოიწნა. რა შეიძლება იყოს?

— შეიძლება ოპერაციის შედეგად შესორცებების ადგილზე ანთებითი პროცესი მიმდინარეობს.

— ვარ 26 წლის, ახალი გათხივდილი,

ორგანიზმს ვერ განვიცდა. შეიძლება სახლში მკურნალობა ან რომელი ექიმს მივმართო?

— მიმართეთ სექსოპათოლოგს.

— როგორ ვუმკურნალო სისკოთი დაავადებულ ფრჩხილს?

— სოკოთი დაავადებულ ფრჩხილს შინაური მეთოდებით ვერ უმკურნალებთ. საჭიროა როგორც გარეგანი, ასევე შინაგანად მისაღები ანტიმიკოზური თერაპიის ჩატარება. რატომღაც აღიქმება, რომ ფრჩხილის სოკო ერთი ტიპისაა და მისი მკურნალობაც სტანდარტულია, რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება მცდარია. მკურნალობის თანამედროვე მეთოდები იძლევა საშუალებას, რომ დერმატოლოგიურ ლაბორატორიაში ჩატარდეს ფრჩხილის ანაფხეკის ანალიზი და მკურნალობაც ისე დაინიშნოს, რომ შედეგმა არ დააყოვნოს. სხვაგვარად შეიძლება მიიღოთ ძლიერი პრეპარატები, მაგრამ შედეგი არ გქონდეთ. სანამ სპეციალისტს მიმართავთ, გირჩევთ, ფრჩხილზე წაისვათ იოდი, შემდეგ კი „კლოტრიმიზოლის“ (მაღალი, რითაც დროებით შეაჩერებთ პროცესის შორს წასვლასა და გართულებას.

თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 1779 მაგთიდან ან ჯამოსალიდან. თქვენს კითხვას შეპლავნილაგვარად გავხმათი პასუხს. ერთი სმს-ის ფასია 50 თეთრი.

თმას სწტად უკლით?



ლ ამაზი თმა ნებისმიერი ქალის სიამაყეა. მოვლილი კულულები განსაკუთრებულ შარმს იძენს და მამაკაცების მზერას იზიდავს.

თმის ჯანმრთელობისა და სილამაზის დაცვის საუკეთესო საშუალება მისი სწორად კვებაა. მისი ზრდისა და აღდგენისთვის რაციონში აუცილებელია ჩართოთ თუთიითა და სპილენძით მდიდარი პროდუქტები: ღვიძლი, საქონლის ხორცი, თხილეული. ძალიან სასარგებლოა ზღვის თევზი — ნახევრადუჯერი ცხიმშაყების წყარო.

თმა ყოველდღიურად დაივარცხნეთ. დავარცხნის დროს თავის მსუბუქი მასაჟი გაიკეთეთ. ის კანის სისხლძარღვებისკენ სისხლის დინებას ასტიმულირებს და ნივთიერებათა ცვლას აჩქარებს.

თმის ძალიან ცხელი წყლით დაბანა არ ღირს. ეს კანის სიმშრალესა და აქერცვლას იწვევს. წყალი ოთახის ტემპერატურის უნდა იყოს.

თავი შეგიძლიათ ყოველდღიურად დაიბანოთ, თუ თავის კანი შამპუნს კარგად იტანს: დაბანის შემდეგ არ აღინიშნება ქავილი და ქერტლის მსგავსი აქერცვლა. უმჯობესია, გამოიყენოთ სპეციალური შამპუნი „სშირი დაბანისთვის“ ან „რბილი“.

შამპუნი 2-ჯერ წაისვით. პირველი გამოყენებისას თმას მხოლოდ ზედაპირულ ჭუჭყს აცლის, საღამოს ისევ ცხიმიანი იქნება. თმა სრულად რომ გასუფთავდეს, შამპუნი მეორედ წაისვით და ორი წუთი გააჩერეთ. ამ დროის განმავლობაში სასარგებლო ნივთიერებები თმაში შეღწევის მოასწრებს. კონდიციონერი და ბალზამი საკმარისია ერთხელ გამოიყენოთ, მაგრამ აუცილებლად დაელოდეთ საფუთავზე მითითებულ დროს, სანამ საშუალებას ჩამოიბანთ.

სასარგებლოა თმის რეგულარულად შეჭრა. როგორც წესი, თმა თვის განმავლობაში დაახლოებით 1 სმ-ით იზრდება. ბოლოების შეჭრა აუცილებელია მათი გაყოფის თავიდან ასაცილებლად. მოკლე თმა რეკომენდებულია 4 კვირაში ერთხელ შეიჭრათ, საშუალო სიგრძის თმა — 5 კვირაში ერთხელ, გრძელი თმა — 6-8 კვირაში ერთხელ.



ვარიკოზის პროფილაქსია

თუ ფეხებზე ვარსკვლავები აღმოაჩინეთ, ვენების ვარიკოზული გაგანიერების პროფილაქტიკას შეუდექით.

1. დღის განმავლობაში ფეხები დაასვენეთ: ყოველ საათში 3-5 წუთი ფეხები მაღლა შემოაწყვეთ. 2. არ მიიღოთ ცხელი აბაზანა (საუნა, აბანო დაივიწყეთ). 3. არ ასწიოთ სიმძიმე. 4. კვირაში ერთხელ აუზზე იარეთ. 5. ატარეთ ელასტიკური გოლფები. 6. სამოსი და ფეხსაცმელი მოხერხებული (არა შემოჭერილი) უნდა იყოს. 7. ყოველდღიურად 20-30 წუთი სუფთა ჰაერზე გასასეირნებლად გამოყავით. 8. გადახედეთ კვების რაციონს: უარი თქვით ცხარესა და მარილიანზე, სპირტიან სასმელებსა და მაგარ ყავაზე. 9. სიგარეტს თავი დანებეთ. 10. დალიეთ მწვანე ჩაი. მიეძალეთ ხილსა და ბოსტნეულს (კომბოსტო, ხახვი, ბრონეული, ნიორი, ზღვის კომბოსტო, ვაშლი, ფორთოხალი), მარცვლეულს (შვრია, ქერი). 11. წონა აკონტროლეთ.






1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება; 2. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი; 3. ძალიან ნელი ტემპი მუსიკაში; 4. გორაკი, ბორცვი; 5. ტყის მსხალი; 6. ... ეცა (ძალიან შეწუხდა, თავზარი დაეცა); 7. წყლისპირა მცენარე; 8. საბუთი რისამე მისაღებად; 9. ბრაზილიელი მომღერალი ქალი; 10. ... კლინტონი; 11. ჭრილობა; 12. ინგლისური მაგარი ლუდი; 13. ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლე; 14. პო, დიას; 15. იაპონელთა ჯიბის კოლოფი; 16. ერთგვარი კანფეტი; 17. დიდი საორკესტრო ნაწარმოები; 18. ფრანგული სანებელიანი საქმელი; 19. ყნოსვის უქონლობა; 20. სასტუმროს მსახური ბიჭი; 21. ინდოელი კინორეჟისორი; 22. ქაშანი; 23. დედამიწვილი; 24. საბჭოთა არტისტი და დირიჟორი (XX ს.); 25. არტისტის მიერ განსახიერებული სცენური სახე; 26. სამიანი ნარდში; 27. სახის ნაწილი; 28. ტილოს ჩარდახი მზისა და წვიმისგან თავდასაცავად; 29. მზათე; 30. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში; 31. გეგმა, განზრახვა; 32. დათქმული საიდუმლო სიტყვა ან ფრაზა; 33. მღვიმეებიანი ქალაქი იორდანიაში; 34. იალქანი; 35. ლითონის ფულის ნიშანი; 36. ფლიდი, სიტყვის გამტეხი; 37. კოლხი მედეას დედა; 38. გამომგონებლის უფლების დამადასტურებელი მოწმობა; 39. მრავალსიმიანი საკრავი; 40. ... დადიანი; 41. თანხის წინასწარ გადახდილი ნაწილი; 42. ნახევრადვირფასი ქვა; 43. სოფელი ზუგდიდის რაიონში; 44. პატარა, ჭრელი, სწრაფი ჩიტი; 45. ... დუგლასი; 46. ... ჟირარდო; 47. ლელით დაფარული ადგილი; 48. ფრანგული ვაზის ჯიშო; 49. მეფე ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“; 50. საბანკო ბილეთი, რომელიც ფულის მაგივრობას ეწვევა; 51. კათოლიკური სამლოცველო; 52. აზრი, ჩანაფიქრი; 53. პოეტი-მომღერალი შუა აზიაში; 54. სანატრელ რამეზე ფიქრი; 55. მთის წანვეტებული მწვერვალი; 56. თხის ჯოგი; 57. ჩრდილი (საბა); 58. გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი; 59. ცომის ასაფხვი ნიჩაბი; 60. ინტუიცია; 61. ... ტალიერი; 62. მეექვსე ნოტი; 63. ბუნქი მაგარნაჭუჭიანი ნაყოფით; რომლის გულიც იჭმევა; 64. ებრაელთა სასულიერო პირი; 65. ხვიარა ბალახოვანი მცენარე; 66. მთავარი სანყობი; 67. აქროლადი მათრობელა სითხე.



სიტყვა-კოდი

1	2	3	4	5	6

გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური




წინა ნომერი გამოქვეყნებული კოდიანი სკანორკლის პასუხები

1. ცდო; 2. პაი; 3. არიოზო; 4. გო; 5. პატრული; 6. რა; 7. ენოტი; 8. ურდული; 9. უილ; 10. ადლერი; 11. რაინდი; 12. ლევ; 13. პარნასი; 14. კონდაკი; 15. არიანე; 16. ლია; 17. საღამო; 18. სან; 19. ღრძობა; 20. მნე; 21. ერბო; 22. ნაძლევი; 23. აბაბა; 24. პოპლინი; 25. ნარ; 26. ასა; 27. სორბონი; 28. კანა; 29. ანდანტი; 30. აკრი; 31. ზარნაზო; 32. პაუზა; 33. კიურე; 34. კოკა; 35. ეზო; 36. კრიტიკა; 37. ამინ; 38. ანტენა; 39. რაზმაძე; 40. მიკადო; 41. კაჭკაჭი; 42. კიმ; 43. არფა; 44. დო; 45. პრაქტიკა; 46. კასონა; 47. იდო; 48. ჰედონიზმი; 49. ასტამი; 50. სიასამური; 51. ნეკო; 52. უესტი; 53. ისააკ; 54. აფრა; 55. ინვარი; 56. სტატია; 57. მარული; 58. იკივე; 59. რკალი; 60. არლეკინი. **სურათთაგან:** დათო ეგგენიძე; ლადო ბურდული; მარკუს მეტრეველი; გია სურამელაშვილი.

ჯგუფი: ქაფში.

მწიკნი სკანოკრიტი



		3. ბილიარდის ფოხი	4. კავშირი (გრამატ.)			5. არა!	6. მღვდლის სამოსელი				7. ნუსხა
						8. ასტრონომიის მუზა					9. რუსი შეიგავე
	10. პატარა მღრღნელი ცხოველი			11. კლარჯეთი	12. ჭურჭლის კარადა						
	13. ბუნებრივი წყალსაცავი										14. პატარა ზომის კენგურუ
	15. პირის ნაცვალსახელი			16. სიმებიანი საკრავი	17. ქალაქი ჩინეთში						
	18. მწერალი ... კიკვიძე						19. რომელთა ღვინის ღმერთი			20. ნაბიჯი ბალეტში	



	21. შინაური ცხოველი	
	22. ვაჟიშვილი	
	23. იაპონური თეატრი	

წინა ნომერში გამოქვეყნებული მწიკნი სკანოკრიტის პასუხები

1. ია; 2. რუ; 3. რქა; 4. ანადირი; 5. აზო; 6. ბრაჰმა; 7. კარაქი; 8. ნაომი; 9. შვაბრა; 10. რენო; 11. არია; 12. მარლონი; 13. ანაქორეტი; 14. რუსკა; 15. სურამი; 16. ოყა; 17. იო; 18. არიელი; 19. რინგი; 20. კროსი; 21. რკო; 22. ოსი; 23. სე; 24. ალ; 25. კარტა. **სურათი 23: როიალი; შობოი; გიტარა; საყვირი.**

როგორ შევარჩიოთ ხელთათმანები



ხელთათმანი ქალის შეუცვლელი აქსესუარია. მისი დანიშნულებაა, ჩვენი ნაზი ხელები სიცივისგან დაცვას და მათი სილამაზე წარმოაჩინოს. ხელთათმანების ასორტიმენტი უზარმაზარია. როგორ გავაკეთოთ სწორი არჩევანი?

მაკეჩიადეხი ღიხებულება

ხელთათმანს სხვადასხვა მასალისგან ამზადებენ, მაგრამ ტრადიციულად ყველაზე პოპულარულია ტყავი. ტყავის ნაწარმი სატარებლად მოსახერხებელია, მასში ხელები არ იყინება და არ ოფლიანდება. სიბილის მიხედვით შესანიშნავია ცხვრის ტყავი. მისგან დამზადებული ხელთათმანი ხელებს სწრაფად ათბობს და სითბოს დიდხანს ინარჩუნებს.

ზამშის აქსესუარები განსაკუთრებული შარმით გამოირჩევა, მაგრამ ყოველდღიურობისთვის არ გამოდგება. ეს მასალა არაპრაქტიკულია: სწრაფად ჭუჭყიანდება, ცხიმინდება, ხოლო მისი გაწმენდა ძნელია. ასე რომ, თუ ნატი გიყვარს, მშრალ ამინდში და აკურატულად ატარეთ, ხოლო მუდმივი გამოყენებისთვის ნაკლებად ჭირვეული მასალისგან დამზადებული შეიძინეთ.



შალის ხელთათმანები პოპულარულია. თბილია, მოსახერხებელია და იდეალურია დასვენებისა და სპორტისთვის. სამწუხაროდ, ასეთი ნაწარმი მალე სველდება და ამავდროულად უსიამოვნო სუნს გამოსცემს. მოერიდეთ იაფფასიან, წელვად ხელთათმანებს, რომლებსაც ხშირად შალისა და კურდღლის ბუნვისგან ამზადებენ. ასეთი ხელთათმანი ერთი კვირის ტარების შემდეგ შესახებ დასაწყისად საერთოდ კარგავს.

ჩა ახის შიგნით?

ხელთათმანის ხარისხისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია სარჩული. როგორც გარე ნაწილი, ისიც შეიძლება დამზადებული იყოს სხვადასხვა (შალის — ნატურალური ან ხელოვნური), ტრიკოტაჟის ან ბუნვის მასალისგან.

ნატურალური ბუნვი სიცივისგან საიმედო დაცვაა, მაგრამ სანამ ბუნვის სარჩულით შეიძენ, ხაო მსუბუქად მოსწიეთ და შეამოწმეთ. თუ ხელში ბუნვები დაგრჩათ, ყიდვისგან თავი შეიკავეთ. ასეთი ხელთათმანი ცოტა ხანი მოგემსახურება.

ხელები არ გაიყინება ანგორის (თივითვის) ხელთათმანებში. ასეთი თამამად შეარჩიეთ.

არ ღირს ისეთი ხელთათმანის შეძენა, რომლის სარჩული აკრილისაა. ასეთი ხელთათმანი ცივია.

გახსოვდეთ, ხელები თბილად იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზედა პირსა და სარჩულს შორის ცოტა თავისუფალი სივრცეა.

მხოლოდ საუკეთესო

კარგი ხელთათმანი არაერთი წელი მოგემსახურებათ, ამიტომ გულმოდგინედ შეარჩიეთ და ყოველ დეტალს დააკვირდით. ეს განსაკუთრებით ეხება ტყავის აქსესუარებს. მათ ხშირად ტყავის შემცველისგან ამზადებენ, რომელიც ისე გამოიყურება, როგორც ნატურალური. თუ ხელთათმანი ტყავისაა, უკანა მხრიდან მცირე ზომის ხაო ჩანს. ხელთათმანი ცოტა ხანი ხელში დაიჭირეთ. თუ ტყავი ნატურალურია, გათბება.

არ ღირს ტყავის ნაკუნებისგან დამზადებული აქსესუარების შეძენა. ხელთათმანი ხელზე მჭიდროდ არ ჯდება, ფორმას სწრაფად კარგავს ან საერთოდ ნაკერში ირღვევა.

აუცილებლად მოიზომეთ ორივე ხელთათმანი, ხელებზე კარგად უნდა მოგერგოთ. გახსოვდეთ, ხელთათმანი მხოლოდ სიგანეში იწელება. ასე რომ, თუ მოკლეა, სხვა წყვილი ეძებეთ.

დაბოლოს, თუ გრძელ ფრჩხილებს ატარებთ, ნაქსოვი ხელთათმანი არ შეიძინოთ, მალე ამოიღარება.

ცოტა დრო — ბევრი საქმა



ძალიან ხშირად საოჯახო საქმეების ვითარებას სტერეოტიპების ტყვეობაში ვექცევით: „ასეა მიღებული“, „დედამ ასე მასწავლა“ და არც კი ვფიქრობთ იმაზე, რომ ზედმეტ და უსარგებლო სამუშაოს ვასრულებთ. ამ პროცესის გამოსწორება შეიძლება, ხოლო ზოგიერთ საქმეზე ურალოდ, უზარმაზარად. შედეგად, თავისთვის და საყვარელი ადამიანისთვის დრო გამოგითავისუფლებათ.

1. სახლის დაცვა ზედმეტი გახვის გახე

ძირითადი წესი — ნუ ისარგებლეთ სტერეოტიპებით: თუ გენერალური დასუფთავებაა, მაშასადამე, უნდა განწმინდო, მტვერსასრუტი გაატარო, გარეცხო. განსაზღვრეთ, რა ხარისხის დაბინძურებაა თქვენს სახლში და მხოლოდ ყველაზე აუცილებელი შეასრულოთ.

არ ღირს მტვერსასრუტის გამოყენება იატაკზე, თუ მასზე ხალიჩა არ აფენია და არც მტვერი ჩანს. უბრალოდ, სველი იატაკის სანმენდი ჯოხით განწმინდეთ.

კედლებს, კარს მთლიანად ნუ გარეცხავთ. ეს საქმე შეასრულოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც აუცილებელია და მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც უსუფთაოა.

ყველა ზედაპირიდან მტვერის გადამწმენდით დაილალოთ? ამის გაკეთება დიდხანს მოგიწევთ, თუ თაროები სამშენისებითაა გადატენილი. ზედმეტი აიღეთ და მტვერისგან გასუფთავებაზე ორჯერ ნაკლები დრო დაგეხარჯებათ.

თუ მინის ჭურჭელი გატყდა, ყველაზე უმცირესი ნაწილებების ასაღებად საჭირო ადგილზე პლასტიკისი გადაატარეთ.

2. მომზადება სწრაფად

დროისა და ძალის ეკონომია ადვილად შეიძლება სამზარეულოშიც, როდესაც სადილს ამზადებთ, ჭურჭელს რეცხავთ.

ბულიონის ხარშვისას საჭირო არ არის ქაფის მოსახდელად გაზქურასთან იდგეთ. როდესაც ხორცი მოიხარშება, მზა ბულიონი გაწურეთ.

ნაშენისგან ქვების ძირისა და კედლების გახეხვა რომ არ დაგჭირდეთ, ქვაბი წინასწარ გაცხელოთ და გარედან საპონი წაუსვით. წარმოიქმნება გარეთა დამცავი ფენა, რომელიც მურს საშუალებას არ მისცემს, ქვების გარეთა კედლებს მიეკრას.

ბლინების ცომში 2 სუფრის კოვზი სახამებელი დაუმატეთ და ბლინები ტაფას არ მიეკვრება.

ლობოს ხარშვის დროს 1 ჩაის კოვზი შაქარი 1 ლიტრ წყალზე დაუმატეთ — ორჯერ უფრო სწრაფად მოიხარშება.

პატარა ემპაკობები

როდესაც სუპერმარკეტში მიდიხართ, სია წინასწარ შეადგინეთ. ამგვარად, არასაჭირო თაროებისკენ გზას ზედმეტად არ გააგრძელებთ.

დაივიწყეთ წინდების კემსვა. ის ბევრ დროს ნაგართმევთ. ფასდაკლების დროს რამდენიმე წყვილი შეიძინეთ და გახეული დაუნახებლად გადააგდეთ.

ნივთების დალაგებისას ისარგებლეთ მარტივი წესით: ყოველი საგანი უნდა იდოს განვადილი ხელის დაშორებაზე იმ ადგილიდან, საიდანაც მას ყველაზე ხშირად იღებენ.

გამოიყენეთ „გზადაგზა და ერთი ნუთის“ პრინციპი: ერთი ოთახიდან მეორეში გასვლისას, აიღეთ ის, რაც იქით უნდა გაიტანოთ, ხოლო რისი შესრულებაც ერთ ნუთში ან ნაკლებ დროში შეიძლება, მაშინვე გააკეთეთ.

თუ სამოსი ძლიერ მშრალია და არ უთოვდება, 20 წუთი საბაზანოში დაკიდეთ და ონკანი მოუშვით. როდესაც ჩამოხსნით, ადვილად გაუთოვდება.

თმის ჯაგრისს საპარსი ქაფი წაუსვით და 15 წუთი დატოვეთ. აქტიური ნივთიერებები თვითონ გააქვნიან ჭუჭყს და სავარცხელი ადვილად გაირეცხება.

✓ მოამზადე ახა გავოშობე

პარტოული ანაკლოზები



ოლიგახი მეგობახს ეუბნება:
- მაგახი გოგო გავიცანი, ცოლად მინდა მოვიყვანო, მაგხამ...
- ხა, მაგხამ?
- ის 23 წლისაა, მე 67-ის. ხომ ახ დავაფთხო, ხომ ახ ვუთხია, 57 წლის ვახ-მეთქი?
- ახა, ჰიიიიი, უთხა-ხი, ხომ 87 წლის ხაი!

ორი ნარკომანი ხვდება ერთმანეთს.

- გაიგე, სიმონ? თურმე ჩვენი ქეშელა აღარ იჩხირავს.
- შენ რა იცი?
- აგერ, გაზეუთია.
- არ დამრეზო, გაზეუთში წერია, ქეშელა აღარ იჩხირავსო?!

- არა, ნევროლოგია სურათით.

- ზაქროვ, ნუ სვამ ამოტოლა ლვინო, მოგკლამს, კაცო, მოგკლამს, რა! - ქოთქოთებს ცოლი.

ზაქრომ ცოლს ხელი დაავლო და სასაფლაოზე წაათრია:

- აგე, უყურე, დედაკაცო, ამ საფლავებსა: „ცოლისგანა“, „სიდერისგანა“, „სამსახურისგანა“... აბა, ერთი მაჩვენე რომელიმე საფლავი „ლვინისგანა“!

ქალმა თავის ორივე ვაჟს დიმიტრი დაარქვა.

- კი მაგრამ, როგორ არჩევ? - ეკითხება დაქალი.

- მამის სახელების მიხედვით.

- შეილო, სათევზაოდ მივდივარ. ნახე, რამდენი თევზი



ცოლი ქმახს ეუბნება:
- ძვიფასო, გაჩეთ საშინლად ყინავს, ახი გჩამი ახაყი გადაჯახი და ისე გადი, ხომ ახ გაიყინო.
- მოდი, საყვავილო, ციბიხში გადავხახდეო, - სთავაზობს გაოცებული ქმახი.

მოგიტანო, - ეტრაბახება მეთევზე შვილს.

- კარგი, რა, მამი, როდის იყო, შენ თევზაობიდან რამე მოგქონდა?! ყოველთვის შენ მოგიტანენ ხოლმე შენი ლოთი ძმაკაცები!

კაციჭამიებმა ცოლ-ქმარი ჩაიგდეს ხელში. შეხედა ბელადმა ჩასუქებულ ქალს და განხივიანებულ კაცს და ბრძანა:
- ქმარი გავაუპატიუ-

როთ, ცოლი მოგხარშოთ და შევჭამოთ.

- ეე, - აყვირდა ქალი, - აგერ ქალი ვარ და კაცს აუპატიურებთ, სადაური წესია?

- სადაური წესია და აქაური! - შესძახა ქმარმა და სასწრაფოდ შეუდგა გახდას, არ გადაიფიქრონო.

ექიმი გოგოს სინჯავს და ეუბნება:

- გათხოვილი ხართ?

- არა.

- ბოლო სქესობრივი კავშირი როდის გქონდათ?

- არ მქონია.

- ესე იგი ქალიშვილი ხართ?

- დიას... არა, ხო... თუმცა ერთხელ ხიდან ჩამოვვარდი, ტოტს გამოვედე და... ალბათ მაშინ დავკარგე ქალს...

- იცი რა, გოგონი? იმ შენს ტოტს გადაეცი, რომ ნ თვეში მამა გახდება.

პიპერმარკეტში ქმარმა ცოლი დაკარგა. დიდი ხნის ძებნის შემდეგ ერთი ქალი გააჩერა და ეკითხება:

- ქალბატონო, ასი დოლარი რომ გქონდეთ, რას შეიძენდით?

- პარფიუმერიას, - დაუფიქრებლად უპასუხა ქალმა.

- ესე იგი პარფიუმერიის განყოფილებაში აგდია. გმადლობთ, ქალბატონო!

- მამა, ფული მინდა, ცოლი მამყავს, - ეუბნება კახელს შვილი.

- მერე ფული რათ გინდა, ჯოჯო?

- ტრანსპორტისთვისა.

- ცყუილებ თავი დაანებე, ჯო! ეგე ურიკა, ეგე ჩვენი ჩოკინა, დავსი და მათორიე.

- რო ეწყინოს?

- ვისა, ჩოკინასა?

ექიმო, მესხიერება და გემოს შეგრძნება დავკარგე.

- აბა, ეს სითხე შესვით!

- ფუ, ეს ხომ შარდია, ექიმო!

- აი, იმოქმედა და გემოს შეგრძნება დაგიბრუნდა. ერთი კვირის შემდეგ:

- ექიმო, მესხიერებას არაფერი ეშველა.

- აბა, ეს სითხე დალიეთ.

- ფუ, ესეც ხომ შარდია!

- ესე იგი მესხიერებაც დაგიბრუნდა!



- აჯიგი, ნუ ტიხი, - ამშვიდებს ქმახი ცოლს, - ხომ გითხაი, შენ ახაფეხი შეაში ხაი. ჰხობდება ჩემშია, მე ახ მომწონს მსუქანი და უღამა-ზო ქალები.

გურული მანქანის საბუჩავს მიათრევს.

- რათ გინდა მაი პაკურიშვა, მაშინა შენ არ გაქ და, - ეუბნება მეზობელი.

- შე კაცო, შენი ცოლი ანტალიაში რომ წევიდა დასასვენებლად და ჩემ თვალწინ ორი ყუთი პრეზერვატივი იყიდა აფთიაქში, რავა ახლა, დევიჯერო, რომ პენისი აქ?!

რაჭველმა ოქროს თევზი დაიჭირა.

- გამიშვი და სამ სურვილს შეგისრულებ, - შეეხვეწა თევზი.

- კაი, ბოშო. ქვე პირველი სურვილი ის არის, რომ შენ მომიფიქრო დანარჩენი ორი სურვილი.



ახალმა ქაჩივებმა ოქროს თევზი დაიჭიხა და ეკითხება:
- სუხილს შემისხილებ, ხომ გაგიშვა?

- ხა გაჯილა? - ეთხვა შეუბუნა თევზმა.

- ახაფეხი, ყველაფეხი მაქვს.

- აბა, ხას მანვადებ, მე აყყო, შემწვი და შექამე!

სახლში მხუელი ქუთახელი ხედავს, მის შვილს ნინ გასაბეხი ქალი უნებს.

- ხაია, ბუჯო, ეგი?

- ეკითხება შვილს.

- ეგია ახლა ჩემი ცოლი, მამაჩემო.

მუხიე დღეს ბიჭი ხედავს: გაუშლია სუფხა მამამისს, ახაყს უხახუნებს, გვეხით ეი გასაბეხი ქალი უხის.

- ხას შობი, მამაჩემო, აქანა?

- ვეხ ხედავ? ხიდას ვუბახებუბი. ნამეტანი განათლებული ქალი ყოფილა.



შეკრიბა მურმან მერკვილიშვილმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატები

კომისრის ქუდი

დასაწყისი №5

ბიფერლის კაბინეტში რამდენიმე პირი შეკრებილიყო, თავად ის ისე იფხორებოდა, საცაა, გასკდებოდა. ექიმისადმი განსაკუთრებულად თავაზიანი იყო, რამაც გრისბულს აფიქრებინა, ღვიძლი თუ ელენთა ალბათ ჯერ არ მოუწრჩაო.

მეზობელი ოთახიდან საბეჭდი მანქანის იშვიათი კაკუნი ისმოდა — როგორც ჩანს, დამწყები მბეჭდავი გაუხედნავი თითებით ცოდვილობდა.

პროგრამა გროლმა განსაზღვრა.

— მე დანაშაულის ადგილს დავათვალიერებ, — თქვა მან და მეტცენდორფერს მიუბრუნდა, — იქნებ ეს თქვენც გჭირდებათ?

ამ უკანასკნელმა ისე დააქნია თავი, თითქოს ორჭოფობსო.

— მერე მანქანა? — დასცდა გრისბულს.

— მე ფეხით წავალ, — თქვა გროლმა, რაც მეტცენდორფისათვისაც იგივეს ნიშნავდა, — ცოტა გასეირნება არ მანყენს. თქვენ კი, ბატონო გრისბულ, დავითხვის ოქმი შეადგინეთ, თან დანვრილებით, თუ შეიძლება, — ბოლოს ის ბიფერლის შეეკითხა, — კოლეგა, იქნებ თქვენი მბეჭდავი დაგვახმაროთ?

ბიფერლი მაშინვე მეზობელი ოთახის კართან გაჩნდა, გამოალო და გასძახა:

— მალმან, თქვენ ოქმის დაბეჭდვა გევალებათ!

გამხდარმა ახალგაზრდამ საბეჭდი მანქანა შემოიტანა, კედელთან, პატარა მაგიდაზე დადგა და თავადაც მორჩილად მიუჯდა.

გროლმა სომბრერო შეისწორა, კარისკენ გააბიჯა და მეტცენდორფერს უთხრა:

— გთხოვთ, ბატონო ადვოკატო.

უკვე ზღურბლზე, პასუსს არ დალოდებია, ისე შეეკითხა ასისტენტს:

— სად არის თქვენი სიურპრიზები, გრისბულ?

ასისტენტი სახტად დარჩა.

მალმანი მას შესცქეროდა და ელოდა, რას იტყოდა. დანარჩენები ფეხზე იდგნენ და ასევე ელოდნენ, რა მოხდებოდა.

— ბატონებო, გთხოვთ, დასხდეთ, — თქვა გრისბულმა ბოლოს.

როცა ყველა მოთავსდა, ასისტენტმა თავის მოვლილ ფრჩხილებზე დაიხედა, მერე თავი ასწია და მხერა დოქტორ მარანზე შეაჩერა:

— ბატონო დოქტორო, გუშინ საღამოს ან გუშინ ღამით პოლიციის ამ განყოფილებაში არ დაგირეკავთ?

— აკი ვუთხარი კომისარს, არა-მეთქი, — ნერვულად მიუტო მარანმა.

— იქნებ ეს ანგარიშშიცემლად გააკეთეთ, ისე, რომ არ გინდოდათ, ან იქნებ იმიტომ, ბატონი ბიფერლი რომ თქვენი პაციენტია? როცა ადამიანი ღელავს, არაარსებითი დეტალები ადვილად ავიწყდება.

— მე არაფერი მავიწყდება, — უხალისოდ მიუტო მარანმა, — ყველაფერს ისე ვხედავ, თითქოს კინოში ვიყო.

— არადა, ეს საკმაოდ არსებითი იქნებოდა, — ჩაურთო ბიფერლიმ.

— ბატონო ინსპექტორო, — მკაფიოდ წარმოთქვა გრისბულმა, თან ისე, ბიფერლისთვის არც შეუხედავს, — დავითხვას, თქვენი ნებართვით, მე ვანარმოებ და თუ რამე კითხვა დამეხება, აუცილებლად დავსვამ.

ეს შენიშვნა ბიფერლიმ უხმოდ გადაყლაპა, მაგრამ სახეზე შეეტყო, რომ ძალიან გაბრაზდა.

— ბატონო დოქტორო, მერე თქვენი მეუღლე? იქნებ მან დარეკა? — ჩააცვივდა ასისტენტი.

— არა, — მიუტო მარანმა, — მან მხოლოდ ადვოკატს შეატყობინა, ისიც ჩემი ნების საწინააღმდეგოდ.

— იქნებ სხვა ვილაცას სთხოვა, რომ აქ დაერეკა?

— არა, არა. გავიგონებდი. იმ ოთახიდან, სადაც ტელეფონი დგას, წამითაც არ გავსულვარ.

— თანაც ეს კაცის ხმა იყო! — ისევე ჩაურთო ბიფერლი.

— ბატონო ინსპექტორო, — გრისბულის სიტყვები გაფრთხილებას ჰგავდა, რასაც ჯერ პაუზა მოჰყვა, მერე კი პირდაპირ ინსპექტორისთვის დასმული კითხვა, — იმ ადამიანის მოსმენა თუ შეიძლება, ვინც მაშინ ზარს უპასუხა?

— ეს მე ვიყავი! — მოულოდნელად განაცხადა მბეჭდავმა ახალგაზრდამ.

— ჰოდა, მოგიყევით, რა როგორ მოხდა.

— იმ ღამით მე ვმორიგეობდი, — დანიყო მალმანმა, — ასეთ დროს ფაქტობრივად განსაკუთრებული არაფერი ხდება, თუ, ვთქვათ, აქ რომელიმე ლოთი არ შემოეხეტა. ჩანაწერების წიგნი ჩემ წინ იდო, თავად კი გაზეთს ვკითხოლობდი. დაახლოებით თერთმეტზე ტელეფონმა დარეკა. როგორც ბატონმა ინსპექტორმა აღნიშნა, მამაკაცი ლაპარაკობდა. მან თქვა: „მისმინე, მეგობარო! ტრაპაუშტარისას უკან მდებარე ავარაკუე კაცს ესროლეს და მოკლეს. ცხედარი მოსახდენია“ და ყურმილი დაიკვია. მისი ნათქვამი წიგნი ჩავინერე და შემიძლია ნაკვივითხო.

კომისრის ასისტენტმა თავი გააქნია:

— არაა საჭირო. ის მაინც თუ დადაგინეთ, საიდან რეკავდნენ?

— როგორ დავადგენდით, როცა ყველაფერი უეცრად მოხდა? — კითხვა შეუბრუნა მბეჭდავმა.

— კარგი, — თქვა გრისბულმა და მარანს მიუბრუნდა: — როგორც ჩანს, გითვალთვალებდნენ.

— არა მგონია, — მხრები აიჩეჩა დოქტორმა, — ვინმე რომ ყოფილიყო, გასროლამდეც და მერეც იქაურობა ისე ყურადღებით მოვათვალიერებ, აუცილებლად შევამჩნევდი.

— ასეთი ყურადღებანი თუ ხართ, იქნებ გვითხრაო, თქვენი რევოლვერი რა იქნა? როგორც კომისრისგან შევიტყვე, როცა შინ დაბრუნდით, ის უკვე აღარ გქონდათ.

— იცით, ნამდვილად ვერ ვისხენებ. დამიჯერეთ!

დოქტორის დავითხვა არც ისე დიდხანს გაგრძელებულა. მალმონმა მისი ოქმი გრისბულს გაუწოდა. ის იყო, ასისტენტმა ტექსტი თითქმის ჩაიკითხა, რომ კარი გაიღო და ოთახში ფეხაკრეფით ვილაც თანამშრომელი შემოვიდა. ის ბიფერლისთან მივიდა, რალაცა ფურცელი გაუწოდა და სწრაფად გავიდა ოთახიდან. ინსპექტორმა ფურცელს დახედა, სახე შეეჭმუნა და შესძახა:

— ჯანდაბას!

შემდეგ, ოდნავ დაბნეულმა, ისეთი სახით შეხედა გრისბულს, თითქოს მისგან ელისო შევლას...

კომისარი უკვე აგარაკის სხვა ოთახებს ათვალიერებდა, ზეპმეტცენდორფერი კი ისევ ზღურბლზე იდგა და ბრუმერუსის ცხედარს დასცქეროდა. მოკლული სანერი მაგიდის წინ მარჯვენა გვერდზე იწვა, მარცხენა საფეთქელზე კი სისხლის წითელი ლაქა მოუჩანდა.

ზეპმა თაღლები დახუჭა და წარმოიდგინა, როგორ დაფუსფუსებდა ცოცხალი ბრუმერუსის ირგვლივ მარგიტ მარანი, როგორ ევლებოდა თავს, როგორ უმზადებდა ჩაიროს... ეს ყველაფერი ზეპის მეგობრის ვალტერის საქციელს თითქოს ამართლებდა, თუმცა არა... ადვოკატს ახლა ბიბლიის ათი მცნება გაახსენდა, მათ შორის კი ის, რომელიც ღალადდება: „არა კაც ჰკლა“.

მეტცენდორფერი ერთგვარ გაორებას გრძნობდა — თან ვალტერის საქციელს ამართლებდა, თან ბიბლიური მცნებისაც სჯეროდა, თუმცა მასში ეს უკანასკნელი უფრო მძლავრობდა.

ანახლად მხარზე ხელის შეხება იგრძნო, რასაც კომისრის ბოხი ხმაც მოჰყვა:

— ბატონო ადვოკატო, ვხედავ, ჩაფიქრებულხართ. იქნებ ოთახში შევიდეთ და დავსხდეთ, ჰა?

— ჰო... რა თქმა უნდა... — გამოერკვა მეტცენდორფერი და ოთახში შეაბიჯა.

გროლი მაგიდას მიუჯდა, ზეპი მის მარჯვნივ მდგარ სკამზე მოკალათდა, სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა.

— აბა, რისი თქმა შეგიძლიათ?

— რა უნდა ვთქვა? — მიუტო ადვოკატმა, — კაცი ნამდვილად მკვდარია, მკვლელები კი ჩემი მეგობარი ვალტერია. მისი დაცვა არც ისე ადვილი იქნება.

— გეთანხმებით, — შენიშნა კომისარმა, მერე კი დაამატა: — ნახეთ, ბრუმერუსის მაგიდის გადასაშლელ კალენდარში რა წერია!

— რა? — უხალისოდ გაემასხუა ადვოკატი.

— მმ, — მიუტო გროლმა, — მგონი, მარგიტ მარანს უნდა ნიშნავდეს.

— შესაძლებელია, — მოიღუშა მეტცენდორფერი.

— თან მხოლოდ ერთგან კი არა, რამდენიმე ფურცელზე, რაც ადასტურებს, რომ...

— ვიცით, ვიცით, რაც უნდა თქვათ, — გაანყვებინა ადვოკატმა, — საფიქრალი ისედაც ზევრი მაქვს, თქვენ კი...

— მაშინ ადვილად და გარეთ გავისეირნოთ, — შესთავაზა კომისარმა

და ფეხზე წამოდგა, — იქნებ საინტერესოს გადავწყვიდეთ რამეს.
— კი, ბატონო, — ადვოკატი სკამიდან წამოიზღაზნა, — რაკი ასე გადაწყვიტეთ...

ინსპექტორის რეაქცია გრისბულს მხედველობიდან არ გამოჩენია:
— რა ხდება, ინსპექტორო? ასეთი რა გაიგებთ?
ბიფერლიმ უხმოვ დაუწოდო ქალაქი გრისბულს. ამ უკანასკნელმა ის რამდენჯერმე წაიკითხა, თითქოს ვერ იჯერებდეს, მერე კი თავი ასწია და შესძახა:
— არა, არა! ეს წარმოუდგენელია!
— ახლა რა ვქნათ? — შეეკითხა ბიფერლი.
— ახლავ ბერნეკში მივდივარ! ადგილზე გავარკვევთ ყველაფერს!
— ბრძანა კომისრის ასისტენტმა, ქალაქი ორად მოკეცა და ჯიბეში ჩაიღო.

ახალგაზრდა მბეჭდავი მაშინვე ფეხზე წამოდგა.
— თქვენ — არა, — მიმართა მას გრისბულმა,
— აქაც ხომ უნდა დარჩეს ვინმე?
ყმანვილმა ნაწყენი სახე მიიღო და თავის საბეჭდოინად მეორე ოთახში გავიდა.
— მეც წამოვიდე? — იკითხა დოქტორმა.
— რასაკვირველია, — მიუგო გრისბულმა, — მესმის, რომ არ გსიამოვნებთ, მაგრამ ეს აუცილებელია.

ის იყო, პოლიციის კომისარი და ადვოკატი გარაუს მიადგინ, რომ უკნიდან ნაბიჯების ხმა მოესმათ და შემოტრიალდნენ.
— ააა, მოხვედით? — თქვა გროლმა მათ დანახვებზე, — კარგია, მოკლულის გარაუს ერთად დავათვალიერებთ.

— ბოქლომი ადევს, — შენიშნა ბიფერლიმ.
— ეგ არაფერი, — მიუგო კომისარმა, — თან რკინის კეტი მაქვს და იმით გავტყუებავთ.
ასეც მოიქცა: კეტი ბოქლომს გაუყარა, ღონივრად გადატრიალა და გატყუა.
— აბა, ვნახოთ, შიგ რა ხდება, — თქვა და კარი გამოაღო... — მანქანა? სადაა მანქანა?
გარაუი ცარიელი იყო!
კომისარი შემოტრიალდა და პირებდაფენილი ოთხეულიდან თავის ასისტენტს მიმართა:
— გრისბულ! ესეც თქვენი სიურპრიზი! იქნებ აგვისნათ, რა ხდება? ბრუმერუსი ხომ მანქანით უნდა ჩამოსულიყო თუ მატარებლით? ან სულაც ვერტმფრენით?

— არა, არა, — მიუგო ასისტენტმა, ჯიბიდან ქალაქი ამოიღო და შეფს გაუწოდა, — ეს კაცი აქ საერთოდ არ ჩამოსულა!
— როგორ? — თვალები დაჭყიტა ყველამ, გრისბულისა და ბიფერლის გარდა.
— წაიკითხეთ და გაიგებთ. დეპეშაა, — ახსნა გრისბულმა.
კომისარი კითხვას შეუდგა:
„კურორტი ბერნეკი.
ადგილობრივ სამძებრო პოლიციას.
კატეგორიულად ვაპროტესტებ თქვენგან წამოსულ ყალბ ინფორმაციას, რომელიც პრესაში დაიბეჭდა. ცოცხალი ვარ და ჯანმრთელი. უახლოეს ხანში ბერნეკში ვიქნები.
რისხარდ ბრუმერუსი“.

— რა სისულელია! — შესძახა კომისარმა.
ისინი, ხუთივე, გაოგნებულნი იდგნენ და აღარ იცოდნენ, რა ეფიქრათ ან რა ეთქვათ.
— შეიძლება ეს დეზორიენტაციის განზრახ მცდელობა იყო, — თქვა ბოლოს მეთცენდორფერმა.
გრისბულმა ისე შეხედა მას, როგორც შემლილს, ადვოკატმა კი განაგრძო:
— მაგრამ, თუ ეს დეპეშა ნამდვილია, გამოდის, რომ... — ის გაჩუმდა და მარანს შეხედა.
— ჰო, — დაეთანხმა გროლი, — მაშინ... — და მანაც მარანს შეხედა.
— ასე თუ ისე, სახლში უნდა შევიდეთ, — დაასკვნა გრისბულმა.
— აუცილებლად, — აპყვენ დანარჩენებიც და ერთად მიაშურეს სახლს.

ითახში, სადაც მოკლული იყო, პირველი გროლი შევიდა. მან გვამს სახეზე დაფარებული ტილო ააძრო და დანარჩენებსაც უხმო.
ყველა მარანს მიაჩერდა, ეს უკანასკნელი კი, ცხედარს რომ დახედა, სწრაფად შეტრიალდა, ხელები სახეზე აიფარა და ქალივით აბლუქუნდა.
— დოქტორო, — მშვიდად მიმართა მას კომისარმა, — იცნობთ მოკლულს?
ზღუქუნის ფონზე ყრუდ მოისმა:
— არა...

ეაგიდას, რომელსაც კომისარი და მისი ასისტენტი უხსდნენ, ოფიციალტი მიუახლოვდა:
— ბატონო გროლი, ტელეფონთან გთხოვენ.
— ახლავ, — მოხუცი წამოდგა და ოფიციალტს გაჰყვა.
მალე აღელვებული დაბრუნდა უკან:
— განყოფილებიდან ბიფერლიმ დარეკა! ბრუმერუსი ჩამოსულა!
— მართლა? — გრისბული სკამიდან წამოხტა, — მაშინ წავედით! რაღას ვუცდით?
— დანახარჯი გადახდილია, ასე რომ, წინ, გრისბულ, წინ!

ბუხართან მიყუთული მარანი მწარე ფიქრებს წაელო, მარგიტი და ზეპი კი მოშორებით ისხდნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ.
— ბრუმერუსი რომ გუშინ აქ ყოფილიყო, აუცილებლად შემატყობინებდა, ანუ თუ სასწრაფოდ გამგზავრებას დააპირებდა. ეს ხომ არაერთხელ მომხდარა, — თქვა მარგიტამ.
— მართლა? მომხდარა?
— რა თქმა უნდა. მოულოდნელად წავიდოდა ხოლმე საქმიან თათბირებზე და ხშირად მათ გამოვერ ბრუნდებოდა, — ქალმა ხმას დაუნია, — ახლა ვხვდები, მისი საქმიანობის შესახებ რომ საერთოდ არაფერი ვიცოდი. ისე, ძალიან გადაღლილი ბრუნდებოდა, თუმცა არ იმჩნევდა. თან უზარმაზარი სატელეფონო გადასახადები უგროვდებოდა... მგონი, არქიტექტორი იყო და სამშენებლო საქმეშიც კარგად ერკვეოდა.

— მაშინ თავისი ვილა თავად რატომ არ ააშენა?
— ეს წვრილმან საქმედ მიაჩნდა. უფრო დიდებს ეჭიდებოდა...
— იმ ტიპს... აი, მოკლულს... ნეტა თუ იცნობდა?
— არა მგონია, — მხრები აიჩეჩა მარგიტმა, — ჩემი აზრით, ის მძარცველი იყო ან ვიღაც მაგის მსგავსი.
უეცრად ვალტერმა არაბუნებრივად წვრილი ხმით შესძახა:
— შენ ხომ შეხვედრად ადგინიშნა და როგორ არ დაგხვდებოდა და თუ შენ ნახვიდოდი და ის უცნობი დაგხვდებოდა... — ის მკვეთრად დაიხარა, თავი გააქან-გამოაქანა და კბილებშია გამოცრა: — არა, არა, ამას ვერ ვიტყვი!..

მარგიტი მაშინვე მასთან გაჩნდა და დამშვიდება დაუწყო, ადვოკატმა კი გაიფიქრა: „ღმერთო! ნუთუ აქ არანაირი კავშირია? ან ნებისმიერი კავშირი შესაძლებელია?“
კომისარმა ასისტენტის დანჯღრეული მანქანა არ იკადრა და ისინი პოლიციის განყოფილებისკენ ფეხით გაუდგნენ გზას. თავიდან ჩუმად იყვნენ, მერე კი გროლმა თქვა:
— გრისბულ, იმ ტიპთან რომ ვიქნებით, თქვენ კრინტსაც არ დაძრავთ!

— მართლა! მამ რისთვის მოვდივარ?
— იმ კაცთან ფრთხილი, დელიკატური ლაპარაკი გვინდა, თქვენ კი თავშეუკავებელი ხართ და ეს თავდაც იცით!
— ეს ფაქტი ისევე ძველია, როგორც თქვენი სომბრერო! — ღვარძლიანად ისროლა ასისტენტმა.
— ჩემი ქუდი, თქვენ რომ სომბრეროს ეძახით, იმაზე მეტი ღირს, ვიდრე ზოგიერთი დღევანდელი ახალგაზრდა! — არ ჩამორჩა კომისარი.
— აბა რა! უახლესი მოდელია!

გროლმა გაბრაზებით შეხედა გრისბულს, თუმცა მაშინვე მიხვდა, რომ მისი ნათქვამი სომბრეროს კი არა, იმ ლიმუზინ „ბოგვარდ იზაბელის“ ეხებოდა, რომელიც პოლიციის შენობასთან იდგა და აშკარად ბრუმერუსს ეკუთვნოდა...



გაბრაძიანა ზიხვან ნომირში

✓ თარგანა გურამ ხნეტიანა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი



— ჭია, ჭია, მაპოვინინე, მე შენ დედას გაპოვინინებ, — მთელი დღე გულსაბნევს ეძებს, გულზეც დაიხედა, „ჭრიჭინაში“ რომაა, ისე, მაგრამ ამოოდ. გაქრა გულსაბნევი — თეთრი ვერცხლის, წითელი, მარჯნისფრთებიანი ჭიამაია. სად დაკარგა, სად წაიღო, სარეცხ მანქანაშიც შეიხედა, წინა დღეს შეგდებულ ჟაკეტში ამოატრიალა, შეხედა, კარგად დაათვალიერა. არ არის. არადა აშკარად სახლში ჰქონდა. კიდევ კარგი, შაკო ოტელის სულაც არ ჰგავს, თორემ მაშინვე ჰკითხავდა:

— სოფიო! სად არის ჩემი ნაჩუქარი გულსაბნევი?! — ხმა დაიბოხა და პათეტიკურად წამოისროლა სოფომ.

ჰმ, ეგ რომ იცოდეს, ახლა სავარძლის ქვეშ ხომ არ იქნება შემძვრალი. რა გულით აჩუქეს და ამან უკვე მიაკარგა. ნეტავ ეს ჩვევა არ ჰქონდეს, თითქმის ყველაფერს კარგავს ან ისეთ ადგილზე დებს, მერე კარგახანს უნდება ძებნას, ან იპოვის, ან ვერა. კაცმა რომ თქვას, სულაც არ უკვირს ეს ამბავი, მიჩვეულია. ბავშვობიდან ასე იყო. კარგავდა ცხვირსახოცებს, კალმებს, საყურეს, სამაჯურს, საფულეს, ქუდებს, ხელთათმანებს...

— თავი როგორ არ გეკარგება, თავი! — უბრაზდებოდა დედა.

— მაგასაც დაკარგავდა, მიბმული რომ არ ჰქონდეს, — უხსნიდა დედას უფროსი და.

ეს კი, სოფო, ხმამალლა უმტიციცებდა, რომ ნივთებს კი არ კარგავდა, ისინი თავად იკარგებოდნენ ან გაუბოძდნენ და ემალებოდნენ. ხშირად იყო, რომ დაკარგულ ნივთს თვეების მერე სრულიად შეუსაბამო ადგილზე აღმოაჩენდა, მაგალითად, საფულეს — სამზარეულოს კარადის ქვედა უჯრაში, სამაჯურს — ჩანთის გახეულ სარჩულში...

ერთხელ წიგნების თაროს უკან სკოლის მეგობრობის დღიური იპოვა, არადა უკვე ინსტიტუტს ამთავრებდა. თავის დროზე კი მთელი სახლი სარჩულივით გადააბრუნა ამ დღიურის გამო.

— ორ ბატს ვერ ანდობ ამ გოგოს, — ამბობდა მამა.

— ვის ჰგავს ნეტავ ასეთი დაბნეული? — აშკარად მამის ნათესაებისკენ ისროდა კენჭებს დედა.

— იმას ვფიქრობ, დაგვრჩება ბავშვი გაუთხოვარი, — აგრძელებდა მამა, — ვინ შეიყვარებს ასე დაბნეულს?

როგორც ჩანს, მამა სულ ტყუილად წუხდა. სწორედ ეს დაბნეული სოფო შეიყვარეს და მერე როგორ! თანაც შაკომ შეყვარებულის სტატუსთან ერთად სიამოვნებით შეითავსა დაკარგული ნივთების ბიუროს ფუნქცია. სოფოს გაბნეულ ნივთებს აგროვებდა, აგროვებდა და მერე ერთად უბრუნებდა, ლამაზად შეფუთულს,



ლეა ხახშირია

დაბნეული

როგორც ახალ საჩუქარს. არა, ახალსაც ჩუქნიდა, თანაც არცთუ ისე იშვიათად, ამიტომ იყო, სოფოს ერთი სული ჰქონდა ხოლმე, შესაფუთი ქალაქი გაეხსნა, ენახა, რა დახვედრად შიგნით, თავისი ნივთები თუ ახალი საჩუქარი.

აი, ცოტა ხნის წინაც ისეთი ლამაზი გულსაბნევი აჩუქა, სოფომ მაშინვე დაიმაგრა კაბაზე, მაგრამ რა? კაბა თავის ადგილზეა, გულსაბნევი არ ჩანს.

„ალბათ ესეც შაკოს მანქანაში დამივარდა“, — ჩაიქნია ხელი და იატაკიდან წამოდგა, მერე გული დაიმშვიდა: „შაკო მაინც დამიბრუნებს უკან. მაინც რა გაეჩნდი ასეთი დაბნეული!“. გენტიკური დაბნეულობა ნამდვილად არ არის, წინაპრებში დაბნეული არავინ ჰყოლია. ესე იგი, აშკარად შეძენილია. „ნეტავ როდის შევიძინე ან ეს რა შესაძენი იყო!“.

სოფომ მუხლებთან დასვრილი შარვალი ჩამოიფერთხა და გაბქურაზე ჩაიდანა შემოდგა ჩაისთვის.

„ახლა ეს გულსაბნევი მოხუცებულობისას რომ ვიპოვო, — შემოიდო თავზე ხელი, თვლები მოჭუტა, — აი, მაგალითად, ჩემი და შაკოს ოქროს ქორწილის დროს. ისე, დროული იქნება, კოფთაზე დავიმაგრებ და აჩეჩიფიდებ: გახსოვს, ბიჭო, ეს გულ-

საბნევი რომ მომიტანე? შაკოც დახედავს და გული აუჩუყდება. მოხუცებს ხომ გული უჩუყდებათ ყველაფერზე. მოიცა და, სკლეროზი რომ მქონდეს მაგ დროს და თავად ვერ გავისწერო ვერაფერი? რა სისულელეებს ვფიქრობ!“ — თავი გადააქნია.

ზზზზ — ფუტკრებივით აიშალნენ ფიქრები და გაფრინდნენ. როგორც ჩანს, ინასთან შეფრინდნენ აივნიდან და ახლა იმას დაესივნენ, რადგან ცოტა ხანში ინამ კარზე მიუკაკუნა და შემოსვლისთანავე დაიწყო:

— ვაიმე, გეუბნები სკლეროზი მაქვს, აი, ნამდვილი სკლეროზი.

— რა გჭირს? — თავისი სკლეროზი დაავიწყდა სოფოს.

— კარგი არაფერი, — გაეცინა ინას, — ქალს რომ პაემანზე წასვლა დაავიწყდება, არც ისე კარგად აქვს საქმე, ხომ?

— პაემანზე? — სოფოს ახლა ისიც დაავიწყდა, გულსაბნევს რომ ეძებდა, — პაემანზე დადიხარ და მე ახლა ვიგებ მაგ ამბავს?!

— ბევრი არაფერი, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, — გაეცინა ინას, — თორემ შენ მაგ ამბავს როგორ დაგიმალავდი.

— დაჯექი და მომიყვივი ახლავე, — ბრძანება გასცა სოფომ.

— რა უნდა მოვეყვი, — ინამ სოფოს ბრძანება შეასრულა, სავარძელში ჩაჯდა, — გავიცანი, გამიცნო, გუშინწინ შეეხვდი, შემხვდა. მომეწონა, მოვეწონე. გულსაბნევიც კი მარჩუქა, ნახე, — ინუკამ მკერდზე დაიხედა, გულსაბნევს წაავლო ხელი.

— ვაიმე, ჩემი გულსაბნევი! — წამოიძახა სოფომ. კი, ნამდვილად ის იყო, თეთრი ვერცხლის, მარჯნისფრთიანი ჭიამაია, — ამას ვეძებ მთელი დღეა.

ინამ გაოცებით შეხედა:

— რა შენი გულსაბნევი?!

— შაკომ რომ მარჩუქა, — აუხსნა სოფომ.

— შენ კი არა, მე მარჩუქა, — აშკარად გამომწვევად უთხრა ინამ.

— ვინ გაჩუქა? — საბოლოოდ დაიბნა სოფო.

— შაკომ. შაკომ მარჩუქა ეს გულსაბნევი, თეთრი ვერცხლის, მარჯნისფრთიანი ჭიამაია.

— მეხუმრები? — ხავსს მოეჭიდა სოფო.

— სულაც არა, შემძილია დავიფიცო, — მშვიდად უთხრა ინამ.

ზზზ — ისევ აზუზუნდნენ ფუტკრები სოფოს თავში, ახლა უფრო ხმამალლა, უფრო მეტი — ათი სკა ერთად.

კი, მაგრამ როდის აჩუქა? რატომ აჩუქა? გამოდის, გულსაბნევი სულაც არ დაუკარგავს. ან მართლა შაკოს მანქანაში დაუვარდა, ის კი ადგა და ინას აჩუქა. მოიცა, საერთოდ რა შუაშია ინა შაკოსთან? რა



დაუჯერებელი ამბავია! სერიალშია თუ რეალურ ცხოვრებაში?

წამში სინათლის სიჩქარით დაისვა შეკითხვები გონებაში. ის კი, ინა, მშვიდად იჯდა და სოფოს რეაქციას ელოდებოდა. მოიცა, რა გამოდის, შაკო ინასაც ხვდება?! სოფოს სული შეეხუთა, დაცხა, მერე უფრო დაცხა, მერე უფრო...

— ვაიმი, რა გეშველება? — სწორედ იმ დროს, ადულებას რომ აპირებდა, გაუცინა ინამ, — რა სახე გაქვს, დანყნარდი. იმ ტიპსაც შაკო ჰქვია.

— ვინ ტიპს? — ისევ დაიბნა სოფო.

— სოფ, ვინც ეს გულსაბნევი მაჩუქა, შაკო ჰქვია, მაგრამ ეს შენი შაკო არაა, გაიგე? უბრალოდ რალაცემები დაემთხვა ერთმანეთს. სულ ესაა, — სიცილით აუხსნა ინამ, — მართლა რა დამთხვევაა, არა? ჯერ ის, რომ იმ ტიპს, ვისაც ვხვდები, სწორედ ის სახელი ჰქვია, რაც იმ ტიპს, ვისაც ჩემი მეზობელ-მეგობარი ხვდება და მეორეც, ორივემ ერთნაირი ჭიამაია გაჩუქა. ნეტავ ხომ არ ძმაკაცობენ კიდევ, ერთი უნდა ვკითხო.

— მოგკლავ! — სკამზე დაეშვა სოფო.

— კარგი, რა, — შენუხდა ინა, — იმდენად კარგად დაემთხვა ყველაფერი ერთმანეთს, თამაშის შანსი ხელიდან ვერ გაუშვი. მართლა ასეთი გულსაბნევი გაჩუქა შენმა შაკომაც?

— ზუსტად ასეთი, — თავი დაუქნია სოფომ, — რა არ ვიფიქრე.

ფიქრით კი მართლაც ბევრი რამ იფიქრა: რომ შაკო ინასაც ხვდებოდა, რომ სოფოზე ნაჩუქარი გულსაბნევი თავის მანქანაში იპოვა და მერე ინას აჩუქა, რომ უკვე მოზებურდა ეს დაბნეული გოგო... ინა კი... მინაზე მყარად დგას, სოფოსავით ცაში კი არ იყურება.

— რა იფიქრე, გოგო, ნუ გამაგიჟე! — გამოაფხიზლა ინას ხმამ, — შენ შაკოსთან მე რა მესაქმება, არ გრცხვევინა? ხუმრობა არ იცი?

მერე წამოდგა, გაუღიმა:

— წავედი ახლა, ერთ საათში პაემანზე მივდივარ, კიდევ კარგი, გამახსენდა, ოღონდ შენს შაკოსთან — ნამდვილად არა. რა ჩემი ბრალია, ამ ტიპსაც თუ შაკო ჰქვია?

სოფოს გულსაბნევის ძებნა აღარ გაუგრძელებია. ეჭვი ჯერ ტვინის ერთ უჯრედში გაკრთა, მერე — ორში, მერე მთელი სხეული აუჯსო, გაღვივდა, გადმოვიდა, ოთახიც აავსო...

„კი მაგრამ, ასეთი დამთხვევები? დაუჯერებელია!“ — არ უნდოდა, მაგრამ თავისთავად გაეფიქრა სოფოს, ეს ფიქრი ვეღარ მოიშორა. იმის დაჯერება უფრო ადვილია, რომ ინამ სპეციალურად გაითამაშა ეს სცენა. მიახვედრა სოფო, აგრძობინა, რომ შაკოს ხვდებოდა. ტყუილად არ ფიქრობდა წელან ოტელოსა და დებუდემონაზე, ოღონდ ახლა ოტელოს როლში თავად იყო, ეჭვს ვეღარაფერი მოუხერხა, ბევრი აღარ უფიქრია, შაკოს გადაურეკა.

— რას შვრები? — ეცადა, ჩვეულებრივი ხმა ჰქონოდა.

— შეხვედრაზე ვარ, სოფ, — უთხრა შაკომ, — გადმოგირეკავ, კარგი?

— და როდის იყო, შეხვედრიდან ვერ მელაპარაკებოდი? — ეწყინა სოფოს.

— ნუ იბუტები, — გაეცინა შაკოს, —

ხომ იცი, არ მიყვარს, როცა იბუტები.

— ესე იგი, დღეს ვერ მნახავ?

— დღეს ვერა, სოფ, — უთხრა შაკომ,

— ისეთი საქმეები მაქვს, შანსი არაა. გვიანობამდე ოფისში ვარ და მერეც შესვდრავზე მივდივარ.

— რა შესვდრავზე? — სოფოს ინას პაემანი გაახსენდა. გაახსენდა კი არა, როგორც ჩანს, ქვეცნობიერად სულ ამაზე ფიქრობდა.

— კარგი, რა, სოფ, — ჩურჩულზე გადავიდა შაკო, — ახლა ვერ გელაპარაკები, მერე მოგიყვები.

— შეგიძლია, საერთოდ არ მომიყვე არაფერი! — მოულოდნელად გაბრაზდა სოფო, მობილური გათიშა, სავარძელზე მთელი ძალით მიადგო.

რა უცნაურია, ყველაფერი ერთ ნუთში შეიცვალა. მშვიდი, ნათელი ფერები, შაკოს გაცნობის მერე რომ აავსო სოფო, გაიდლაბნა, გარუხდა, თითქოს აკვარელის რუხი საღებავი ჩამოუსვეს მზიან ნახატს.

ნამდვილად ინას ხვდება, ნამდვილად! კი მაგრამ, როდის მოასწრეს ასე დაახლოვება, იქნებ თავიდანვე, როცა სოფომ ერთმანეთი გააცნო? შტერია, ნამდვილად ბოიყვი! საერთოდ, რატომ მოუვიდა აზრად ინასთვის შაკო გაეცნო? მოვიდა ხელი და დიდი ამბით მიიყვანა პირველივე — არა, მაგრამ მეორე უპაემანზე.

— ეს ინაა, ჩემი მეგობარი და შეთავსებით მეზობელი, — უთხრა შაკოს.

რა კარგად გაუგეს ერთმანეთს, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ. როგორ არ შეეპარა მაშინვე ეჭვი? ან იმის მერეც, რამდენჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. მერე კი, ეტყობა, ყველაფერი სოფოსგან დამოუკიდებლად მოხდა, აბა, სოფოს ხომ არ გაუმხელდნენ, ერთმანეთს ვხვდებით და შენ უკვე ზედმეტი ხარო?! პრინციპში, სწორედ ეს აგრძობინა დღეს ინამ, შეაპარა, იქნებ სპეციალურადაც უთხრა? კი, ნამდვილად სპეციალურად უთხრა!

ყველაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ ამას ვერა, ინა, მისი საუკეთესო მეგობარი და ამ დროს... რამდენი წელია იცნობს. აქ რომ გადმოვიდნენ საცხოვრებლად, პირველი, ვინც გაიცნო, ინა იყო, გადიოდნენ და გამოდიოდნენ ერთმანეთთან, საერთო მეგობრები გაუჩნდათ, საერთო ინტერესები ჰქონდათ...

ეს იცოდი?

- ❖ მსოფლიოს უმაღლეს ნაგებობათა ნუსხაში თავისი ადგილი დაიკავა ჩინეთისა და მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა ქალაქმა ჰონგ კონგმა. 7 მილიონიან ქალაქში 43 ნაგებობაა, რომელთა სიმაღლე 200 მეტრი და უფრო მეტია. მსოფლიოში არსებული 15 უმაღლესი შენობიდან 4 ჰონგ კონგშია განთავსებული.
- ❖ ლათინური ამერიკის რეგიონს ძველად უწოდებდნენ იბეროამერიკას, ინდოამერიკას და ესპანეთის ამერიკას. სახელწოდება ლათინური ამერიკა მხოლოდ მე-20 საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებიდან დამკვიდრდა.
- ❖ დედამიწაზე 54 ზღვაა.

❖ ვალუტის დასახელებები, როგორცაა ინგლისური ფუნტი, გერმანული მარკა, იტალიური ლირა და ფრან-

— საერთო კაციც მოინდომა! — ხმაშალა წამოიძახა გაბრაზებულმა სოფომ, სწრაფად ჩაიკცვა, აივანზე გავარდა და, როგორც კი სადარბაზოდან გასული ინა დაინახა, კისრისტეხით დაეშვა კიბებზე.

„ღმერთო, ამას რატომ ვაკეთებ? რატომ ვაკეთებ ამას?“ — ფიქრობდა და ჩუმად მისდევდა უკან ინას.

ინამ სამარშრუტო ტაქსი გააჩერა, სოფომ — ტაქსი, ინა ერთ-ერთ ბართან ჩამოვიდა, სოფო — მოშორებით.

ინა ბარში შევიდა.

ახლა ნახავენ საჩუქარს და სიურპრიზს!

— როგორ ხართ? — დაადგება თავზე და ჰკითხავს, მთავარია, სიმშვიდე შეინარჩუნოს, ვითომც არაფერი, დატკბეს მათი გაოგნებული სახეებით. ისტერიკებს ნამდვილად ვერ გამართავს. არ შეუძლია, თორემ დიდი სიამოვნებით. თავისი ამბავი რომ იცის, დაიბნევა და ლულულს დაინყებს. ჯობია, ისევ ორიოდ სიტყვა თქვას, რაც შეიძლება მწარედ, მერე ადგეს და დემონსტრაციულად გამოვიდეს. ტირილი და თავში ხელის ცემა სახლში, მარტო, ბალიშთან ან ჩაკეტილ აბაზანაში...

სოფო ბარში შევიდა. მოძებნა არ დასჭირვებია, მაშინვე დაინახა მაგიდასთან მიმჯდარი ინა, ინამაც მაშინვე დაინახა, სახეზე გაკვირვება დაეხსტა. მერე მხიარულად დაუქნია ხელი.

— როგორ ხარ? — მიუახლოვდა სოფო, თავადაც მიუჯდა მაგიდას.

— რა მაგარია! — გაუცინა ინამ, — ახლა ნახავ შაკოს, შენსა! — არა, ჩემსას.

— მეც შაკოს უნდა შეხვდე, — უთხრა რაც შეიძლება მშვიდად.

— მართლა? — ისევ გაუცინა ინამ, — დღეს ძალიან ბევრი რამ დაემთხვა ერთმანეთს, არა? რა კარგია, მხიარულად ვიქნებით.

სიმართლე რომ ითქვას, მართლა მხიარულად გაატარეს ის საღამო. ყველაზე მეტად თავად სოფო მხიარულობდა. ოთხნი იყვნენ: ინა თავის შაკოსთან ერთად, რომელიც სოფოს შაკო ნამდვილად არ იყო, სოფო კი თავის შაკოსთან ერთად, რომელსაც სოფოს თხოვნის მერე, იქნებ მოხვდეს, ბარში ვართ, ძალიან გათხოვო, გულმა აღარ მოუთმინა, მოვიდა და სოფოს ბრწყილა ქალღმერთი გახვეული საჩუქარი მოუტანა, სწორედ ის გულსაბნევი, მთელი დღე რომ ეძებდა დაბნეული გოგო.

გული ლივრი, ადრეულ საუკუნეებში ნონის ერთეულს წარმოადგენდნენ.

❖ ევროპაში ფაიფური გერმანელმა ალქიმისმა იოჰან ფრიდრიხ ბიოტი-გერმა გამოიგონა 1709 წელს.

❖ ჩინურ ტრადიციულ მხატვრობაში არსებობს მიმდინარეობები — შან შუი, რომელიც აღნიშნავს მთებსა და წყლებს და ხუა ნიאו, რომელიც აღნიშნავს ყვავილებსა და ფრინველებს.

❖ პირველი ოფიციალური სავიზიტო ბარათი საფრანგეთში მე-15 საუკუნის მინურულს გამოჩნდა. აუცილებელი აქსესუარი კი ლუდოვიკო მე-14-ის მეფობის პერიოდში გახდა და ყველა დიდგვაროვანს ჰქონდა. მისი ფლობა დიდ პრესტიჟად ითვლებოდა.

„მაინც უენი ქვრივი მქვიაა!..“

ქმრის დაკარგვა — ზინადზე მეტად საზოგადოებრივი ტრაგედია საქართველოში

ქალისთვისაც და კაცისთვისაც დაქვრივება, ცხოვრების თანამგზავრის დაკარგვა საშინელებაა, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ დაქვრივება ქალისთვის, პირად ტრაგედიასთან ერთად, ყოველთვის დიდ საზოგადოებრივ პრობლემას წარმოადგენდა.

ჩვენი საუბრის თემა ქართველი ქვრივი ქალები გახლავთ და, როგორც აღმოჩნდა, საზოგადოებაში მათი მდგომარეობა არც ისე იოლი ყოფილა. გავეცნოთ რამდენიმე ისტორიას.

ირინე:

— ახლა, 21-ე საუკუნეში, ამაზე საუბარი ბევრს სასაცილოდ მოეჩვენება, მაგრამ რეალობა სხვაგვარი გახლავთ — ის, რასაც განათხოვრის ან ოჯახის ქალს პატიობენ, ქვრივს ეკრძალება. მეორეხარისხოვან ქალებად ვითვლებით მეორადი ტანსაცმელივით. დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლა საზოგადოების მხრიდან. თუ ვინმე მიდის გინეკოლოგთან, ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ თუ დაქვრივებული ქალი წავიდა, მტრისას! „აბორტის გასაკეთებლად მიიღის?“ — ათასი თვალის გიყურებს ფანჯრიდან, ფარდის უკნიდან. მეტყვივით, ყველაზე ჭორაობენო. ვიმეორებ: დამიჯერეთ, სულ სხვაა ქვრივი ქალისადმი მიმართული გამოხატულება. თითქოს დაკვეთა მოდის საზოგადოებიდან, რომ ეს ასე უნდა იყოს.

როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც პრობლემას რამდენიმე წრილიდან უნდა შევხედოთ. ინდივიდუალური პრობლემაა, ვისი ქვრივი ხარ. ასევე უნდა ითქვას, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, რომელ წრეს ეკუთვნის ესა თუ ის ქალი. ყველა ვერ იქნება ჟაკლინ კენედი ან ელიზაბეტ ტეილორი. რასაც პატიობენ ე.წ. „ელიტური“ წრის ქალს, არ შეარჩენენ უბრალო ფენიდან გამოსულს.

უაზრო ჭორებსა და მითქმამოთქმებზე საუბარი რომ არ გაგვიგრძელდეს, საკითხს ფსიქოლოგიური კუთხით მივუდგეთ. ქვრივი ქალის საკუთარ თავში ჩაკეტივის და გარკვეულწილად საზოგადოებისგან იზოლირების მიზეზი რამდენიმენაირი შეიძლება იყოს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, როგორ იყო ქმარი. ვთქვათ, ის ტირანი იყო. დღეები გადიოდა საშინელ ოჯახურ სცენებში, ეჭვიანობაში, ლანძღვა-გინებასა და ცემა-ტყეპაშიც კი. ქმრის სიკვდილის შემდეგ ეს ყველაფერი უკან დარჩა. ქალი ხმაილად ვერ ამბობს, მაგრამ დაისვენა.

ლალო:

— ძალიან ეჭვიანი იყო ჩემი მეუღლე, თუ სადმე გავიდოდი, წამშობი ჩართული იყო. თუ დათქმულ დროს ერთი წუთით გადავაცილებდი, ესე იგი იქ ისეთ რაღაც ან ვიღაც აღმოვჩინებ, ოჯახი დამავიწყდა! დავამატებ, რომ ამ „გასვლაში“ მეზობელთან ან ახლობელ ოჯახში ცოტა ხნით ყოფნა იგულისხმებოდა. პატარა მიზეზი იყო საჭირო, რომ ჩემზე ხელი აეწია. მინდოდა გავცილებოდი, ჩემებმა ხელი არ შემინწყვეს, შვილებს მართო ვერ გაზრდიო და მეც

ვითმენდი. მერე მოხდა უბედური შემთხვევა, დაიღუპა. ალბათ ღმერთმა დასაჯა. ამას თქვენ გეუბნებით, თორემ სადმე სხვაგან რომ დავიწყო ასე ლაპარაკი — ჯვარზე გამაჯრავენ. კი, ძნელია მეუღლის დაკარგვა, მაგრამ სულით არ დავეცი. ამომიდგენ ახლობლები გვერდში. ორ ადგილზე ვმუშაობ, შვილებს ვზრდი, თავი გამაქვს, არ ვეძებ ახალ ურთიერთობებს, ველარ გავრისკავ, მე შვილებსთვის ვცხოვრობ.

სოფო:

— წლინახევრისა იყო ჩემი გოგონა, როცა ქმარი დამეღუპა, ათი წელი ქვრივობაში გავატარე. შვილის მეტი არავინ და არაფერი მაინტერესებდა, ახლობლებმა და მეგობრებმა მიჩივიეს, ახალგაზრდა ქალი ხარ, შენს ცხოვრებას უნდა მიხედო, სულ ასე ხომ არ იქნებიო. გაგონებაც არ მინდოდა, რა აზრი აქვს, ყველა არასერიოზულია, ვისაც ვხედავ და მაინც არაფერი გამოვა-მეთქი. ასე გავიდა ათ წელზე მეტი ჩემი დაქვრივებიდან. მერე კი ვიფიქრე: ჯერ კიდევ კარგად გამოვიყურები, გავთხოვდები ან მეგობარ კაცს გავიჩენ. დავიწყე ნაცნობობის გაბმა, ჯერ ფლირტის დონეზე მიდიოდა ყველაფერი, მაგრამ ერთი სამწუხარო რეალობა აღმოვაჩინე: ქართველი კაცების უმრავლესობას წესიერად ფლირტიც კი არ შეუძლია, რა უნდათ, ვერ გაიგებ. ასე რომ, არ ვნანობ ამდენი ხანი რომ არავის შევხვედრივარ, დავრწმუნდი იმაში, რისი ეჭვიც მქონდა.

ყველას თავისებური ფსიქოლოგიური მიდგომა და გაგება უნდა. ბევრი დაღუპულ მეორე ნახევარს მისტირის: „ისეთი ქმარი მყავდა... ამგვარი აღარ გამოჩნდება“, იმის მერე სხვას როგორ შევხედო, არადა, ცხოვრება მიდის, შვილები იზრდებიან. მეც ხომ მინდა პირადი ცხოვრება, არადა, ვინ იქნება ღირსეული, ვის გამო უნდა გამჭორონ და გესლი მანთხიონ?... — ისევ რისკის შიში.

ანა:

— 17 წლისა ვიყავი, როცა გავთხოვდი, ქორწინებიდან 17 წლის შემდეგ დავექვრივე. სხვაგან რა ხდება, არ ვიცი, მაგრამ ქართველ საზოგადოებაში ეს მართლაც ტვირთია. იმას თავი დავანებოთ, სხვები რას და როგორ ჭორაობენ, ჩემი დედამთილი დადიოდა მეზობლებში და ლაპარაკობდა ჩემი დაქვრივებული რძალი ბოზობსო. ისეთი რაღაცეები დამაბრალა, ყურში არ შეიშვება. განათხოვარ ქალს იმედი აქვს, რომ ალიმენტს მიიღებს და შვილებს ამით ერთ ლუკმას შემატებს, ქვრივი კი ხშირად ბედის ანაბარა მიტოვებული და ქმრის ახლობლებისგან მოძულებული რჩება. ვერ წარმოიდგენ, რა საშინელებაა, როცა მათი, განსაკუთრებით დედამთილის, თვალებიდან მოდის: „რატომ ის და არ შენ? ის უნდა იყოს მკვდარი და შენ ცოცხალი!“.

აქვე ერთ მაგალითს მე თვითონ მოვიტან ნაცნობი ოჯახიდან: ქმარი როცა დაიღუპა, 38 წლის იყო, ცოლი — 32-ის. თანაცხოვრებისას ის ქალბატონი არც ერთი დღე ყოფილა ბედნიერი. ლევანი (ასე ერქვა განსვენებულს) გარეთ ძმა-ბიჭების-



თვის რამდენადაც იდეალური იყო, იმდენად ცუდი გახლდათ ოჯახისთვის. მეგობრებთან დრონატარები სახლში მიდიოდა მთვრალი, ჩხუბს ტყებდა, ცოლ-შვილს ანიოკებდა, ქალს უმიზეზოდ სცემდა. მისი დაღუპვიდან ორი-სამი წლის შემდეგ ქვრივმა მუშაობა დაიწყო, ბავშვებსაც ყურადღებას არ აკლებდა, ერთ დროს გალუღლი, ფერმკრთალი ქალი ნელ-ნელა ადამიანს დაემგვანა. დაღუპულის მეგობარ-ახლობლებმა მითქმამოთქმა დაიწყეს: „რაშია საქმე? ვა, ფორმამაც მოვიდა?!.. იმის მაგივრად, რომ სახლში იჯდეს და ქმარს გლოვობდეს, ამას თმა შეუღებავს!“.

„ბრძნულ“ იდეაც გამოითქვა: „ყველა ერთად მივიდეთ და მკაცრი ტონით დაველაპარაკოთ, ფერად-ფერადებს რომ იცვამს და კოსმეტიკურ საშუალებებსაც ხმარობს, ერთი ადგილი დააყენოს, ლევანის ხსოვნას პატივი სცემ!“.. კიდევ კარგი, ვიღაცას ჭკუა ეყო და ეს ნათქვამი სისრულეში არ მოუყვანიათ. ახლა მითხარით, განათხოვზე ამდენ გესლს დაანთხევდნენ?

ყველა ვერ იქნება ოთარანთ ქვრივი და თავსავრიანი დედაკაცი. ესეც ხომ შვილებისთვის და საზოგადოებრივი აზრისთვის თავშენიერი ქალების ტრაგედიაა. რაც შეეხება დაქვრივებულ კაცებს, ბევრს ცოლის გარდაცვალების წლისთავამდე მოჰყავს მეორე ცოლი და არც არავინ ეუბნება ან აგრძობინებს, საცოდავი ქალის ძვლებს საფლავში გაციება რატომ არ აცალეო. იმიტომ, რომ კაცია და „მოთხოვნილება“ აქვს!

ქართველი ქვრივი ქალებისთვის კი პირად ცხოვრებაზე ხელჩაქნევის მიზეზი ხშირად ქმრის ნათესავ-მეგობრების, მეზობლების ყურადღების ცენტრში მოქცევა კი არა, არგამართლების შიშია. როგორც ერთერთი ჩემი მეორე გამოკითხულთაგანი ირინე ამბობს: „ტრაგედიას რომ გადაიტან, დრამისთვის ნერვები და ენერჯია აღარ გრჩება. გინდა, რომ გაამართლოს პირველივე შემხვედრმა, რათა წარსული დაგავიწყოს და დანაკარგი ავინაზღაუროს, მერე რომ არ თქვა: „მაინც უენი ქვრივი მქვიაა!..“.

✓ თაზუნა ქაღვიძი

1. თქვენი აზრით, რა სჭირდება ადამიანს თავის დამკვიდრებისთვის?

- ა) მეორე ნახევარი — 0
- ბ) რამდენიმე პარტნიორი — 3
- გ) საყვარელი საქმე — 5

2. რა არის თქვენი ყველაზე დახასიათებელი თვისება მეორე ნახევარს ურთიერთობაში?

- ა) დავეხმარო ქმარს (ცოლს) საკუთრი თავის პოვნაში — 3
- ბ) დავეხმარო მეგობარ მამაკაცს (ქალს) და მისი საქმეების დიდი ნაწილი გავაკეთო — 0
- გ) თვლით, რომ თქვენი მეორე ნახევარი თავად გაუმკლავდება ყველაფერს თქვენი დახმარების გარეშე — 5

3. თვლით, რომ...

- ა) მეორე ნახევარი ყოფილ სიყვარულზე ფიქრობს, მაგრამ ხელის შემშლა არ ღირს — 0
- ბ) მეორე ნახევარი ძალიან სათუთ მოპყრობას ითხოვს — 3
- გ) სულიერ ტანჯვას თქვენს ოჯახურ ცხოვრებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს — 5

4. რას ფიქრობთ იმაზე, რომ ვიღაცაზე იყოთ დამოკიდებული?

- ა) წინააღმდეგი არ ვარ, ვიღაცა ბრძანებებს მაძლევდეს — 0
- ბ) თავად შემძლია სხვაზე ვიბატონო — 5
- გ) ოჯახში არავინ არავის უფროსი არ უნდა იყოს — 3

5. რა დამოკიდებულება გაქვთ ფინანსური საკითხებისადმი?

- ა) მეუღლისგან ფულს ვსესხულობ ხოლმე — 0
- ბ) ხანდახან მეორე ნახევარს ფულს ვსესხები ხოლმე — 3
- გ) ხშირად თავად ვეხმარები ფინანსურად — 5

6. ცდილობთ...

- ა) საყვარელი ადამიანის თვალში ყოველთვის მიმზიდველად წარმოჩნდეთ — 0
- ბ) ხშირად აჩუქოთ სასიამოვნო საჩუქრები — 3
- გ) ისეთი ვიყო, როგორც სინამდვილეში ვარ — 5

7. ერთმანეთს საკუთარ პრობლემებს უზიარებთ?

- ა) თუ საჭირო გახდა, მივახვედრებ, რომ შემძლია მისი ცხოვრებიდან წასვლა — 5
- ბ) მეორე ნახევარი ხშირად მენუნუნება თავის პრობლემებზე — 0
- გ) ხანდახან საუბრობთ პრობლემებზე — 3
- დ) არასოდეს — 5

ბამრენად ხართ დამთვიდრემული საყვარელ ადამიანზე?



8. გაქვთ საყვარელი ადამიანის დაკარგვის შიში?

- ა) ამის იმდენად მეშინია, რომ მხოლოდ ამაზე ვფიქრობ — 0
- ბ) იშვიათად შეიძლება ასეთი აზრი გამიჩნდეს — 3
- გ) ჩვენს ურთიერთობებში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ — 5

9. როგორ იქცევით ქმრის (ცოლის) გარემოცვაში?

- ა) თუ საჭირო გახდა, მივახვედრებ, რომ შემძლია მისი ცხოვრებიდან წასვლა — 5
- ბ) შემძლია მისი თანდასწრებით სხვას წავეფლირტავო — 3
- გ) არასოდეს ვანწყენინებთ ერთმანეთს — 0

10. თქვენ:

- ა) შემძლია მოულოდნელად გავერე მისი ცხოვრებიდან და ასევე მოულოდნელად გამოვჩნდე — 5
- ბ) შემძლია, არ დაფურეკო, მიუხედავად იმისა, რომ შევპირდი — 3
- გ) ვცდილობ, ყველა დანაპირები შევესრულო — 0

შედეგი:

0-18 ქულა — ზედმეტად დამოკიდებული ხართ სიყვარულზე. იმდენად მიჯაჭვული ხართ პარტნიორზე, რომ შეიძლება დამოკიდებული ადამიანიც კი გინოდოთ. პარტნიორის მხრიდან სულ მცირე უსიამოვნებამაც კი შეიძლება წყობიდან გამოგყვანოთ. ყოველთვის აძლევთ უფლებას, თქვენზე მბრძანებლობდეს და არ უფიქრდებით, რამდენად სწორია ეს. ნუ მიუშვებთ ყველაფერს თავის ნებაზე, დაფიქრდით, იქნებ ღირდეს ამ ურთიერთობის გადახედვა და კორექტივების შეტანა?!

19-35 ქულა — მართალია, პარტნიორზე მეტნაკლებად დამოკიდებული ხართ, მაგრამ ცდილობთ, გარკვეული დამოუკიდებლობა შეინარჩუნოთ. არსებობს პრობლემები, რომლებსაც პარტნიორის დახმარების გარეშე ვერ აგვარებთ, მაგრამ ეს ნორმალურია. ზოგადად კი ცდილობთ, ზედმეტად არ მოექცეთ მისი ზეგავლენის ქვეშ.

36-50 ქულა — აბსოლუტურად დამოუკიდებელი ადამიანი ხართ, შეიძლება ზედმეტადაც კი, რადგან პარტნიორის აზრი და სურვილები დიდად არ გაინტერესებთ.

ჭკვიანი აზრები

„უფრთხილდით და ნუ კარგავთ დროს. ყოველი ნუთი ძაფია თქვენი ცხოვრების ქსოვილისა.“

ნიხანდი

„გაკიცხვა იოლია, ამიტომ ადვილად მიმართავენ ამ იარაღს. გონიერად და აზრინად ქება ძნელია და ამიტომ იშვიათად თუ ვინმე აკეთებს ამას.“

ფიფერაზი

„ადამიანის სიცოცხლე თავისთავად არაფრად ღირს. საქმე ისაა, როგორ მოიხმარს. მხოლოდ ამის მიხედვით ედება ფასი სიცოცხლეს.“

ჟ.ჟ. რუსი

„სულელთან ჭკვიანურად ლაპარაკი იგივეა, რაც ბრმისთვის სანთელი.“

„თუ გასურთ, მოგისმინონ, ეცადეთ, ცოტა სიტყვით ბევრი თქვათ.“

„ყველას ეშინია სიბერის და ყველას კი უნდა, სიბერემდე მიცოცდეს.“

მუახტი

„მეტისმეტ სიკეთეს ნუ მოითხოვ ადამიანისგან, თუ გინდა, რომ ის გიყვარდეს.“

კოტეშუ

„ამ ქვეყნის სიკეთეთა შორის მხოლოდ ერთია სანატრელი — ღრმა სიბერემდე შეუბღალავი სინდისით მიღწევა.“

შამისხო

„უფრო ადვილია შვიდ ქალს შეაყვარო თავი, ვიდრე ერთისგან თავი დაიხსნა.“

სენეკა

„ვინც პირველ ღილს ცუდად შეიკრავს, იმას მთელი შესაკვრელი ღილები აერდაერევა.“

კოტეშუ

„ადამიანი უხვად ისე არაფერს არ იგებს, როგორც რჩევა-დარიგებას.“

ღაბთმწყობ

„ყოველთვის არ თქვა ის, რაც იცი. ხოლო ყოველთვის იცოდე ის, რასაც ამბობ.“

კლაკვიდიუსი

„ფული ცუდი ბატონი და კარგი მოსამსახურეა.“

მეტონი

„თუ სიკეთის გაკეთება გასურს, ნუ დააყოვნებ: ვინც მალე შველის, ერთიორად შველის.“

ალფრადი

გავიციან ქალს შეხვედრებისთვის

1. გავიციან 35 წლამდე თბილისში მცხოვრებ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 28 წლის. 593530798. რეზი
2. გავიციან თბილისში მცხოვრებ 20-დან 40 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 30 წლის. 555195062. ირაკლი
3. ვარ ქუთაისელი, ცოლიანი ბიჭი, გავიციან ქმრიან ან განათხოვარ ქალს, მაქვს შეხვედრის ადგილი. 555199301
4. შეხვედრებისთვის გავიციან ფინიკური ნაკლის მქონე, ბინიან გოგოს. 557541580
5. ვარ 48 წლის, დასაქმებული, გავიციან 35 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის, ვპირდები დიდ სიბოძს და სიმშვიდეს. 555593271
6. შეხვედრებისთვის გავიციან ქალს, თუნდაც პუტკუნას, ვარ ყველაფრით უზრუნველყოფილი თბილისელი ბიჭი. 557760643. დემე
7. გავიციან სერიოზული ურთიერთობისთვის პატიოსან, განათლებულ, თბილისელ, 25-დან 30 წლამდე გოგოს. 558544960. გიორგი
8. გავიციან თბილისელ ქალს სამეგობროდ. ვარ 28 წლის თბილისელი, დასაქმებული მამაკაცი, ვცხოვრობ მარტო. 557491234. გუგა
9. გავიციან 45 წლამდე თავისუფალ ქალს შეხვედრებისთვის. 557516770
10. ვარ 27 წლის თბილისელი ბიჭი, შეხვედრებისთვის გავიციან 35 წლამდე თბილისელ, ლამაზი გარეგნობის ქალს. 599090793
11. ვარ 30 წლის, თბილისელი, სიმპათიური ბიჭი, რომანტიკული ურთიერთობისთვის გავიციან 28 წლამდე ლამაზ, მიმზიდველ, ჯანმრთელ გოგოს. 598836042
12. ვარ რუსთაველი, კარგი ხასიათის მამაკაცი, გავიციან რუსთაველ, სასიამოვნო გარეგნობის ქალს სამეგობროდ. 555400945
13. ინტიმს გაუგეთ გემო, დამიმსიყავთ. 55127526
14. გავიციან 20-35 წლამდე თბილისში ან რუსთაველში მცხოვრებ სასიამოვნო გარეგნობის ქალს სამეგობროდ. ვარ 25 წლის. 577474753. ლევანი
15. ვარ 20 წლის, დედასურთა ბიჭი, გავიციან პატიოსან, კეთილ, წესიერ, ტრადიციულ ოჯახში აღზრდილ, ქართველი სულის გოგოს. გეფიციანთ, გულანდელი ვარ. 595786759
16. გავიციან 45 წლამდე თავისუფალ, ლამაზ, მიმზიდველ ქალს ხანგრძლივი შეხვედრებისთვის. ვარ 28 წლის, დასაქმებული, მაღალი, სპორტული აღნაგობის. 598440024. დათო
17. სამეგობროდ გავიციან 22-37 წლამდე გოგოს, იმერეთში მცხოვრებს. ვარ 30 წლის. 555153740
18. ვარ სიმპათიური, ვცხოვრობ მარტო, გავიციან თბილისში მცხოვრებ გათხოვილ ან განათხოვარ გოგოს. 557255777. ნიკა
19. სამეგობროდ გავიციან ფინანსურად შეძლებულ ქალს 22-35 წლამდე, ქუთაისიდან ან ახლომახლო რაიონიდან. 557199076
20. გავიციან 30 წლამდე დამოუკიდებელ, თავისუფალ და უკომპლექსო გოგოს. 558249364
21. გავიციან 20-45 წლამდე შეძლებულ ქალს, ვისთანაც გულანდელი ვიქნები. 599297276. ვანო. ბათუმი.
22. ვარ ფინანსურად უზრუნველყოფილი, 37 წლის მამაკაცი, მაქვს სტაბილური შემოსავალი. შეხვედრებისთვის გავიციან ლამაზ, მიმზიდველ გოგონას. 551590585. დემეტრე
23. გავიციან 25 წლამდე გოგოს, ვისაც სურს ნებისმიერ თემზე საუბრები და შეხვედრები. ვარ 29 წლის, თბილისელი. 598912970, ნიკა
24. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიციან 30 წლამდე ქუთაისელ ან თბილისელ, სულიერად ლამაზ და მშვიდ ქალს. პუტკუნებმა თავი შეიკავეთ. 577402742. ბუბუ
25. ვარ თბილისელი, სიმპათიური, მყავს მანქანა, გავიციან სასიამოვნო გარეგნობის გოგოს ხანგრძლივი შეხვედრებისთვის. სკაიბი: dato-gvencadze. 593135572. დათო
26. გავიციან პატიოსან და სუფთა წარსულის მქონე ოსი ეროვნების 27 წლამდე გოგოს. 599353302
27. გავიციან ლამაზ და მომზიბველ, თბილისში მყოფ გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ ყურადღებიანი, განათლებული და დასაქმებული ბიჭი. 557167797. ვანო
28. გავიციან მარტოხელა, თბილისელ ან რუსთაველ ქალს ან გოგოს შეხვედრებისთვის. 557575216
29. ვარ 25 წლის, თბილისელი, სასიამოვნო გარეგნობის ბიჭი, სამეგობროდ გავიციან თბილისში მცხოვრებ სასიამოვნო გარეგნობის გოგოს. 555408025
30. გავიციან 40 წლამდე ქალს, ვარ 27 წლის, ვარ სანდო პიროვნება, ვარ სამეგობროდ. 555500321
31. გავიციან 30 წლამდე გათხოვილ ან განათხოვარ გოგოს. 598081081. გიორგი

sms-ები
გამოგზავნეთ
ოქმბათიდან.
sms-ის გამოგზავნის
ბოლო ვადააშაბათი,
9 თებერვალი
17 საათი.

გავიციან ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან 20-დან 35 წლამდე წესიერ, მეოჯახე გოგოს. 591285420
2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან 20-დან 35 წლამდე გოგოს. ვარ 35 წლის. 557501848
3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან ფინანსურად ძლიერ 25-დან 35 წლამდე, თბილისელს ან ქუთაისელს ქალს. ვარ 43 წლის. 598272303
4. ვარ 42 წლის მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან 25-დან 40 წლამდე ქალს. 551181206
5. ვარ 63 წლის მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან 38 წლამდე ქართველ ქალს, რომელსაც არ ჰყავს და უნდა ჰყავდეს ბავშვი და იყოს დიასახლისი. 595469342
6. გავიციან 18-35 წლამდე გოგოს ოჯახის შექმნის მიზნით, გასათხოვარი ან განათხოვარი. 555110650
7. ვარ 36 წლის თბილისელი მამაკაცი, სუფთა წარსულით, 170/60, დასაქმებული. გავიციან ასევე შესაფერის ქალს ოჯახის შექმნის მიზნით. 591144755. ბაჩო
8. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან 40 წლამდე წესიერ გოგოს. 557426362
9. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან პატიოსან გოგოს, ვარ 25 წლის. 599015398
10. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან 40 წლამდე ქალს, ვარ 54 წლის. 598604078
11. გავიციან 47 წლამდე ქალს ოჯახის შექმნის მიზნით, აღმოსავლეთ საქართველოდან. 551103792
12. გავიციან 19-დან 24 წლამდე წესიერ, პატიოსან, ლამაზ, სერიოზულ და ჩამოყალიბებულ გოგოს ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ წესიერი, სიმპათიური და დასაქმებულში ბიჭი. 557167515. დათო
13. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან 18-დან 28 წლამდე გოგოს, ვარ 25 წლის ბიჭი. 599458741. ირაკლი

გავიციან მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ 38 წლის, გასათხოვარი, პატიოსანი, ლამაზი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან თბილისელ ან ბათუმელ საქმროს. 558398374. სოფო
2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან ქვრივ ან ცოლს გაცილებულ მამაკაცს. ვარ 40 წლის. 555756223
3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან თბილისელ ან ბათუმელ დასაქმებულ, სიმპათიურ მამაკაცს 35-40 წლამდე. ვარ წესიერი, განათლებული, სიმპათიური გოგონა. 599014895
4. ვარ 50 წლის ქალი, განათხოვარი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან 50-60 წლამდე მამაკაცს, პატიოსანს და დასაქმებულს. 557529015
6. ვარ 37 წლის, განათხოვარი, მსურს შევექმნა ოჯახი, მაქვს სახლი ბოლნისში. გავიციან 45 წლამდე მამაკაცს. 595231119

გავიციან მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. გავიციან 35-55 წლამდე მამაკაცს. 555735023
2. ვარ ლამაზი და მიმზიდველი 30 წლის ქალი, გავიციან 40-50 წლამდე სერიოზულ, დასაქმებულ მამაკაცს სამეგობროდ. 5589522007 სხვადასხვა
1. მარინა, ძალიან გთხოვ, დამირეკო ამ ნომერზე. 591611678. იურა. ქობულეთი
2. გავიციან ჭიათურელ ან საჩხერელ მეგობარ ადამიანს სამეგობროდ, 42 წლიდან. 598822639

გილოცავ

დათუნი, გილოცავ დაბადების დღეს, უფალი გვარავდეს. გკოცნი და გეფერები. დედა დათო, ძმაო, გილოცავ დაბადების დღეს, უფალმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს. ალექო დათუნა, როგორ ხარ? გენაცვალე შენ, გილოცავ დაბადების დღეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს და ყველაფერ საუკეთესოს გისურვებ. მენატრები უზომოდ. მარიამი ჩემს საყვარელ შვილიშვილს, გიორგი მუშკუდიანს და თამუნა ჩაგანავას გილოცავთ ბედნიერების დღეს, ქორწინებას. ბედნიერი და დალოცვილი იყოს თქვენს თავზე დადგმული გვირგვინი, სიყვარულით გეწიოთ ცოლ-ქმრის უღელი, დალოცვილი იყოს ჩემი შვილების, ნონა ბოკუჩავას და დემური მუშკუდიანის ოჯახი. მონატრებით და დიდი სიყვარულით გილოცავთ ჩვენი დედა და ბებია საბერძნეთიდან. მადონა ბოკუჩავა

მიყვარხარ, მენატრები

დათი, ჩემო სიცოცხლე, როგორ ხარ? უზომოდ მენატრები, სინაოლო, შენ, ჩემი ცხოვრების აზრი ხარ. წუთი არ გავა, შენზე არ ვიფიქრო, შენ ჩემი დათი ხარ და გულში მიყვარხარ. ალექო, ჩემო ბუთხუნა, ცისფერთვალე, მიყვარხარ და მენატრები, თავს გაუფრთხილდი, შენზე იფიქრე, რომ კარგად იყო. ღმერთს ვთხოვ, მალე აგისრულოს შენი სურვილები. გაკოცე. ნინო

თუ გსურთ, ახლობელს მიუცოცით ჩაიბე ან გაუმხილით თქვენი გიჟობები უჩინად „სახის“ მეშვეობით. აჩიფეთ ახი „M“. შემდეგ – ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და მათის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სახის“ უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 9 თებერვლის 17 საათამდე. ესთი sms-ის ლიხებულება 1 ლაჩი. ნეჩიდი, ხომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული. ახ დაიბეჭდება! ესთი აფხსაგისადმი მიწეხილ მი ხაჩათუე მეტი ახ დაიბეჭდება

დონორები 5 წლით მეზნან სოსხლოზე და ნაკლებად ავადყოფილები

სისხლის გაღება კეთილშობილური საქმეა. მაგრამ როგორ გავლენას ახდენს იმ ადამიანის ჯანმრთელობაზე, ვინც სისხლს აბარებს?

სისხლის რეგულარულად გაღება უფრო სასარგებლოა, ვიდრე წელიწადში ერთხელ ან საერთოდ არ გაღება. თუმცა მუდმივი დონორებისთვის არის შეზღუდვები. სისხლის გაღება შეიძლება 60 დღეში ერთხელ. მამაკაცებისთვის დასაშვებია მაქსიმუმ 5-ჯერ წელიწადში, ქალებისთვის 4-ჯერ წელიწადში.

მუდმივ დონორს მეტი შანსი აქვს უზვი სისხლის დაკარგვისას გადარჩეს. სტატისტიკა გვიჩვენებს, ვინც სისხლს რეგულარულად აბარებს, სისხლდენა არამხოლოდ ადვილად გადააქვს, ასევე უფრო სწრაფად გამოჯანმრთელდება, ვიდრე ის, ვინც დონორი არ არის.

როგორც წესი, ერთბაშად 350-450 მლ სისხლს იღებენ. სისხლის ასეთი მცირე დაკარგვა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე თითქმის გავლენას არ ახდენს. მაგრამ, ვინაიდან სხეულში სითხის მოცულობა მანძი მცირდება, დანაკარგის კომპენსაციისთვის, ძვლის ტვინი თავის მუშაობას აქტიურებს, დაჩქარებულ ტემპში სისხლის ახალ უჯრედებს გამოიმუშავებს. თუ სისხლის გაღება რეგულარულად ხდება, ორგანიზმი მოქმედების გეგმას „მიახსოვრებს“ და კრიტიკულ

სიტუაციაში სისხლის დიდ დანაკარგს ეფექტურად ივსებს.

რეგულარული დონორობა კარგი პროფილაქტიკაა ისეთი დაავადებების, როგორებიცაა: ათეროსკლეროზი, პოდაგრა, კუჭქვეშა ჯირკვლის, ღვიძლის, ნივთიერებათა ძირითადი ცვლის ფუნქციის დარღვევა.

პერიოდულად სისხლის დაკარგვა ნორმალური გამოვლენა იყო ადამიანისთვის. ეს ხდებოდა შეტაკებებისა და ნადირობის დროს დაჭრისას. ჩვენ უფრო მშვიდობიან პერიოდში ვცხოვრობთ, თუმცა ამას არამხოლოდ სარგებლობა მოაქვს. ბევრი თანამედროვე ადამიანისთვის დამახასიათებელია სისხლის შეგუბება. სისხლი ძალიან ნელა განახლდება და მასში ბევრი მავნე ნივთიერება გროვდება. სისხლის გაღების დროს მათი ნაწილი ორგანიზმიდან გამოდის.

დონორობა — ეს არის სისხლის გამოშვება, რომელიც ძველად სამკურნალო მეთოდად ითვლებოდა. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ მოცემულ შემთხვევაში არაუმეტეს 450 მლ სისხლის გაღება უსაფრთხოა და მკაცრად კონტროლდება.

სისხლის წარმოქმნის სისტემის გააქტიურების დროს გამოიმუშავდება არამხოლოდ ერითროციტები, ასევე ძვლის ტვინის ახალი უჯრედები — ლეიკოციტ-



ბი. მათი ძირითადი ფუნქციაა ორგანიზმში ვირუსების, ბაქტერიებისა და სხვა საშიში ზემოქმედებებისგან დაიცვას. ამიტომ რეგულარულ დონორებს, როგორც წესი, ძლიერი იმუნიტეტი აქვთ, იშვიათად ცივდებათ და ბევრ დაავადებას ადვილად უძლავდებით.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მუდმივი დონორები 5 წლით მეტხანს ცოცხლობენ. ამის მიზეზი იმუნიტეტის რეგულარული სტიმულაცია და ახალი სისხლის გამომუშავებისას პრაქტიკულად ორგანიზმის ყველა უჯრედის განახლებაა.

ასე რომ, კეთილი საქმის კეთებით და იმ ადამიანების სიცოცხლის გადარჩენით, ვისთვისაც სისხლის გადასხმა აუცილებელია, თავად ვძლიერდებით და უკეთესად გამოვიყურებით.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

შპს-ში

1. ყოველთვის იცით, რას აკეთებთ საყვარელი ადამიანი და სად შეიძლება მისი პოვნა?

ა) არ ვიცი და არც მაინტერესებს — 2 ქულა;

ბ) ჩემთვის მიუღებელია ადამიანის კონტროლი — 3 ქულა;

გ) რა თქმა უნდა, ყოველთვის ვიცი, რომელი ჩვენგანი სად არის და რას აკეთებს — 1 ქულა.

2. თვლით, რომ შეყვარებულებს ერთნაირი გატაცებები უნდა ჰქონდეთ?

ა) რაღაც საერთო ინტერესები აუცილებლად უნდა არსებობდეს — 2 ქულა;

ბ) ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს — 3 ქულა;

გ) რა თქმა უნდა, სხვაგვარად ერთად ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა — 1 ქულა.

3. საყვარელი ადამიანს თქვენი მეგობარი არ მოსწონს...

ა) ეს საშინელება სულაც არ არის, მეც არ მომწონს მისი მეგობარი — 3 ქულა;

ბ) შევეცდები, გადავარწმუნო და მეგობარი შევავარო — 1 ქულა;

გ) იგი ვალდებულია, ყველაფერს შეეგუოს და სიტუაცია ისეთი მიიღოს, როგორც არის — 2 ქულა.

4. როდის გრძნობთ თავს თავდაჯერებულად და დაცულად?

ა) საყვარელი ადამიანის გვერდით — 1 ქულა;

ბ) მეგობრების წრეში — 3 ქულა;

გ) ოჯახის წევრების გარემოცვაში

საყვარელს თავს ხომ არ აბეზრებთ?

— 2 ქულა.

5. რამ შეიძლება გააფუჭოს თქვენი ურთიერთობა?

ა) ურთიერთგაუგებრობა ყველანაირი გრძნობის მტერია — 2 ქულა;

ბ) ხანგრძლივმა დაშორებამ — 1 ქულა;

გ) არასაკმარისმა პატივისცემამ — 3 ქულა.

6. საყვარელი ადამიანი სხვას ებაახება ტელეფონით, რა რეაქცია გექნება?

ა) მიხარია, რომ კარგ ხასიათზეა და სასიამოვნო ინფორმაციას ისმენს — 3 ქულა;

ბ) აუცილებლად დავინტერესდები, ვის ელაპარაკება — 2 ქულა;

გ) კარგი იქნება, თუ ტელეფონით კი არ ისაუბრებს, არამედ მე დამეწავს — 1 ქულა.

შედეგები

6-9 ქულა: მთელ თავისუფალ დროს საყვარელი ადამიანის გვერდით ატარებთ. ეს ცუდი არ არის, მაგრამ ყველა ადამიანს საკუთარი ცხოვრება უნდა ჰქონდეს.

10-14 ქულა: საყვარელ ად-

ამიანს ბევრ თავისუფალ დროს აძლევთ. თქვენს ურთიერთობას ოქროს შუადელი შეიძლება ვუნოდოთ. თუ ასე გააგრძელებთ, თქვენი ცხოვრება იდეალური გახდება.

15-18 ქულა: ძალიან დამოუკიდებელი ხართ, რაც არცთუ კარგად აისახება საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაზე. გახსოვდეთ, თუ შეყვარებულს დაუთმობთ დროს, ეს თქვენი თავისუფლების ალკვეთას არ ნიშნავს.

მუდმივ სამსახურში თბილისში სამუშაოდ გვესაჭიროება

კურიერები!

მოთხოვნები:

ასაკი: 20 წ-დან 50 წ-მდე.

განათლება: საშუალო/საშუალო სპეციალური

პატიოსნება, პასუხისმგებლობა, გამძლეობა, და სასიამოვნო გარეგანული შესახედაობა

სასურველია ქალაქის ცნობა.

სამუშაო პირობები:

კვირაში 5 დღე. მხოლოდ სრული გრაფიკი.

ხელფასი 800 ლარიდან თვეში.

ყოველდღიური ანაზღაურება!

ჩაწერა გასაუბრებზე ტელ:

568 920 765

ღირსეულად სსოვრება ღირსეულად შეუძლიათ მხოლოდ, იქნებ ჩვენს დავითარულიყავით ამ ყოველივეზე ცხოვრება ღირსისა მელანია რომაელისა



ღირსი მელანია, რომლის შესახებაც გვესტუმრებს საუბარი, დაიბადა იმდროინდელი განვითარებული სამყაროს დედაქალაქ რომში, სავარაუდოდ 383 წელს, ქალაქის ერთ-ერთ უმდიდრეს ოჯახში. მამამისი იმდროინდელი პარლამენტის უმდიდრესი თანამდებობის პირი იყო მთელ იმპერიასში.

რადგან მშობლებს სხვა შვილი არ ჰყავდათ, გადამწყვეტეს, ქალიშვილი ადრე გაეთხოვებინათ, რათა მათ ქონებას პატრონი ჰყოლოდა. ჯერ კიდევ მცირეწლოვან მელანიასთან დაიწყეს ამ თემაზე საუბარი, ის კი სასტიკი წინააღმდეგი აღმოჩნდა. მშობლებმა მაინც თავიანთი გაიტანეს და ქალწულბაზე მოცნებე გოგონას ძალდატანებით მოუძებნეს სასიძო. ამ დროს ღირსი მელანია იყო მხოლოდ თოთხმეტი წლის, მისი მშობლების რჩეული კი ჩვიდმეტი წლის, სახელად აპელიანოსი, ისიც ასევე დიდგვაროვანი ოჯახის შვილი, თუმცა არა იმ შესაძლებლობების, როგორც ღირსი მელანიას მშობლები და ოჯახი.

ღირსმა მელანიამ საქმროს აუხსნა თავისი სურვილი: „აპელიანოს, ვიცი, რომ ახალგაზრდა ხარ და ეს შეიძლება ადვილი არ იყოს შენთვის, მაგრამ მე ვალდებული ვარ, გაგიმხილო ჩემი სურვილი. თუ შეძლებ, იქნებ ქორწილის შემდგომ ვნებას არ მივეცეთ, რათა შევინარჩუნო ქალწულება, რომელიც მომეცა უფლის მიერ, როცა ჩავისახე. სანაცვლოდ არაფერს დავითვებ და მთელ ჩემს ქონებას მოგცემ. როგორც ეს სურს, ისე მოიმარე“.

დაფიქრდა აპელიანოსი და მიუგო: „ახლა ეს უკვე აღარ გამოგვივა, რადგან ხალხმა იცის, რომ ცოლ-ქმარი ვართ და ჩვენი ერთობა შვილებით უნდა გავიმყაროთ. თუმცა გპირდები, რაჟამს შვილიერებას მოგვამდლებს ცისა და ქვეყნის გამჩენი, ამის შემდეგ ალვასრულით შენი სურვილი“. სამწუხაროდ, ღირსი მელანია საკუთარი ნების წინააღმდეგ დამორჩილდა მშობლების და მეუღლის ნება-სურვილს მიუხედავად დაკავშირებით. შვილებდავდ მეუღლესთან და შვილთან თანაცხოვრებისა, ღირსი მელანია სხვების შეუქმნეულად დაკავებული იყო მარხვით, ლოცვით, ღამისთევით, ისე, როგორც მონასტრის რიგითი წევრი. ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა, გარდა მხოლოდ ერთმა, მისმა მამიდამ, რომელიც სულ საყვედურობდა წმინდა მელანიას, საკუთარ თავს, ჯანმრთელობას გაფრთხილებოდა.

ბოროტის ძალისხმევით განსაცდელმაც არ დააყოვნა. ხშირად ფეხმძიმე ღირსი მელანია მუხლმოდებით ლოცულობდა და უფალს ავედრებდა საკუთარ ოჯახს, კე-

თილნაყოფიერებას. წმინდა მღვდელმონაშენე ლავრენტის ხსენების დღეს მუხლმოდებით ლოცვას განაგრძობდა, როცა მშობიარობის უამბა მოაღწია, იმშობიარა, მაგრამ ახალშობილის ნათლობაც კი ვერ მოასწრეს, ისე გარდაეცვალა ღირს მელანიას მეორე შვილი. მშობიარობის შემდეგ საშინელი ტკივილები ჰქონდა, ისეთი, ლამის სიცოცხლე შესწირა მშობიარობას.

ამის შემხედვარე მისმა მეუღლემ ეკლესიას მიაშურა და გულით სთხოვა უფალს ცოლის გამოჯანმრთელება. სასწაულმაც არ დააყოვნა, სრულიად გამოჯანმრთელდა წმინდა მელანია, რომელსაც არ შორდებოდა იმაზე ფიქრი, რომ მონასტერში წასულიყო და დაპირებისამებრ მონაზვნურ მოღვაწეობას შესდგომოდა. ამის საშინელი წინააღმდეგი იყვნენ მისი მშობლები, ბავშვის გარდაცვალების შემდეგ კი მაინც ყველა დაფიქრდა იმაზე, თუ რატომ ეწვიათ ესოდენ სასტიკი განსაცდელი.

ამასობაში წმინდანის მამა გარდაეცვალა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა წმინდა მელანიას საკუთარი სურვილის აღსრულებას. მისი გარდაცვალების შემდეგ წმინდანმა და მისმა მეუღლემ, რომელიც იყო ოცდაოთხი წლის, დაუტყვევს ხორციელი თანაცხოვრება და მიაშურეს მონასტერს. არც ერთს არასოდეს ტოვებდა იმაზე ფიქრი, თუ როგორ დახმარებოდნენ გაჭირვებულებს. თან ფლობდნენ უამრავ სიმდიდრეს, განსაკუთრებით, წმინდა მელანიას მშობლები.

კეთილი საქმის წინააღმდეგ ყოველთვის ილაშქრებს ბოროტი და არც ეს შემთხვევა იყო გამონაკლისი. აპელიანოსს, წმინდა მელანიას მეუღლეს ჰყავდა ძმა, სახელად სევიროსი, რომელიც უსამართლოდ ექცეოდა მოსამსახურეებს იმის ნაცვლად, რომ მათთვის მიეხედა და ყურადღება მიექცია, რითაც ზიანდებოდა მოსავალი და შემოსავალიც არ ხმარდებოდა კეთილ საქმეს. ამ ყველაფრის შესახებ შეიტყვეს სამეფო კარზეც და დედოფალმა გადაწყვიტა, სასახლეში მიეწვია წმინდა მელანია, თუ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ იქნებოდა.

წმინდანმაც თავმდაბლობით მიიღო დედოფლის მიწვევა და მივიდა სასახლეში. უზომოდ ბედნიერი იყო დედოფალი წმინდა მელანიას ხილვით და მოახსენა: „ჯერ კიდევ სამოღვაწეოდ წასვლამდე მესმოდა შენი კეთილმოიღებების შესახებ, მელანია, რისთვისაც ვმადლობ ცისა და ქვეყნის შემოქმედს, რადგან მელირსა შენთან შეხედრდა. ნეტარ ხარ, მელანია, და ნეტარ არს სული შენი“.

საქმბარი სიტყვები არ დაუშურებია დედოფალს წმინდანის მისამართით. ბოლოს უთხრა, თუ თქვენ არ იქნებით წინააღმდეგი, ჩვენ საკადრის პასუხს მოვთხოვთ სევიროსის იმ უსამართლობებისთვის, რასაც ის ჩადის მოსამსახურეების და გაჭირვებულების მიმართ. ამაზე წმინდანმა უპასუხა: „უმჯობესია, ჩვენ განვიხაჯოთ, დედოფალი, ვიდრე ჩვენ განსვავოთ, რისთვისაც გთხოვთ, დედო-

ფალო, ნურაფერს მოსთხოვთ ჩადენილის გამო. თუ აქამდე რამე უსამართლობა აქვს ჩადენილი, უფალი პატიობს და ჩვენც არ გვაქვს უფლება, არ ვაპატიოთ. უმჯობესია, გავივლოთ ეს ქონება და გავუნანილოთ იმბათ, ვისაც არ აქვს. იქნებ ამაში დაგვეხმაროთ, დედოფალო, ეს იქნება ჩემი სათხოვარი“.

ეს ქონება მშობლებისგან გააჩნდა წმინდა მელანიას და არა მხოლოდ რომში, უძრავ ქონებას ფლობდა მთლიანად იტალიის მასშტაბით და უფრო მეტიც, აგრეთვე ბრიტანეთის სამეფოში. ეს იყო წმინდანის სათხოვარი, რომ მისი სიმდიდრე განაწილებოდათ ღარიბ-უჭონეებს. როგორც მემკვიდრე აღწერს, იმპერატორის შემდეგ უმდიდრესი ადამიანი იყო, მემკვიდრე უთვალავი ქონების. რომში იმხელა სასახლეები ჰქონდა მემკვიდრეობით დარჩენილი, რომ არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც ამ სასახლეების შექმნას შეძლებდა.

წარმოუდგენლად რთულია იმ საქმეების ჩამოთვლა, რა სიკეთეებიც უყვებოდათ ღირს მელანიას და მის მეუღლეს. იყო ისეთი შემთხვევა, როცა ბარბაროსებმა რომი გადაწვეს. ამ დროს დაიპყრეს ერთი კუნძული, რომლის სახელწოდებაც, სამწუხაროდ, უცნობია და მთელი მოსახლეობა ტყვედ აიყვანეს. თუ ოქროთი არ გამოისყიდინდნენ კუნძულსაც და საკუთარ თავსაც, ბარბაროსები ნაცრად აქცევდნენ მთელ კუნძულს.

განსაცდელში ჩავარდნილ კუნძულის მოსახლეობას უფალმა მხსნელად მოუწონა ღირსი მელანია და მისი მეუღლე, რომელმაც ოქროს სანაცვლოდ გამოისყიდეს კუნძულიც და მისი მოსახლეობაც. ამ კუნძულზევე დააარსეს დედათა მონასტერიც და მამათა მონასტერიც, რომლებშიც თვითონვე შეუდგნენ მოღვაწეობას, როგორც რიგითი მონაზვნები. არც ერთმა მათგანმა არ ისურვა, მონასტრის წინამძღობრივ გამხდარიყო.

ამ თავმდაბლობის გამო გამოარჩია უფალმა განსაკუთრებით ღირსი მელანია. ამავე მონასტერში დაყო წმინდანმა შვიდი წელი და დედაც გვერდით ჰყავდა. გააკეთებინა ხისგან კიდობანი, იმდენად ვიწრო, რომ შემობრუნებაც ჭირდა. ასე მკაცრ პირობებში მოღვაწეობდა, რასაც დედა განიცდიდა, რა თქმა უნდა, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შეეძლო.

ღირს მელანიას ფიქრები მოეძალა, როგორმე წმინდა მინაზე ჩასულიყო, მაგრამ ღვთის ნებას არ დალოდებია, ისე ჩაჯდა გემში და იერუსალიმს დედასთან და მეუღლესთან აპელიანოსთან ერთად მიაშურა, თან არაფერი წაუღიათ, გარდა მცირეოდენი აუცილებელი ნივთებისა, რაც, ბუნებრივია, საკმარისი არ იყო, მაგრამ ამაზე არც უფიქრიათ.

ვიდრე გემი წმინდა ქალაქამდე მიანდებოდა, ღირსი მელანია საშინლად დაავადდა, მაგრამ ღმერთს მინდობილი ღირსი დედა მყისვე გამოჯანმრთელდა, როგორც კი უფალს მოუხმო საშველად. მოილოცა ყოველდღე წმინდა საფლავი, რომლის გასამშვენებლადაც უამრავი ვერცხლი შესწირა.

„გვჯერათით ალფაბრი სხული იქნება ქრისტეს სასაქის — 33 წლის“

ღვთის შემეცნებისკენ მიმავალი გზა დაბრკოლებებით არის სავსე. ამ დროს ადამიანს უამრავი კითხვა უჩნდება. ზოგჯერ პასუხებს სხვადასხვა ლიტურატურაში ან ახლობლების წრეში ეძებენ და სწორედ აქ იმალება საშიშროება, მართალ სწავლებას გადაუხვიონ. სასულიერო პირები გვირჩევენ, კითხვებით მოძღვარს მივმართოთ. მაგალითად, კატეგორიულად დაუშვებელია საკუთარი ინტერპრეტაციები ისეთ თემებზე, როგორც არის — რატომ არსებობს ეშმაკი, თუ ღმერთი ყოველს შემძლეა, რატომ არ ამარცხებს სატანას და ა.შ. მზავს საკითხებზე წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე) გვესაუბრება.

— **მამა, ჩვეულებრივი მოკვდავი სმარად სუბიქ კითხვას — თუ ღმერთს ყველა ადამიანი ერთნაირად უყვარს, მაშინ რატომ არსებობენ ღვთის რწმუნებულები?**

— ღმერთს ყველა ერთნაირად უყვარს, მაგრამ ყველა ერთნაირად არ უყვარს ღმერთი. ყოველი ადამიანი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, თვითონ არჩევს, როგორი ერთგულებით ემსახუროს უფალს. ღმერთთან არ არის დრო. უფლისთვის მომავალი და წარსული არ არსებობს, მან დრო სამყაროსთან ერთად შექმნა, ამიტომ ყველა იმ ქმედებას და არჩევანს, რომელსაც მომავალი ჩავიდნით, აწმყოსავით ხედავს და იცის. ღმერთი წინასწარ ხედავს კონკრეტული ადამიანის ღვთისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას და განსაკუთრებულ არჩევანს, მას რაღაც მისიის შესასრულებლად ირჩევს. რაც შეეხება იმ საკითხს, რომ ადამიანები სხვადასხვა ნიჭით იბადებიან, უნდა გვახსოვდეს — ადამიანი ცხოვრობდა (გადარჩება) არა ამ თემით, არამედ ღვთის წყალობით და თავისუფალი არჩევანით: იცოს თუ არა ღმერთთან.

— **აქვს თუ არა მღვდელის უფლება, სასამართლო პროცესზე გაიქცას ბრალდებულის დისარების საიდუმლო?**

— ერთ-ერთი უძიძიძესი ცოდვა, რომელშიც შეიძლება მღვდელი ჩავარდეს, არის აღსარების გათქმა (ასეთი მღვდელი ალბათ არც არსებობს). სასულიერო პირი, როგორც მღვდელი, ზეციურ მოსამართლეს ემორჩილება; მიწიერი სასამართლო მის მღვდლობაზე, მღვდელმოქმედებაზე არ არის უფლებამოსილი. მღვდელი ქრისტეს წინაშე ვალდებულია, საკუთარი სისხლის ფასადაც არ გასცეს მონაწილის აღსარება, ვინც უნდა იყოს ის.

— **რატომ აქვს კათოლიკურ ჯვარცმასზე ქრისტეს ფეხები გადაჯვარედინებული?**

— რა თქმა უნდა, პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, თუ როგორ აქვს ფეხები მაცხოვარს ჯვარზე, მაგრამ, მართლმადიდებლური სწავლებით, ქრისტემ ოთხი სამსჭვავალი დაითმინა ჯვარცმისას. ჩვენი რწმენით, ამგვარი ჯვარცმა (ოთხი სამსჭვავალი) უფრო ასახავს ისტორიულ რეალობას. ამასვე გვიდასტურებს საეკლესიო გადმოცემა, ამიტომ პატივი უნდა მივაგოთ ჩვენს ტრადიციას.

— **რა მიუღებელია აჯანყება წილისადმი?**

— სამწუხაროდ, თანამედროვე ქრისტიანებს ბოლომდე არ გვემის ნათლის მოვლეობა. ერთი ნათლავნი იმ მიზეზით, თითქოსდა ნათლობაზე უარის თქმა არ შეიძლება, უფრო ხშირ შემთხვევაში კი

ღირსი მელანიას დედა ღრმად მოხუცი იყო და გადანყვითეს, წმინდა მინაზე დარჩენილიყო სამუდამოდ. წინააღმდეგობა არ გაუწევია მოხუცს და ელენის მთაზე ააგეს მცირე ზომის სამოღვაწეო, თვითონ ღირსი მელანია კი მეუღლესთან ერთად ეგვიპტეში გაემგზავრა, რათა მოენახულებინათ უდაბნოში მოღვაწეები და მათგან სულიერი რჩევა-დარიგებები მიეღოთ.

ეგვიპტის უდაბნოში აღმოაჩინეს მოსაგრე, სახელად ივესტიონი, რომლისთვისაც სურდათ, შესანიერი შეენერათ, მაგრამ მოსაგრე მამა წავიდა სამიწიელი წინააღმდეგეი. ჩუმი და უხვედს ღირს ივესტიონს ოქრო და გაშორდნენ იმის იმედად, რომ მოსაგრე მამა ნახავდა და ღვთისათვისო საქმეს მოახმარდა.

ცნობილი არის ის, თუ როგორ გამოედევნა ნეტარი ივესტიონი გზაზე ძახილით: „მიიღეთ თქვენი ოქრო, რადგან არაფერში გეჭირდება“. პასუხად კი მიიღო: „მიეცე ვინმეს, ვინც კი შეგხვდება“. რაზეც უპასუხა ნეტარმა მოსაგრემ: „აქ არის უდაბნო და არავინ მოდის, მხოლოდ თქვენ. გთხოვთ, ღვთის გულისათვის, წაიღეთ უკან ისე, როგორც დაიტოვებთ, რათა არ მაცდუნოს“. როცა ნახა მოღვაწემ, რომ ოქროს არ იბრუნებდნენ უკან და თვალს მიეფარნენ, აიღო და ოქრო მდინარეში მოისროლა, რითაც საბოლოოდ გაათავისუფლდა. ასე ხელცარიელი და თავისუფალი დაბრუნდა უკან თავის სამოღვაწეოში.

იქიდან წამოსული ღირსი მელანია და მისი ქმარი ალექსანდრიაში მივიდნენ, რათა იქაც ენახათ მოღვაწეები და მათაც დახმარებოდნენ. ნიტრიის მთაზე ავიდნენ, სადაც ნახეს მოღვაწე მამია — აბბა პამპოსი, სერაპიონი, ჰაფნუტი, ისიდორე ერმოპოლის ეპისკოპოსი და დიოსკურე უდაბნოში გაჩერდნენ ექვსი თვე, რათა ყველა მოღვაწე მოენახულებინათ და ლოცვა-კურთხევა აეღოთ მათგან.

ღირსმა მელანიამ შემოიარა ნიტრიის ყველა მოღვაწე და რომში აღარ დაბრუნებულა, პირდაპირ მიაშურა იერუსალიმს. იქ მზად დახვდა გამოქვაბული, სადაც უნდა მოღვაწევა დარჩენილი ცხოვრება. მართლაც ვერავის ხედავდა, საერთოდ განმარტოებელი იყო წუთისოფლის ამოებისგან. თუ რამ აუცილებელი იყო, აწვდიდნენ დედა, ყოფილი მეუღლე და, როგორც მემატინე აღწერს და რაც საკმაოდ ბუნდოვანია, ხორციელი თუ სულიერი და, რომელიმე მისი სასახლის მსახური, რომელთაგან ბევრი თან ახლდა მოგზაურობებშიც.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ამგვარ ყოფაში თოთხმეტი წელი გალია ღირსმა მელანიამ. როცა დედა გარდაიცვალა, მშვიდობით მიბარეს მინას, რის შემდგომაც უშურველად განაგრძობდა ღვთისათვის მოსაგრეობას კიდევ უფრო მეტი სიმკაცრით, ვიდრე ამას დედის გარდაცვალებამდე იქმოდა. კაცვიით ეწინააღმდეგებოდა დემონთა თავდასხმებს და შემოტევებს.

საქვეყნოდ გახდა ცნობილი წმინდა მელანიას მოღვაწეობა და იძულებული შეიქმნა, შემოკრებილი ხალხის გამო დიდი სამოღვაწეო კომპლექსი დაეარსებინა. თვითონვე ჩამოაყალიბა კანონი, რომ არავითარი შეწირულობა არ მიეღოთ არავისგან და საარსებოდ საკუთარი შრომა გამოეყენებინათ. ვინც მის გვერდით მონაზვნობას გადანყვებდა, მას სიცოცხლეში მამაკაცი თვალთაც კი აღარ უნდა ენახა. უამრავი გზასაც დედის ქალი და ადგა ცხოვრების სწორ გზას წმინდა

მელანიასთან ურთიერთობის შედეგად, უმკაცრესი ცხოვრების წესით ოთხმოცდაათამდე მონაზონი მოსაგრეობდა ღირსი დედის მითითებით.

ახლა უკვე ხორციელი მეუღლეს გარდაეცვალა, რამაც კიდევ უფრო მეტი მონდომებით გადაანყვებინა ღირს მელანიას მამათა მონასტრის დაარსება, მაგრამ ამისთვის საჭირო სახსრები უკვე აღარ გააჩნდა, რადგან თუკი რამ ებადა, მოწყალეებაში ჰქონდა დარიგებული. მოწყალე ღმერთმა მანაც გამოაჩინა კეთილი ადამიანები, რომელთაც სისრულეში მოიყვანეს ღირსი მელანიას სურვილი და დაასრულეს მამათა მონასტერი, რომელიც წმინდა მელანიას ტიპიკონის, შედგენილი კანონების თანახმად მოღვაწეობდა.

უკვე ყველამ იცოდა წმინდანის შესახებ და ამიტომაც სთხოვეს, მომრიგებლის როლი შეესრულებინა რომსა და კონსტანტინეპოლს შორის, რადგან იმპერიის დედაქალაქად რომის ნაცვლად კონსტანტინეპოლი უნდა გამოცხადებულიყო, ეს კი, ადვილი წარმოსადგენია, რა მტკიცეული პროცესი იქნებოდა იმ დროს.

დაადგა ღირსი მელანია მოქმედებელ გზას იერუსალიმიდან კონსტანტინეპოლისკენ, სადაც მისი ბიძა იბრძოდა ქალაქის მთავრობის მოსაპოვებლად და წმინდა მელანიას მხარდაჭერა ესაჭიროებოდა. ქალკედონში მისულმა ღირსმა მელანიამ დიდმონაქმე ეფემის სახელობის ტაძარში გაჩერება გადაწყვიტა, რათა შეეცყო, ღვთის ნება იყო თუ არა მისი კონსტანტინეპოლში ჩასვლა. ღვთისთვის სათნო მთელი ღამე ცრემლით ევედრა დიდმონაქმე ეფემის. დილით მთელი ტაძარი სასიამოვნო სურნელით აივსო, რაც იმას ნიშნავდა, რომ უნდა გაეგრძელებინა გზა კონსტანტინეპოლისკენ, სადაც ნესტორის ცრუ სწავლება მკინერებდა და მთელი ქალაქი არეულობას მოჰყავდა.

ჩავიდა წმინდანი, სადაც ჯერ საკუთარ ბიძას მოუწოდა, ხორციელზე ზრუნვისგან თავი შორს დაეჭირა და უფრო მეტი დრო სულიერზე ფიქრში გაეტარებინა, აგრეთვე არაერთ ნესტორიანელ ავტორიტეტსაც მოუწოდა ჭეშმარიტებისკენ. დედოფალ ევდოკიას მოუწოდა, ჩასულიყო იერუსალიმში და თავყვანი ეცა მაცხოვრის ყოვლადწმინდა საფლავისთვის.

მართლაც ესტუმრა დედოფალი წმინდა ქალაქ იერუსალიმს, დაესწრო ტაძრის კურთხევას, რომელიც ღირსი მელანიას მონდომებით აშენდა და დამსვენდა. დედოფალმა მოილოცა იერუსალიმის ყველა სინამდვილე და სულიერი კმაყოფილებით დაბრუნდა კონსტანტინეპოლში. ღირსი მელანიას შეგონების შემდეგ არასდროს ივინყებდა მოწყალეების გაცემას.

წმინდა მელანიამ კი წმინდა სულის კარნახით იგრძნო თავისი ხორციელი აღსასრული და დაბრუნდა საკუთარ გამოქვაბულში აღსასრულის მოლოდინით. შენდობა ითხოვა ყველასგან, ვინც კი მის გვერდით მოღვაწეობდა. ყველა მწუხარებით შეხვდა იმ წუთს, როცა უნდა გამოემშვიდობებოდნენ საკუთარ მასწავლებელს. ის კი თვითონვე ამხნევედა მოსწავლეებს. ასე აღესრულა ღვთის რწმული ღირსი მელანია წელიწადის ბოლო დღეს, 31 დეკემბერს და მიბარა სული თვისი უფალს, რომლის მოლოდინშიც გალია წუთისოფელი.

მეოხ და მფარველ გვეყავ ჩვენ ცოდვილთა, ღირსო დედაო მელანია!

ქრისტესმიერი სიყვარულით პრეტოდიაკონი მირიანი. ამინ!



■ აბაა გიორგი

საქართველოში ნათელმორიხობა დანათესავების ფორმაა. თანამედროვე ნათლიას თავის მოვალეობად მიაჩნია, უყიდოს ნათლულს ჯვარი, შესანიშნავი შესწირის მოძღვარს, სადღესასწაულო ტრაპეზზე შესვას ნათლულის სადღესასწაულო და შემდეგ გაუზიარდეს გარკვეულ ვადით. ნათლულს კი სალაპარაკოდ რჩება, ესა და ეს კაცია ჩემი ნათლია, ოქროს დიდი ჯვარი მაჩუბა და ა.შ. ყოველივე ეს საკმაოდ ადვილი, შინაარსით კი ცარიელი საქმეა.

სინამდვილეში, როდესაც თანხმობას აცხადებთ ნათლიობაზე და საეკლესიო საიდუმლოს ესწრებით, სულიერი მამა ან დედა ხდებით. თქვენ ბავშვის მავიჯარად პასუხობთ მოძღვრის შეკითხვებს („განვემორები ეშმაკისაგან“, „შევედგები ქრისტეს“, „განვადგებ სატანას“). თქვენ სრული პასუხისმგებლობით აცხადებთ, რომ ივნიზებით ნათლულის სულიერი მდგომარეობის გამო, რომ იგი ქრისტეს ნაცვლად ეშმაკის მიერ დაარსებული იქტის წვერი არ გახდეს.

ჯვარი, რომელიც მიუტანეთ თქვენს ნათლულს და ღვთისმსახურმა ჩამოჰკიდა მას, თქვენსა და თქვენს ნათლულს შორისაა. ღმერთმა დაგიფაროთ, რომელიმე უარყოთ ან არ ატაროთ იგი, თქვენ — თქვენი ნათლის ბოძებული, მან კი — თქვენი ბოძებული. თქვენ, ნათლიას, მოგვითხვებით ნათლულის რელიგიური ზნეობა. ამისათვის უდგებით თქვენ მას ნათლობის მამად, ე.ი. სულიერ მამად. გახსოვდეთ თქვენი ნათლულის ნათლისღების დღე — ეს მისი მფარველი ანგელოზის დღეა. იზრუნეთ, რომ ეკლესიურად იცხოვროთ თქვენც და თქვენმა ნათლულმაც. განა ქრისტიანად გახდომა ნათლისღებით მთავრდება? პირიქით, იგი ნათლისღებით იწყება! ვიფიქროთ, რა სურს ჩვენგან ქრისტეს, რომელსაც შევედებით. ყოველ კვირას ყოველ მოქმედ ტაძარში ღვთის საიდუმელი მსახურება სრულდება. თუ ქრისტიანად თვლი თავს, სად ხარ ამ დღეს? ისინებ, რომ ეს იმ უფლის დღეა, რომელსაც თვითონ შედგომიანარ და რომელთანაც შუამდგომლობ შენს ნათლულს?

— თუ ღმერთი ყოვლისშემძლეა რატომ დავუშვას სატანის არსებობა?

— ღმერთი ყოვლადნეტარი, უსრულყოფილესი და მარადიულია. ამავე დროს იგი სიყვარულია და ამიტომ მან შექმნა გონიერი, პიროვნული არსებები (ანგელოზები და ადამიანები), რომლებიც მოწოდებულნი არიან, გახდნენ ღვთის მსგავსნი ანუ ნეტარნი, სრულყოფილნი, მარადიულნი, ე.ი. ბედნიერნი. ერთადერთი პირობა, რითაც ანგელოზთა და ადამიანთა მიერ ღვთის ეს მოწოდება შესრულდება, სამიზნეობა უფლისა და ერთმანეთის სიყვარულია. თუ ღმერთი გიყვარს, ხარ მასთან და მისი ბედნიერების თანაზიარი ხდები. თუ ღმერთი არ გიყვარს, მასაც კარგავ და მისგან მომდინარე ყველა სიკეთესაც.

სიყვარული მხოლოდ ნებაყოფლობით შეიძლება იყოს, სიყვარული არ არსებობს ძალადობით. ეყვარებოდათ თუ არა ღმერთი, დარჩებოდნენ თუ არა ღმერთთან, ეს თავად

ანგელოზებს უნდა გადაეწყვიტათ (ასევე უნდა გადაეწყვიტოთ ადამიანებმა) და, აი, ერთ-ერთმა მთავარმა ანგელოზებმა და მისი მიბაძვით სხვებმაც არ ისურვეს ღმერთთან ყოფნა, საკუთარი ნებით სიკეთეს მოკლებულნი, ბოროტ სულებად გადაიქცნენ. ხშირად კითხულობენ, რატომ არ სჯის და ანადგურებს მათ ღმერთი. ისინი დასჯილნი არიან, მათ აღარა აქვთ ერთობა ბედნიერების წყაროსთან — ღმერთთან. მათ განადგურებას რაც შეეხება, უნდა ვიცოდეთ, რომ პიროვნულ არსებებში უმთავრესია ორი თვისება: მარადიულობა და თავისუფლება. ღმერთი, როგორც ყოველი ქმნილების მოყვარული მამა, არც ერთ თვისებას ენება. ანგელოზები და ადამიანები მარადიულად იარსებებენ და იარსებებენ ისე, როგორ არჩევანსაც თვითონ გადაკეთებენ.

— როგორ უნდა დავცხმობთ ადამიანს, რომელიც აზარტული თამაშების ციკლაშია?

— ყოველივე, რაც ღმერთს გვაცდილებს, ცოდვება, ამიტომ აზარტი, რომელიც სულის სიმშვიდეს გვაკარგვინებს, დიდი ცოდვება, ფულთან დაკავშირებული აზარტი კი — უდიდესი ცოდვაა. აზარტულ თამაშში მოგებული ყოველი თეთრი სატანისაგან ნაწიქარი ფულია, ამიტომ, რაც მეტს მოიგებ, უფრო საშიშია. მათ, ვინც ამ საქმიდან სულ მოგებული რჩებიან (ტოტალიზატორის, კაზინოს მფლობელები), სული ეშმაკისთვის აქვთ მიყიდული, რაც მათი გარდაცვალებისთანავე განცხადდება. ამ სენიდან თავის დახსნა მხოლოდ ღვთის წყალობით შეიძლება, ამიტომ თავად გახდით კარგი ქრისტიანი, აღმოაჩინებელი, მაზიარებელი და თქვენი დაჟინებული ლოცვით შეიძლება განიკურნოს ის ადამიანი, ვისაც გასურთ, დაეხმაროთ.

— რატომ ამბობენ რომ საქოშია ცველა 33 წლის იქნება?

— ითვლება, რომ ჯანმრთელობისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შემთხვევაში ადამიანის ხორციელი ბუნება ოპტიმალურ მდგომარეობას 33 წლის ასაკში აღწევს. ეს პერიოდი ქრისტეს ასაკად იწოდება, ქრისტე ხომ 33 წლის ასაკში აღესრულა

„ზახეცე თამაშში მოგებული ყოველი თეთრი სატანისაგან ნაჩუქარი ფულია, ამიტომ, ხაც მეტს მოიგებ, უფრო საშიშია. მათ, ვინც ამ საქმიდან სულ მოგებული რჩებიან (ტოტალიზატორის, კაზინოს მფლობელები), სული ეშმაკისთვის აქვთ მიყიდული, ხაც მათი გახდაცვალებისთანავე განცხადდება.“

ჯვარზე. გარდაცვალებისას ადამიანური ბუნების გახლეჩა სულად და ხორცად დროებითი მოკლენაა. ადამიანი მარადისობას სრული ბუნებით იმკვიდრება, ანუ როგორც სულით, ისე ხორცით. გარდაცვალებისას თავდაპირველად სული გადადის მარადისობაში, ხოლო უფლის მეორედ დიდებით მოსვლის ჟამს სული კვლავ შეერთდება ხორცთან, მაგრამ ეს ხორცი (მკვდრეთით აღმდგარი) იქნება განსულიერებული, სულს დამორჩილებული, სულის თვისებების მქონე, უვცდავი, ქრისტეს მკვდრეთით აღმდგარი სხეულის მსგავსი და ქრისტეს ასაკისა, ე.ი. 33 წლის. და ეს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი წლისა გარდაიცვალა ადამიანი. შეუძლებელია ითქვას, თუ როგორი იქნება მკვდრეთით აღმდგარი ადამიანის ხორციელი ბუნება, რამეთუ ამის გამოცდილება არ გავაჩნია, ამიტომ გამოთქმა — ვიქნებით 33 წლის, უფრო სრულყოფილების, ქრისტესადამი მიმსგავსების მაჩვენებელია.

ბის მაჩვენებელია.
— არა თუ არა ბავშვები სრულიად უცოდველნი?
— ქრისტიანობაში ცოდვის სამი გაგება არსებობს. პირველი, როდესაც ადამიანი ჩადის არასწორ, სინდისის სანინააღმდეგოდ დანაშაულებრივ ქმედებას ღვთისა და მოყვანის წინაშე. ამგვარი გაგებით, რა თქმა უნდა, ბავშვები პიროვნულად უცოდველნი არიან. მეორე გაგება ცოდვისა, ეს არის მემკვიდრეობითი ცოდვები. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადამიანი ჩადის უშიშმეს დანაშაულს მოყვანისა და, განსაკუთრებით, ღვთის წინაშე. ამ დროს მისი ბუნება ძლიერ ზიანდება და ეს მემკვიდრეობით მეოთხე თაობამდე გადადის.

„თანამეცხოვე ნათიას თავის მოვალეობად მიაჩნია, უყიდოს ნათლულს ჯვარი, შესანიშნავი შესწირი, სადღესასწაულო ტრაპეზზე შესვას ნათლულის სადღესასწაულო და შემდეგ გაუზიარდეს გარკვეულ ვადით. ნათლულს კი სალაპარაკოდ რჩება, ესა და ეს კაცია ჩემი ნათლია, ოქროს დიდი ჯვარი მაჩუბა და ა.შ. ყოველივე ეს საკმაოდ ადვილი, შინაარსით კი ცარიელი საქმეა.“

ასეთი ცოდვილის შთამომავალი, მართალია, პიროვნულად არ აგებს პასუხს წინაპრის შეცოდებაზე, მაგრამ იგი გარკვეული დანაშაულებით, კონკრეტული ცოდვისადმი მიდრეკილებებით იზადება. ამასთან, თუ გულგრილი დარჩება წინაპრის მიერ ჩადენილი დანაშაულისადმი, მამის შეიძლება მისი პიროვნული პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს.

ცოდვის პირველი ორი გაგება თუ თითქოს საყოველთაოა, მესამე გაგება მხოლოდ ქრისტიანობაშია. ესაა პირველქმნილი, ანუ ადამიანური ცოდვა. ადამის ცოდვა თვისობრივად განსხვავდება და შეუდარებლად აღემატება ყველა ჩვენს შეცოდებას. მან უარყო ღმერთი და ეს უშიშმესი ცოდვა, მართალია, ეშმაკის ცდუნებით, მაგრამ ყოველგვარი შინაგანი მიდრეკილებისა და აუცილებლობის, აგრეთვე გარეგანი იძულების გარეშე, ანუ აბსოლუტურად თავისუფლად ჩაიდინა. ცოდვის სიმძიმისგან მასში დაზიანდა ზოგადად ადამიანური ბუნება, რის გამოც თელი მისი შთამომავლობა უკვე დაზიანებული, ღმერთს დაცილებული, ავადმყოფი ბუნებით იზადება. ეს მდგომარეობა ისეთი მძიმე და გამოუვალი იყო, რომ ჩვენს გადმარჩენად თვით უფლის ადამიანად მოსვლა გახდა საჭირო; თავად ღმერთი გახდა მსხველი.

ზემოთქმულიდან გასაგებია ხდება, რომ ჩვილნი პიროვნულად უმანკონი არიან, მათ ჯერ სიკეთესა და ბოროტებას შორის არჩევნის გაკეთების უნარი არ აქვთ, მაგრამ ბუნებით ცოდვილნი არიან; ანუ მათ სრულად აქვთ მიღებული ადამიანური, დაზიანებული, ღმერთს დაცილებული და ავადმყოფი ბუნება ყველა უშიშმესი შედეგით: ცოდვიანი მიდრეკილებებით, ხორციელი ავადმყოფობითა და სიკვდილით, ღმერთთან ყოფნის უუნარობით. ყოველი ახალშობილი შვილია ძველი ადამიანის, გადარჩენისათვის კი აუცილებელია განახლება, სულიერად მეორედ შობა, ძველი ადამის შვილობიდან ქრისტეს, ანუ ახალი ადამის შვილად გახდომა. აქედან გამომდინარე, გასაგებია ხდება, თუ როგორ დასაცოცხლოდ აუცილებელია ახალშობილთა მოხვედრა, რითაც ისინი განახლებულნი, ქრისტეს შვილნი, სასუფევლის მოქალაქენი ხდებიან.

✓ მანანა ნიფია

ბიჭუნა გაყინულ სხლს ნახატებით ალაპაზებს

„ახავის ეგონოს, ბეჯის ვითხოვ, ეთი სუცი მაქვს, ხოდის გავიხედები, ხომ ჩემი შიხმით მივალნიო ყვეაფეხს“

12 წლის თორნიკე მჭედლი შვილის გულისამაჩუყებელმა ნერილმა, რომელმაც ის დახმარებას ითხოვდა, მთელი ინტერნეტსივრცე მოიარა და გულგრილი არავინ დატოვა. პატარა ბიჭი ბებიასთან ერთად თბილისის გარეუბანში, მუხიანში, საერთო საცხოვრებელში, ერთ ოთახში ცხოვრობს. მათი სახლი 4 წელზე მეტია ჩაბნელებულია, რადგან ოჯახს ელექტროენერგია დავალიანების გამო გადაუჭრეს. კეთილი მუშობლისგან გადაყვანილი სადენით მათ ლარიბულ ბინაში მხოლოდ ერთი ნათურა ბუჭტავს, არც სასმელი წყალი მოდის და არც ონკანები მუშაობს.



თორნიკე მჭედლიშვილი

„მუხეუმხიას და ხალაყებს ყვიდი. ეთი-იხი თეთი მიჩებოდა და საქმესაც ვჭამდით. მაშინ ბეჯი ადამიანი გავიცანი. ისე მიმიღეს, ხოგოც ჰატახა მეგობაში“.

თორნიკე უამოდ იზრდება. დედა რუსთავის საპრობილეში 4 წლიან სასჯელს იხდის. სანამ თორნიკეს ბებია, ნინო აბუაშვილი, ჯანმრთელად იყო, ბავშვზე ის ზრუნავდა, ახლა კი პატარა ბიჭს საკუთარი თავის მოვლა თავად უწევს. ერთი პერიოდი მუხესუბირას ყიდა და სახლში დაღამებამდე ცდილობდა დაბრუნებას, რომ დღის შუქზე გაკვეთილების სწავლა მოესწრო. სკოლაში კარგად სწავლობს. ბებია-შვილიშვილის შემოსავალი თვეში 124 ლარია. რა თქმა უნდა, არ ჰყოფნით, თუნდაც იმისთვის, რომ მოზარდს საჭირო ტანსაცმელი ჰქონდეს. ზამთარში, ცუდ ამინდში, ბავშვს ფეხსაცმელში წყალი შესდის და ფეხები უსველდება.

თორნიკეს საცხოვრებელს დიდხანს ვეძებდით. პირველი, რამაც სახლში შესვლისთანავე ჩვენი ყურადღება მიიპყრო, ბიჭუნას ნახატები იყო. ის არაჩვეულებრივად ხატავს, კერამიკული ნივთებს აკეთებს. პატარა ხელოვანი თავის გაჭირვებაზე „სარკეს“ ესაუბრა: — საერთო საცხოვრებელში ბებიასთან, დედაჩემის დედასთან ერთად ვცხოვრობ. უკვე 4 წელზე მეტია, დენი ძალიან დიდი დავალიანების გამო (2100 ლარი) არ გვაქვს. მეექვსე სკელასელი ვარ, 175-ე საჯარო სკოლაში ვსწავლობ. განსაკუთრებულად მიყვარს ისტორია და ბუნება. ამ საგნებში მალალი ქულები, ათიანები გამოიყვანა. სხვა საგნებში ცოტა მოვიკოჭლებ, თუმცა, საერთო ჯამში, კარგად ვსწავლობ. მასწავლებელმა დაგვაგავა, ზამთრის არდადეგებზე „უთავო მხედარი“ წამეკითხა, ძალიან მომეწონა. არადადეგებზე სულ მინდა, რომ სკოლაში ვიარო, სახლში ვერაფერს ვაკეთებ, პირობები არ მაქვს. ვცდილობ, სკოლიდან მოვალ თუ არა, გაკვეთილები მაშინვე მოვამზადო, რადგან შუქი არ გვაქვს და ღამე ვერ ვიმეცადინებ, თვალები მტკივა. ხანდახან სახლის შუქზეც ვმეცადინებ, მაგრამ ეს ძალიან მიჭირს.

— **ყოცა რამ ამაზე დაბარაქი შენთვის მტკიუნელა გერადება კდეცა მაგრამ წყარაღს გეწერა მტკიუნარას ვყადიაო.**

— კი, შემოსავალი არაფერი გექონდა, ბებია ავადა, ორივე ფეხზე ტროპიკული წყლები აქვს, ამიტომ ქვემოთ ჩავდიოდი და მუხესუბირას და რალაცვებს ვყიდდი. ერთი-ორი თეთრი მრჩებოდა და საჭმელსაც ვჭამდით. მაშინ ბევრი ადამიანი გავიცანი. ისე მიმიღეს, როგორც პატარა მეგობარი. ფანჯრებში მინა არ გექონდა, როგორც გარეთ ცროდა, ისე ყინავდა ჩვენთანაც. მუხესუბირას

რომ ვყიდდი, იქ ვილაცხვებ ვთხოვე, იქნებ ვინმეს შუშა გქონდეთ-მეთქი, მომიტანეს. მეზობლები, ბიძაჩემი დამეხმარნენ და ჩავსვით. ახლა ჩემს ფანჯარას შუშები აქვს და ისე ძალიან აღარ გვეცოვა. ცოტა ხნის წინ სახლში გავი უფასოდ შემოგვიყვანეს.

— **ასეთ მსმე პირბუშში ვიყვან ცხოველებს თან მუშობდა კდეცა სწავლას რაფარ ასერსება?**

— ეს ძალიან რთული იყო, მით უმეტეს, ლი იყო, მით უმეტეს, ბუშში ვიყვანდი. გასაყიდად გაყინული ჩავდიოდი, იქ კიდევ უარესად ვიყინებოდი. სულ ვცდილობდი, იქიდან მალე წამოვსულიყავი, არ დამღამებოდა და სახლში გაკვეთილების მომზადება დღის შუქზე მომესწრო. კლასელებმა ჩემი ცხოვრების შესახებ რომ გაიგეს, გულთან ახლოს მიიტანეს. ყოველ წელს ფულს აგროვებენ და მეხმარებიან.

— **ახლაც მუშობ?**

— არა, ახლა აღარ ვმუშაობ. სოციალური დახმარების საშუალებით ვარსებობ. სულ 54 ლარს ვიღებთ და ამას გარდა, ბებიის მეორე ვაგუფის ინვალიდობაზე 70 ლარს აძლევენ პენსიას. ბებიაზე ძალიან ვწერვიულობ, ბევრი მედიკამენტი სჭირდება.

— **შენი მშობლები სდ არაან?**

— მამა არ მყავს. დედა ოჯახში ბავშვის აღზრდელად მუშაობდა, თითქმის სულ გასული იყო, ბებია მზრდიდა. დედაც ამ პირობების გამო გაცივდა, ავად გახდა, წლები განმავლობაში საავადმყოფოში იწვა ტუბერკულოზით, ცალი ფილტვი ამოჭრილი აქვს... ახლა საპრობილეშია, 4 წელი აქვს მისჯილი.

— **დედას სმარად ნახულობ?**

— კი, მაგრამ შორსაა, რუსთავის მე-11 ნოლატორში. იქ დიდ ბებიას მიყვავარ ხოლმე. სულ დარდიანი ვარ, ძალიან დიდი ხანია ცრემლიანი თვალებით ველოდები, დედას როდის გაათავისუფლებენ.

— **ყველაფერი კარგად იქნება რამდენი ხანა რაც დედა დაკარგულა?**

— ნელინადახევაარია. სისხლის სამართლის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით გაასამართლეს. რალაც სიტუაციას მსხვერპლი მოჰყვა და დედაც დააკავეს.

— **ნათესაები ყრადლებს არ გაქცევენ?**

— შეძლებისდაგვარად. ბიძაჩემი სულ მოდის ხოლმე.

— **შენი ნახატები ყნაქ ვინ ვაწავლა ხატვა?**

— 6 წლიდან ვხატავ. თავიდან უფრო ნაჯლანები მქონდა, ცოტა რომ წამოვიზარ-



დე, ხელი გამვივარჯიშდა. ბებია ძალიან კარგად ხატავდა, ალბათ ეს ნიჭი მისგან გამოიყვანა. სკოლაც მომეშველა, ხატვის წრეზე სოციალურად დაუცველის სტატუსით უფასოდ დავდივარ. ბევრი რალაც ვისწავლე. კერამიკული ნაშუშევრების გაკეთებასაც გვასწავლიან. სხვათა შორის, ჩემი პირველი კერამიკული ნაშუშევარი ბეკევაა, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ტალახიანია, მგონი, ძალიან ლამაზი გამომივიდა. ხატვას რაც შეეხება, ძირითადად ანიმალისტური ჟანრი მიყვარს, ცხოველებს, მულტიფილმის გმირებს ვხატავ. ჩემი ნახატებიდან ყველაზე მეტად მეცხვარე მომწონს. გამოფენაც მქონდა სკოლაში.

— **მხატვარი უნდა გამოიხედ?**

— ძალიან ბევრი პროფესია მაქვს შერჩეული, უფრო მეტად კი ფოტოგრაფია მაინტერესებს, ძალიან კარგ ფოტოებს ვიღებ, ძალიან მიყვარს ეს საქმე.

— **რა არის შენი ოცნება?**

— პირველ რიგში, მინდა, ბებია გამოვანმრთელდეს და იმის კუთვება შეძლოს, რასაც ადრე აკეთებდა. ასევე, ძალიან მინდა, დედა საპრობილედან მალე გამოვიდეს და მთელი ოჯახი ერთად




თორნიკეს ნახატები

ვიყოთ. არავის ეგონოს, რომ რალაც ბერს ვითხოვ. მე ამ საცხოვრებელი ბინითაც ვმალყოფილი ვარ. ზოგი ოცნებობს, ლამაზი სახლი ჰქონდეს, მე კი ამაზე არ ვფიქრობ. უბრალოდ, ერთი სული მაქვს, როდის გავიზრდები, რომ ჩემი შრომით მივალნიო ყველაფერს და ამ სახლის გარემონტება შეძლო, რომ არ გვეციოდეს. ძალიან დიდი მადლობა, ვინც ჩემი წერილი წაიკითხა და დაგვეხმარა. არადა ძალიან მერიდება. თქვენი კოლექციები იყვენ მოსული, ნოუთბუქი მაჩუქეს, რომ უკეთ ვისწავლო. დიდი მადლობა ყველას, ვინც ჩემი გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანა.


✓ კა ბონიზაჯა

ლაბირინთი

დაეხმარეთ ფიქსს,
ლაბირინთში გზა გაიკვლიოს



გააფიქსადეთ



პერაკრუზ-ემსპრასი

მასალა:

- ძეხვი (სოსისი) — 400 გ
- დაკონსერვებული ლობიო — 400 გ
- დაკონსერვებული პომიდორი — 400 გ
- ნითელი ბულგარული წინაკა — 1 ცალი
- ხახვი — 1 თავი
- მწვანე ხახვი — 1 ძირი
- ზეთი — 1-2 ს.კ.

ქინძი, ოხრაბუში, რეჰანი მარილი, პილპილი, ნითელი დაფქული წინაკა — გემოვნებით

ბარნირაღ: მოხარშული ბრინჯი ან მაკარონი.

მომზადება: ძეხვი კუბიკებად დაჭერით. ტაფაში ზეთი ჩაასხით და ძეხვი შეწვით (ყველა მხრიდან). დააყარეთ წვრილად დაჭრილი ბულგარული წინაკა. როცა სანახევროდ ჩაითუშება, ჩაუმატეთ წვრილად დაჭრილი ხახვი და ლობიოს მარცვლები. 2-3 წუთში ჩაუმატეთ წვრილად დაჭრილი დაკონსერვებული პომიდორი, მოურიეთ და თავზე დაახურეთ. ალს დაუნიეთ და 4-5 წუთი შუშეთ.

მწვანილი და ხახვი აკეპეთ. ჩაუმატეთ ტაფას, შეაზავეთ მარილით, პილპილით და დაფქული ნითელი წინაკით. თუ შეამჩნიეთ, რომ კერძი სქელი გამოდის, ცოტა ანადუღარი წყალი ჩაუმატეთ. მზა კერძი სუფრასთან გარნითან ერთად მიიტანეთ.

შემწვარი ბანანი შოკოლადით

მასალა:

- ბანანი — 6 ცალი
- შაქარი — 1 ჭიქა
- დარიჩინი — 2 ჩ.კ.
- მწარე შოკოლადი — 100 გ

- ნაღები — 1 ჭიქა
- ვანილის ნაყინი — 100 გ



ბ ქოქოსის ფანტელები — მო-

საყრელად

კარაქი — 20 გ

მომზადება: ბანანს კანი მოაშორეთ და სიგრძეზე გაჭერით. აურიეთ შაქარი, დარიჩინი და დაჭრილი ბანანი ამ მასაში ამოავლეთ. დადეთ კარაქიან ტაფაზე და შეწვით ორივე მხრიდან ისე, რომ შაქარი კარამელის კონსისტენციის გახდეს.

ორთქლის აბაზანაზე პატარა ჯამი მოათავსეთ, შიგ ჩაყარეთ დატეხილი შოკოლადი და ჩაუმატეთ ნაღები. მუდმივი მორევით შოკოლადი გააღწეთ.

შემწვარი ბანანი თევზზე გადაიტანეთ, დაადეთ ვანილის ნაყინი, ზემოდან მოასხით შოკოლადის სოუსი და მოაყარეთ ქოქოსის ფანტელები.

კესადია

მასალა:

- მოხარშული ძროხის ხორცი — 200-300 გ
- სომხური ლავაში — 2 ცალი

- ყველი — 50 გ
- ქინძი, კამა, მწვანე ხახვი — თითო-თითო კონა

პომიდორი, კიტრი, ბულგარული წინაკა, მარილი, პილპილი

— გემოვნებით

მომზადება: ბოსტნეული თხელ ნაჭრებად დაჭერით, მწვანილი აკეპეთ, ყველი გახეხეთ, მოხარშული ხორცი ასანთის ღერებზე დაჭერით.

ტაფა გაახურეთ, დადეთ ერთი ლავაში, როცა გაცხელდება, გადააბრუნეთ და ზემოდან მომზადებული ინგრედიენტები მოაყარეთ. დააფარეთ მეორე ლავაში, ცოტა ხელით დაანეჭით. როცა შეატყობთ, რომ ყველი დნება, ფრთხილად გადააბრუნეთ და მეორე მხრიდანაც შებრანეთ. მზა კესადია ტაფიდან ამოიღეთ, ოთხად გაჭერით და სუფრასთან მიიტანეთ.



ბურიტო ინდურის ფილეთი



მასალა:

- ინდურის შემწვარი ფილე — 50 გ

- სომხური ლავაში — 1 ცალი
- ბოსტნეულის სალსა (ბულგარული წინაკა, კიტრი, პომიდორი, მწვანილები) — 2 ს.კ.

- პომიდორი — 2-3 ნაჭერი

- კიტრი — 1-2 ნაჭერი

- სალათის ფოთლები — 1 კონა

- სანებლისათვის:

- ზეითუნის ზეთი — 1 ჩ.კ.

- ძმარი — 1/2 ჩ.კ.

- მარილი, პილპილი — გემოვნებით

მომზადება: შემწვარი ფილე მოგრძო ნაჭრებად დაჭერით. სალსისათვის წვრილად დაჭერით ბულგარული წინაკა, კიტრი, პომიდორი, მწვანილები და მოასხით სანებელი (ზეითუნის ზეთი, მარილი, პილპილი, ძმარი).

ფილე სომხურ ლავაშზე გადაანაწილეთ, ზემოდან სალსა მოათავსეთ, მოაწყვეთ დანარჩენი ბოსტნეული და მოასხით სანებელი.

ახია ქათმით

მასალა:

- ქათმის ფილე — 500 გ
- მაკარონი — 300 გ
- მწვანე ხახვი — 6 ღერი
- დაკონსერვებული სიმინდი — 150 გ
- სტაფილო — 150 გ

- ქინძი — ნახევარი კონა

- დაფქული ხმელი ქინძი — 2 ჩ.კ.

- ძირა — 2 ჩ.კ.

- ზეთი, ან ერბო — 2 ს.კ.

- სოუსი (100 გ ტომატი პასტა, ახალი ქინძი, მარილი, პილპილი, სუნელები) — 200 გ



მომზადება: მაკარონი მარილწყალში მოხარშეთ. ქათმის ფილე კუბიკებად დაჭერით, მოაყარეთ დაფქული ქინძი, ძირა და აურიეთ. ბოსტნეული 2-3 სმ სიგრძის, თხელ ნაჭრებად დაჭერით. ტაფაზე ცხიმი დაასხით და ფილე შებრანეთ. როცა მზად იქნება, ქაფქირით (ცხიმი რომ არ შეჰყვეს) ცალკე თევზზე გადაიტანეთ.

ამავე ტაფაში სტაფილო და სიმინდი მოშუშეთ, შემდეგ ჩაუმატეთ მწვანე ხახვი და ცეცხლზე კიდევ 2 წუთი გააჩერეთ.

მზა ბოსტნეულს დააყარეთ ხორცი, მოურიეთ და მოასხით სოუსი, დაუმატეთ 50 მლ წყალი. როცა წამოღულდება, ჩაუმატეთ მაკარონი, მოურიეთ, მოაყარეთ დაჭრილი მწვანე ხახვი და ქინძი. სუფრასთან გრილი მიიტანეთ.

გულსაყიდი ქაღალდისგან

აძ გულსაყიდის გასაკეთებლად ბევრი არაფერი დაგჭირდება: წვრილი ჯაჭვი, ჟურნალის ან წიგნის ფურცელი, თხელი მუყაო, უფერო ლაქი, რამდენიმე მძივი, ლითონის რგოლები მძივისთვის.

გამოჭრათ ფურცლებისგან სასურველი ზომის წრეები. გამოჭრილი წრეები ორივე მხრიდან დავანებოთ მუყაოს (ეს აუცილებელია სიმაგრისთვის) და ფრთხილად შემოვწვათ, ისე, რომ ფორმა არ დაკარგონ. ორივე მხრიდან წავუსვათ უფერო ლაქიც. მზა წრეები ავაცვათ ლითონის რგოლებზე.

ლითონის რგოლებზე ავაცვათ მძივებიც. დავამაგროთ ისინი წვრილ ჯაჭვზე ისეთი განლაგებით, როგორც გვსურს ან ისე, როგორც ფოტოზეა ნაჩვენები. სულ ესაა.

გისურვებთ წაბმადყმას!

✓ ლელა ცუცქერიძე



წინა ნომერი გამოქვეყნებული სულოქუს პასუხები № 1

2	6	1	8	7	3	4	5	9
8	7	5	9	4	2	6	1	3
4	3	9	1	6	5	7	8	2
3	5	8	6	2	7	9	4	1
1	2	6	4	9	8	3	7	5
9	4	7	5	3	1	2	6	8
7	1	4	2	8	9	5	3	6
6	8	2	3	5	4	1	9	7
5	9	3	7	1	6	8	2	4

№ 2

9	4	5	6	8	3	1	7	2
6	3	2	1	7	4	9	5	8
1	7	8	9	2	5	3	6	4
7	8	1	4	9	6	2	3	5
4	2	3	8	5	7	6	9	1
5	9	6	2	3	1	8	4	7
2	5	9	3	4	8	7	1	6
3	1	4	7	6	2	5	8	9
8	6	7	5	1	9	4	2	3

ეკალიპტი სუნთქვას გაგიმარტივებთ!

დრაზილიელები გაციებისა და სურდოს სამკურნალოდ აქტიურად იყენებენ ეკალიპტს, კონკეტულად კი მისგან დამზადებულ ჩაისს. ამ უნიკალური მცენარის ეფექტურობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი ფოთლები შეიცავს ეთეროვან ციფეროლს, რომელიც ფილტვებს ნახველის გამოდენაში ეხმარება. ასევე მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ცხვირით სუნთქვის პროცესს.




გაციებებს ხახვი დაგეხმარებათ

ბერძანელებისთვის გაციების საწინააღმდეგო ერთ-ერთი ეფექტური საშუალება ხახვის სუპიაა. ის მდიდარია ფიტონციდებით, რომლებიც თავის მხრივ აღიერებენ ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობას და ეხმარება ინფექციის გამომწვევ აგენტებთან ბრძოლაში. საჭიროა აიღოთ ერთი საშუალო ზომის ხახვი, წვრილად დაჭრათ, დააყაროთ ცოტა შაქარი და რამდენიმე საათით თბილ ადგილას დადგათ. როცა წვენი გამოუვა, მარლაში გადანურეთ. ნაყენი დღეში 2-3-ჯერ 1 ჩაის კოვზი დალიეთ ჭამის შემდეგ.



✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა



■ დანიელ ლაილი

ვახხედავთხახელები დაჯილდოება. როელის ოსკარის შედეგებს წინასწარმეტყველებს

ღოს ანჯელესში რიგით 49-ე კინოდაჯილდოების ცერემონიალი შედგა, რომელიც სხვა დანარჩენებისაგან იმით გამოირჩევა, რომ გამარჯვებულებს ამერიკის კინომსახიობთა გილდია ავლენს. ეს ცერემონიალი ერთგვარი საზომია იმისა, თუ რა მოხდება ოსკარზე, რადგან, როგორც წესი, შედეგების ორი მესამედი ოსკარების იდენტურიია.

ცერემონიალის ტრიუმფატორი ენი ჰეტუეი იყო, რომელმაც ჯილდო მიიღო ფილმისათვის „საბრალონი“. ცერემონიალზე ის ჯამ ბატისტა ვალის შავი გამჭვირვალე კაბით იწონებდა თავს. მას პრიზი ჯასტინ ტიმბერლეიკმა გადასცა.

— მადლობა დედას, რადგან ისიც მსახიობია და ვიცი, რომ ხმა მე მომცა. მადლობა მამასაც, რადგან მსახიობ ქალზე დაქორწინდა. ამერიკის კინომსახიობთა გილდიის წევრობა 14 წლისამ მივიღე. მგონია, რომ მას შემდეგ საუკუნე გავიდა. მერწმუნეთ, ჩემი მსახიობობით ყოველ წუთს სიამოვნებას ვიღებ, — განაცხადა ენიმ სიტყვით გამოსვლისას.

22 წლის ჯენიფერ ლოურენსმა კრისტიან დიორის მუქი ლურჯი კაბა აირჩია და ცერემონიალზე ჯილდო მიიღო ფილმისათვის „ჩემი შეყვარებული ფსიქოპათია“. მსახიობმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ბრედლი კუპერს, რომელიც ფილმში მისი პარტნიორია.

საუკეთესო მსახიობ მამაკაცთა ნომინაციაში ბრედლი კუპერი დენიელ დეი ლუისთან ბრძოლაში დამარცხდა. ამ უკანასკნელმა პრიზი აიღო ფილმისათვის „ლინკოლნი“. რა თქმა უნდა, პრიზის გარეშე არ დარჩენილა არც ბენ აფლეკის ფილმი „არგო“, თუმცა უფრო მეტ ყურადღებას იქცევდა მისი ცოლი, ჯენიფერ გარნერი, რომელიც მესამე შვილის გაჩენის შემდეგ პირველად პოზირებდა ნითელ ხალიჩაზე.



■ ენი ჰეტუეი



■ ჯენიფერ ლოპერესი



■ ჯენიფერ ლოპერესი



■ ბრაუნი კუპერი


ჯასტინ ტიმბერლეიკმა სოლს დაორსულა აუკრალა

ოპულარულმა მსახიობმა და მომღერალმა ჯასტინ ტიმბერლეიკმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ არ აპირებს შვილების ყოლას. მას სურს, მთელი დრო კარიერას დაუთმოს და მუსიკალურ სამყაროში დიდება დაიბრუნოს. მისი ცოლი, მსახიობი ჯესიკა ბილი, ამ გადაწყვეტილების გამო გაბრაზდა, მაგრამ ქმრის სურვილს მაინც დაემორჩილა. ჯასტინმა ცოლს პირდაპირ უთხრა, რამდენიმე წლის განმავლობაში არც კი გაბედო დაორსულება, ეს ჩემს გეგმებში არ შედისო.

ჯასტინ ტიმბერლეიკმა ბოლო 7 წელი კინოს დაუთმო, რის გამოც მუსიკალური კარიერა დააზარალა. ახლა კი პრიორიტეტს კვლავ მუსიკას ანიჭებს. ამ გადაწყვეტილებამ ცოლ-ქმარს შორის სიტუაცია დაძაბა. ჯესიკა ხომ 4 წელი ელოდ-

ბოდა, როდის შესთავაზებდა ჯასტინი ცოლობას და არაერთ ინტერვიუში უთქვამს, რომ ბავშვების გაჩენა ძალიან უნდოდა. ჯასტინი კი ამ ეტაპზე თავს იმ მოტივით იკავებს, რომ სურს, როცა შვილი ეყოლება, ძალიან ყურადღებიანი მამა იყოს.

— არ შემიძლია, ერთდროულად საქმე ვაკეთო, ვიყო დატვირთული და ვიზრუნო შვილზე. მინდა, პატარას დიდი დრო დავუთმო, რისი საშუალებაც ამ ეტაპზე არ მაქვს. საბედნიეროდ, ჯესიკა გამგები აღმოჩნდა და ჩემს ოჯახურ გეგმებს და კარიერას მხარს უჭერს.



კეტრინ ზეტა ჯონსა და მაიკლ დუბლასმა პარმონია დაიბრუნეს

სახიობი კეტრინ ზეტა ჯონსი ბოლო დროს იშვიათად ჩნდება საზოგადოებაში, ამიტომ ნიუ იორკში ფილმ „გვერდითი ეფექტის“ პრემიერაზე ის საყოველთაო ყურადღების ქვეშ მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფილმში მთავარ როლებს რუმი მარა და ჯუდ ლოუ თამაშობენ, ყველაზე მეტი ინტერესი მაინც კეტრინის მიმართ იყო, რომელიც მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. მთელი პრემიერის განმავლობაში კეტრინი ქმართან, მაიკლ დუბლასთან ერთად ბრწყინავდა.

პრემიერაზე მსახიობი მაიკლ კორსის შავ-თეთრი მაქმანებიათ კაბით მივიდა. 43 წლის ვარსკვლავს გვერდით 68 წლის მუჟღე ედგა. ყველა აღნიშნავს, რომ კეტრინი ბოლო დროს უფრო გაახალგაზრდავდა. ქმრის ავადმყოფობის შემდეგ ის საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ გახლდათ, რადგან მთელი ძალები მაიკლის დაავადების დამარცხებისკენ ჰქონდა მიმართული.

— ცხოვრება გამოცდას გვიწყოფს, რომ სირთულეები გადავლახოთ და ძლიერები გავხდეთ. მე და მაიკლი უბრალოდ წყვილი არა ვართ, ჩვენ ვართ ორი ადამიანი, რომლებიც ბევრი რამით არიან ურთიერთგადაჯაჭვული. ახლა ჩვენს ოჯახურ ცხოვრებაში სრული პარმონიაა. ვცხოვრობთ და ყველაფერი გვიხარია, — ამბობს კეტრინი.



„ქერა და ნაზი
ბიჭები
არ მომწონს.
მგონია, რომ
იტალიელი
მამაკაცები
ძალიან
კარგები
იქნებიან“

მ. 43

„საცეკვაო
სამოსისა და
აქსესუარებისთვის
ფული არასოდეს
მენანება“

რატომ
კინკლაობენ
საზღვარგარეთ
საღობე
ჭაჭუა
და ბიბი
ბარბილაძე